

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერლათა

ებისტოლური ძეგლების კრება

ტომი XI

გრიგორ თომიშვილის (ნაწილი X)

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ეძისტოლური მექუდრეობა

გვ. 11

გრიგორ თბილევიანი (ნაწილი X)



გამომცემლობა „კნიგისალი“
თბილისი 2025

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6
ე-726



ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

სამეცნიერო პროექტი „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (X-XI ტომები)“ (გრანტი №FR-21-2197) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „**Scholarly Edition of the 19th-20th cc. Georgian Writers’ Epistolary Legacy (Volumes X-XI)**“ (Grant №FR-21-2197) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

© ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „**ენივერსალი**“
Publishing House “**UNIVERSAL**”

თბილისი, 0186, ქ. პოლიტიკაოვისა და 4, სახ. 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
4,A. Politkovskaja st., 0186, Tbilisi, Georgia სახ. 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-22-185-9 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-33-993-6 (XI ტომი)

ტომის რედაქტორები:
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან გიგაშვილი
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მაია (მარიამ) ნინიძე
ისტორიის დოქტორი,
პროფესორი გიორგი გოცირიძე

კრებული იბეჭდება ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.

შესავალი

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის წინამდებარე XI ტომი ეთმობა გრიგოლ ორბელიანის წერილების X ნაწილს, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოც მოიცავს 1878-1879 წლებს. ეპისტოლეთა რაოდენობა 92-ს შეადგენს, რომელთაგან 51 წერილი რუსულია.

ეპისტოლური მემკვიდრეობის წინა ტომები გამოიცა 2011-2023 წლებში. I ტომი მიეძღვნა ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებს,¹ ხოლო მომდევნო 9 ტომი – გრიგოლ ორბელიანის წერილებს.²

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.

² XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი V, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი IV), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VI, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი V), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VII, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VI), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი,

ბარათების აბსოლუტური უმრავლესობა მოღწეულია ავტოგრაფის სახით. მათგან 7-ს ორი-ორი ავტოგრაფიც აღმოაჩნდა, რომელთაგან ერთი თეთრი პირია, მეორე – შავი. ესენია: ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №6 (974), ილია ჭავჭავაძისადმი №2 (992) და №4 (1015), ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №10 (978), №11 (999) და №12 (1008), დიმიტრი ჯორჯაძისადმი №112 (947). აქ დასახელებული წერილების შავი პირები დაბეჭდილია სამეცნიერო აპარატის ნაწილში მათივე თეთრი პირის სამეცნიერო რუბრიკების შემდეგ.

გრიგოლ ორბელიანის წერილების თეთრი და შავი პირების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ ავტორი ყოველთვის ჯერ შავ პირს კი არ ქმნიდა (ფანქრით) და შემდეგ ათეთრებდა კალმით, არამედ წერილს პირდაპირ თეთრი სახითაც წერდა, ხოლო მისგან შავი ფანქრით გადაწერილ პირს თავისთვის ინახავდა. მაგ., ილია ჭავჭავაძისადმი №4 (1015) წერილის თეთრი პირი 1879 წლის 2 ნოემბრით არის დათარიღებული, ხოლო შავი პირი – 3 ნოემბრით, რომელსაც გადაკეთების კვალი ამჩნევია: ავტორს ჯერ „4“ დაუწერია და შემდეგ „3“-ად გადაუკეთებია.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №11 (999) ბარათი ორი ავტოგრაფითა და ერთი ასლით არის ჩვენამდე მოღწეუ-

მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, თბ., 2017; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VIII, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VII), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IX, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VIII), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2019; XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი X, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი IX), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გიორგი გოცირიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2023.

ლი, ხოლო ალექსანდრე საგინაშვილისადმი №14 (960) წერილი – ავტოგრაფითა და ასლით.

1878-1879 წლების წერილებიდან დაკარგული ჩანს 1879 წლის 13 სექტემბრის წერილი, რომლის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას წიგნში.³ ადრესატის ვინაობას მეუნარგია არ აზუსტებს, წერს: „ერთ ნათესავს ქალსო:“ «О зубах не грусти: я давно забыл о них. Все несчастие состоит в том, что красивые глаза уже не заглядываются на меня пристально. Что ж? беды нет, лишь бы пришли четыре туза в адмирале»).

წერილების აბსოლუტური უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. დღემდე დაბეჭდილია ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი გაგზავნილი 3 წერილი: №10 (978), №11 (999) და №12 (1008) და ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილი 2 წერილი: №2 (992) და №4 (1015). 10 წერილის ფრაგმენტი გამოქვეყნებულია ზემოთ ხსენებულ იონა მეუნარგიას წიგნში. ესენია: ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №77 (955), №83 (986), №84 (988), №90 (1005) და №91 (1007), სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №7 (958), ლევან მელიქიშვილისადმი №7 (964), გიორგი ორბელიანისადმი №1 (970), ანასტასია ორბელიან-ოკლობჟოსადმი №8 (1003) და ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №12 (1008).

წერილების ადრესატები არიან გრიგოლ ორბელიანის რძალი, ილია ორბელიანის ქვერივი – ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისა (20 წერილი); ძმისშვილი – გიორგი ორბელიანი (3), ილია ჭავჭავაძე (4), მეგობარი და თანამოაზრე, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი – დიმიტრი ჯორჯაძე (7), ბიძაშვილიშვილი ანასტასია ორბელიანი-ოკლობჟიოსი (6), ბიძაშვილიშვილი ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი (5), განჯის გუბერნატორი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე (5), სამეგრელოს დე-

³ ცხოვრება და ლვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 171.

დოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა (3), ბიძაშვილი სოფიო ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა (1), მისი მეუღლე, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი (3), და სხვები.

წინამდებარე ტომში დაბეჭდილ წერილებს წინა ტომების წერილებისგან გამოარჩევს მათში გამოხატული კრიტიკული დამოკიდებულება მეფის რუსეთის ხელისუფლებისადმი. გრიგოლ ორბელიანი ადეკვატურად აფასებს საქართველოში შექმნილ სიტუაციას, თავადაზნაურობისა და გლეხების დამძიმებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფონს. მართალია, მისი საყვედურები არ არის მიმართული უშუალოდ რუსეთის იმპერატორისა და კავკასიის მეფისნაცვლის, ან რომელიმე მაღალი თანამდებობის პირისადმი, მაგრამ ავტორის ღრმა ერუდიცია, პოლიტიკური მოვლენების შეფასების უნარი და მასშტაბური აზროვნება არ გვიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის ვერ ხვდებოდა, ვინ იყო კოლონიური რეჟიმის მთავარი შემოქმედი. 1878 წლის 24 ნოემბრის წერილში კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის შესჩივის: „ამ დროს კი ქართველი თავადაზნაურობა განადგურდა, საბოლოოდ განადგურდა. იყიდება მთელი თავადაზნაურობის მამულები. საქართველო ბევრჯერ ყოფილა მტრისგან ანიოკებული, მოსახლეობა – სახლ-კარიდან აყრილი მონღლოების, არაბების, სპარსელების, თურქების მიერ, მაგრამ, როცა მტერი წავიდოდა, მოსახლეობა მაშინვე გამოდიოდა ტყის ღრმა ხრამებიდან, მიუდგომელი კლდეებიდან და იწყებდა მიწურების მოწყობას და დროთა განმავლობაში ისევ შესაძლებელი ხდებოდა ცხოვრების გაგრძელება! ახლა კი ფეხიდან გვეცლება ნიადაგი და ხუთი წელიც არ იქნება გასული, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა, – ნამდვილად მამაცი, საუკუნეების მანძილზე საკუთარი სისხლის ფასად მარტო რომ აღუდგებოდა წინ აზიელ მომხვდურებს, რომლებიც განადგურებით ემუქრებოდნენ მთელ ქრისტიან სამყაროს, დარჩება მიწის გარეშე, სახლის გარეშე, ჭერის გარეშე.“

ბევრჯერ დარჩა გრიგოლ ორბელიანი იმედგაცრუებული მეფის რუსეთის ხელისუფლებისგან. 1878 წლის 24 აგვისტოს სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ, რომ მას კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვისა-თვის უთხოვია შუამდგომლობა რუსეთის იმპერატორთან იმის თაობაზე, რომ ხაზინას ქართველი თავადაზნაურობისთვის ეპატიებინა „პრიკაზში“ ვალად აღებული 300 მილიონი: „ჩუც-ნის გამოხსნის გზა – მოვასენე, – ერთია. – დვორიანსტვოზე ძევს სამი მილლიონი ვალი პრიკაზისა; ეს ვალი, თქუცნის შუამდგომელობით, უნდა მიიღოს ხაზინამ. ნუ შეგეშინდებათ სამის მილლიონისა, რღლიცა, ამ ომიანობის დროს, შეადგენს მხოლოდ ორის დღის ხარჯსა არმიაზე: მითომ ორი დღე მეტი ყოფილა პახოდობა! ამ შემწეობით დვორიანსტვო, შემდეგ, შეიძლებს თავით თვისით ცხოვრებასა, და ამით თვთ ხაზინა-საც მოაკლდება დიახ ბევრი ხარჯი, რომელიცა ან უნაყოფოდ მიდის დვორიანსტვოზე. – გვიშველეთ, ვიდრე არის დრო, თუ ჩუცნი დვორიანსტვო, ანუ ყოფილა, ანუ არის საჭიროდ მართებლობისათვს, და თუ არა, მაშინ, რა გაეწყობა, ამოვწყდებით, განვჰქრებით; მაგრამ, ირწმუნეთ, ჩუცნის ადგილს ვერა-ვინ დადგება ისეთის გულწრფელის ერთგულებითა, ისეთის თავდადებით სიცოცხლის შენირვითა ჭელმწიფისათვს, როგორცა ყოფილა ყოველთვის ჩუცნი დვორიანსტვო!“ რა თქმა უნდა, ქართველ თავადაზნაურობას აღნიშნული ვალის ჩამოწერაზე უარი ეთქვა.

წერილებში გრიგოლ ორბელიანი, წინა ტომის წერილების მსგავსად, ხშირად მიმართავს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირს ნაცნობი ადამიანების დახმარების თხოვნით. იგი არ ზარდება არავის, მიუხედავად იმისა, რომ არ უყვარს ჩინოვნიკების შეწუხება. თითოეულ შემთხვევაში იგი გულდასმით წარმოაჩენს პიროვნების დადებით მახასიათებლებს, რათა დაასაბუთოს, რომ მისი სამსახურში მიღება ან სხვა სახის შემწეობა დადებითად წაადგება „მმართებლობას.“

წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნული გვაქვს ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემული გვაქვს წერილის ბოლოს.

კრებული პროდუქტია ადგილობრივი ინსტიტუციური თანამშრომლობისა. იგი მომზადდა ინტერდისციპლინური ჰუ-მანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ წამყვან დაწესებულებას. ტომის მომზადებაში ჩართული იყვნენ მეცნიერები იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, პასპორტები, შენიშვნები, შესავალი წერილი, „ტექსტისათვის“, რუბრიკა „ადრესა-ტის მისამართი“ და ლექსიკონი დაურთეს მზია გიგაშვილმა და ქეთევან გიგაშვილმა, კომენტარები და დათარიღება ეკუთვნის მაია ნინიძეს, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები – გიორგი გოცირიძესა და თამარ ლევაიძეს.

ქართულენოვანი წერილები ავტოგრაფებიდან გადმოწერა ნათია ხუცურაულმა, რუსულენოვანი წერილები – ეთერ ბერუაშვილმა, ლია კიკნაძემ და არსენ ბერთლანმა, ქართულად თარგმნა ეთერ ბერუაშვილმა, ხელნაწერები აღწერა ნათია ხუცურაულმა.

პროექტის სამეცნიერო ჯგუფი მადლობას უხდის წამყვანი დაწესებულების აღმასრულებელ დირექტორს, ისტორიის დოქტორს, პროფესორ გიორგი გოცირიძეს მხარდაჭერისა-თვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, თელავის რაიონის ყარაჯლის საჯარო სკოლის ისტორიის მას-წავლებელს, ბატონ აზიზ აბაზოვს, თურქულ-აზერბაიჯანულ-და სპარსულენოვანი ლექსიკური ერთეულების ანალიზისას გაწეული კონსულტაციისთვის და იაკობ გოგებაშვილის სახე-

ლობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის
ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა ყარაულაშვილს.



A handwritten signature in black ink, appearing to read "Nicholas II".

1878

დიმიტრი ჯორჯაძისაძე №111 (930)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დიმიტრი!

დიდის სიხარულით გილოცავ ახალსა წელიწადსა და
მასთანა ახალსა წელმწიფის წყალობასა, ტაინიიიი სოვეტნიკ!

თქუცნი მარადის ერთგული
თ^{~1} გრიგოლ ორბელიანი

1^ს იან: 1878.²

ყაფლან ორბელიანისაძე №25 (931)

ჩემო ბატონო – ძმაო ყაფლან!

დაზამთრდა; საშინელი ყინვები დაიწყო ქალაქში და მე-
კი ისე დავრჩი უშეშოდ, და უპუროდ. შეშას ვყიდულობ
ურემს 6 მან: და ათშაურად, პურსა ორმანათად პუდი. – ესე
ყოველივე მომდის სულ ჩვენის მოურავების მზრუნველობითა,
რომ თავის დროზე არაფერი მოაქუსთ, ვიდრემდის ასე არდა-
ზამთრდება, და მაშინ გლეხს კაცსა წყევლითა და გინებითა
მოაქუს ძლივს ორი ტომარა ურემზედ! აი ასე მიდის ეს წელი-
წადები, და მომავალშიიაც კიდევ ამასვე უნდა მოველოდეთ,
რადგანაც წლევანდელი შეცთომილება აღარ ახსოვსთ სამემ-
რისოდ. –

ერთი შენი კვიცი ჩამომიგზავნე, ვნახავ და მაშინვე გა-
მოვგზავნი, ჭეშმარიტებას გეფიცები. –

წამოდი, გეყოფა კარგია; მანდ ძალუაც ეყოფა მამულ-
დედულის მოსავლელად. –

შენი გრიგოლი

[არა უგვიანეს 1878 წლის იანვრისა]

ივანე კონსტანტინეს ძე ორპალიანისადმი №3 (932)

7^თ ჭერბ: 1878 წ. თბილისით¹

ჩემო საყუარელო ძმაო ივანე! ჰაი წავიდეს ამისთანა საზარელი ზამთარი და აღარ მოვიდეს! დამტანჯა ესოდენმა ხან-გრძლივ სიცივემ, თოვლმა და მეტადრე გადუყრელმა ნისლმა, რომლისა სისქე და სიბნელე ისეთი იყო რომ ძლივს-ლა ვპხედავდით ქაშუეთსა:² დაგვემალა სადღაცა³ მზე, და აბა, მოდი და ლაზათი გასწიე! მეც ვიჯევ შინ; გავიდა ნოემ-ბერი, გავიდა დეკემბერიცა, და ჰააა თან-გაჰყუა იანვარიცა, და მეკი სულ შინ ვიჯექ და ზაფრა-აშლილი ვეჩეუბებოდი ხან ქეთევანსა და ხან შენს დას ტასოსა. ბოლოს მზეცა, პატარ-ძალსავით, ხან დაგვენახება, ხან ისევ მიიმალება, მაგრამ ეს მესამე დღეა კლუბშიაც დავდივარ და მუშთაიდისაკენაც გა-ვექანები, თბილად გახვეული ვეება პალტოში, და ახლა, ამ წერილსაც შეუდეგ. –

შენი და ტასო თავის ქალებით კარგად არის, ქმარიც კარგადა ჰყავს ოზურგეთში; შენი და სოფოც კარგად არის; გიგოც აქ არის კარგად; სოსიკოც მშვიდობით არის დედუფ-ლის წყაროზე ნაჩალნიკად ლეზეგინსკის ლინიისა და დიდად მოწონებით შეინახა ამან კახეთი⁴ და ჭარბელაქანი კარგის განკარგულებითა და ჯარების განყობითა, მართლად რომ სა-ქებელია.

კნ: ლევან მელიქოვი⁵ იყო აქა და გუშინ წავიდა ისევ შურას; ნიკო ჭავჭავი⁶ მოვიდა გუშინ აქა, დიდად განთქმული ლუბერნატორობაში; ველიკიის კნიაზსა ძალიან უყუარს ესე

და მართლად ღირსიც არის ჭკუითა, გაბედვითა, ხალხის მოვ-ლითა.

აქვე არის ტერლუქაზოვიცა,⁷ ამ ომიანობაში ჩინებულად გამოჩენილი, ვითარცა კარგი სარდალი, მაგრამ, როგორლაც, ახლა უწინდელებრ ვერა ჰსნებალო(ბ) შენ. ეს მე დიდად მანუ-ხებს, რადგანაც დიდიხანია ვიცნობ ამასა, როგორც დიდად პატიოსანსა, ჭკვიანსა და ამასთანა მსწავლულსა.

დენერალ ლაზარევი,⁸ რომელიცა გამოჩენდა საქებრად ყარსის აღებაში, გაგზავნეს ნაჩალნიკად ერევანის ოტრიადი-სა, ტერლუქაზოვის მაგიერ. იყო პლანი, რომ ეს უნდა წასუ-ლიყო ჯარითა ვანისა⁹ და შუშისაკენ,¹⁰ მაგრამ საშინელმა თოვლმა ვერ გაუშვა და მერე შერიგებამაც მოასწრო.

დანარჩენის ჯარებიდამ სამი დივიზია ჰსდგას არზრუ-მის გარეშემო და დიდს ნაკლულოვანებას ითმენენ; საშინე-ლის ყინვისა და თოვლისაგან შეიკრა გზა; დიდროანნი ტრანს-პორტები ჭურგონებისა, ურმებისა, პოვოზკებისა, რამდენიმე ათასი აქლემები, გაგზავნილნი პურითა; ტანისამოსითა, სნა-რიადებითა, დაიღუპნენ, ისე რომ მეოთხედმა ნაწილმა ვერც-კი მიახწია ჰასანყალამდის და მაინც ვერ მივიდნენ არზრუმის ჯარში. ხუთიათასზე მეტი ავათმყოფნი წუანან ჰასანყალაში; დიდი ნაკლულოვანება არის დოხტორებისა და ჭელშერებისა, რომელთაგან მრავალნი დაიხოცნენ სახადითა. – სოფლებსში დაურიგეს ავათმყოფები, რომელთა შორის იყუნენ სახადითან-ნიცა; ამათგან მოედვა სოფლებში სახადი და იხოცებიან მრა-ვალნი.

კიდევ მივიტანეთ შტურმა ციხისძირზე¹¹ და კიდევ მი-ვაწვინეთ ათას სამასზე მეტი სალდათი დაჭრილ-მკუდარი. რა უშავს, რა დააკლდება ამით იმპერატ[ო]რის ჯარსა! მარ-თალია, ამ ომიანობაში ბევრი მოგვივიდა შეცომა და უგუ-ნურება, მაგრამ ეს შტურმა – მეტის მეტია. რათ გვინდა ცი-ხისძირი, რომელიცა არის მხოლოდ ერთი შეუვალი კლდე ზღვის ნაპირზე? მუქთად რომ მოეცათ მაინც იქ ჩუმში ვერ დავდგებოდით, რადგანაც ოსმალების ბრონენოსცები იქვე

ჰსდგანან და ჩაგუაქუაებდენ. – უწინ, როდესაც ზღუა ჩუმის წელში იყო, მაშინაც არცა პასკევიჩმა, არცა ბებუთოვმა, და არცა თვთ მურავევმა ამ გზით არ გაგზავნეს ჯარი ბათუმის ასაღებათ. ნუთუ ისინი იყუნენ განუსჯელნი, უანგარიშონი! მახლაზ, შალვა ერისთავი იტყოდა „ყველას თავის ჭკუა აქუსო.“

ეს ასე.

ახლა მოვიდეთ საზოგადოდ საქართველოსთან და გან-საკუთრებით ჩუმის გუართან. – არც ერთს საუკუნეში, რო-დესაც ჩინდისები და ლანგთებურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შემოდიოდნენ და აოხრებდენ ჩუმის მხარესა, მგო-ნია, ჩუმინი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ისეთს გან-ნირულს მდგომარეობაში, როგორცა ვართ ერთობ ჩუმინ ამ დროს და მეტადრე ჩუმინი გუარი! უწინ მტრისაგან დამწვარს სახლსა ვაშენებდით ნელნელა, – რადგანაც მიწა გვრჩებოდა გაოხრებისაგან – და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებულის სახლიდამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვი-ცით საით მივეფარნეთ, რადგანაც ფეხქვეშიდამ გვეცლება მიწა, და მომავალიცა აღარ არის ჩუმინთქს! ჩუმინი საყაფლა-ნისშვილო მამული ერთიანად იყიდება; გაჩქარებული მოგვ-დევენ სოლალაანნი, ბარათაანნი, ჭავჭავაძიანნი; ანდრონიკა-აანნი, ვაჩნაძიანნი, ციციანნი, თარხნიანნი, ერისთვიანნი და სხუანი. – ჩუმინი მამულებს ეპატრონებიან მირზოები, თაირო-ები, მიკირტუმები, მირმანოები და მრავალი სხუანი – ონი-კოვს დარჩა ათასთუმანში მთლად მანანასშვილის ალექსან-დრეს მშვენიერი წილი მამულისა! წასულს კვირაში იყიდებო-და მანანას სახლი, ასე რომ ტასო გაგარინისა უნდა აყრილი-ყო და გაქცეულიყო სადმე! ტორლი შეაყენეს, მაგრამ როდემ-დის? – ეგ შეჩვენებული სომოვა¹² ასე უწყალოდ რათ უკარ-გავს ამისთანა მამულს თავის შვილისშვილსა, რატომ არ მო-ეშველება და არ გამოუხსნის, განა არა ღირს ერთიათად? – იყიდება მამუკას შვილის კოტეს მამული; იყიდება დავით

ჭავჭა: სახლკარი, ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით იყიდება თითქმის მთლად საქართველო! ვინ არის მყიდავი? სომხობა; მაშასადამე, რამდენსამე წელიწადის შემდეგ, საქართველო შეიქმნება სომხების საკუთრება, და ესრეთი ცვლილება არ იქნება საკეთილო თვთ მმართებლობისათვაც, რომლისა თავდადებით ერთგულნი არიან მხოლოდ ქართველნი. ახლა ვის ვის შევპირდავლოთ, ვის შევაგონოთ ესრეთი სამწუხარო მდგომარეობა საქართველოს არათუ მხოლოდ თავად-აზნაურობისა, თვთ გლეხობაც ამავე ტაფაში იწვიან: მთლად კახეთის ვენახობა სულ სომხების წელშია. – მე ვერ გამიბედნია, რათგანაც აქ დაბეზღებაში ჩამომართმევენ, მაგრამ შენკი, შენის მხრით, რომ მოახსენო შენს ველიკოის კნიაზსა ესრეთი განწირულება ჩუცნი, რომ გვიშუამდგომელოს იმპერატორის წინაშე და გვინყალობონ ორი მილლიონი, მაშინ საუკუნოდ სალოცავი შეიქმნება სახელი მაგისი. – მაინცა და მაინცა მოახსენე და შეიტყე მაგის ჰაზრი, მომწერე და ისე მოვიქცევით აქა. – ჩუცნს ველიკის კნიაზსა მეტად უყუარს საქართველო, მაგრამ წელმნიფესთან ვერ არის გამბედავი, მეტად ერიდება, ვაითუ ვაწყენინო. – რუსეთის იმპერატორებმა გამოიხსნეს საქართველო მაპმადიანთაგან, განა იმისათვა, რომ ახლა მაგათ წელში დაიღუპნენ საუკუნოდ? მე დარწმუნებული ვარ, რომ შუამდგომელობა ველიკის კნიაზისა უეჭველად გამოგვიხსნის! – მაინცა ჰსცადე და მაცნობე.

ამ ზამთარში დაგვეხოცნენ: აპარინინის ქალი წინა სტატკოვაკისა, რევაზ ანდრონიკოვი, ნიკოს ძმა ცუცა ჭავჭა: ყაფლანის და ეკატერინა, (ყაფლანმა ჯერ არ იცის), საწყალი ვაწნო მელიქოვი ყარსის აღებაში, ვასილი არღუთინსკი, და არც-რუნი ღენერალი.

ახლა მოვიდეთ შენთან. ერთი მითხარ, როდემდის უნდა იჯდე მანდა და იტანჯებოდე რევმატიზმებითა? რა ბედნიერება იპოვნე გარდამატებული შენს ამხანაგებზე? ჩუცნის ოჯახიდამ ერთი მე ვარ სიბერისაგან გადასული, ერთი არის ყაფლან, ჩემზე უფრო გადაყრუბული, ერთიცა შენი ძმა სოსიკო,

ისიც კოჭლი; გიგო ხშირად ავათმყოფობს, სანდროს ანგარიშ-ში არ ვაგდებ. – ახლა არ მოხვალ, არ მოგვეშველები? გად-მოდი при Кавказ: Армії^{*} და იყავ ბატონი მთელის სომხითისა. – ბიძინა ჩოლაყაევი დაქორწილდა ლამაზს წერეთლის ქალზე; ძლივს ამის საქმეც გათავდა.

ძალუა და გიორგი აქა მყუანან; გიორგი ვლადიმირის ჯუარით დაპხტის და ტანციობს თითქმის ყოველღამე; პოლკი იბარებს, მაგრამ ჯერ ავათმყოფობისაგამო, (დაჭრილობით), არ უშვებ, ველი შერიგებას, და მაშინ ჰომო.

Разцалуй с жаром, с любовью, мою Тётушку Сашу.**

ლ~თი¹³ იყოს თქუცინი მფარველი, და მან მაღირსოს შენი ხილვა.

შენი მარადის ბედნიერების მსურველი გრიგოლ ორბელიანი

შენი და ტასო ხვალ მიდის ოზურგეთში ქმრის სანახა-ვად.

თებერ: 8სა.¹⁴

ქუთაისიდამ მოგვივიდა ახალი ღუბერნატორი კნ: გაგარინ, და ბარონ საკენი დანიშნეს ნაჩალნიკად ტამოჟენნის კარანტინის ნაწილისა, მაგრამ აქ აღარა დგება ესე, და წამოვაპეტერბურლსა. მეკი ვჰსნუხარ: ბარონი ძალიან პატიოსანი კაცია, ჭკვიანი და მეტად კარგად გაზრდილი, მაგრამ ჩუცინსავით ღარიბი; არა ნდომობს ტამოჟნასა, სადაცა სხუანი მდიდრდებიან. აი ამის ღირსება!

ჩემო ვანო, როცა ველიკის კნიაზს დაელაპარაკო, გაფრთხილდი, ჩემს სახელს ნუ ახსენებ, ისე საზოგადოდ მოახსენე, რომ ბევრი წიგნი მოგდის საქართველოდამ ხალხის გაგლახაკებისა. თუ იმედს მოგცემს, ჩუცნ აქ შეუდგებით საქმესა ველიკის კნიაზთან, რომელიცა, თუ შერიგება მოხდა, უეჭველია, წამოვა პეტერბურლსა, და მაშინ ორნივ ერთად ადვი-

ლად დააბოლოებენ მეტად ძნელს საქმესა, რადგანაც მმართებლობას ომიანობის შემდეგ, ვიცი, ბევრი ხარჯი მოუნდება; მაგრამ რა ვჰქნათ? მოთმინება აღარ შეიძლება: თუ დროზე არ მოგვეშველნენ, მერე ველარაფერი ვერ აღგვადგენს ჩუმინსაფლავში ჩასულთა!

* კავკასიის არმიაში

** ჩემს ძალუა საშას აკოცე მხურვალედ, სიყვარულით.

ანასტასია როპელიან-ოკლობულისადმი №3 (933)

ჩემო საყუარელო ტასო! შენგან მიკვირს, რომ აპყოლისარ დედაკაცების ენატანტალობას, მეტადრე შენს დას სოფოს ჭორებით გასუქებულსა.

მარტო, ავათმყოფი, გამოყრუებული ვეგდე, ვეგდე კაბინეტში; მეტად მომწყინდა და სევდების განსაქარვებლად შეველ ქეთევანისას, სადაცა დამხვდა გაჩაღებული ბაასი: ვიღა-საც ჰსწყევლიდნენ. მე რომ დამინახეს, მაშინვე ხმა გაქმინდეს.

მე, სწორედ მოგახსენო, ძალიან მეწყინა ამათი ერთბაშად გაჩუმება, ვჰქითხე სოფოს, ქალო რათ გაჩუმდით? შენ ხომ არ ამოხვალ, თუ არ გავსილი ამბებით? ჰსთქვი ახალი ამბავი რა არის თქვენს უბანში?

იმან მიპასუხა: „ახალი ამბავი ეს გახლავს, რომ ჩემი და მიდის ვეჩერში პალიბინისას!“¹ –

მე უთხარ, რომ პალიბინი ვინა გდია, რომ ტასო იქ მიდის? ამ სიტყუაზე მამვარდნენ ოთხნივე დედაკაცები წივილ-კივილითა! დიდიხანია, განა არვიცით, რომ ჩუმში აქედამ აყრა გინდა და ყოველს ჩუმში საქმეს გვიშლი. – იმისი არიყოს, რომ ქვეყანაში დადიხარ და ლაპარაკობ, რომ სოფო იმიტომ ავათ გახდა, რომ ახალს სახლში გადვიდაო. შენმა რჩევამ ააშენებინა სახლი სოსოსა, თორემ იმას ფიქრშიაც არა ჰქონ-

და. – ახლა ქვეყანაში იმას ლაპარაკობ, რომ რატომ სოფო არმიდის ტანძიასაო? – მე გავჩუმდი; მაგრამ ტასო და ქეთე-ვან გამომესარჩლნენ, და შეიქნა ერთი დიდი ყიუინა და ხმლის ტრიალი.

მე ავათმყოფი, მისუსტებული, წამოველ ჩემს დაყრუე-ბულს კაბინეტში; გადავბრუნდი, გადმოვბრუნდი, ამტკიცდა თვალები; მთელი ღამე დავიტანჯე უძილობითა.

მოდი და ამ ქუჩაში ლაზათი გასწი.

შენცა არგებრალები და ყვედრებასა მწერ! აბა რა ვჰქნა, ეხლაც მეუბნებიან, რომ გაუთხოვარნი ქალები გროვ-დებიან ტოლეს მაღაზიენში, და იქ ყავასა სმენ ყმანვილკაცე-ბის საზოგადოობაში.

ესეც დავიწუნე, და, რა საკვირველია, ამაზედაც ბევრი დამწყევლეს.

შენი დაჩაგრული გრიგოლ ორბელიანი

25 თებერ:² [1878 წელი, ან უფრო ადრე]

ანასტასია მოგელიან-ოკლოშიოსადმი №4 (934)

ჩემო ტასუნი!

გულით მოხარული ვარ, რომ ჩემი საყუარელი ივან დი-მიტრიჩი ახლა, ღ თის¹ მოწყალებით, გამოვიდა სამშვიდობო-ში. მერწმუნე, მოსვენება აღარ მქონდა მწუხარებისაგან. შენ-მა წერილმა და მის წინათ ნიკოს ტელელრამამ გული სრუ-ლებით დაგვიმშვიდა; მაგრამ ყველიერიკი სულ ჩაგუშხამდა ყოველდღე უსიამოვნო ამბებითა.

სოფო გავათხოვეთ; იყო ჩუმი ქორწილი, მაგრამ მაინც ჩემი გონიება სულ თქვენები იყო. კარგი ყმანვილი კაცია, – დათიკოს სუმბათოვის ძმა, – და უფრო ეს მომწონს, რომ არა

აქუს ვალი: ამ დროში ეს დიდი ქება არის საქართველოში. იაკინთეს შვილი დაინიშნა ყაზიბეგის დაზე, ქეთევანკი ძალიან ჯავრობს: ჯერ ჯუარი არ დაუწერია და წაიყვანა დანიშნული ოზურგეთში. –

შეიტყობდი ირაკლის გრუზინსკის დაებადა ვაჟი, და შენ წარმოიდგინე დედმამის სიხარული, მეტადრე, ბატონისრძლისა! – მე უნდა მოვნათლო.

ნიკო ჯერ ისევ აქ არის.

მაკრინას დიდად ჰსურდა შენთან მოსვლა, მაგრამ ვერ მოუხდა და ძალიან ჰსნუხდა.

შენი ქალები მშვიდობით არიან.

გირჩევ, რომ ივან დიმიტრიჩი, ცოტა რომ ღონე მიეცეს, აქ წამოიყუანოთ: არცა ოზურგეთის ჰაერი და არცა ქუთაისისა მაგას არ არგებს.

ეს ზამთარი ისე გავატარე, რომ ფეხი არ შემიდგამს არც თეატრში, არცა კრუზოკში და არცა სობრანიეში.

ძალუა ვარინკაც ავათმყოფობდა; ეხლა უკეთ არის, გიორგი, თუმცა სიყმანვილით დარბის აქა იქ და ტანციობს, მაგრამ გვერდსა იტკიებს კანტუზისაგან.

კნეინა შახავსკაია მოიყვანეს აქა დიდად ავათმყოფი სახადისაგან. – შელკოვნიკოვი დავმარხეთ ვანქში;² ველიკის კრიაზმაც უკამანდა ჯარსა და გამოაცილა ეკკლესიამდის.

სოსიკო კარგად იმყოფება დედოფლისაწყაროზედ. – გიორგი კარგად არის; ყაფლანც კარგად არის, მაგრამ ყველაზე კარგად ელისაბედ არის; სოფოც ელისაბედსავით არის.

ყიფიანისა ტატოს ქალი, მაიკოს დისწული, შეირთო დუმბუზაშვილმა სულხანოვმა; ჩუცნის ლიზას დისწულმა გიორგმ შეირთო ილია აფხაზის ქალი; ქეთევან ამაზედაც ჯავრობს, რადგანაც მესამეები ყოფილან.

ძალუა ვარინკა, გიორგი, ქეთევან, ბაბალე, ტასო მოკითხვას გითვლიან და ესენიც გირჩევენ აქ მოსვლას შენის ივანეთი.

დიდმარხვას მოგილოცავ, ამ ნიშნით, რომ ღრუბლიანი დღეა, ქარიც არის, ცოტა თოვლიცა მოდის, ესე იგი სწორედ დიდმარხვის ორშაბათია, – და რასაკურველია ვართ ლობიოზე სადილად თქუცნს ბანდაყულ ისაკთან, და ივან დიმიტრის სადლეგრძელოს დავლევთ და ვიკოზირებთ.

მოვიდა ბიძინა ჩოლაყაევი თავის მშვენიერის ცოლითა; ერთი კოცნა მეც მელირსა: ჩემთვს ესეც კმარა.

ჩამიპროშტე შენი ქმარი, და იყოს ღმერთი შენი მფარელი; და ამასთანა გიყუარდეს ჩემი საყუარელი დიმიტრი გურიელი.

შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი

27^ს თებერ: 1878
თბილისით.³

თაიროვის ქალი შეირთო ბებუთოვის პეტრეს შვილმა. ნოვოსელსკი მოსულა; ამას უნდა ბათუმიდამ რკინის გზა გაიტანოს ბაიაზეთში.

ამ უამად ამაზე მეტი ჭორი შენ გასახარებლად არა ვიცირა.

ყაფლან მრგელიანისადმი №26 (935)

ჩემო ბატონო – ძმაო ყაფლან!

დღეს დილით გამოველ ჩუტულებრივ მოაჯირზედ და შენ ვეღარ დაგიძახე; შენს მაგიერ ვიღაცა პანუხა დენშიკი¹ ჰსწმენდდა ფანჯრებსა. – ასეა ამ სოფლის ხასიათი: („)ქიმ აქარ, ქიმ ეარ!“² მახლაზ!!

მერე

გეუას დიდს მოურავს უბძანეთ, რომ პოლკოვნიკოდამ
მოიტანა, თუ არა, ნამყენები? –

ბალი შეამკოს ლობითა, სარებითა, მარგილებითა და და-
ბარვითა.

თივებიც ჩამოგზავნოს, რადგანაც გზა უნდა ახლა კარ-
გი იყოს და ქერიც მოგვაშველოს. ძალუას სიყუარულით მო-
ვიკითხავ.

შენი ძმა გრიგოლი

21 მარტს.³ [არა უგვიანეს 1878 წლისა]

[III გვერდზე მისამართი წერია:]

ბატონს ყაფლანს
მიერთოს
კოდას.⁴

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №4 (936)

თბილისით 27 მარტ: 1878. პეტერბურღს.¹

ჩემო საყუარელო ძმაო ვანო! შენმა წერილმა 12^მ
მარტ: დიდად შემანუხა შენის აგრე გრძლად ავათმყოფობითა,
რომელსაცა მანდა ვერა რომელიმე წამალი ვერ განაქარვებს,
რადგანაც მიზეზი შენის სნეულებისა მკვიდრობს თუთ მან-
დაურს ჰაერში; აბა, რა გაეწყობა. რათ ითმენ ესოდენს ხანსა
კვნესით ტკივილებსა? რათ გინდ[ა] ტანჯვით ცხოვრება, და
ანუ აქამდის რა მოიგე მანდ ყოფნითა და შენის სიცოცხლის
უსარგებლოდ შეწირვისთვის და რათა? სხვაგან² ტანჯვით და
წყევლით პურისჭამას, არა ჰსჯობია იყო შინ სიმრთელით,
მშვიდობიანად და [იც]ხოვრო შენს ნათესავებში, შენს მეგობ-

რეპში ისე, როგორცა ათასნი³ შენი მახლობელი? სხუა არა იყოს [რა], ავათმყოფობით მაინც არ დაიტანჯები. შენი უეჭველი წამალი არის შენის სამშობლოს ჰაერი; და[მი]ჯერე ასეა. რას ეძებ მანდა? თუ აქამდის ვერა რა იპოვნე, ეხლა რიღასი იმედი გაქუს? აქაურის] შენის მამულის შემოსავლიდამ, თუ არარას გამოელი, სამსახური მაინც გაცხოვრებს, როგორცა სხ[უა] ათასთა. მოიფიქრე ჩემო ვანოვან.

ჩუენს ველიკის კნიაზსა, წამოსავლის დროს,⁴ მოვახსენე ჩუცნის საზოგადოდ თავადების მდგომარეობა, და იმანაც დ[იდის] ყურადღებით მოისმინა და თავგამოდებით აღმითქუა შუამდგომლობა წინაშე წელმწიფისა, თუ ახლანდელმა] ომიანობის ხმამ არ დაუშალა, რადგანაც ფულის საქმეა, და ამისთანას გაჭირებაში არ ივარგე[ბს] ფულზე ლაპარაკი. მაინცა ამ დღეებში ვამზადებთ ქალალდებს, მალე მოვრჩებით და გამოუგზავნ(ი) ველიკის კნიაზსა მანდა, რომ ვინიცობაა, დრო ჩაიგდოს, მოახსენოს პირდაპირ იმპერატორსა, რღ[საც]⁵ ზედმინევნით ვიცით უყუარს საქართველო და არა რას დაიშურებს მისის კეთილ-დღეობისათვს, თ[უ] ჭინანსის მინისტრმა არ გააძნელა საქმე, რადგანაც, ვიცით, ვერარის ახლა მაგის ზანდუები კარგს მდგომარეობაში; მხოლოდ ეს მაშინებს.

დიდად და დიდად მადლობელი ვარ შენის კეთილ გონიერებისა, რომ შენს ველიკის კნიაზს არმოახსენე ამ საქმეზე. მართლად უდროოდ იქნებოდა და საქმეც სრულებით წახდებოდა. მაშინ, როცა გნერდი, მეტად [შეწუ]ხებული ვიყავ ჩუცნის საზოგადოების გაწყალებითა, და ამისთვს დაუხედავად მოგწერე ჩემი დარდები. ახლაკი ეს საქმე თავის სჯულიერს გზაზე დადგა და თუ ღ-თი⁶ შეგვენია, დღეს არის თუ ხვალე, არ მოვეშ[ვებით] და მივიყუანთ დაპოლოებამდის. როცა გამოუგზავნით ქალალდსა ჩუცნს ველიკის კნიაზსა, შენცა შეგატყობინებ და მაშინკი შეგიძლიან მოახსენო შენს ბატონსა, რომ მოგვცეს შემწეობა, ესე იგი, დააჩუმოს ჭინანსის მინისტრი, და ანუ მართლად, რა არის სამი მილლიონი, რომელსა-

ცა ვითხოვთ? ერთის დღის ხარჯი არმიაზე ამ ომიანობის დროს; მითომ ერთი დღე მეტი⁷ ყოფილა პახოდობა! ეს არის.

დიდად ვჰქმდებარ, რომ კნ: მირსკისზე არიან მანდა ცუდის ფიქრით. მე მერნმუნე, რომ ეგ არის მხ[ოლოდ] დიდი შური, მტერობა, უსამართლოება; მე დაწვრილებით ვიცი საიდამაც მოხდა, ვინ არიან გარეულნი მ[აგ] საძაგელს ინტრილაში და ვის უნდოდა მირსკის ადგილი. ველიკი კნიაზი ვერ იპოვნის ამისთანას თა[ნაც] ესეცკი მოუგონეს, რომ ნამესტნიკობა უნდაო. – აბა, შენ თკონ იფიქრე.

საკუთარი ჩემი საქმე აქამდის თუ არ არის მანდ მოსული, მალე მოვა ველიკის კნიაზის თანახმობი[თ] ლოსუდარსტვენ: სოვეტში გადატანისათვს და მაქუს იმედი ღ~თისა,⁸ რომ ესეც გათავდეს კეთილად, რ[ადგა]ნაც მეტად კარგად, საფუძვლიანად და ნათლად არის შემდგარი აპპელაცია; ახლა შენ იცი, როგორც დატრიალდები და მომეშველები.

ძალუა ვარინკა და გიორგი, ღ~თით,⁹ კარგად არიან და აპირებენ წამოსვლას, მაგრამ ვაყენებ ჯერ მანამ შეიძლება; შენი დები, სოფო და ტასო კარგად არიან; აგლობუოც აქ იყო ავათმყოფი, მაგრამ კარგად შეიქნა და წავიდა, რომ ჩაიბაროს ბათუმი; კარგად არიან გიგო ცოლითა, სანდრო მაიკო-თი და მაკრინეთი. მოკუდა მხოლოდ კა[რც]ოვის შვილი ნიკოლაი.

მოვიდნენ აქა საშა მელიქოვისა და ნინა ლევანის და შურიდამ, რომელნიცა აპირებდენ არზრუმში წასვლას, სადაც[ა] გამხდარიყო ავათ საშას შვილი ვანო სახადითა, თიფ;^{*} მაგრამ იმის უკეთყოფნის ამბავი მოგვივიდა და ესენიც აქ დარჩნენ დრომდის.

29^b მარტის.¹⁰ შემოვიდა თბილისში ლორის მელიქოვი დიდის ხალხისაგან მიგებებითა, გალავასაგან რეჩქებითა, ჰამქრები ბაირალებითა და სანთლებითა. საკურველია, ამ სუსტ-მა, სულყოველთვს მკვნესარემ, ჭნაუამ, როგორ გაუძლო ესო-დენს შრომას, მოუსვენებლობას, ბრძოლას გარეგან მტერთან,

შინაგან ინტრიგებთან, უმადლობას და გარეშე საშინელს ავათმყოფობას!

ამ წერაში მივიღე სოსიკოს წერილი დედუფლისწყარო-დამ; ღ~თით,¹¹ კარგად არის. – დიდი გონიერება და გამოცდი-ლება გამოაჩინა ამან კახეთის დაფარვაზედ. მოლოდეჯ!**

წავიდეს ამისთანა ზამთარი და აღარ მოვიდეს: საზა-რელნი ქარიშხალები, თოვლი, ზუაები, ყინვა; დიდი სიძვირე ყოვლის ფრისა: ურემი შეშა 15 მანა:, ზოგჯერ უფრო მეტფა-სად, პუდი თივა ექუსი აბაზი, ქათამი ერთი მანა: გირვანქა ხიზილალა შვიდი აბაზი, და სულ ასე. მოდი და ლაზათი გას-ნიე!

ძლივს ეხლა გაზაფხულდა, აღჰყუავდნენ ნუშისა და ატ-მის ხეები, ამზუანდენ მინდვრები, ორთაჭალის ბალებიდამ და მუშთაიდიდამ მოგვესმა ზურნის ხმა, ერთის სიტყვით, გავ-ცოცხლდით და თუ მოგვივიდა გარჩაკოვის გამარჯვებაცა, ესე იგი მშვიდობიანობის ამბავი, მაშინ, მართლად, გულისა, სულისა, [ფ]ანჯარა გაგვეღება სასიხარულოდ, საარშიყოდ!

* ტიფი

** ახალგაზრდობა!

ციკო ზურაბის ძე ზავავაძისადმი №20 (937)

ჩემო საყუარელო ძმაო ნიკო! შემთხვევით ვნახე შვილის შვილი ძველის ნუხის ყადისა, რომლისაცა ვიყავ დიდად პა-ტივისმცემელი. ეს ყმანვილი კაცი, ღუბერსკის სეკრეტარი აბ-დულსალამბეგ ყაზიევი,¹ თუ ზნეობითი აქუს ღირსება, გთხოვ იყოს შენს მოწყალებითს მფარველობას ქვეშე. მახსოვს მოხუ-ცებულის ყადის მეგობრობა და მისთვის ვჰბედავ და განუხებ, რადგანაც, გამოცდილებით, ვიცი რომ ამგუარი თხოვნა ათა-სობით მოგდის. – მე, ამასაც გეტყვი, რომ სრულიად არ მე-

წყინება, თუ ამის უვარგობისაგამო არ შეიქმნება ესე ღირსი შენის მოწყალებით ყურადღებისა.

ახლა აქაური ამბავი: მოვიდა ლორის მელიქოვი და თბილისმა მიიღო დიდის ცერემონიით, ხალხის მიგებებით, გალავასაგან რეჩებით, ჰამქრების ზურნანალრით, ბაირალებით და სანთლებით. თკთონ არ არის გამხდარი, ყოჩაღად და გულმაგრად არის; აპირებს პეტერბურლში წასვლას და აქამდის ჯერ არ მოუვიდა იქიდამ მისვლის ნებადართვა. ბევრი რიგი შენუხება გამოუვლია გარეგანის მტრისაგანაც, შინაურის მეგობრებიდამაც.

პოლიტიკის ამბები უფრო ომიანობას მოასწავებს, მაგრამ ეს მანუგეშებს, რომ ველიკი კნიაზი აქამდის დაბრუნდებოდა, თუ უეჭველად ყოფილიყო განხეთქილება შორის ანგლიისა და რუსეთისა. – როგორც ისმის ველიკი კნიაზი 18 ან 19 აპრილს გამობდანდება პეტერბურლიდამ, რომ ყაენს დაუხვდეს, რომელიცა ამთვის გასულს მოვა თბილისს.

საშინელი წვიმები და სიცივე იყო აქა, ასე გაშინჯე თოვლიცკი მოგვივიდა.

დავმარხეთ კარცოვის შვილი ნიკოლაი, და პატარა ჩვენი ტასიკო, რომელიცა მოგვიკუდა ყვავილისაგან.

ძალუა ვარინკა და გიორგი, ყაფლან და ელისაბედ, სანდრო მაიკოთი და მაკრინეთი, და ლიზა, კარგად არიან, ეგრეთვე ქართველები.

ლევან მელიქოვის ცოლი საშა და მისი და ნინა ერთბაშად მოვიდნენ შურიდამ შენუხებულნი და აპირებდენ მაშინვე წასვლას არზრუმში, სადაცა ლევანის შვილი ვანო გამხდარიყო ავათ სახადითა, თიფ;* მაგრამ, ბედი იყო, რომ იმავეს დღეს მოგვივიდა ტელეგრამა, რომ კარგად შეიქმნაო, და ახლა აპირებენ უკანვე შურაში დაბრუნებას.

ძალიან სიმართლით და დიდსულოვნობით მოიქცევი, თუ ნუხის ტუსაღებს, პივოვმუშენი** – განათავისუფლებ. თუ გულმშვიდობიანად და მართლის გამოკითხვით გაშინჯავ და შეიტყობ მიზეზსა, მაშინ უეჭველია აპატიებ, და სიმართ-

ლით უნდა შეეწიო, რადგანაცა ხარ ღუბერნატორი, მაშასადა-
მე მოვალე, რომ მაგდენი ხალხი არ დაისაჯოს. დასჯა ადვი-
ლია, მაგრამ ცოდუა დიდია!

და ან რას არგებს მმართებლობას, ანუ თკთ მაგ მხა-
რეს, მაგათი დახრჩომა, ანუ ციმბირში გაგზავნა! რათა? რათ
შემოუშვეს მტერი? შეეძლოთკი, რომ არ შემოეშოთ, როცა
რუსის ჯარი უკან დაბრუნდა?

სხვებრ ღ~თი² იყოს შენი მფარველი.

მარადის შენი ბედნიერების მსურველი
გრიგოლ ორბელიანი

7^ა აპრილს 1878
თბილისით.³

* ტიფი

** აქ: ამბოხებისთვის (იგულისხმება ამბოხებისთვის დატუსალებუ-
ლები. ქ.გ.)

ივანე ლაზარევისაღმი №1 (938)

28^{го} Апр: 1878. Тиф: в Карс. Генер: Лазареву.¹

Глубокоуважае: Иван Давидович! Небось известно вам,
что привычка, в особенности, старая, Закоренелая привычка,
вполне управляет волею Человека, и вот, в силу Этой старой
привычки, я обращаюсь к моему старому другу с убедительною
просьбою, которая, надеюсь, не особенно обременит вас: 1) Об-
ратите ваше доброжелательное вниманіе на Генер: Кравченко,
котораго знаю, как человека умнаго, честнаго, а по службе
полезно деятельного и неутомимаго в трудах. Здесь, я несчитаю
нужным выяснить вам те непріятности, те недостойныя выдум-

ки, которым он подвергн: время, конечно, обнаружит всю истину и отдадут ему справедливость, – если не будет [уже] поздно. Но, в настоящее время, ему необходима ваша дружеская поддержка, чтобы нравственная сила не ослабла в нем. И в этом случае, конечно, лучше никто неможет быть для него образцом твердости характера в дни Гоненій, как вы!.. И пусть эта мая просьба остается между нами; и верьте, Павел Павлович Кравченко сумеет достойно оценить ваше к нему дружеское доброжелательство. 2) В нижегород: Драг: Полку служит моло-дой Юнкер К: Соломон Андр:, который считался досихпор представленным за отличіе в делах в офицеры; но, по наведенным справкам его имя не значиться ни в каком списке представлених. Умоляю вас, употребить всю силу вашей власти для производства его в прапорщики. Об нем можно узнать от К^а Захарія Чавч:, в канцеляріи котораго, как подозревают, затерялось представлєне о Андроникове.

Теперь о здешних новостях: ожидаем Шаха, светила міра, 2^{го} Мая; но печалит нас неизвестность, удастсяли нам достойно принять Его, так как, почти два месяца, мы не видим Солнца. Тяжелыя облака покрывают Тифлис и идет, идет, непреставая, дождь. Какаяже может быть встреча народом в грязь по колено? Какая Иллюминація, или фейерверк может быть при такой отвратительной погоде? И, наконец, чем мы можем занять Его, или развлечь Его вниманіе втеченіи двух пискливых плаксивых дней?

Думаю, что вам уже известно о помолвке нашей красивейшой Вел: Княжны Анастасіи Михайловны с Герцо: Мекленбург:^{ом}, точно также о Графстве Михайла Таріелича, которое Глубоко радует меня мыслью, что и наши одноземцы своею честною Службою могут быть полезны Государству.

Его Высочество, полагаю, прибудет сюда до 10 Мая. – О положеніи дел между Россіею и Англіею можно сказать, что

скорее раздадутся выстрелы, чем поцелуй примирения. Между тем, навсякай Случай, прибудут 65 т: на усиленіе Кавк: Армії. Дай Бог, чтоб это усиленіе оказалось ненужным. Рекомендую превосходную статью Старика Жиардена противу политики Англіи прочесть в Тифлисском Вестн: или в Обзоре.

Оклобжіо пріехал из Кутайса в Тиф:; здав начальство над войсками Ген: Алхазову; Гассан Бек Агаларов возвратился из Персіи.

Как вы расположились в Карсе и как вы там осмотрелись? Крепкили, на всякий случай, ворота и стены Карса, и что, вообщѣ, говорят новые ваши подвластные?

Здоровье вашей Супруги, хотя медленно, но идет к лучшему.

С чув: истин: уваж: и совер: пр: и пр:

03160 ლაზარევისაღმი №1 (938)

28 აპრ: 1878. თბილ: ყარსს. ღენერ: ლაზარევს.

ღრმად პატივცემულო ივან დავიდოვიჩ! ალბათ, თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვეულება, განსაკუთრებით კი, ძველი, ფესვგად-გმული ჩვეულება სრულად მართავს ადამიანის ნებას და, აი, ამ ძველი ჩვეულების ძალით მოგმართავთ ჩემს ძველ მეგობარს უბე-ჯითესი თხოვნით, რომელიც, ვიმედოვნებ, ძალიან არ დაგამძიმებთ: 1) მიაქციოთ თქვენი კეთილმოსურნე ყურადღება ღენერ: კრავჩენ-კოს, რომელსაც ვიცნობ, როგორც ჭკვიან, პატიოსან და თავისი მოღვაწეობით ძალიან სასარგებლო ადამიანს, სამსახურში და შრომაში დაუდღელსა. საჭიროდ არ ვთვლი გელაპარაკოთ იმ უსიამოვნებებზე, იმ უღირს ჭორებზე, რომლის მსხვერპლიც ის გახდა. დრო, რა თქმა უნდა, გაარკვევს სრულ სიმართლეს და მას სამართლიანად მოქადაგებიან, თუ უკვე გვიან არ არის. მაგრამ ახლა მას აუცილებლად სჭირდება თქვენი მეგობრული თანადგომა, რათა მასში ზნეობრივი ძალა არ შესუსტდეს. და ამ შემთხვევაში, ცხადია,

მისთვის თქვენზე უკეთესი მაგალითი ვერავინ იქნება, დევნის დღეებში ხასიათის სიმტკიცის გამოჩენის მხრივ... ეს ჩემი თხოვნა ჩვენს შორის დარჩეს; მერწმუნეთ, რომ პავლე პავლოვიჩ კრავჩენკო შეძლებს თქვენს მისდამი მეგობრული კეთილგანწყობის ღირსეულად დაფასებას. 2) ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლკში მასხურობს ახალგაზრდა იუნკერი, თავადი სოლომონ ანდრონიკოვი, რომელიც აქამდე საუკეთესო სამსახურისათვის ოფიცირად წარდგენილად ითვლებოდა, მაგრამ, მოპოვებული ცნობების მიხედვით, მისი სახელი არ აღინიშნება წარდგენილთა არცერთ სიაში. გემუდარებით, გამოიყენეთ მთელი თქვენი ძალაუფლება მისი გადაყვანისთვის პრაპორშიკად. მის შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ თავად ზაქარია ჭავჭავაძისგან, რომლის კანცელარიაშიც დაიკარგა, სავარაუდოდ, ანდრონიკოვის წარდგინების საბუთი.

ახლა აქაური ახალი ამბების შესახებ: ველოდებით შაჲს, სამყაროს მნათობს, 2 მაისს, მაგრამ ძალიან გვაწუხებს იმაზე ფიქრი, რომ არ ვიცით, მოვახერხებთ თუ არა მის ღირსეულად მიღებას, რადგან ორი თვეა, მზე თვალით არ გვინახავს. თბილისი მძიმე ღრუბლებითაა დაფარული და განუწყვეტლივ მოდის და მოდის წვიმა. როგორი იქნება ხალხის დახვედრა მუხლებამდე ტალაში? რა განათებაზე, რა ფეიერვერკზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ საშინელ ამინდში. და, ბოლოს, რით შეგვიძლია მისი გართობა, ან მისი ყურადღების მიქცევა ორი უუმური დღის განმავლობაში?

ალბათ, თქვენ უკვე გეცოდინებათ ჩვენი ულამაზესი დიდი კნეუნას, ანასტასია მიხალოვნას, ნიშნობის შესახებ ჰერცოგ მეკლებურლზე, ასევე მიხეილ ტარიელიჩისთვის ღრაფის წოდების მინიჭების ამბავი, რაც ძალიან მახარებს, რადგან ვფიქრობ, რომ ჩვენს თანამემამულეებსაც შეუძლიათ თავიანთი პატიოსანი სამსახურით გამოადგნენ სახელმწიფოს.

ჩემი ვარაუდით, მისი უდიდებულესობა ჩამოვა 10 მაისამდე. – რუსეთსა და ანგლიას შორის ურთიერთობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ უფრო სროლის ხმებს უნდა ველოდოთ, ვიდრე შერიგების კოცნას. ამასობაში, ყოველი შემთხვევისთვის, ჩამოვა 65-ათა-სიანი დამხმარე ძალა კავკასიის არმიის გასაძლიერებლად. ღმერთმა ქნას, რომ გაძლიერება არ გახდეს საჭირო. გირჩევთ წაიკითხოთ მოხუცი უირარდენის შესანიშნავი სტატია ანგლიის პოლიტიკის წინააღმდეგ „ტიფლისსკი ვესტნიკში“, ან „ობზორში.“

ოკლობებით ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა. ჯარების უფრო-სობა დენერალ ალხაზოვს ჩააბარა; გასან ბეგი აღალაროვი დაბ-რუნდა სპარსეთიდან.

როგორ მოეწყვეთ ყარსში და რა იხილეთ იქ? ყოველ შემ-თხევაში, მაგარია თუ არა ყარსის ჭიშკარი და კედლები, და, საერ-თოდ, რას გეუბნებიან თქვენი ახალი ქვეშვრდომები? თქვენი მე-უღლის ჯანმრთელობა, მართალია, ნელა, მაგრამ უკეთესობისკენ მიდის.

ჭეშმარიტი პატივისცემისა და სრული ერთგულების გრძნო-ბით და სხვ. და სხვ.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №5 (939)

ჩემო საყუარელო ძმაო ვანო! წამოვიდა, წამოვიდა პე-ტერბულისაკენ დიდი ყაენი, შაინშაჲ, ყიბლა-ალამი, რომელ-მანცა გაანათლა სხივ-შემოსილის სახითა ჩუცნი თბილისი, სადაცა დაჲყო ორიდღე და ბძანდებოდა, ქუცყნის საბედნიე-როდ, ქეიფზე. მოეწონა მართლად ლამაზი შუშუნა, ჩირალ-დანით შემკული მთაწმინდა, ნარიყალა, სოლოლაკი და ღო-ლოვინის პროსპექტი; და მეტადრე ის პატივისცემა, რომლი-თაცა მიიღო აქაურმა ხალხმა ჩუცნის მარშალის – სუმბათოვი – რეჩითა და გარადსკოის¹ გალავის – ყიფიანი – შესხმითა! მეტად მოეწონა ჩუცნი პატარა ველიკი კნიაზები, მიხეილ და გიორგი, რომელნიცა დაინახა რა, ჰსთეუა „აი, მართლად, შაჲზადები ესენი არიან!“), და მისცა ორთავეს ვასკულაები ლენტებით. ყაენი იყო მუზეუმშიაცა და დიდის ყურადღებით შინჯავდა თევზებსა და ნადირებსა; სეირნობდა ველიკის კნი-აზის ბაღში, სადაცა დიდად მოეწონა აბანო, ბარიატინსკისვე დროს გაკეთებული, და ჰსთეუა „ფეხ, რამდენჯერ მოვინდომე ამისთანა აბანოს გაკეთება და ვერავინ გამიკეთესო.“ უწყა-ლობა კნ: მირსკის პორტრეტი ბრილიანტებით შემკული თე-ატრში. – ეჩმიაძინში დიდი მადლობა გამოუცხადა ჩუცნს ჯარსა იმ საკურველის ვაჟკაცობისათვს, რომელიცა მათ გა-

მოაჩინეს წასულს ომებში პირისპირ ოსმალთა და უწყალობა ვარსკულავები ღენერ: კამაროვსა და ამილახვარსა, ეგრეთვე ორდენები და მედლები აფიცრებს და სალდათებსა. ამით ცხადად გამოაჩინა, რომ იმპერატორის თანამოკავშირეა: ეს დიდი ამბავია! ჩუცი ნიკო ჭავჭა: ² ელისავეტოპოლის ღუბერნატორი, დიდკაცურად და ლაზათიანად დახვდა ყაენსა და გამოჰყუა თბილისის ღუბერნიის სამზღვრამდის, და დიდად მოეწონა ყაენსაც, და იმის კარის კაცებსა] ხომ ქებით ცამდის აჰყავთ ნიკო! მახლაზ, დიდი მადრიელი წამოვიდა აქედამ ყაენი, მაგრამ მეტად წვიმიანს დღესკი მოუხდა გამოსვლა და არვიცი, როგორ კარგად გადიყუანენ მთასა. ჩუცის ქალებსკი მოეწონათ მხოლოდ იმის მუნდრის ბრილიანტის ღილები! იფიქრე, ყაენსა აცვია ჩუცნებური პალტო პ[ა]ლონებით; ამაზე მეტი გარუსება იქნებალა!

მოდის და მოდის წვიმა, ეს ორი თვეა, მოუღალავად, მოუწყვეტელად; მოთმინება ალარა გვაქუს. მშვენიერი მოსავალი გვიხდება, გვილპება.

შენი ძმები, დები, რძლები, ბიძაშვილები, მშვიდობით არიან; მხოლოდ ესკი არის სამწუხარო, რომ ჩუცი ნიკო, – ღენერალი – დაგვიქვრივდა. იმის საყუარელი ცოლი, რომელიცა ამ ომიანობაში იყო ცეცხლის მისამართი, თორემ დაგემდურება.

საწყალს ჩუცის ჯომარდიქეს მოუკუდა ვაჟი თორმეტის წლისა; ამის მეტიც ვაჟი არა ჰყუანდა. ძალიან შეწუხებულია.

ესკი დამავინყდა, რომ ყაენსა მოეწონა შენი და ტასო, რომელიცა ნახა თეატრში. შენი სიძე ოკლობუიო აქ არის დროებით და მიდის ამ დღეებში ისევ ქუთაისს.

მოველით და მოველით მოუთმენელობით შერიგებასა; ვერ წარმოიდგენ რა საზარელს მდგომარეობაშია ჩუცი ჯარი, რომლისაგან თითქმის მესამედი ნაწილიდა არის დარჩენილი: ზოგი ამოწყდა, ზოგი ღოშპიტლებშია; მეტადრე რა ჯარი, ვანოჯან, რა მშვენიერი ჯარი, რომლისა მსგავსი არ მინა-

ხავს, ანუ ვაჟკაცობით, ანუ ჯაფის ატანით, ანუ მოთმინებით გაჭირებაში! ბევრს როტებში ძლივსლა არის ოცდათი კაცი! გული მიკუდება მწუხარებით. – თუ ღ თი⁴ გრძამსთ, შერიგდით: კაპერებით ანგლიას ვერ დაჰსცემთ. თუ გინდა გავი-მარჯოთ, მაინცა რუსეთი ასა წელიწადს ველარ გამოდგება. დამიჯერე, სალაპარაკოდაც არა ღირს არცა რუმინიის ნაგ-ლეჯი და არცა თკთ ბათუმი, რომელიცა მეტად დიდად მიაჩინიათ ჩუცნს დიპლომატებსა. ბათუმიყი არ არის საჭირო რუ-სეთის ვაჭრობისათვეს, არის ოდესსა, არის სევასტოპოლი, არის სუხუმი, ღელენჩიკი, ფოთი, ანაპა; ესენი ზედ აკერია რუსეთსა, რომლისა ვაჭრობა ზამთარ-ზაფხულ იქნება მოუ-წყვეტელი, მხოლოდ გააკეთონ, გაამაგრონ, მიიტანონ გზები. ბათუმი, მართალია, კარგი ბუხტა არის, და რა უყოთ? სევას-ტოპოლიც კარგი რამ იყო, მაგრამ მთელი ჭლოტი იქ ჩუცნვე ჩავლუპეთ. ტყუილია, რუსეთი არ არის **морская держава;**^{**} რაც უნდა დიდი ჭლოტი გუქონდეს, შავის ზღვიდამ ვერსად ვერ გავალთ და ვაჭრობისათვსკი დარღანელი ყოველთვის გახსნილია. მარტოდ, ვერც ერთი საჭელმწიფო ვერ შეებმის რუსეთსა, ოლონდ რუსეთი იყოს თკთ გულ-მშვიდობიანად; მაშასადამე რუსეთმა უნდა გაამაგროს ზოგიერთი პუნკტები ზღვისა, რომ ვინიცობაა ორი, ან სამი საჭელმწიფო რომ აუმ-ტერდეს, ვერ ნაახდინონ ზღვის პირის სოფლები, ანუ ქალა-ქები. ბათუმი, კარგი მაგარი ციხე არის, მაგრამ მეტად შორს არის და მეტად განაპირებული.

ეს ასე: ახლა ჩემი საკუთარი სათხოვარი. ამისწინად ტე-ლეგრამით გაცნობე, რომ დელი ი ალიხანაგაჯი, ილი სახკალ-თუთა 18 марта сего года №162,^{***} და ეხლაც მომიხ-სენებია, რომ თუ შეიძლო, მომეხმარო.

შემატყობინე, ღირსია, თუ არა, მეკლემბურლსკი, რომ ჩუცნის კავკაზიის მშვენიერი ველიკი კნეუნა, ჩუცნი ბრნყინ-[ვა]ლე ვარსკულავი, უნდა მოგვაშოროს იმან.

Моей Любезной Тетушке Саше цалую в голову, в глаза;
пора, пора, наконец, вспомнить и о том, что на свете есть Тифлис
и что вы принадлежите Тифлису.****

ღ ~ თი⁵ იყოს თქუცნი მფარველი(.)

შენი მარადის და მარადის ერთგული ძმა
თ⁶ გრიგოლ ორბელიანი

6⁶ მაისს 1878.

თბილისით.⁷

* მოწყალების და

** საზღვაო სახელმწიფო

*** ალიხანაგავის, ანუ საპყალტუთანის საქმე გაიგზავნა მიმდინარე წლის 18 მარტს, №162.

**** ჩემს საყვარელ ძალუა საშას ვკოცნი თავზე, თვალებზე; ბოლოს-დაბოლოს, დროა, დროა, გაიხსენო, რომ ამ ქვეყნად არის თბილისი და რომ თქვენ ეკუთვნით თბილისა.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №21 (940)

10 მაისს 1878 თბილისით ელისავეტოპოლს. ჭავჭავა:¹

ჩემო საყუარელო ნიკო! სალსალამად გავისტუმრეთ თბილისიდამ დიდი ყაენი, შაჰინშაჰ, ყიბლაალამი, ქუცინის სალოცავი, რომლისა სხივ-შემოსილმა სახემ გაანათლა ჩუცნი ქალაქი, მაგრამ თბილისიც დახუდა ჩინებულად უმაღლესსა სტუმარსა: მარშალი სუმბათოვი თავადებით და შესხმითა, ყიფიანი რეჩითა და ამქრების ბაირალებითა, ურიცხვის ხალხითა, შემოუძლუნენ ზარბაზნის სროლითა ზასტავიდამ სასახლემდის; ქუჩები და ბანები, გატენილნი მორთულ ქალებითა, და სალამოზე მშვენიერის ჩირალდანით და შუშხუნებითა! და-

ჰყო აქა ორი დღე, ნახა მუზეუმი; სეირნობდა სასახლის ბალში, დიდად მოეწონა პატარა ველიკი კნიაზები მიხეილ და გორგი, მისცა მათ ლენტები ვარსკულაებით; ბძანდებოდა თეატრშიაც, სიამოვნებით უყურებდა ლორნეტით მშვენივრად მორთულთა ლამაზთა ქალებთა; უწყალობა ბრილიანტით შემკული პორტრეტი კნ: მირსკისა, ერთის სიტყვით, თვთცა ბძანდებ[ოდა] ქეიფზე და დახვედრაც იყო მშვენიერი და შესაფერი ქუეყნის თვალისა. – არაგვისხეობა მოეწონა ყერნა დიდად და კარანდაშით ჩასწერა მდინარის სახელი. – ყველაზე უმეტესად შენი მადრიელია; ეს მიამბო სპასალარმა მირზაჰუსეინ ხანმა და კარის კაცები ხომ შენნი არშიყნი არიან. „ფეხ, მაშინვე მივჰებუდით რომ ქართველი იყოო!“

პოლიტიკის საქმე ისევ ისეა, არც პოო, არც არა, და ასეთი მდგომარეობა ომიანობაზე უფრო სატანჯველია ჩუმინთვს: ძალლისშვილებმა, ანგლიჩნებმა, ძალიან მოგუასწრეს. ეს არის რომ ფულზე ნაკლებად ვბძანდებით, თორემ მაგდენს ვერას დაგვაკლებენ; ინდოეთის ჯარით რუსეთს ვერ დაპსცემენ, და თუ, სადმე, შეხუდენ ინდოელებს, ცუდად მიამსხურევენ ჩუმინები იმათ. ამ შემთხუცვაში სიტყუა ფულია; ახრ, ქუეყანაზე თურმე ფული ყოფილა ბატონად.² მაინც და მაინც ისევ მშვიდობიანობა ჰსჯობია, და ღარისხის ვალია, რომ ასე მოხდეს. – იფიქრე, 65 ათასი სალდათი მოდის აქ შესავსებელად ჩუმინის არმიისა, რლა საცა⁴ მეტად ბევრი მოაკლდა ავათმყოფობით ამოხოცილნი: სამის დივიზიიდამ მესამედიღა ნაწილი დარჩა! საშინელებაა.

ბევრს თავს იხეთქენ ჩუმინებიცა და ანგლიჩანებიცა ბათუმისათვს,⁵ და ვერ მივჰებუდი, თუ რა მნიშვნელობა აქუს ბათუმს, ან ჩუმინ სასარგებლოდ, ან ანგლიისათვს! ჩემის ჰაზრით, ბათუმი ჩუმინთვს არის საჭირო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ქობულეთი და აჭარა ჩუმინ უნდა დაგურჩეს, და ჩუმინს მამულში სხვის ციხე, ანუ ბუხტა არ შეიძლება. მართალია, ბათუმი დიახ კარგი ბუხტა არის, მაგრამ რა გამოვიდა? სევასტოპოლისთანა ბუხტა რუსეთს არა აქუს შავს ზღუაზე, და

აბა, რა ვნახეთ? მტერმა სულ ზედ დაგუანგრია ბუხტაცა და ჭლოტიცა! რუსეთისათვის უწყალობებია ბუნებას და ზედდაუკერებია ოდესასა, სევასტოპოლი, ანაპა, სუხუმი, გელენჯიკი, სოჩი და ფოთი; არ ეყოფა? მაგრამ რა გაეწყობა? სევასტოპოლი ჯერაც გაოხრებული გდია და დანარჩენთაც ყურს არ უგდებენ, არ აკეთებენ, სულ მუქთად უნდათ: ანაპადამ სოჩამდის ხმელზე გზა არ არის, და არცა ზღვის პირიდამ მთებზე გადასავალი რუსეთისაკენ, რომ იქიდამ მოზიდონ ვაჭრებმა საქონელი, ზღვით გასატანი სამზღვურს გარე. ბათუმი მეტად შორს არის რუსეთის ვაჭრებისათვის, რღლთათვს⁶ უმჯობესია პირდაპირ წასვლა სტამბოლს, და თუ აღელდა ზღუა, უიმისოდაც შეეფარება რუსის პარახოდი ბათუმში. – ზოგნი ამასაც ამბობენ, რომ ანგლიჩანები ბათუმიდამ გაიტანენ გზას არზრუმისაკენ. ანგლიის ვაჭრობა მიდის ტრაპიზონდიდამ არზრუმს, და თუ მოინდომებს, ანგლია გააკეთებს[ს] ამავე გზას და არა საძაგელს აჭარაში, რომელიცა არის ეშმაკების სარბენელი და არა კაცისა. მაშასადამე, არცა ანგლიისათვის არის დიდად საჭირო ბათუმი და არცა რუსეთისათვის მეტად ძვირფასი. ბათუმი გამხდარა დიპლომატებისათვის საგნად უბრალო ჩახანისა, რომ ბოლოს ერთმა მეორეს უთავაზოს ისა, რასაც არა აქუს ფასი.

საწყალი ჯომარდიძე გებრალებოდეს, მოუკუდა ათორმეტის წლის ვაჟი. – მომიტევე, ვერ მოგზერე აქამდის სამძიმარი გარდაცუალებისათვის შენის მეუღლისა. ისევ კეთილად მოვიხსენიოთ: უფალმან აპატიოს ყოველივე, რაცა შეგანუხაშენ. –

წვიმები და წვიმები, მოდის და მოდის, და აღარ შეგურჩა მოთმინების ღონე; ამასთანა გაჩნდა კალიაცა. მახლაზ, მეტად უბედური ქუცყანა შეიქმნა ჩულინი საქართველო.

ველიკი კნიაზი ცოლშვილით გამობძანდება 15 მაისს პეტერბურლიდამ. –

ძალუა ვარინკა და გიორგი ჯერ ისევ აქა მყუანან, მაგრამ უნდაკი წავიდნენ, და ეს ფიქრი ძალიან მაწუხებს: ვინ იცის, ვნახა[ვკია].

შენი ნათესავები ყველანი მშვიდობიანად იმყოფებიან, მაგრამ შენი დედიდაშვილი ქეთევან ისე გადინუა, რომ ძლივს თკოონ და მისი შვილები გადარჩნენ ცოცხალნი; სრულებით დაეღუპა, რაცკი ჰქონდა სახლში! აი უბედურება.

Твоей Ниночке цалую в голову.*

ღ~თი⁷ იყოს შენი მფარველი; ნუ დამივიწყებ მარადის შენის ბედნიერების მსურველსა.

ამ წერაში ერთბაშად შემოვიდა ლაზარევის შვილი, ვეება ტანისა, ახალი აფიცარი ლეიბულანისა.

ჩულენმა პოლიციამ ძლივს ერთი კარგი საქმე შეასრულა: ცხრანი ავაზაკნი, დიდნი ქურდნი და კაცის მკვლელები, ციმბირიდამ გამოქცეულნი ერთად დაიჭირეს. –

* შენს ნინოჩკას ვკოცნი თავზე.

03160 ლაზარევისადგი №2 (941)

12^{го} Мая 1878. из Тиф: в Карс. Генер: Лазареву.¹

Уважаемый Иван Давидович! Податель сего письма молодой человек, молодой Гвардейский Кавалерист, некогда вам знакомый и даже несколько вам сродни, будет иметь честь засвидетельствовать вам мое искреннее уважение и то чувство моей радости, с которым я увидел его впервые. Молодец, истинный сын достойного отца! Радуйся мой друг, что Бог благословил вас таким сыном; разжалуй его и, в свою очередь, благослови на жизнь честную. – Взирая на него, я утешаюсь мыслью, что, по

милости всевышняго, у нас подрастает надёжное молодое поколение. Нерсесов, сын нашего Мирза Юсуфа, получил званіе Магистра Прав. Так, идут и наши вперед.

Андроников наднях выедет к вам. Молитвы его матери спасут вас от всех грехов.

Будьте счастливы и незабывайте искренно вам преданного.

ՈՅԱԵՎ ԸՆԹԱՐԿԵՑՈՍԱՇՅՈ №2 (941)

12^ս մայսս 1878. տօնլ: յարսս. ղենց: ԸՆԹԱՐԿԵՎՏ.

Ապագուշեած ովան դաշտովի! Ամ ներոլուս մռմթանո արուս ախալցաթրճա կապո, ախալցաթրճա զարդուլու կազալերուսքո, ոգես-ժապ տէզենտզուս նաբռոծո դա նատեսազուց կո, րոմելսաց յինեծա პա-թոզո, դագուժասփյուրոտ հիմո տէզենդամո շալլնիրոյելու პաթոզուսպմա դա սօնեարշուլուս ցանցու, րոմելուց միսո პորզելագ նաեցուսաս դամյ-ոյլա. պոհիալ, լորսեյլու մամուս ჭեմմարութագ Շեսազերուսո Շցոլուա! ցոնեարոցցը, հիմու մեցոնարո, րոմ լմերտմա ասետո Շցոլու մոցմագ-լատ, ցագակունետ օցո դա տէզենո մերուդան դաշուլուցւ ցիս პաթոն-սանո ցեղորշենայեն. – միսո դանաեցա մամլեցու րնմենաս, րոմ լցուս նյալլոնուտ հցեն ցացիրդցեծա սամեցու ախալցաթրճա տառծա. ներսե-սոցմա, հցենո մորթա ոյսպանու զայումուլմա, սամարտլուս մացուսդրուս նուցեծա մոուլու. առ, ասեա, հցենենցու մուցուան նոն.

Ամ գլուցեմու տէզենտան նամուցա անգորոննոյուո. դեգամուսուս լուցուեծու պայելու ցոնցուսցան ցոնենուտ.

մոնյալլեծա դա առ գանցունցուտ ցալլնիրոյելագ տէզենո յրտցուլու.

ივანე ლაზარევისადმი №3 (942)

20^{ое} Мая 1878. Генер: Лазареву. в Карс.¹

Глубокоуважаемый Иван Давидович!

Приношу вам мою искреннюю благодарность за письмо, в котором выражено чувство вашего ко мне расположения, всегда дорого мною ценимого. Оно сердечно радует меня тем, что опять, по прежнему, возникает между нами дружеская переписка. Я люблю вас зато, что молодой Поручик Лазарев, и в высших чинах остается тем же неизменным, непоколебимым в своих честных убеждениях, как относительно служебных обязанностей, так и дружеских. Вы радуете меня еще и потому, что наши несравненные Солдаты, под вашим отцовским неусыпным попечительством, наконец успокоятся, отдохнут и возстановят свои силы для новых великих подвигов, после тех страшных, невыносимых трудов, лишеней всякого рода, холода, голода, которым они были беспомощно отданы на пожрание в течении всей зимы. Бог свидетелем, как я сам здесь страдал за них, наших Героев – страдальцев, которые своим баснословным мужеством спасли Закавказский край, а вместе с тем, и честь, и славу всей Русской Армии!

Здесь слухи и Газеты склоняются более на мир; но те громадные приготовления, какія делаются, и со стороны Англіи, и со стороны Россіи, к сожаленію, утверждают в противном. И эта медленность, эта неизвестность, тяготят нас еще более, чем действительная война, между тем, огромныя издержки на Армію идут своим Чередам. Впрочем, низпошли нам Господь Бог мир!

Завтра вечером ожидаем Великаго Князя, который пробудет здесь дня два, три, и уедет в Боржом на лето.

Пріем Шаха в Петерб:^{гє} был самый торжественный, достойный Великаго Августейшаго Хозяйна и Высокаго Гостя. Подробности прочтите в Кавказе.

Письмо это представит вам молодой Юнкер К: Андроников, судьбу котораго вручает вам его красивейшая мать!

С чувством искрен²

Как вам понравился Лейб-Улан, юный Лазарев? Помоему, он очень похож на отца.

03260 ლაზარევისადგი №3 (942)

20^მ მაისს 1878. ღენერ: ლაზარევს. ყარსს.

ღრმად პატივცემულო ივან დავიდოვიჩ!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომელ-შიც ჩანს თქვენი ჩემდამი დამოკიდებულება, რაც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ეს წერილი ერთობ მახარებს, რადგან ჩვენს შორის ისევ ინყება მეგობრული მიმოწერა. მე თქვენ მიყვარხართ იმიტომ, რომ ახალგაზრდა პორუჩიკი ლაზარევი მაღალი ჩინების მიღების შემ-დეგაც უცვლელი და ურყევი რჩება თავის პატიოსნურ რწმენაში როგორც სამსახურებრივ მოვალეობასთან, ასევე მეგობრულ ურთი-ერთობებთან დაკავშირებით. თქვენ მე მახარებთ იმიტომაც, რომ შეუდარებელი ჯარისკაცები, თქვენი მამობრივი, ფხიზელი მზრუნ-ველობის წყალობით, საბოლოოდ დაწყნარდებიან, დაისვენებენ და აღიდგენენ ძალებს ახალი, დიდი ნარმატებებისათვის იმ საშინელი გაუსაძლისი შრომის, ყველაფრის ნაკლებობის, სიცივის, შიმშილის შემდეგ, რისთვისაც ისინი განწირულნი იყვნენ ყოველგვარი დახმა-რების გარეშე და რაც მათ მოსპობით ემუქრებოდათ. ღმერთია მოწმე, როგორ ვიტანჯებოდი მე აქ ჩვენი გმირი ნამებულების გამო, რომლებმაც თავისი ზღაპრული ვაჟკაცობით იხსნეს ამიერკავკასია და, მასთან ერთად, ღირსება და დიდება მთელი რუსული არმიისა!

აქ ხალხის საუბრები და გაზეთები უფრო მშვიდობისკენ იხ-
რება, მაგრამ ეს დიდი სამზადისი, რომელიც შეიმჩნევა როგორც
ანგლიის, ასევე რუსეთის მხრიდან, საწინააღმდეგოზე მეტყველებს.
და ეს აუჩქარებლობა, ეს გაურკვევლობა უფრო გვიმძიმებს გულს,
ვიდრე ნამდვილი ომი. ამასობაში არმიაზე განეული ხარჯები თავის
რიგზე მიდის. უფალო ღმერთო, მშვიდობა მოგვმადლე!

ხვალ სალამოს ველოდებით დიდს თავადს, რომელიც ორი-სა-
მი დღე დაჲყოფს აქ და მერე ბორჯომში წავა საზაფხულოდ.

შახის მიღება პეტერბურლში იყო ყველაზე საზეიმო, ნამდვი-
ლად შესაფერისი დიდი უავგუსტესი მასპინძლისა და მაღალი სტუმ-
რისა. დაწვრილებითი ცნობები წაიკითხეთ „პავკაზში.“

ამ წერილს მოგართმევთ ახალგაზრდა იუნკერი, თავადი ანდ-
რონიკოვი, რომლის ბედსაც თქვენ გაბარებთ მისი ულამაზესი დე-
და!

გულწრფელი

როგორ მოგეწონათ ლეიბ-ულანი, ახალგაზრდა ლაზარევი?
ჩემი აზრით, ის ძალიან ჰგავს მამას.

ანასტასია როგორიან-ოკლოშიონადმი №5 (943)

ჩემო საყუარელო დაო ტასო! წახველ და დაცარიელდა
ქალაქი: აიყარნენ მირსკიანნი და გადასახლდენ კოჯორს შვი-
ლებით, შვილისშვილებით და კიდევ შვილების შვილებით; აი-
ყარა მაშაცა, ესე იგი, საშას ცოლი; წავიდა ირაკლიცა სამ-
ზღუარგარე თავის გასპარიანცითა; თამარცა, რამდენსამე
ხანს უკან, ავა კოჯორსა; ბარონესასა სალომესაკენ გადაიყუა-
ნეს ურმით გომბორზე თელავს; ისევ მამაპაპის ეკიპაჟი გამო-
გუადგა, და კარგი სანახავიცა იქნებოდა სალომე ურმითა! მი-
სი და ელენა ასტაჭიევისა გადვიდა ბორჯომსა; გუშინწინ აპა-
რინიანნიცა თავის ჭუჭულებით აიყარნენ კოჯორსა, და დავ-
რჩი მე მარტო ქალაქში ისაკის ანაბარად, და ქუცყანაზე ჩემი
შემბრალებელი არავინ მოჩანს საგინოვის მეტი, და სხუა ღო-

ნე ალარა არისრა მის მეტი, რომ როცა კარგად დამცხება ავალ ჩანჩალით ტაბახმელას, თუმცა ძალუას ქეთევანს ძალიან ჰსწყინს და ჩუტის კიბეზე შეჰსჩივის მაკრინეს „რა და-გვემართა, რით ვერ მოგვწყინდა წავკისი და ტაბახმელა, ტა-ბახმელა და წავკისი! რა არის, ერთხელ ჩუტინცა ვნახოთ ვენა! ნეტავი სომხებსა.“

ბიძინა ჩოლაყაევის ცოლი წავიდა დილიუანს ქმართან, რომელიცა, თურმე, მძიმედ ავათ არის. კარგია ვისაცა ჰყავს ცოლი, ვისაცა ჰყავს ქუტყანაზე ვინმე გულისშემატკივარი, და ჩემსავით არა გდია ოთხს კედელს შუა და არ მოელის, როდის ინებებს სოლომონეა სანთლის ანთებას ჩემს ოთახში!

ყაფლან ძალიან სუსტად არის, და მისი ესრეთი მდგო-მარეობა ძალიან მაწუხებს. სოსიკოსაგან მომივიდა ტელეგ-რამმა დიდად საწყენოს ამპითა: მაჩხანში შეყრილა ხალხი, რომლისათვის მამასახლისსა გამოუცხადებია მილიციის მოგ-როება კენჭისყრითა.¹ ხალხსა ჰგონებია სალდათობად და უთ-ქუამს, რომ მილიციაში ქუდზე კაცი წავალთო და კენჭისაკი არა ვჰყრითო; ამასთანა ხალხსა გამოუცხადებია, რომ კენ-ჭისყრა მამასახლ(ის)ებისაგან არის მოგონილიო და მოუთხოვ-ნიათ ბძანების წაკითხვა სახალხოდ, რადგანაც მართებლობა რომ ითხოვდეს ორს კაცსაო, თქუტნ ათსა აგროებთო და მე-რე ფულით უშვებთო; ქალალდი გვაჩვენე, რომ სახალხოდ წა-ვიკითხოთო.² მამასახლისებმა ქალალდი არ უჩვენეს; ამაზედ ხალხმა თავპირი დაუმტვრია მამასახლისსაც და სუდიებსაცა. ამათ, რა საკურველია, მაშინვე აცნობეს უეზდის ნაჩალნიკესა, რომ ხალხი აბუნტდაო და მილიციას არაგროებსო. ნაჩალნი-კიც მაშინვე გაქანდა სოსიკოსაკენ ჯარის მოსათხოვნელად. სოსიკოც იმ დროს იყო მიწვეული სადილად რევაზ ვაჩნაძესას ბაკურციხის ეკელესის დღეობისაგამო, და მილიციის მოგ-როება სრულებით არ იცოდა სოსიკომ. ნაჩალნიკი მივიდა თუ არა ბაკურციხეს, ზედ მიჰყუა ხალხიცა; შეჰსცვივდენ³ რევა-ზის სახლში, მიამტვრიეს, მიამსხვრიეს რაც იყო სახლში, გა-მოათრიეს ნაჩალნიკი და ბევრი ჰსცემეს, ჰსცემეს იმათაც,

ვინც იყუნენ სტუმრად მისულნი, მოხუდა რამდენიმე ჩუმშის სოსიკოს[ა]ცა, რომელიცა ეგონათ ზაქარია ანდრონიკაშვილი. წარმოიდგინე ქალების შიში, ტირილი, გულისყრა, მაგრამ ხალხმა იმათ არა ჰყადრარა. ბოლოს ხალხმავე ურემი შეუბა და გაისტუმრა სიღნაღს დიდად ნაცემი ნაჩალნიკი. ახლა სრულებით დამშვიდდა ხალხი და რა საკურველია ნანობს.

ამ ხმაზედ თბილისიდამ გაქანდა ღუბერნატორი, იასე ჭავჭავაძეთი, უანდარმი ორლოვსკი და ვილაცა პროკურორი. – ახლა ამასა ვჰსწუხვარ, რომ გაიმართება გამოძიება, სუდი, პროკურორის რეჩები, ობვინიტელნიე პუნკტები, ციმბირი, თოფით დახვრეტა და სხუანი ამგუარნი ლაზათები!

მაგრამ რათა, ვინ არის დამნაშავე? რატომ ხალხსა არავინ არ ელაპარაკება, არავინ არ შეაგონებს, არავინ არ დაარიგებს? ჩუმში გლეხი კაცი, თუ დიდად არ გააცოფეს, როგორ გაბედავს ხმის ამაღლებას ნაჩალნიკის წინაშე; მაგრამ ნაჩალნიკები არ არიან ხალხის მასწავლებელნი, არიან მხოლოდ იმის შემაწუხებელნი, და რა მოაგონდება ჩუმშის გლეხსა იასაულის მათრახების მეტი? –

ო, ღმერთმა უშველოს ჩუმშის კოხტას აფხაზსა, რომელმანცა მოთმინებით, გულდამშვიდებით, ლაპარაკით ყოველივე შეაგონა, აუხსნა, დააჯერა, რომ კენჭი არა ნიშნავს სალდა-თობასა, თქუმში ისევ მილიციად გახვალთ, როგორც უნინ, და კენჭი არის მხოლოდ იმისათვეს, რომ იყოს წესი, რიგი თქვენში და ერთმა მეორე არ დაჩაგროს ამორჩევაში,⁴ რომელზედაც თქუმშვე შარშანაც საჩივარი შემოგქონდათ! ასეთის კეთილგონიერებით მოქცევითა ხალხმა დიდი მაღლობა გამოუტადა აფხაზსა „ღმერთმა დიდს ხანს გადლეგრძელოს, ბატონი აფხაზო, რომ აგრე ნათლად ყოველივე დაგვანახე და დაგვიმშვიდე გული!“ აი, ამისთანა ხალხის მომლელი უნდა! რა ჰქნას ნემენცმა ტიზენდაუზენმა, რომელმანცა არ იცის ენა ხალხისა და მისი ჩუმშულება? – ეჲ, რაც მოხდა, მოხდა, რაღა გაეწყობა; მაგრამეთ ბევრს ვიცინებთ სოსიკოს რომ ვნახავთ.

გუშინ იყო ქორწილი ღენერალ ყორლანოვის ქალისა; სი-

ძის გუარი დამავიწყდა. ნიკო ჭავჭავაძე ჯერ ისევ აქ არის და მალეკი წავა ელისავეტოპოლს.

წაბძანდა თქუცი და სოფიოცა სოსიკოსთან, – აბა კაც-მა ჰეითხოს რისთვს, – და თან წაიყუანა ჩოქჩოქ რუსის გო-გო, თავის სულიერი შვილი, და, რა საკურველია, თალალაცა და სანდროცა, და თან წაიმდლუარა დარია ბარათოვისა ორის მუახლითა და ორის მსახურითა. ერთის სიტყვით, ამათი წას-ვლა ემზგავსა დაბადების ებრაელთა გადასახლებასა! – ბევრი ვიჩხავლე, მაგრამ დედაკაცობამ დაიპყრო ქუცყანა.

გუშინ მოვიდა აქა დიმიტრი ვეზიროვი მისალებელად მესტნოის პოლკისა; ამის ცოლშვილი გადავიდნენ ოსიაურში.

კარგად ჩამიპროშტე ჩემი მართლად გულითსაყუარელი ივან დიმიტრიჩი, შენი ფუნჩულა ელიჩკა და ჭნაუა ნინოჩკა. – მაგათ უნდა მომწეროს ცალცალკე თავიანთი ამბავი და მან-დაური დროის გატარება.

ღ ~ თი⁵ იყოს თქეენი მფარველი(.)

შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი

10^ს ივნისს 1878.

თბილისით.⁶

ჩემი ნესტორი და ჩემივე პელაგია სიყუარულით მომი-კითხე.

პოლიტიკის ჰამბავი აქა ის არის, რაცა ქუთაისში.

ღՈՅՈՒԹԻՒՆ ՍՖԱՐՄԱԿԸՆԱԳՅԱՆ №6 (944)

25^{го} Июня 1878. Дмитр: Семен: Старосельскому.¹

Имею честь препроводить к вам, Милост: Гос: письмо Кини Гагариной, Председательницы Общ: Красн: Креста в Кутайсе. В этом письме живо изображается мрачная картина, в высшей степени, безотрадного Горького положенія, состоящей на службе в Кутай:^{ом} Госпитале Сестрою Милосердія, вдовы, чиновника, – Наталіи Васильевны Пацевича, которая, после перенесенія тяжелой болезни, тифа и рожи, потеряла зрение, имея шесть детей, из коих старшему сыну 15 лет, старшей дочери – 13, второй дочери – 11, третьей – 9, четвертой – 4, и наконец, последнему сыну 3^и года. Бабушка этих детей, которая ухаживала за ними, умерла, заразившись тифом от своей дочери. – не напоминает ли вам Библейское бедствіе, низ посланная Богом Пророку Иову? –

На наше Общество лежит святая обязанность вывести её из такого безвыходного положенія, возвав и помощи к сердцу Великодушной Государыни, Великой Княжны Ольги Феодоровны: Она явиться Ангелом-утешителем стольких несчастных Существ!

При этом позволю себе выяснить мое личное мненіе относительно существенной помощи, какую можно бы было бы оказать этой несчастной женщине: Старшаго сына отдать, как полагает и сама Княгиня Гагарина, – в школу Поти – Тифл: желез: дороги, или же в Ремесленную школу; дочерей определить в женскія учебныя Заведенія, неподвергая их баллотировать; а о трехлетнем мальчике уже вы сами подумайте, кому и куда отдать на воспитаніе. Самой же Наталіи Пацевич, на службе потерявшей

зреніе, назначить, по благоусмотренію Ея Импер: Высочества, пожизненное содержаніе.

Здесь прилагаются бумаги, заключающія в себе Метрики детей и разныя свидетельства, числом 6^{тв.}.

С чувством Глубокагоуваженія и совер: пр...

დიმიტრი სტაროსელსკისადგი №6 (944)

25^ე ივნისს 1878. დიმიტრ: სემიონ: სტაროსელსკის.

მოწყალეო ხელმწიფევ, მაქვს პატივი, გადმოგიგზავნოთ ქუ-
თაისის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის, კნეინა გა-
გარინას, წერილი. ამ წერილში ნათლად არის აღნერილი უკიდუ-
რესად უნუგეშო და მძიმე მდგომარეობა ჩინოვნიკის ქვრივისა, ნა-
ტალია ვასილის ასულ პაცევიჩისა, რომელიც მოწყალების დად მუ-
შაობდა ქუთაისის ლოსპიტალში. მძიმე ავადმყოფობის, ტიფისა და
წითელი ქარის, გადატანის შემდეგ მან დაკარგა მხედველობა. ჰყავს
6 შვილი, რომელთაგან უფროსი ვაჟიშვილი 15 წლისაა, უფროსი
ქალიშვილი – 13-ის, მეორე ქალიშვილი – 11-ის, მესამე – 9-ის, მე-
ოთხე – 4-ის და, ბოლოს, უმცროსი ვაჟიშვილი – 3-ის. ამ ბავშვების
ბებიას, რომელიც უვლიდა მათ, ქალიშვილისგან გადაედო ტიფი და
გარდაიცვალა. არ გაგონებთ ეს ბიბლიურ უბედურებას, რომელიც
ღმერთიმა მოუვლინა წინასწარმეტყველ იობს?

ჩვენს საზოგადოებას აკისრია წმინდა მოვალეობა ამ გამოუ-
ვალი მდგომარეობიდან მისი გამოყვანისა, რისთვისაც დახმარების
თხოვნით უნდა მივმართოთ დიდსულოვან ხელმწიფას, დიდ კნეუნას,
ოლღა ფეოდოროვნას. იგი ანგელოზად და ნუგეშისმცემლად მოევ-
ლინება ამდენ გაუბედურებულ არსებას.

ამასთან, თავს უფლებას მივცემ და საკუთარ აზრს გამოვ-
თქვამ იმასთან დაკავშირებით, თუ რა დახმარება შეიძლება გავუ-
ნიოთ ამ უბედურ ქალს. უფროსი ვაჟი მივაბაროთ, როგორც თვით
კნენა გაგარინაც ფიქრობს, ფოთი-თბილისის სარკინიგზო შკოლა-
ში, ანდა სახელოსნო შკოლაში, ქალიშვილები გავამწესოთ ქალთა
სასწავლო დაწესებულებებში კენჭისყრის გარეშე, სამი წლის ბიჭუ-

ნაზე კი თქვენ თვითონ მოიფიქრეთ, სად და ვის მივაბაროთ აღსაზ-რდელად. თვით ნატალია პაცევიჩს კი, რომელმაც სამუშაოზე და-კარგა მხედველობა, მისი საიმპერატორო უმაღლესობის კეთილი ნე-ბის მიხედვით დაენიშნოს მუდმივი ხელფასი.

აქვე დართულია ბავშვების დაბადების მოწმობები და სხვა მოწმობები, 6 ცალი.

ლრმა პატივისცემისა და სრული ერთგულების...

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №7 (945)

28 Июня 1878 г: Дмитр: Сем: Старосельскому.

Убедительно прошу вас выслушать мою просьбу, а ея решеніе пусть будет так, как подскажет вам ваше сердце.

Несколько лет тому назад, в несчастной ссоре между Мачабели и Цицяновым убиты два брата Цицяновых. По этому кровавому делу Суд пройзнес свой приговор, в силу которого Мачабели ссылается в Сибирь на Срок. Но, этот несчастный, уже два года лежит в Тифл: воен: Госпитале, безнадежно больной от сильно развившейся в нем чахотки, и поэтому он досих пор неотправлен в Сибирь.

Князь Мачабели, – брат этого несчастного, – подал просьбу Его Выс:^{By} о том, чтобы дозволить ему взять к себе из Госпиталя умирающего брата под свое поручительство, и если он выздоровеет, тогда, да исполниться воля Правительства над преступником.

Мне кажется, что эта просьба Мачабели непротиворечит духу наших Християнских Законов; и если в этом я неошибаюсь, то будьте милостивы, сделайте доброе дело: пусть последняя минуты жизни преступника, с рискованием окончаться в доме его брата.

С истинным уважением и совер...²

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №7 (945)

28 ივნისი 1878 წ. დიმიტ: სემ: სტაროსელსკის.

დაბეჯითებით გთხოვთ, რომ მოისმინოთ ჩემი თხოვნა, გადა-
წყვეტილება კი ისეთი მიიღეთ, როგორსაც თქვენი გული გიყარნა-
ხებთ.

რამდენიმე წლის წინ მაჩაბელსა და ციციანოვებს შორის სა-
ბეჭდისწერო ჩხუბში მოკლულ იქნა ორი ქმა ციციანოვი. ამ სისხლიან
საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომ-
ლის ძალითაც, მაჩაბელს გარკვეული ვადით ციმბირში ასახლებენ.
მაგრამ ეს უბედური ორი წელია, თბილისის სამხედრო პოსპიტალში
წევს ჭლექით მძიმედ დაავადებული და ამიტომ ჯერ არ არის გაგ-
ზავნილი ციმბირს.

თავადმა მაჩაბელმა, ამ უბედურის ქმამ, თხოვნით მიმართა
მის უმაღლესობას, რომ ნება დართოს, თავისი მომაკვდავი ქმა წა-
იყვანოს ღოსპიტლიდან საკუთარი თავდებობის ქვეშ, მაგრამ, თუ
გამოჯანმრთელდება, მაშინ, დაე, აღსრულდეს მთავრობის ნება
დამნაშავის მიმართ.

მე ვფიქრობ, რომ მაჩაბლის ეს თხოვნა არ ეწინააღმდეგება
ჩვენი ქრისტიანული კანონების სულისკვეთებას და, თუ არ ვცდები,
მაშინ გამოიჩინეთ გულმოწყალება, ქენით კეთილი საქმე: დაე, დამ-
ნაშავებ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში თავისი ქმის სახლში და-
ლიოს სული.

გულწრფელი პატივისცემითა და სრული...

ივანე რაჭობეგისადმი №3 (946)

1^{თე} იЮЛЯ 1878. в Кутаис. К Окlobжю.¹

Мир, можно сказать, уже обеспечен, и потому боевыея на-
ши львы, стоящія на Окраинах, скоро возвратятся в свои штаб-
квартиры; вы тоже оставите ваше грозное положеніе и поспеши-

те к мирному очагу вашего красивого семейства. Но, что же будет с огромным пространством побережья Черного моря, от Сочи до вновь присоединяемого к нашей Границе Батума и Лазистана? Неужели оно останется в том же апатичном положении, в котором оно процветало до войны. Сколько лет, потерянных и для Правительства, и для Туземного населения, результатом которого было переселение двух третей жителей из Абхазии! А между тем, эта береговая линия, по своему положению, весьма способна в будущем достигнуть высокого процветания, и по своей культуре, и по торговле с Россиею и Европою, через что и судоходство разовьется в обширном размере. – Подумайте об этом; оставьте в этом крае добрую память о себе. Составьте Проект управления береговою линией; лучше вас едвали кто возможен выполнить это дело, потому что очень немногие одарены таким верным, практическим взглядом, как вы. Пусть инициатива останется за вами; Когда нибудь и край вспомнит добрым словом о Генерале Оклобжю. А в чем же ином состоит и Слава Великих людей?

Пользуюсь отъездом нашего почтенного Историографа Исарлова, чтобы сказать вам о возвращении Софии из Царского Колодца, где Сосико жив и очень здоров. Я же до глубины души опечален безнадежным состоянием больного Каплана.

Цалую Тасо, цалую Эличку и Ниночку; Хорошоли Эличку утончила лихорадка Кутайская?

Об остальном, и в особенности, о проекте, расскажет вам в подробностях Лука Степанич.

Будьте счастливы и незабывайте искренно преданного вам...²

ივანე ოკლობაზიონისადმი №3 (946)

1^ს ივლისს 1878. ქუთაისს. ოკლობურის.

შეიძლება ვთქვათ, რომ მშვიდობა უკვე დამყარებულია და ამიტომ ჩვენი მებრძოლი ლომები, რომლებიც განაპირა ადგილებში იდგნენ, მალე დაბრუნდებიან თავიანთ შტაბ-ბინებში; თქვენც დატოვებთ თქვენს საზარელ მდგომარეობას და მიაშურებთ თქვენი ლამაზი ოჯახის მშვიდ კერას. მაგრამ რა მოხდება შავიზღვისპირეთის უზარმაზარ სივრცეში, სოჩიდან ჩვენს საზღვართან კვლავ შემოერთებულ ბათუმსა და ლაზისტანში? ნუთუ ისეთივე აპათიურ მდგომარეობაში დარჩებიან, როგორშიც ომამდის იყვნენ. ამდენი დაკარგული წელი მთავრობისთვისაც და მკვიდრი მოსახლეობის-თვისაც, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის ორი მესამედის გადასახლება აფხაზეთიდან! და ამ დროს ამ სანაპირო ხაზს თავისი მდებარეობით ნამდვილად შეუძლია მომავალში მნიშვნელოვნად აყვავდეს როგორც თავისი კულტურით, ასევე რუსეთთან და ევროპასთან ვაჭრობით, რის შემდეგაც ფართოდ განვითარდება ნაოსნობაც. – იფიქრეთ ამაზე; დატოვეთ ამ მხარეში კეთილი მოგონება თქვენზე. შეადგინეთ სანაპირო ხაზის მართვის პროექტი; ამ საქმეს თქვენზე უკეთესად ვერავინ გააკეთებს იმიტომ, რომ ძალიან ცოტა ადამიანია დაჯილდოებული ისეთი უტყუარი, პრაქტიკული ხედვით, როგორც თქვენ. დაე, ინიციატივა თქვენი იყოს. ოდესმე ეს მხარე კეთილი სიტყვით გაიხსენებს ლენერალ ოკლობურის. და სხვა რაში-ლა მდგომარეობს სახელმოხვეჭილი ადამიანების დიდება?

ვსარგებლობ ჩვენი პატივცემული ისტორიოგრაფ ისარლოვის წამოსვლით, რომ გაცნობოთ სოფიოს დაბრუნება ცარსკის კოლოდ-ციდამ, სადაც სოსიკო ცოცხალია და ძალზედ ჯანმრთელადაა. მე კი სულის სიღრმემდის დანაღვლიანებული ვარ ავადმყოფი ყაფლანის უმედო მდგომარეობით.

ვკოცნი ტასოს, ვკოცნი ელიჩკას და ნინოჩკას; კარგად დააწვრილა ელიჩკა ქუთაისურმა ციებ-ცხელებამ?

დანარჩენზედ, განსაკუთრებით კი პროექტის შესახებ, დაწვრილებით გიამბობთ ლუკა სტეფანიჩი.

ბედნიერებას გისურვებთ და არ დაივიწყოთ გულწრფელად თქვენი ერთგული

დიმიტრი ჭორვაძისადმი №112 (947)

ჩემო ბატონო,
კნიაზო დემეტრე.

მომირთმევია, ჩუცულებისაებრ, ჩემგან შედგენილი ან-
გარიში შემოსავლისა მამულისაგან, რომელიცა ხაზინამ უსა-
მართლოდ წაგვართო და უწყალობა ნემენცებსა.

გთხოვ, გულ-მოსვენებით და ყურადღებით, წაიკითხოთ
და თუ რაღე ჰპოვოთ, ანუ შეცთომილება, ანუ მომატება, ყო-
ველივე დანიშნოთ და მიბოძოთ თქუცის ჰაზრით ამ და-
უსრულებელს საქმეზე. – რა ვჰქმნა, მე, რამდენჯერაც ვჰშინ-
ჯავ, მგონია, რომ არარას ვითხოვ წინააღმდეგ ჰსჯულისა,
სიმართლისა და სინიდისისა; მაგრამ, ესეცკი არის, რომ ყო-
ველს კაცსა მიაჩნია მართლად მხოლოდ თავი თკსი, და ამი-
სათვა მინდა ვიცოდე თქუცი ჰაზრიცა.

თქუცი მარადის ერთგული
თ^{~1} გრიგოლ ორბელიანი

9^ს ივლ: 1878 წ.

ივანე თალოზიოსადმი №4 (948)

из Тифлиса Оклюбжю в Кутаис. 13^{го} Июля 1878.¹

Под гнётом Горькой минуты сообщаю вам нерадостное известіе: Каплан скончался сегодня в 11 часов утра.² Похороны – (в) Кумиси. Передайте Нине, пусть поплачет и простит своему отцу.

03ანტკლობებისადმი №4 (948)

თბილისით ოკლობულის ქუთაისს. 13^ს ივლისს 1878.

ღრმად დანაღვლიანებული გაცნობებთ სამწუხარო ამბავს:
ყაფლანი გარდაიცვალა დღეს, დილის 11 საათზე. პანაშვიდი – კუ-
მისში. გადაეცი ნინას, რომ იტიროს და აპატიოს მამამისს.

რევაზ ერისთავისადმი №3 (949)

Ревазу Эриставу в Гори¹

Под влиянием тяжкой горестной минуты, сообщаю вам не-
отрадное известие: Каплан скончался. Похороны в Кумиси.

რევაზ ერისთავისადმი №3 (949)

რევაზ ერისთავს გორში

ღრმად დანაღვლიანებული გაცნობებთ სამწუხარო ამბავს:
ყაფლანი გარდაიცვალა. დაკრძალვა კუმისში.

ნიკო ჭურაპის ძე ჭავჭავაძისადმი №22 (950)

Нико Чавч.: в Елисаветополь¹

Под влиянием Глубоко–Горестной минуты сообщаю вам
печальное известие: Каплан скончался. Похороны в Кумиси.

6030 ზურაბის ძე ჯავახაძისაძე №22 (950)

ნიკო ჭავჭა: ელისავეტოპოლს

ღრმად დანალვლიანებული გაცნობებთ სამწუხარო ამბავს:
ყაფლანი გარდაიცვალა. დაკრძალვა კუმისში.

ბარბარე მრჩელიან-ოპოჩინისაძე №1 (951)

Варваре Яковлевне Опочининой в Коджори.¹

Под влиянием Глубокой Горести сообщаю: Каплан скончался. Похороны в Кумиси. Передайте Софии и всем нашим.

ბარბარე მრჩელიან-ოპოჩინისაძე №1 (951)

ბარბარე იაკობის ასულ ოპოჩინინას კოჯორში.

ღრმა მწუხარებით გაცნობებთ: ყაფლანი გარდაიცვალა. დაკ-
რძალვა კუმისში. გადაეცით სოფიოს და ყველა ჩვენიანს.

ლევან გელიქიშვილისაძე №6 (952)

К^{ვი} Левану Меликову в Шуру.¹

Под давлением Глубокой Горести сообщаю печальное из-
вестие: Каплан скончался сегодня. Похороны в Кумиси. Пере-
дайте Софию.

ლევან გელიქიშვილისადმი №6 (952)

კნ.^ტ ლევან მელიქოვს შურაში.

ღრმად დანალვლიანებული გაცნობებთ სამწუხარო ამბავს:
დღეს ყაფლანი გარდაიცვალა. დაკრძალვა კუმისში. გადაეცით სო-
ფიოს.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №16 (953)

19^{го} Іюля 1878. Табахмела в Бетанію.¹

Барону Алекс: Павловичу Николай.²

Приношу вам, Барон, мою глубокую благодарность за те минуты истинной сердечной радости, которую испытывал я, читая ваше письмо о помолвке любимой мною Маки и К^ა Георгия Шервашидзе. Да, давно, очень давно, я уже нерадовался такою чистою радостью. Благодарю вас, и взываю к Всеышнему, да благословит Он их на жизнь долгую, счастливую, в любви, в уваженії друг другу! А надо сознаться, что пара очень, очень красивая, вполне достойная друг друга. Нескрываю, что при этом меня радует ещё иная мысль, мысль чисто Патристическая: радуюсь за Грузію, где появиться дом, в котором каждый неиначе войдет, как с полным уваженіем к хозяевам, которые, надеюсь, увлекут за собою молодое поколеніе по пути высокой нравственности, вкуса, достоинства. И вы сами, Барон, отныне, где бы ни были, всёцело будете принадлежать Грузіи, которую вы никогда непереставали любить! Вот сколько причин соединяются для моей истинной радости. Скорее же за свадьбу,

Барон, чтоб я мог быть свидетелем счастья моей Маки и Георгия,
которых целую и благословляю.

С чувством Глубокагоуваженія и преданности имею³

ალექსანდრე ნიკოლაისაძე №16 (953)

19 ივლისს 1878. ტაბახმელით ბეთანიას.

ბარონ ალექს: პავლოვიჩ ნიკოლაის.

მოგახსენებთ, ბარონო, ჩემს ღრმა მადლიერებას იმ ჭეშმარი-
ტად გულწრფელი სიხარულის წუთებისათვის, რაც განვიცადე
თქვენი წერილის წაკითხვისას ჩემი საყვარელი მაკასა და კნიაზ გი-
ორგი შერვაშიძის ნიშნობის შესახებ. დიახ, დიდი ხანია, ძალიან დი-
დი ხანი, ალარ გამხარებია ასეთი ნამდვილი სიხარულით. მადლობას
გითვლით და შევთხოვ ყოვლისშემძლეს, აკურთხოს ისინი ხან-
გრძლივი, ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომ ჰქონოდეთ სიყვარული
და ურთიერთპატივისცემა! უნდა ვაღიარო, რომ წყვილი ძალიან, ძა-
ლიან ლამაზია და სრულიად ლირსნი არიან ერთმანეთისა. არ დავ-
მალავ, რომ ამავდროულად მახარებს კიდევ ერთი აზრი, წმინდა
პატრიოტული: ვხარობ საქართველოსთვის, სადაც გაჩინდება სახლი,
რომელშიც თითოეული კაცი სხვაგვარად ვერ შევა, თუ არა პატრი-
ნების სრული პატივისცემით, რომლებიც, იმედი მაქვს, ახალგაზრდა
თაობას მაღალი ზნეობის, გემოვნების, ლირსების გზაზე გაიყოლი-
ებს. თქვენ კი, ბარონო, ამიერიდან, სადაც არ უნდა იყოთ, მთლია-
ნად ეპუთვნით საქართველოს, რომლის სიყვარულიც არასდროს შე-
გიწყვეტიათ! აი, რამდენი მიზეზი მაქვს ნამდვილი სიხარულისთვის.
ვესწრაფვი ქორნილს, ბარონო, რომ ჩემი მაკასა და გიორგის ბედ-
ნიერების მომსწრე გავხდე, რომლებსაც ვკოცნი და ვაკურთხებ.

ღრმა პატივისცემისა და ერთგულების გრძნობით მაქვს...

ღიმეთა სტაროსელსადგი №8 (954)

1^{го} Августа 1878. Табахмела. в Коджори¹

Дми: Семен: Старосельскому.²

Смущаюсь; но всётаки опять беспокою вас просьбою, к которой принуждают меня до зареза; поэтому, скрепя сердце, выслушайте меня.

К^{ни} Анастасія Гагарина, в письме ко мне из Ялты, умоляет вас сообщить ей, хоть через меня, решенли вопрос, 1) Из Гражд;^{го} ли ведомства, или из Военнаго, она должна получить землю, высочайше ей пожалованную 5 т: 500 дес:, к тем 2 т: 500 дес:, которых ею уже приняты в Ставр: Губ:; и 2) Если из Граж: Вед:, то где именно?

Эти [све]денія очень необходимы для ея успокоенія, так как в Крыму ожидают в этом месяце пріезда Государя Императора, который помня заслуги ея мужа, Генерал Губернатора К^н Гагарина, злодейски умерщвленного в Кутайсе, – наверно пожелает узнать, довольнали она пожалованною Землею. Эта мысль наводит на неё душевное беспокойство и даже страх, незная, как отвечать на этот, в сущности, простой вопрос. Отвечать утвердительно, значилобы сказать неправду: в течениі 4^х лет она не могла получить земли; сказать «нет» означалобы, некоторым образом, жалобу, что не соглаш[а]ется с ея характером.

Вот причины, вынуждающія ее просить вас поспешить написать ей всего два, три слова по этому делу, которые послужили бы основанием и какбы руководством в ея ответах, в случае, еслибы последовал вышеозначаемый вопрос.

С чувством истиннагоуваженія...³

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №8 (954)

1^ს აგვისტოს 1878. ტაბახმელით. კოჯორს

დიმ: სემიონ: სტაროსელსკის.

მეუხერხულება, მაგრამ მაინც ისევ გაწუხებთ თხოვნით, რა-
საც ყელის გამოჭრამდის მაიძულებენ; ამისათვის გული გაიმაგრეთ
და მომისმინეთ.

ეს ანასტუსია გაგარინა იალტიდან ჩემდამი მოწერილ წერილ-
ში გევედრებათ, რომ შეატყობინოთ, თუნდაც ჩემი საშუალებით,
გადაწყვეტილია თუ არა საკითხი: 1) სამოქალაქო უწყებიდან უნდა
მიიღოს იმპერატორის მიერ მისთვის ბოძებული მიწის ნაკვეთი 5
ათას 500 დეს: და 2 ათას 500 დეს:, რომელიც უკვე მიღებული აქვს
სტავროპოლის ღუბერნიაში, თუ სამხედროდან და 2) თუ სამოქალა-
ქო უწყებიდან, მაშინ, სახელდობრ, სად?

ეს ცნობები მას ძალიან სჭირდება, რადგან ამ თვეში ყირიმში
ელოდებიან ხელმწიფე იმპერატორის ჩამობრძანებას, რომელსაც ახ-
სოვს მისი მეუღლის, ღენერალ-ღუბერნატორის, თავად გაგარინის,
დამსახურებები და რომელიც ავაზაკურად მოკლეს ქუთაისში –
ამიტომ, ალბათ, დაინტერესდება, კმაყოფილია თუ არა იგი მისთვის
ბოძებული მიწის ნაკვეთებით. ეს ფიქრი მასში იწვევს სულიერ მო-
უსვენრობას და შიშაცკი, რადგან არ იცის, რა უპასუხოს ამ არსე-
ბითად მარტივ კითხვას. დადგებოთი პასუხი იქნებოდა ტყუილი, რად-
გან 4 წლის განმავლობაში ვერ მიიღო მიწები. უარის თქმა კი იქნე-
ბოდა ერთგვარად ჩივილის ტოლფასი, რაც არ შეესაბამება მის ხა-
სიათს.

აი, ის მიზეზები, რომლებიც აიძულებენ მას, გთხოვოთ, რომ
საჩქაროდ მისწეროთ ამ საქმესთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვა,
რომელიც მას გამოადგებოდა საფუძვლად და ერთგვარად სახელ-
მძღვანელოდ, თუკი ზემოთ აღნიშნულ კითხვას დაუსვამდნენ.

ჭეშმარიტი პატივისცემის გრძნობით...

ବାର୍ବାର୍ବା କାହାତିମବ-ମହାଲ୍ଲାବୀଶାଫେ ନେୟେ 77 (955)

В Царское село 8^{го} Августа 1878. из Табахмелы

Что с тобой, мой друг Варвара? Как ты могла подумать, хоть на одну минуту, что я способен, при каких бы ни было обстоятельствах, сердечно огорчить тебя, которую глубоко, глубоко уважаю! Ты должна знать и верить моему святому чувству любви к тебе и Георгию. Вы только одни привязываете меня к жизни, которая не нужна, ни для меня собственно, ни для счастья мира. И неужели я должен еще словами уверять вас в моей к вам привязанности? Неужели 30 лет недостаточно свидетельствуют о моих к вам чувствах? – И если я сказал, «что ты вспоминаешь меня только, когда нужны деньги», то, конечно, этим я хотел только упрекнуть тебя в том, что прошло два месяца и я не имел известий о вас. Этим случаем я воспользовался еще и для того, чтобы подразнить тебя. Ведь это – моя слабость! Вижу теперь, что я слишком пересолил, если ты так сильно огорчилась. Ну, виноват, каюсь, никогда не буду, даю обещание, но – Бог знает, выполню я, если предстанет случай подразнить тебя. – Как бы там в будущем ни было, а теперь дай мне обе руки – целую; дай мне голову – целую. Простите меня, мачеха! Забудь все; все пройдет, не пройдет только моя истинная любовь к тебе и Георгию, пока я жив. А там, что будет, знает Бог, Богоугодник!

На вопрос о будущем Георгия, во-первых: Предоставим Всевышнему устроить судьбу Георгия! Мое же мнение, как и все человеческое, подвержено случайности, но оно, и прежде, и теперь, одно и тоже. – Самое главное основание для всей его жизни, и на службе, и вне ее, это – шагнуть в Академию, что не представить ему больших затруднений при твердой воле. Уже недалеко то время, когда человеку неакадемику, или не с уни-

верситетским образованіем, не будет места, ни на службе, ни даже в обществе. Государственные экзамены неминуемо будут и в Россіи, и очень скоро. Зачем же Георгію зарывать в землю Богом дарованныя ему умственныя силы.

Ежели же Георгій, к сожаленію, не пожелает быть Академиком, тогда ему останется одно: получить еще Чин и перейти в один из Драгун: полков с чином маюра, или Подполк:^а с тем чтоб потом, затеряться навсегда в массе людей, не имеющих никакого значенія в обществе. Господство науки наступает! Без нея нет спасенія. Пусть Георгій не ошибается, а идет твердо в уровень с требованіем своего времени; а его время, даже теперь, настоятельно требует от всех специального изученія той отрасли науки, служенію которой себя посвящает. Молодому человеку чувствующему в себе достаточныя силы ума будет горько, тяжело тащиться позади, будучи неосвещен светом науки. Нынешняя война выдвинула одних только Академиков: Непокойчицкий, Радецкій, Скобелев, Гурко, Зотов, Имеретинскій. Иначе военные науки не имели бы смысла.

Если вы желаете, чтоб я вполне был счастлив, – шагни Георгій в Академію Гренадерским шагом. Пусть, хоть один Грузин, а тем более Орбел: выйдет с знаком Академіи на груди.

Смиренно живу в Табахмеле вместе с Кетеваною и Тасо, и нет особенной беды, если дом старее меня. Зато воздух прямо из Раю, вода – из источника безсмертія; а виды? Передомною Картинно раскинулась чутьли неполовина Грузіи. Воот, таам, белоголовый Казбек и его чудовища – Братья подняли из-за облаков головы и прямо смотрят на Табахмела, посыпая нам с мягким, нежным ветерком чудную струю свежего, живительного воздуха; а там, точно Адмиралтейский Шпиц, снежен(н)ою иглою вытянулись в небеса Тушинская Гора, Борбало; а в парал(л)ель

им Черныя Горы, Сагурамо, Гомбори, Циви, следуют к царевым Колодцам! Всё вижу, и всё – как будто – мое!!

Вчера обедали у меня Барон Сакен и Зах: Чавч:, неожиданно заехавшіе комне, по дороге из Боржома в Цинандал. После же обеда посетили нас Алексей Петр: с Бабале и Софія Мирская, пробыли до вечера и разъехались одни в Коджори, другіе в Цинандал.

Тасо Гагарина в Ялте; Тасо Окlobжіо с детьми в Тифлисе.

Грустное впечатленіе пройзвело здесь известіе о(б) омерзительном убийстве Мезенцова в Петерб:^е, где собралось скопище презренных убийц, чтоб без наказанно совершать гнусныя убийства, днем, посреди многолюдной улицы. Какая цель? Что может измениться в міре подобным злодействіем? Но Петерб: так испортился нравственно, что найдутся немало людей, которые будут рукоплескать убийце, как совершившему нечто величкое для возрожденія Россіи!

В Париже совершилось чудо: Ираклій выздоровел так, что совершает большія прогулки пешком, и часто посещает Выставку. Это великое торжество медицин: Науки! Ираклія ждем здесь в этом месяце, и я душевно радуюсь, и за него, и за Тамару, и за Царевну.

В заключеніе, имею честь донести Его Здоровію, Георгію, что его большая лошадь очень хромает, другія же здоровы, и обе в теле.

Хотелось бы еще что нибудь, да немогу знать.

Бог да хранит вас.

ბარბარე პატიონ-ორგანიანისადმი №77 (955)

ცარსკოე სელოს 8^ს აგვ: 1878. ტაბახმელით

რა გჭირს, ჩემო მეგობარო ვარვარა? როგორ შეგეძლო გე-ფიქრა ერთი წუთითაც კი, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, მე შენ სერიოზულად გაგანაწყენებდი, რომელსაც ღრმად, ძალიან ღრმად გცემ პატივს. შენ უნდა იცოდე და გნამდეს ჩემი შენდამი და გიორგისადმი სიყვარულის წმინდა გრძნობისა. მხოლოდ და მხოლოდ თქვენ მაკავშირებთ სიცოცხლესთან, რომელიც არც ჩემთვისაა საჭირო საკუთრივ და არც მსოფლიოს ბედნიერებისათვის. და წუთუ მე სიტყვებითაც უნდა გარჩმუნებდეთ ჩემს თქვენდამი სიყვარულში? განა 30 წელი საკმარისი არ არის ჩემი თქვენ მიმართ გრძნობების დასამტკიცებლად? – და თუ მე გითხარი, რომ „შენ მხოლოდ მაშინ გახსენდები, როცა ფული გჭირდება,“ ამით მე მხოლოდ საყვედურის თქმა მინდოდა შენთვის იმის გამო, რომ ორი თვე გავიდა და მე თქვენ შესახებ არაფერი ვიცოდი. ამ შემთხვევით ვისარგებლე, რომ გამებრაზებინე. ეს ხომ ჩემი სუსტი მხარეა! ახლა კი ვხედავ, რომ ზედმეტად გადავამლაშე, რაკი შენ ასე ძალიან გამინანყენდი. დამნაშავე ვარ, ვინანიებ, გპირდები, რომ აღარასდროს ვიზამ, მაგრამ ღმერთმა უწყის, შევასრულებ კი, თუ შენი გაბრაზების შესაძლებლობა მომეცემა. – რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, ახლა კი მომეცი ორივე ხელი – გკოცნი, მომეცი თავი – გკოცნი. მაპატიე, ძალუა, ყველაფერი! დაივიწყე ყველაფერი; ყველაფერი გაივლის, გარდა შენდამი და გიორგისადმი ჩემი ჭეშმარიტი სიყვარულისა, სანამ ცოცხალი ვარ. იქ კი რა იქნება, იცის ღმერთმა, ღმეერთმაა!

რაც შეეხება პასუხს გიორგის მომავლის შესახებ შეკითხვაზე, პირველ რიგში, უზენაესს მივანდოთ გიორგის ბედი! ჩემი აზრი კი, როგორც ყველაფერი ადამიანური, შემთხვევაზეა დამოკიდებული, მაგრამ ის, როგორც ადრე, ახლაც იგივეა. – ყველაზე მთავარი საფუძველი მთელი მისი ცხოვრებისა სამსახურში თუ მის გარეთ არის ის, რომ ფეხი შედგას აკადემიაში, რაც არ გაუჭირდება ძლიერი ნებისყოფის შემთხვევაში. შორს აღარ არის ის დრო, როცა ადამიანს, არააკადემიკოსს თუ უნივერსიტეტის განათლების არმქონეს, ადგილი არ ექნება არა მარტო სამსახურში, არამედ საზოგადოებაშიც.

სახელმწიფო გამოცდები აუცილებლად იქნება რუსეთში და, თანაც, ძალიან მაღლე. და რატომ უნდა ჩამარხოს გიორგიმ მიწაში ღვთისგან ნაპოდები გონიერივი უნარები.

თუ გიორგი არ მოისურვებს აკადემიკოსობას, რაც ძალზე დასანანი იქნება, მაშინ მას ერთიღა დარჩენია, რომ კიდევ მიიღოს ჩინი და ერთ-ერთ დრაგუნთა პოლკში გადავიდეს მაიორის ან პოდ-პოლკ: წოდებით, რასაც მოჰყვება შემდეგში იმ ადამიანთა მასაში ჩაკარგვა, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ საზოგადოებაში. დგება მეცნიერების ბატონობის ხანა! მის გარეშე ხსნა არ იქნება. ოღონდ გიორგის არ შეეშალოს და მტკიცედ იაროს თავისი დროის მოთხოვნილებების შესაბამისად, მისი დრო კი უკვე უცილობლად მოითხოვს ყველასგან მეცნიერების იმ დარგის შესწავლას, რომლის სამსახურსაც თავი უნდა მიუძღვნას. ახალგაზრდა ადამიანისთვის, რომელიც თავის თავში გრძნობს საკმარის გონებრივ ძალას, ძალიან მნარე და მძიმე იქნება მაჩანჩალად ყოფნა იმის გამო, რომ გონება არ ექნება განათებული მეცნიერების შუქით. – ომმა რამდენი აკადემიკოსი წამონია წინ: ნეპოკონიჩიცკი, რადეცკი, სკობელევი, გურკო, ზოტოვი, იმერეტინსკი. სხვაგვარად სამხედრო მეცნიერებებს აზრი არ ექნებოდა.

თქვენ თუ გინდათ, რომ მე სრულებით ბედნიერი ვიყო, – შეაბიჯე, გიორგი, აკადემიაში გრენადიორის ნაბიჯით. დაე, ერთი ქართველი, მით უმეტეს, ორბეჭდ: მაინც გამოვიდეს მკერდზე აკადემიის ნიშნით. –

წყნარად ვცხოვრობ ტაბახმელაში ქეთევანთან და ტასოსთან ერთად და დიდი უბედურება არ არის, რომ სახლი ჩემზე ძველია. სამაგიეროდ, ჰაერი პირდაპირ სამოთხიდან მოდის, წყალი – უკვდავების წყაროდან, და ხედები? ჩემ წინ ნახატივით გადაშლილა თითქმის ნახევარი საქართველო. აიი, იიიქ, თეთრთავიან ყაზიბეგს და მის ურჩეულ ძმებს წამოუყვითათ თავები ღრუბლებიდან და პირდაპირ გასცერიან ტაბახმელას, რომელიც მსუბუქი, ნაზი ნიავით საოცარ, სუფთა, მაცოცხლებელ ჰაერის ნაკადს გვიგზავნის; მოშორებით კი საადმირალო წვეტის მსგავსად თუშეთის მთა ბორბალო თოვლიანი ნემსივით გადაჭიმულა ცაში; და მის გადაკვეთაზე შავი მთებია, საგურამო, გომბორი, ცივი, შემდეგ დედოფლისწყარო! ყველაფერს ხეედავ და ყველაფერი თითქოს ჩემია!!

გუშინ ჩემთან ისადილეს ბარონ საკენმა და ზაქარია ჭავჭავაძემ, რომლებმაც მოულოდნელად შემოიარეს ჩემთან, ბორჯომიდან წინანდალში მიმავლებმა. სადილის შემდეგ კი მოვიდა ალექსეი პეტ-როვიჩი ბაბალესთან და სოფია მირსკაიასთან ერთად. საღამომდე დაჰყვეს და მერე კი წავიდნენ: ერთნი – კოჯორისკენ, მეორენი – წინანდალში.

ტასო გაგარინა იალტაშია; ტასო ოკლობუიო შვილებით – თბილისში.

აქ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ცნობამ მეზენცევის შემზარავი მკვლელობის შესახებ პეტერბურლში, სადაც საზიზ-ლარი მკვლელების ხროვამ მოიყარა თავი, რათა დაუსჯელად შეძლონ საშინელი მკვლელობების ჩადენა დღისით, ხალხმრავალი ქუჩის შუაგულში. მიზანი რა არის? რას შეცვლის ქვეყნად მსგავსი ბოროტმოქმედებები? მაგრამ პეტერბურლი ისე გაირყვნა ზნეობრივად, რომ გამოჩნდება არცთუ ცოტა ადამიანი, რომელიც ტაშს დაუკრავს მკვლელს, რომელსაც ვითომც რაღაც მნიშვნელოვანი ჩაედინოს რუსეთის ასაღორძინებლად.

პარიზში სასწაული მოხდა: ირაკლი ისე გამოჯანმრთელდა, რომ დიდხანს სეირნიბს ფეხით და ხშირად დადის გამოფენაზე. ეს უდიდესი გამარჯვებაა სამედიცინო მეცნიერებისა! ირაკლის ამ თვეში ველოდებით აქ და მე სულით და გულით მიხარია მის გამოც, თამარის გამოც და დედოფლის გამოც.

და, ბოლოს, მაქვს პატივი მოვახსენო გიორგის, რომ მისი დიდი ცხენი ძალიან კოჭლობს, დანარჩენები კი ჯანმრთელად და კარგად არიან.

კიდევ რაღაც მინდოდა, მაგრამ არ ვიცი.

ღმერთმა დაგიცვათ.

ЗАСІДЛЮ ՀԵՂԱՅՈՒԱԳԹՈ №1 (956)

18 Авг: 1878. Табахмела.

Василію Феодоровичу Бельскому – Вице Губернатору.¹

Взываю к чувству вашего человеколюбія и той Гуманности, которые [вас] так резко выделяют из окружающейся среды. Умоляю вас, помогите [К^{то}] Мачабели – отцу, который со слезами выпрашивает позвolenія взять из т[юрьмы] своего сына, приговоренного Судом к ссылке, навремя, в Сибирь, но [он болен] уже много месяцев Чахоткою, развиваюся в высшей степени. Отец [про]сит взять его к себе на несколько месяцев под своим поручительством с условием: если выздоровеет, тогда да исполниться во всей силе приговор Суда; если же умрет, дать отцу, покрайней мере христіанское утешение, поплакать над ним и похоронить его.

Мне кажется, в этой просьбе отца – Мачабели нет ничего противозаконного. Наши Законы, наказывая преступление, все-таки не заключает в себе подобного жесткого смысла, чтобы непременно послать на подводы² умирающего Арестанта из Тифлиса в Иркутск! И какая цель ведь всё равно, его довезут до Душета, и никак не далее Владикавказа, а там он ляжет опять в Госпиталь.

Не желаю беспокоить вас более просьбой; спросите у вашего Сердца и сделайте по его указанію. Яже заранее убежден, что оно прймет мою сторону.

ვასილი პეტრისადმი №1 (956)

18^ს აგვ: 1878. ტაბახმელით.

ვასილი ფეოდოროვიჩ ბელსკის – ვიცე გუბერნატორს.

მოგმართავთ თხოვნით თქვენი კაცომოყვარეობისა და ჰუმანურობის იმედით, რომელიც ასე მკაფიოდ გამოგაჩენთ თქვენს გარემომცველ წრეში. გევედრებით, დაეხმარეთ კნიაზ მაჩაბელს – მამას, რომელიც ცრემლიანი ითხოვს უფლებას, თავისი შვილი წაიყვანოს ციხიდან, რომელსაც მისჯილი აქვს გარკვეული ვალით გადასახლება ციმბირში. მაგრამ რამდენიმე თვეა [იგი ავადა] ჭლექით, რომელიც უმაღლესი ხარისხით მწვავდება. მამა იხვეწება, გაატანონ იგი რამდენიმე თვით საკუთარი თავდებობის ქვეშ იმ პირობით, რომ თუ გამოჯანმრთელდება, სასჯელი მოახდევინონ ყველა წესის დაცვით, ხოლო თუ გარდაიცვლება, უფლება მისცენ, ქრისტიანულად დაიტიროს და დაკრძალოს შვილი.

მე მგონია, მამა მაჩაბლის ამ თხოვნაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია. ჩვენი კანონები დამაშავეს კი სჯის, მაგრამ ისეთი მკაცრი სასჯელის აუცილებლობას არ შეიცავს, რომ მომაკვდავი პატიმარი საზიდოით გაგზავნონ თბილისიდან ირკუტსკში! ანდა რა აზრი აქვს. სულ ერთია, როგორც კი მიიყვანენ დუშეთამდე, ანდა გაჭირვებით ვლადიკავკაზიანდე, იქ ისევ ღოსპიტალში დაწვება.

აღარ მინდა ზედმეტად შეგანუხოთ თხოვნით; თქვენს გულს დაეკითხეთ და მისი რჩევის მიხედვით მოიქცით. მე კი წინასწარ ვარ დარწმუნებული, რომ ის ჩემს მხარეს დაიჭერს.

ელისაბედ პარათაშვილ-ორბელისადმი №1 (957)

ჩემო საყუარელო ძალუავ ელისაბედ!

სასოწარკვეთილება წინა-აღმდეგია სარწმუნოებისა და თკო ღარისაცა.¹ დღეს ჩუმში მღუდელმა მიამბო თქუმინი მწუხარებით ყოფნა, რომ სახლიდამაც არ გამოგიხედნიათ გა-

რეთ. მომატებული მწუხარება გამოაჩენს მხოლოდ უსასოებასა და ღ~თისადმი.² უბედურება, მოვლენილი ღ~თისაგან,³ უნდა მოვითმინოთ მხურვალეს ლოცვითა და მოთმინებითა, და უნდა მივანდოთ თავი ჩუმინი ისევ იმ უზენაესსა ღმერთსა, რომლისა ნება უეჭველად უნდა აღსრულდეს. – ყაფლანსა არა მარტო თქუმინ დაჲსტირით; ირწმუნეთ, რომ არიან მრავალნი, რომელთა არცკი იცნობთ, მაგრამ თქუმინითვე იგონებენ ცრემლით ყაფლანსა.

ახლა, ჩემო ძალუავ, სასოებითა მიანდეთ თავი თქუმინი ღ~თსა,⁴ მოიგონეთ თქუმინის გონების ძლიერება, გაიმაგრეთ გული, გამხნევდით, რადგანაც ცრემლით, ვერ აღადგენთ დამიწებულსა მშვენიერსა ჩემს ყაფლანსა – ძმასა! ილოცეთ მის სულისათვს, მაგრამ მოთმინებითა და გულის სიმტკიცითა და-ემორჩილე ღ~თის⁵ ნებასა;

ხელი მიჰყავ, ჩუმულებრივ, შენს სახლ–კარსა, მანამ ხართ ცოცხალი უნდა იზრუნვო სიცოცხლისათვს. – ასეა ბრძანება ღ~თისა,⁶ რომელსაცა ვერავინ გარდავალს დაუსჯე-ლად. – ისევ დამიწებულისათვს ლოცვა, და შენთვს გულის მხნეობა, თუ გინდა რომ ღ~თიც⁷ იყოს შენთანა მარადის. –

თქუმინი მარადის ერთგული
თ~⁸ გრიგოლ ორბელიანი

24 აგვის: 1878.

ტაბახმელით.⁹

ძალუა ქეთევანმაც ჭეშმარიტის გულმტკივნეულებით მოგახსენათ მოკითხვა, და შემოგითვალათ ყოველივე რაცა მე მოგახსენეთ.

სოფიო ერისთავ-ორგანიანისადმი №7 (958)

1878 აგვისტოს 24^ე ტაბახმელით. შურას.¹

ჩემო საყუარელო დაო, ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო! დიდიხანია ვეღარ მოგწერე და ან რა მომენტერა გულით ღრმად შენუხებულსა, ვჰედავრა ჩუმინის ოჯახის ესრეთ განყალებასა, ესრეთ გაოხრებასა! ვიყურები აქეთ იქით, და აღარა მყავს ვინმე, რომ გავჰსცე ხმა: ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენ სხუათათვეს! იმოდენა ოჯახიდამ მყუანდა ერთიღა ბიძაშვილი, სიყრმითგანვე თანშეზდილი, საყუარელი ყაფლან და ისიცა დავმარხე! ვაი ჩუმინს ოჯახსა, ასე უწყალოდ დაცემულსა! რა შეცოდება ჰქონია წინაშე ღ~თისა,² რომ ასე საშინლად ისჯება ჩუმინი გუარი, გულით მართალი, შემბრალებელი, გონებიანი, ვაჟკაცობიანი, მოყუარე ნათესავებისა და ერთგული მეგობრებისა, მამულისათვეს ყოველს დროს თავდადებული! ვინ არ იზრდებოდენ ჩუმინს ოჯახში, ჩუმინს ქუჩაში? ანდრონიკაანნი, ჩოლაყაანნი, მაჩაბლიანნი, თარხნიანნი, მუხრანიანნი! ესენი ყოველივე მე თვით მინახავს. მახსოვს, რაოდენნი შენატროდენ ჩუმინს ქუჩასა, და ახლა, ღ~თო³ ჩემო, მე ისევ ვარ და სახსენებელი ჩუმინის ოჯახისა განპერა, ვითარცა სიზმარი! ჩუმინს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, ჩამოეთესლენ ჰოლოზოვები, აბონიანცები! ფიტარეთი, ჩუმინის მამა-პაპების სასაფლავო უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარებად!! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩუმინის ოჯახისათვს!

ჰეი სოფელ?

დაუნდობელო,

შენში კეთილი სად არს ფერ-უცულელ?

დიდება ჩუმინი;

ცად სხივ-მიმფენი,

ნუთუ ესლა გუაქუს, ვჰედავ რასაცა!...

მომიტევე, ჩემო სოფიო, ჩემო დაო, ესრეთი ჩემი გოდება, რღლიცა,⁴ ვიცი შეგაწუხებს, მაგრამ, რა ვჰქმნა, ვის შევ-პბლავლო, თუ არა შენვე, რღლთანაც⁵ ვარ დაჩვეული ჩემის დარდების თქმასა. ნეტავი მელირსებაა, რომ ჩუტულებრივ ვიჯდე შენთან და ჩემს ივანესთან: მეტად დაობლებული ვარ.

ტასო, გეცოდინება, ამ ზაფხულ არის იალტაში. ამის ქელმნიფისაგან ნაწყალობევის მიწის საქმე ამჟამად ასე არის: შარშან მიეცა 2400 დღეს: თურქენის მიწებიდამ სტავრ: ლუბერში; დანარჩენს 5600 დესეტინაზე გაიმართა მიწერმოწერა და ძლივს ეხლა გათავდა, რომ უნდა მისცენ ისევ სტავრ: ლუბერში, მაგრამ ტერსკის ობლასტის სიახლოეს, რადგანაც თურქენის მიწები სულ ადრევე დაერიგებინათ, და როგორც იწერებიან, ეს მიწები უკეთესია ადრე მიღებულზე. – ახლა სიტყუა ის არის, რომ მალე ჩაიბაროს, რომ დროზე გაიყიდოს და მით მოგეცესთ ლონისძიება თქუცინის საქმის დატრიალებისა. ამ დროს პრიკაზმაც შეაყენა ექუსს თვეს თქუცინის სახლების გაყიდუა.

ნემენცების მამულის საქმეცა თითქმის მივიყუანე დაბოლოებაზე, ესე იგი, ხაზინასთან მორიგებით უნდა გათავდეს სამოცის წლის დავა; მაგრამ ბედიც უნდა ჰქონდეს კაცსა ყოველს საქმეში: დავიწყეთ თუარა, ანგარიში და ამ ანგარიშზედ ლაპარაკი, გახდა ავათ დეპარტამენტის ნაჩალნიკი, წავიდა წყალზე, და დარჩა ეს საქმე იმის დაბრუნებამდის. მე ბევრი ვიჩხავლე, რომ იმის მოადგილემ შეასრულოს, და არცა ძნელია, – მაგრამ ვერა გავაწყერა. ახლა შემოდგომაზე ხელმეორედ უნდა თავიდამ დავიწყოთ ანბანა.

მე გახლავარ ტაბახმელას, რღლის⁶ ჰაერი და წყალი მართლად მაცოცხლებელია და მყავს აქა ძალუა ქეთევან და მისი ტასო; არსად დავდივარ; ასე იფიქრე კოჯორზედაც ვერ აველ, მეზარება, ისე მეზარება, რომ ამის წერაცკი მიძნელდება და ვაწუხებ ჩემს თავსა და თვთ შენცა: გინდა თუარა, უნდა წაიკითხო.

პარიუიდამ მოვიდა თბილისს ირაკლი, რელიცა⁷ იყო იქ წასული სანამლებლად, და ასე ამბობენ, რომ ძალიან უკეთ არისო. ღამანგ⁸ ინებოს მისი სრულებით მორჩენა. ოთხი წელინადია, იტანჯება.

სოსიკოსაც მალე მოველით დედუფლისწყაროდამ და ვანოს პეტერბაზე. ამანაცკე იპოვნა დიდი ბედნიერება იქ სამსახურითა და ცოლის შერთვითა. მახლაზ, არ მოდის, არა!

კნ: მირსკი იმყოფება ამჟამად ქუთაისს და მოელის ოსმალებიდამ ბათუმის მიღებასა. ღამანგ⁹ ჰქმნას, რომ უსისხლოდ დაბოლოვდეს; გვეყოფა. – ამ მინუტში მომივიდა ამბავი, რომ ოკლობჟიო შესულა ციხისძირსა¹⁰ და დაურჭვია ჩუცნი ბაირალი! აჭარიდამაც ჩუცნი ჯარები არიან ბათუმზე ახლოს მისულნი, როგორც იტყვიან რუსები «навсякій случай».* ახლად გასულნი მილიციონერებიცა უკანვე ბრუნდებიან.

ასე, ჩემო სოფიო, უკეთილმსახურესის დიდის იმპერატორის ძლიერებამ დაპსცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა, და ჩუცნი ძმანი, ძველნი ქართველნი, აჭარა, ლივანა, ქობულეთი ბათუმით, განათავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდამ და შეაერთა დედა-საქართველოსა, და აღსრულდა იგი სასწაული, რაცა არა გვევინა! აღსრულდა დიდი საისტორიო [სა]ქმე სახსოვრად საუკუნეთათვეს, რომლისა შემდეგსა ეხლა ვერ მიხუდება გონება კაცისა, და არის ხილული მხოლოდ მისთვეს,¹¹ ვისისა ნებითა ჰპრუნავს სოფელი ესე, და ყოველი მასშინა მსოფლიო მიდის დანიშნულს მისგანვე გზაზე! მილიონნი ქრისტიანები განთავისუფლდნენ!! გაოცებასა შეუპყრივარ, და ვამპობ მხოლოდ, ეს რა ამბავია? დიდება მაღალთაშინა ღმერთსა! დიდება მართლმადიდებელსა, მსახურსა მისსა, ჩუცნისა წელმწიფესა!!

წლეულს, როცა ველიკი კნიაზი მიპრძანდებოდა სააღდგომოდ პეტერბაზე; მქონდა მასთან ლაპარაკი ჩუცნის დაცემულს, დავრდომილს, ვალში ჩაღუპვილს დვორიანსტვოზე,¹² რელიცა¹³ აწინდელს დროსა მიხნეულა უკანასკნელს სიგლა-საკეში]; ასე რომ იმედიცკი არა აქუს ოდესმე აღდგენისათვეს.

ჩუმინი დვორიანზე¹⁴ „მოვახსენე რღმანცა¹⁵ მისცა საქართველო რუსის იმპერატორის მფარველობასა“ არაოდეს არ მოეღლოდა, რომ ბოლოს მიხვდებოდა ესრეთსა საშინელსა ბედსა! ხუთს წელიწადს ვეღარ გაჰსნევს ცხოვრება მისი, და ათი ათასი სული უნდა დარჩეს უსახლ-კარო! წარმოიდგინეთ, რა დიდი ტვირთი დააწვება თკთ მართებლობასაცა!! თქუმნმა უმაღლესობამ უნდა სლავიანებთან ერთად ჩუმინცა განგვათავისუფლოს, შეგვავედროს დიდსა იმპერატორსა ჩუმინის გამოხსნისათვეს ტყვეობიდამ.

„კნიაზო, განა მე არვიცი რა განწირულს მდგომარეობაშია აქაური დვორიანსტვო; მერწმუნეთ, დიდათაც ვჰსნუხვარ, მაგრამ რა ვჰსთხოვო, რა ვიშუამდგომელო? მიბრძანა ველიკი კნიაზმა, მაგ საგანზე რაცა სხუა და სხუა ღონისძიება მივიღეთ, არა გამოადგარა!“

„ჩუმინის გამოხსნის გზა – მოვახსენე, – ერთია. – დვორიანსტვო ძევს სამი მილლიონი ვალი პრიკაზისა; ეს ვალი, თქუმნის შუამდგომელობით, უნდა მიიღოს ხაზინამ. ნუ შეგეშინდებათ სამის მილლიონისა, რღმიცა,¹⁶ ამ ომიანობის დროს, შეადგენს მხოლოდ ორის დღის ხარჯსა არმიაზე: მითომ ორი დღე მეტი ყოფილა პახოდობა! ამ შემწეობით დვორიანსტვო, შემდეგ, შეიძლებს თავით თვისით ცხოვრებასა, და ამით თკთ ხაზინასაც მოაკლდება დიახ ბევრი ხარჯი, რომელიცა ან უნაყოფოდ მიდის დვორიანსტვოზე. – გვიშველეთ, ვიდრე არის დრო, თუ ჩუმინი დვორიანსტვო, ანუ ყოფილა, ანუ არის საჭიროდ მართებლობისათვეს, და თუ არა, მაშინ, რა გაეწყობა, ამოვწყდებით, განვჰქრებით; მაგრამ, ირწმუნეთ, ჩუმინს ადგილს ვერავინ დადგება ისეთის გულწრფელის ერთგულებითა, ისეთის თავდადებით სიცოცხლის შენირვითა წელმწიფისათვეს, როგორცა ყოფილა ყოველთვეს ჩუმინი დვორიანსტვო! უნდა პირდაპირ დაელაპარაკოთ თკთ იმპერატორსა, რომელსაცა – დვორიანსტვომ იცის – უყუარს საქართველო!“

ველიკიი კნიაზმა დიდის ყურადღებით მომისმინა და გულმურვალებით აღმითქუა შუამდგომელობა წინაშე ჭელმ-ნიფისა.

ახლა შევიტყე, რომ ჭინანისის მინისტრსა გამოუგზავნია ჩინოვნიკი პრიკაზის რევიზისათვს და ეს საქმეც ჩაუბარებია, რომ დაწვრილებით გამოიკვლიოს, თუ რომლის ღონისძიებით შეიძლება აღსრულდეს ველიკიის კნ:^{ას} თხოვნა ესე.

ახლა, ჩემო სოფიო, ილოცე საქართველოსათვს; შენს ლოცუას შეისმენს ღმერთი! ეგების მართლად გვეშველოს რა-მე.

ტასო ოკლობჟიო ქალაქშია: მირსკიანნი და ოპოჩინიანნი არიან კოჯორზე თავის შვილის, შვილის-შვილებითა. ჩემი გუ-ლით საყუარელი ივანე ჩამიკოცნე; ნეტავი როდის მოხვალთ აქა; თვალები თქუცინს გზაზე მიჭირავს.

ღმერთი იყოს თქუცინი მფარველი, თქუცინი ნუგეშისმცე-მელი!

თქუცინი მარადის ერთგული, სულით, გულით
თქუცინი მარადის

* ყოველი შემთხვევისთვის.

ირაკლი გაგრატიონ-გრუზისეპისადმი №2 (959)

26^ს აგვის: 1878. ტაბახმელა. – ირაკლის გრუზინსკისა.¹

გულით, სულით, გახარებული მოგილოცავ მშვიდობით მობრძანებასა ქართლ-საქრისტიანოში, ღ თისაგან² კურთხე-ულს თქუცინს ოჯახში, ჩუცნდა სასიხარულოდ. და იყოს ღმერთი თქუცინი მფარველი ყოველთვს და ყოველგან.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №14 (960)

ამ ახლოს ხანში ველიკის კნეუნას ქორნილისათვს, ჩუ-ცნი ქართველნი ქალები ჰეზავნიან მშვენიერად ნაკერსა ხა-ლიჩას და ალბომსა მინანქრით შემკულსა, რომელშიაც იქნება სხუა და სხუა სურათები აქაურის მდებარეობისა და პორტრე-ტები ნაციონალნის ხალხისა; ამათშორის უნდა იყოს ქართვე-ლი ქალიცა, რასაკურველია, ლამაზი, და იფიქრე ჩემი მნუხა-რება, რომ ვერ გვიპოვნია იმისთანა ლამაზი ქალი ქართულად ჩაცმული, რომ იყოს ღირსი. – ქართულად აღარავინ იცვამს, და მე მომაგონდა ტიტიკო მაყაშვილის ცოლი ქართულის ტა-ნისამოსით, მეტად ლაზათიანია და ახლა არვიცი, სხუა ვინ იქნება ამაზე მშვენიერი.

სხვებრ ვართ ჩუტულებრივ სალამსალამოდ კლუბში, ვკოზირობთ, ვლაპარაკობთ, ყველაფერს ვაძაგებთ, და ასე მიდის ჩუცნი დრო; მაგრამ მაინცკი აღაევმა და ისაკმა ვერ ისწავლეს ვისტი.³

მოგვივიდა ამბავი, რომ ავინოვისათვს⁴ დუმას დაუმტკი-ცებია 4 ხარისხი წმინდის გიორგისა. –

ღ~თი⁵ იყოს შენი მფარველი. ნუ დამივიწყებ. მომწერე ხანდახან შენი ამბავი.

შენი მარადის ერთგული
გრიგოლ ორბელიანი

12^ს დეკემ: 1878.
თბილისით⁶

ოგლობჟიოს მოუვიდა ალექსანდრე ნევსკისა, ეგრეთვე
ტრუბეცკოისა. ოგლობჟიო ცოლით, შვილებით წავიდა პე-
ტერბურლსა და იქიდამ სანამლებლად გავა სამზღვარსგარე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №114 (972)

ჩემო ბატონო, კნიაზო დემიტრე! გთხოვ, თუ დაგიწერია
ველიკი კრეშანასთან წიგნი, მიბოძოთ, რომ ქალების მოუთმე-
ნელობისაგან გამომიხსნათ.

თქუმცნი მარადის ბედნიერების მსურველი
გრიგოლ ორბელიანი

15^ს დეკემ: 1878.¹

ილია ჭავჭავაძისადმი №1 (973)

ჩემო ბატონო,
კნიაზო ილიავ.

სიხარულით მომირთმევია მეფე გიორგის ცხოვრება
თქუმცნის ახალის უურნალისათვს. მოიხმარეთ, თუ გამოგად-
გებათ, მაგრამკი თავის დროზე ისევ დამიბრუნეთ.

თქუცინის მარადის ბედნიერების მსურველი
თ^{~1} გრიგოლ ორბელიანი

27 დეკემ: 1878.²

ანასტასია მრჩელიან-ოკლოშიონაში №6 (974)

24^ს დეკემ: 1878 თბილისით.¹

ჩემო საყუარელო ტასო! წახველ და წახველ, ერთხელ
აღარცკი მოიხედე აქეთ, აღარცკი მოიგონე ისინი, ვინცა და-
რჩნენ აქა, და ან ვინცა დარჩნენ – იცნობლა? მე ეს არ მიკ-
ვირს შენგან, რადგანაც ვიცნობ დედაკაცის გულსა, რადგა-
ნაც ვიცი, რომ ოღონდეკი დედაკაცი გავიდეს თავის სახლი-
დამ, ოღონდეკი სხუაგან იყოს, და რაც უნდა დაემართოს,
ყველას მოითმენს. ვით, ქაა, ეს რა მოგვივიდა! ამას იტყვის
და დამშვიდდება. დედაკაცასა მხოლოდ ძილისათვს უნდა სახ-
ლი, და ცხოვრებისათვს, და სიამოვნებისათვს – გარეთ, სხუა-
გან სადმე, იქ არის ბედნიერება, იქ უნდა თავის მოდნის ახალ
ახალი კაბაცა; ისევ ის ლოტონბა ტერასატუროვისას უფრო
ლაზათიანია! და აბა, პეტერბურლში რაღას მოგაგონდება ან
ჩუცი ქუჩა, ან ვიღაცა სოფიო-სოსიკო, ან გრიგოლ, ან მაკ-
რინე; მაგრამ ეჲ, მაინც ღ~თი² იყოს თქუცინი მფარველი. – მე
მხოლოდ მებრალება ჩემი საკუთარი, ჩემი საყუარელი ივან
დიმიტრიჩ, რომელმანცა ბევრი იფორთხალა, ბევრი იკივლა,
მაგრამ მაინც და მაინც, ვანოსავით, დედაკაცების ხელში ჩა-
ვარდა.

ახლა აქაური ამბავი:

ვიცი გიამება და აი მიხარებია, ბერნისის ცოლსა ჰყოლია
ვაჟი. ამბობენ მითომ მაგრამ ყურს ვინ უგდებს, ვინ რაც

უნდა ჰსთქუას. ესკია სამწუხარო, რომ თვთ მშობიარე ძალიან ავათ არის.

ჩუცნს კიბეზე ამბობენ, საიდუმლოდ, რომ ერასტის ქალი დანიშნულა არტილლერისტ მამაცოვზე. კიდევ ამბობენ, რომ 13^ს იანვარს იქნება ქორწილი სვიმონ წერეთლისა და ღენერალ ავალოვის ქალისა, რომელსაცა მამა აძლევს მზითვად, ჯერ ამხელად, ვეება სახლსა და სამიათასს თუმანსა, და მერე ოციათასს თუმანსა. – ძლივს ერთმა ქართველმა გაატანა მზითევი თავის ქალსა უვექსილოდ.

დღეს დიდი გამოჭიმული სადილია ფირადოვისას, სადაცა არიან მინვეულნი ხაშუე, სოფიო—სოსიკო, გიგო და ნინო, მაიკო და ორმოცამდის სხუანი ქალები. ახლა არის ჩუცნს კიბეზე დიდი ბაასი, რათ გამორიცხეს ამათგან ლიზა საგინოვისა და თვთ საგინოვიც! ეჭვი მიიტანეს სოფოს ინტრიგებზე, და იმედი მაქუს, რომ ეს საქმე, დღეს ან ხვალ, არ დარჩება უკინკლაოდ, და მეცა თავის დროზე მოგახსენებ.

ეს არაფერი; სიტ(ყ)უა ის არის, რომ საახალწლოდ დიდი იოლკა³ აქუს სოფოსა, რომელსაცა ეყოლება, როგორც ამბობენ ქეთევან და მაკრინე, სამოცდაოთხი ქალი სტუმრად. და როგორცა დაბოლოვდება იმასაც დაწვრილებით მოგახსენებ თავის დროზე.

28^ს დეკემ:⁴

საწყალი სოფიო ბუჭყიევისა გარდაიცუალა და დღეს ასაფლავებენ. – მებრალება ელისაბედ: უბედურება უბედურებაზე დაერთო.

ახლა ეშხის მეიდანზე გამოსულან ახალნი აშულოლლანები, ლევი^{*} – ბელოვ⁵ და ედიგაროვ,⁶ და ორნივე იხრაკებიან შალიკოვის ქალისათვს; დუელიცა ჰქონიათ, მაგრამ ორნივე, ბედს დაუფარავს, და გადარჩენიან სიკუდილსა. – ეს ტასომ მიამბო, და ხომ მოგეხსენებათ, ამას არა დაემალვის რა.

კნ: ტრუბეცკოი, ვინსპერნ, წამოვიდნენ პეტერბურლისა-კენ; სტაროსელსკიც აპირებს მალე წამოსვლასა, და ასე ნელ-ნელად სულ მანდა გროვდებიან; ვრჩებით აქა მხოლოდ მე და სოსიკო, ავინოვი და ამიროვი, და თქუცი გამოჯავრებულნი, ჩუცინცა ვჰკოზირობთ და ვჰკოზირობთ.

ნიკო ჭავჭავაძე მოვიდა ელისავეტოპოლიდამ რამდენი-სამე დღით.

ისეთი მშვენიერი დარებია, რომ სწორედ გაზაფხულია: ველიკის კნიაზის ბალში იშლება ვარდები.

არა, აქედამ კაცი წავიდეს პეტერბურლს, თავგადაგლე-ჯილი მირბოდეს სამიათასს ვერსტსა, და ცირკი ნახოს? ეს ხომ მეშჩანობა⁷ არის, ჩემო ტასო! არა, პეტერბურლში ცირკ-ზე უკეთესი როგორ არაარისრა? – ოოჰჰ, პროვინცია, პროვინ-ცია!**

ჩემი ივან დიმიტრიჩი, ჩემი საკუთარი მეგობარი, ჩამი-კოცნე; ეგრეთვე შენი შვილებიცა, და კიდევ ეგრეთვე ჩემი გულით საყუარელი ვანო და მისი პანაზა საშა, ჩამიპროშტე და ასე უთხარ, რომ დროა, მოვიდეს თავის მშვენიერს ქუც-ყანაში; სხუა არა იყოსრა, რევმატიზმებს მაინც მორჩება. Можно быть, и в Италии, и в Японии, но жить можно только в Тифлисе.*** აბა, ჰკითხოს თვით მეკლებურლსკისა.⁸

მახლაზ, ღმერთი იყოს საზოგადოდ თქუცი მფარველი.

შენი მარადის ბედნიერების მსურველი
თ~⁹ გრიგოლ ორბელიანი

* ლომები

** პროვინცია, პროვინცია!

*** შეიძლება ყოფნა იტალიაშიც, იაპონიაშიც, მაგრამ ცხოვრება შეიძლება მხოლოდ თბილისში.

ივანე კონსტანტინეს ძე ორგალიანისადმი №6 (975)

10^ს იანვ: ¹

ჩემო საყუარელო ძმაო ვანო! ზარდაცემული, გონება-განპნეული მწუხარებისაგან, მარტოდ მარტო დაპშომილი უნუგეშოდ, გწერ ამ საუბედუროს წერილსა, პასუხად შენის დეპეშისა. მოულოდნელი უბედურება მეტად ძნელი ყოფილა; მაგრამ მაინც² დაწვრილებით მოგახსენებ: – წყალკურთხევის საღამოს მეცხრეს საათზე წაველ კლუბში, სადაცა ერთს სტოლზე თამაშობდნენ ბეზაკსა სოსიკო, გიგო სუმბათოვი და აბესალომოვი, დიდად მხიარულად და ოხუ(ნ)ჯობის კასკასით. სოსიკომ რომ დამინახა, გახარებულმა მითხრა „მინდოდა გა-მომეარა თქუცნთან, მაგრამ შინ არ მეგონეთ; ტასოს წერილი მომივიდა, ბევრს რაღაებსაც იწერება, მერე წაგიკითხავ.“ – მეცა მეორეს სტოლზე მიმელოდნენ ვისტისათვს ლიმანოვსკი, გურჩინ და ბოლუშევიჩ. იმ დროს გიგო და სოსიკო ისე ხმა-მალივ იცინოდნენ და ბაასობდენ, რომ ჩუცნ აქედამ ვეძახო-დით «Перестаньте шумить!»* პატარა ხანს უკან ერთბაშად მოგვესმა რაღაცა ხრიალი; მივხედეთ, სოსიკო ხრიალებს. მივჰეცვივდით ყველანი, ჰაი წყალი, ჰაი ღალსტუკი შემოხსე-ნით, სერთუკი გახადეთ! მაგრამ ვერ მოვაბრუნეთ. ავინოვი, არღუთინსკი ჭაეტონით გაქანდნენ კრუჟოკში, – სადაცა იყო ვეჩერი – აქიმების მოსაყუანად; მე გავიჭერ დალაქთან; ამი-როვი და სხუანი იქ დარჩინენ და რაც შეეძლოთ ჰსცდილობ-დნენ სოსიკოს მობრუნებასა, და როცა მე მოველ დალაქითა, ვნახე შეყრილნი აქიმები, შახპარუნიანც, მინკევიჩ [და] ოთხნი კიდევ სხუანი, რომელთაცა ერთის ხმით გამოგვიცხადეს, რომ [«]моментальная Смерть последовала от разрыва Сердца!** გა-საშტერებელია, ერთს მინუტში როგორ გაჰქრა ისე, რომ არ-

ცა ხმა, არცა მოძრაობა, ისევ ისე იჯდა სკამზე მკუდარი! – თავგადაგლეჯილნი მე და გიგო მოვედით შინ, გავაღვიდე ძალუა მაკრინა და გავგზავნე სოფოსთან, რომ სოსო ძალიან ავად გახდა კლუბში და შეატყობინოს; მერე გავჰვინე ქეთევან. საწყალმა სოფომ მაშინვე დაიძახა „უთოოდ ჩემს თავს რაღაცა უბედურება მომსვლია!“ ამ დროს სოსიკოც მოასვენეს. – შენ თვთონ წარმოიდგინე და მეკი ვერ შემიძლიან, რომ გითხრა, რაც ვაება იქ მოხდა! – გუშინ, ესე იგი 9^ს იანგ: მოსქდა მთლად ქალაქი, მართლად გულშეწუხებული და გავასვენეთ ქაშუეთში წირვაზე და შემდეგ კუმისის ეკვლესიაში დავასაფლავეთ ჩუჭნი სასურველი ძმა, მთლად საქართველოსათვს სასურველი სოსიკო! ხალხი იძახდა, ღ~თმან⁴ აცხონოს! ღ~თმან⁵ გაცოცხლოს სოსიკოჯან!! აფსიზ ყაფლანოღლი, აფსიზ! „დიდი, დიდი პატივისცემა გამოაცხად ქალაქმა; სოლოლაკამდის ხალხსა თავზე ედგა კუბო და მიჰქონდა სოსიკო, თითქოს მიძინებული, თითქოს აი ეხლა გამოეღვიძება! სოფლელები, ტაბახმელიდამ, კუმისიდამ, კოდიდამ, მოეგებნენ დედაკაცებითა და მოთქმითა მიასვენეს საუკუნოდ განსასვენსა ალაგსა!“ – აი ასე იყო ჩემის გულითსაყუარელის სოსიკოს უკანასკნელი დღეები!

ახლა, ჩემო ვანო, დროა, რომ მოხედო შენს ოჯახსა და საზოგადოდ ჩუჭნცა, სრულიად გაწყალებულთა, ალარავინა ვართ; შენი ძმა გიგოც ძლიერ ცახცახებს ღონე-მიღებული. მოდი, გაიგე შენის ოჯახის მდგომარეობა, დააწყე რიგზე შენი აქაური საქმეები და მერე ისევ წადი, თუ უთოოდ შენი რუსეთში ყოფნა საბედნიეროდ მიგაჩნდეს.

სოსოს ცოტაოდენი ვალიც უნდა ჰქონოდა; ანტონ ყორდანვისაკი ვიცი 3500 რუბ:, და სხვისა, მგონია, არავისი ემართა.

გაუფრთხილდით, გაუფრთხილდით, ტასოსა; მაგისი ფიქრი მეტად მაწუხებს: სუსტი, უღონო, არვიცი როგორ მოითმენს ამ საუბედუროს ამბავსა. – თუ მანდვე შეიტყოს, ჩემ მაგიერ მიუტირე გულმტკივნეულებით მწუხარება ჩემი. – მეც

უნდა გებრალებოდეთ, დავრჩი მარტოდ, ობოლი, გამოყრუებული იმ ქუჩაში, სადაცა სიცოცხლითა დუღდნენ ესოდენნი ყმაწვილკაცები და ქალები! ჩუცნს ქუჩაში აღარავინ მიცნობს! შენი საშა სიყუარულით ჩამიკოცნე; ეგრეთუც ივან დიმიტრიჩ და მისი ქალები.

10⁶ იანვ: დავიწყე და 11 ძლივს გავათავე.

1879 თბილისით.⁵

* შეწყვიტეთ ხმაური!

** მყისიერი სიკვდილი მოჰყვა გულის გასკდომას.

ანასტასია რომანოვასადმი №1 (976)

12 Генв: 1879. из Тифл: в Петербург¹

Ея Импер: Высочеству Государыне Великой Княжне,
Анастасії Михайловне.

Пред совершеніем Священного Тайнства Бракосочетанія
вашего высочества, я из Глубины души молю Всевышняго да
осветит Он своим благословеніем ваше вступленіе в новый пері-
од жизни, да озариться полным счастіем Сердце вашего Супруга
и на всю жизнь да будете Ему розою радости!

ანასტასია რომანოვასადმი №1 (976)

12 იანვ: 1879. თბილისით. პეტერბურლს

მის საიმპერატორო უდიდებულესობას, ცარევნას,
დიდ კნეჟნას, ანასტასია მიხაილოვნას.

თქვენი ქორწინების წმინდა საიდუმლოს აღსრულების წინ
სულის სიღრმიდან ვევედრები უზენაესს, რომ მან თავისი დალოც-
ვით აკურთხოს თქვენი შესვლა ცხოვრების ახალ პერიოდში. დაე,
სრული ბედნიერებით გაბრწყინდეს თქვენი მეუღლის გული და მთე-
ლი ცხოვრების მანძილზე მისი სიხარულის ვარდი ყოფილიყავით!

მიხეილ რომანოვისადმი №13 (977)

Петербург

Его Импер: Высо:^{въ} Государю Вел:^{мъ} К:^ю
Михайлу Николаевичу.

С Глубочайшею радостью повергаю пред вашим высочеством и Государынею Великою Княгинею мое задушевное поздравление с совершающимся сегодня бракосочетанием Августейшей вашей дочери с наследным великим Герцогом фридрихом Мекленбург-Шверинским. Да будут Они всегда и всюду под благословением Всевышнего! –

[1879 წლის 12 იანვარი]

მიხეილ რომანოვისადმი №13 (977)

პეტერბურლს

მის საიმპერატორო უდიდებულესობას, ხელმწიფეს, დიდ კნიაზს,
მიხაილ ნიკოლაევიჩს.

უდიდესი სიხარულით გითვლით თქვენს უდიდებულესობასა
და ხელმწიფას, დიდ დედოფალს, ჩემს გულითად მოლოცვას დღეს
ალსრულებულ ქორწინებასთან დაკავშირებით თქვენს უავგუსტეს
ქალიშვილსა და მემკვიდრე უფლისწულს, დიდ პერცოგ ფრიდრიხ
მეკლემბურლ-შვერინსკის შორის. დაე, უზენაესის მიერ დალოცვილ-
ნი ყოფილიყვნენ ისინი ყოველთვის და ყველგან!

[1879 წლის 12 იანვარი]

ეპატერიცე ჰავაჲაძე-დადიანისადმი №10 (978)

თქუმინო უგანათლებულესობავ,
მოწყალეო დაო ეკატერინავ!

ვჰსცოდე ცად მიმართ, და ვარ წინაშე თქუმინსა დამნა-
შავე და პირშავად; არ ვამართლებ ჩემს თავსა, რომ აქამომ-
დის ვერ მოგართვი პასუხი თქუმინის წერილისა, ჩემთვს მარა-
დის ძვირფასისა. უნდა მომიტევოთ, რადგანაც მიცნობთ სიყ-
რმითგანვე თავდადებით ერთგულსა და პატივისმცემელსა
თქუმინსა; უნდა მომიტევოთ, რადგანაც დავჭრენდი, და ამას-
თანა მეტად უბედური წელიწადია ჩემთვს: დავჭკარგე ჩემი
გულით საყუარელი ყაფლან, ძმა, მეგობარი, ამხანაგი! დავ-
ჭმარხე ჩემი საკუთარი სოსიკო, დიდად პატიოსანი, ჭკვიანი,
გულით კეთილი, განთქმული ვაჟკაცობითა და ამასთანავე
ნასწავლი. და ახლა დადუმდა, გამოყრუვდა ჩუმინი იგი ქუჩა,

რომელიცა ოდესმე დუღდა მხიარულებითა და იყო სავსე ყმაწვილკაცებითა და ქალებითა, ქებულნი ზრდილობითა, მშვენიერებითა, გონებითა! ან დაგვჰშთი მე მარტო და ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა ვიღაცა უცნობი სხუათათვეს!

განგუშორდნენ გულის ნაცნობი, ვინცა გულითა გვი- ყუარდნენ,

თუალთ მიგვეფარნენ, წავიდნენ.... ძველთაგან დავ- ჰშთით მე და შენ...

ასე, ჩემო უსაყუარლესო დაო, არ უნდაკი მიწყრებოდე, უნდა შემიბრალო, უნდა შემიბრალო – აღარ შეგაწუხებ ჩემის ვაებითა.

რა ამბავი იცით თქუცინის ნიკოსი და ანდრიასი? დროა, რომ მოვიდეს ნიკო, დასახლდეს თავის მამაპაპეულთ მამულ- ში, რომ გაჩნდეს ერთი მაინც ოჯახი საქართველოსში განსა- სვენებელად ჩუცინის დაჩაგრულის გულისა. ირწმუნეთ, ნიკოს ბედნიერება მხოლოდ მანდ არის და არა სადამე სხუაგან. წყა- ლობა წელმწიფისა არცა მანდ მოაკლდება, და მხოლოდ პე- ტერბულისათვეს რა საჭიროა დადიანი? აქვი თავს შემოევლე- ბა მთლად ჩუცინი ქუცყანა.

თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა ხალხითა, ასე რომ მიხაილოვსკის ხიდი ვეღარ იტევს მიმომსვლელთა ეკიპა- ჟებსა, ჭურგონებსა, ურმებსა; ერთი თეატრი ვეღარა ჰყოფ- ნის ქალაქის მცხოვრებთა, და ამისგამო გაიმართა კრუეოკი.¹ რომლისა ჩლენები ირიცხებიან შვიდასზე მეტნი; გაიმართა ტიჭლისკის სობრანიე;² ეგრეთუც რამდენისამე ასის ჩლენე- ბით, სადაცა მუზიკის გარდა არიან ჩუცინი საზანდრებიცა, სიმღერითა და ლეკურის თამაშობითა; ამისგარდა არის ანგ- ლისკის კლუბი, მეშჩანსკის კლუბი, ცირკი³ და კარუსელი;⁴ ვისაც ყმაწვილი გული აქუს, მხიარულობს.

მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდგომარე- ობასში იმყოფება ჩუცინი თავადობა, რა საშინლად დაეცა და გაწყალდა სიღარიბისაგან! – საქართველო მრავალჯერ აოხ- რებულა, გადამწუარა ლანგთემურისაგან, შაჰაბბაზისგან, ოს-

მალთა და სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკუდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სილრმითგან, კლდეების ხეობიდამ და თავის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა და შემდეგ უამთა განმავლობაში, ნელნელა მოდიოდა ცხოვრებაში. ახლა ჩუმის თავადობას აღარსად ექმნება თავის შესაფარებელი. ჩუმის მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდამ ჰსჩანს ნათელი ნუგეშისა!

ველიკი კნიაზი, როგორც ისმის, მობძანდება თებერვალის გასულს და ისევ დაბრუნდება, რადგანაც მისი უფროსი შვილი უნდა დააფიცონ ცერემონიით მაისში; მერე მგონია გავიდნენ სამზღვარგარე და ბოლოს ივნისში, ივლისში, მობრძანდებიან პირდაპირ ბორჯომისა.

სტაროსელსკი წავიდა გუშინ პეტერბურლს სხუა და სხუა პროეკტებითა. – კნიაზ მირსკი აპირებს აქედამ სრულებით გადასახლებას პეტერბურლში, და მისს ადგილს მიიღებს ლევან მელიქოვი; მაგრამ ვაითუ, ამანაც ვერ გაუძლოს მეტად ძნელს თანამდებობას, და მაშინ, ვინ იცის, ვის ჭელში ჩავარდება ბედი ჩუმის ქუცყნისა. ეს ფიქრი ძალიან მაწუხებს. –

თქუმნი ძმისწულები სალომე, ელენე, კაკო, თამარ მშვიდობით არიან, და აშვენებენ აქაურს საზოგადოობას ზრდილობითა, სილამაზითა, გულითა. – მეტად მშვენიერი ვაჟი ჰყავს თამარსა, ჩემი ნათლული, ვეება ტანისა, გასაოცებელის თვალებითა. კარგი ეს არის, რომ თუ თამარიცა ჩემი ნათლული არის! ირაკლიცა ჯერ თუმცა არ არის სრულიად განთავისუფლებული ავათმყოფობისაგან, მაგრამ დიდად უკეთ არის და კარგს ქეიფზე. ამ პატარა ვაუმა გააცოცხლა ირაკლიცა და ბატონის რძალიცა. – წინანდალშიაც, ღ̄თით,⁴ კარგად არიან. გახსოვთ, ჩუმის წინანდალში ყოფნა, როგორ გვეშინოდა მე და დავითს გრძელის მებალისა!

ტასო გაგარინისა და ელენე კარგად არიან. ეგრეთუც დალისტანში მყოფნი, ბედისგან იქ განდევნილნი, ივანე და სოფიო. – ძალიან მაწუხებს, რომ ორი კვირა არის ძალუა ვა-

რინგასი და გიორგის ამბავი აღარა ვიცირა. – მესამე დღეა,
რა მოდის და მოდის მოუწყვეტლივ საზარელი თოვლი. –

ამ დღეებში იყო აქა და ნავიდა ისევ თავის ღუბერნიაში
ჩუმინი ნიკო ჭავჭავაძე, უწინდელი გიუი ნიკო, და ახლაკი დი-
დად გამოჩენილი ღუბერნატორი ელისავეტოპოლისა. მეტად
კარგი რამ არის და გულითაც მიყუარს. –

ღ ~ თი⁵ იყოს მარადის თქუმინი მფარველი და თქუმინის
მშვენიერის შვილებისა, და მეცა ოდესმე გახსოვდეთ, ხანდა-
ხან, და მეყოფა ჩემ საბედნიეროდ.

თქუმინი მარადის ერთგული მოსამსახურე
თ⁶ გრიგოლ ორბელიანი

თქუმინი მშვენიერი სალომე, ჩემი გულით საყუარელი
სალომე, სად არის, როგორ არის, რა ამბავი მოგდისთ?
გთხოვთ, როცა მიჰსნეროთ, ჩემგანაც გამოუცხადოთ ჩემი
ჭეშმარიტი, გულითადი პატივისცემა, მისი ღირსეულის ქმრი-
თა.

17^ს იანვ: 1879 წ:

თბილისით.⁷

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №80 (979)

22 Генв: 1879. Тифლის¹

Мой друг Варвара! На днях ждал возвращения Семейства
Оклобжю с печалью и страхом, если Taco² непредупреждена из-
вестием о постигшем ея и всех нас несчастием. Как она перенесет
при слабом ея здоровье, если она здесь, неожиданно, внезапно,
узнает о смерти Сосико! Да, невесело окончилось ея путешес-

твіе. Так, по минованії Байкуша³ Судьбы разсыпаются все мудрые человеческіе планы, все надежды на счастіе, кажущееся вот, вот близко.

Мое положеніе очень грустное, скучное. Думаю, думаю, кудабы идти и... остаюсь дома. Сосико был у меня и, братом, и другом, и соседом. Я любил его искренно. Его высокая честность, его доброта души, храбрость, его военные способности радовали меня. И, в этом отношеніи, могу уверить тебя, что он стоял несравненно выше всех здешных Героев наших.

Не помню, писалли я тебе о последних минутах Сосико? – 6^{го} Генв: веч^{ом}, я приехал в Английс: й клуб, где вижу, на одном столе играют в безик Сосико, Гиго Сумба: и Абесаломов. Сосико, увидев меня, улыбнулся и сказал мне, «Дядя, я хотел заехать к вам, но раздумал, полагая, что вас нет дома. От Тасо⁴ получил сегодня весьма интересное письмо, потом прочту вам.» Меня также поджидали на вист, Лимановский, Гурчин и Богушевич, и мы начали играть. Между тем Сосико и Гиго острили друг на друга и шумно смеялись. Вдруг послышался нам страшное хрепеніе; мы бросились к Сосико, он сидит без сознанія; начали обливать водою. Он два раза открыл рот и скончался моментально без вздоха, без звука. Мертвый сидит на стуле; но я еще неподозревал в смерти его, и поскакал за цырульником, Генерал Авинов и Алек: Аргутинский в кружок за Докторами. Когдаже я возвратился с цырульником, котораго долго ждал, Сосико уже был перенесен в другую комнату и собравшіеся Доктора единогласно объявили, что смерть Сосико произошла от разрыва Сердца.

Теперь, окончательно опустел для меня наш, некогда полный жизнью, всеми любимый, уважаемый Аул Орбеліановых, – Тут ничего более нельзя сказать, кроме того, что всему – своя очередь, и для меня видимо: мы должны уйтти, чтобы другие по-

явились, – и уже появляются, – на наше место. Да будет воля Божья!

Цалую тебя, цалую Георгия, и да защитит вас Господь Бог.

Посылаю 250 р: вам на здоровье.

Наднях выпал огромный снег и началась у нас зима; мороз сегодня – 10 град. –

ბარბარე პატრიარქონ-მრპელიანისადმი №80 (979)

22 იანვ: 1879. თბილისით

ჩემო მეგობარო ვარვარა! მწუხარებითა და შიშით ველოდებოდი დღე-დღეზე ოკლობულის თჯახის დაბრუნებას, თუ ტასომ არ იცის იმ უბედურების შესახებ, რაც თავს დაგვატყდა მასაც და ჩვენ ყველას. მისი ჯანმრთელობის პატრონი როგორ გადაიტანს, სოსიკოს სიკვდილის ამბავი აქ რომ შეიტყოს უეცრად, მოულოდნელად! ხო, მხიარულად ვერ დამთავრდა მისი მოგზაურობა. ბაიცუში ბედი თავდაყირა აყენებს ყველა ბრძნულ ადამიანურ გეგმას, ბედნიერების ყველა იმედს, რომელიც თითქოს სულ, სულ ახლოსაა.

ჩემი მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ნალვლიანი. ვფიქრობ, ვფიქრობ, სად წავიდე და... ვრჩები სახლში. სოსიკო ჩემთვის ძმაც იყო, მეგობარიც, მეზობელიც. მე ის მიყვარდა ჭეშმარიტად. მისი უმაღლესი პატიოსნება, მისი კეთილი გული, სიმამაცე, მისი სამხედრო უნარები მახარებდა. ამ მხრივ შემიძლია დაგარწმუნო, რომ ის ჩვენს აქაურ გმირებზე ბევრად მაღლა იდგა.

არ მახსოვს, მოგწერე თუ არა სოსიკოს ბოლო წუთების შესახებ? – 6 იანვარს, საღამოს, მივედი ანგლიურ კლუბში, სადაც ვხედავ, რომ ერთ მაგიდასთან ბეზიქს თამაშობენ სოსიკო, გიგო სუმბათოვი და აბესალომოვი. სოსიკომ რომ დამინახა, გამილიმა და მითხრა: „ბიძია, თქვენთან შემოვლა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან სახლში არ მეგონეთ. დღეს ტასოსგან ძალიან საინტერესო წერილი მივიღე, მერე წაგიკითხავთ.“ მე ასევე მელოდებოდნენ ვისტზე ლიმანოვსკი, გურჩინი და ბოლუშევიჩი. დავიწყეთ თამაში. ამ დროს სოსიკო და გიგო ერთმანეთს შორის მახვილისიტყვაობდნენ

და ხმამალლა იცინოდნენ. უეცრად საშინელი ხროტინი მოგვესმა; სოსიკოს მივცვივდით, ის სკამზე ზის უგრძნობლად, დავუწყეთ წყლის შესხურება. მან ორჯერ გააღო პირი და იმ წამსვე დალია სული ამოუსუნთქველად, უხმოდ. მკვდარი ზის სკამზე; მაგრამ მე სიკვდილზე არ შემპარვია ეჭვი და გავიქეცი დალაქთან, ღენერალი ავინოვი და ალექსანდრე არღუთინსკი — კი — კრუჟორში ექიმებთან. როცა დაგბრუნდი დალაქთან ერთად, რომელსაც დიდხანს ვეღლოდე, სოსიკო უკვე სხვა ოთახში იყო გადაყვანილი და იქ მყოფმა ექიმებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მისი სიკვდილი გამოიწვია გულის გახეთქვამ.

ახლა საბოლოოდ დაცარიელდა ჩემთვის ჩვენი ოდესლაც სიცოცხლით სავსე, ყველასათვის საყვარელი ორბელიანების პატივცე-მული უბანი, — აქ იმის მეტს ვერაფერს იტყვი, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ჩემთვის ნათელია: ჩვენ უნდა წავიდეთ, რათა სხვები მოვიდნენ. — და უკვე მოდიან, — ჩვენს ადგილას. დაე, იყოს ლვთის ნება!

გკოცნი, გკოცნი გიორგის, დაე, დაგიცვათ უფალმა ღმერთმა. ვაგზავნი 250 რ:-ს. კეთილად მოიხმარეთ.

ამ დღეებში დიდი თოვლი მოვიდა და დაიწყო ჩვენთან ზამთარი; დღეს 10 გრადუსი ყინვაა.

დიმიტრი სვიათოვოლკ-მირსკისაღაი №6 (980)

1^{го} февр: 1879.¹

К^ю Дмитрию Ивановичу Святополк-Мирскому.²

Решаюсь беспокоить ваше С^{во} задушевно моем просьбою. Ради Иисуса Христа, ради ваших детей, спасите от конечно разорения дряхлого старика Тер-Осипянца с его семейством, корорый, втечені 30 лет, был учителем в Тифл: Классической Гимназіи. Лачушки, составляющія его дом берется теперь в Казну за неустойку подрядчика, у котораго был в залоге.

Сделайте еще одно доброе дело пред выездом вашим из края, благоденствию и счастию которого посвящена была вся ваша жизнь. —

Ѡიმიტლი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №6 (980)

1^о თებერვალი: 1879.

ენიაზ დიმიტრი ივანოვიჩ სვიატოპოლკ-მირსკის.

გადავწყვიტე, თქვენი ბრძყინვალება შევაწუხო ჩემი გულითადი თხოვნით. იესო ქრისტეს გულისათვის, თქვენი შვილებისათვის, გადაარჩინეთ საბოლოო განადგურებისაგან ღრმად მოხუცი ტეროსიპიანცი თავის ოჯახთან ერთად, რომელიც 30 წლის მანძილზე მასწავლებლად მუშაობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. ქობმახის ნაწილები, რომლებიც მის სახლს შეადგენენ, დღეს ხაზინას მიაქვს ვალის გადაუხდელობის გამო.

ქმენით კიდევ ერთი კეთილი საქმე, სანამ იმ მხარიდან ნახვიდოდეთ, რომლის კეთილდღეობასა და ბედნიერებასაც მიუძღვენით მთელი თქვენი ცხოვრება. —

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელისადმი №81 (981)

14^{го} февр.: 1879. в Царское Село.¹

Мой друг Варвара! Наступил великий Пост и с ним суревозные размышления, которые привели меня к такому вопросу: долги ты и мой дядя Георгий будете жить в далекой от меня стране Сурового климата, где, только более и более разстравливается ваше здоровье – драгоценный дар неба, добровольно приносимый вами в жертву какихто благ несовсем ясной будущности. А

между тем, ревматизмы, грудная боль и пр: недуги, столь свойственные Петербургу, и нашедшія весьма покойное пребываніе в вашем организме, рано или позд(н)о, возмут свое, мучительно отзовавшись на всю вашу жизнь. И потому, позволю себе спросить вас:

1) На скол[ъко] еще времени вы расположены жить в найкрасивейшем Царьском Селе, для украшениі которого сам Геній великой Екатерины, непощадил, ни трудов, ни миллионов, но, всѣтаки, изменить климат к лучшему, – немог. И если при том, по вашим средствам, вы стоите вдали от тех увлекательных, изящно-изысканных удовольствій, которые изобретены для развлечениі богатых людей, то не лучшили, по крайней мере, спасти свое здоровье.

и 2) Для дальнейшаго вашего там пребыванія имеется ли в виду такая важная причина, ради которой с таким упорным терпением вы переносите все лишенія, сопряженныя с недостатком денежных средств и все страданія, неразлучныя с болезненным состояніем. Ответ должен быть ясный, положительный, основанный на доказательствах. – Теперь же Я выскажу свою мысль.

Какія могут быть последствія, если Георгій перейдет в один из здешних Драгун: Полков?

1) Весьма вероятно, что в этих полках он невстретит такого общества богатых молодых людей, какіе служат вообще в Гвардії, и в особенности, в Леіб Гусарском. Но, в каждом из здешних Др: Полков, он найдет офицеров весьма достойных, и по образованію, и по уму, и по характеру, в кругу которых Георгію будет очень пріятно жить. 2) Здоровье, и его, и ваше, будет более обеспечено, и наконец, 3) Экономическая часть, столь важная в нашей жизни, устройтся лучше и лучше для будущности Георгія, самым простым образом: Он будет здесь получать жалованіе не фиктивно, а действительно; к этому ежели присоединить его собственныя деньги 2/т: р:, то составившаяся

сумма черезчур достаточна для Армейскаго с прихотями офицера. И тогда, получаемыя им от меня З/т: р: ежегодно² будет приращаться к капиталу, который, современем, может вполне обеспечить расчетливаго Георгія.³ Такова хорошая сторона предлогаемаго мною проекта, на который ожидаю от вас опроверженія.

Я неимею намеренія выражать жалобу на ваше комне невниманіе – да оно и бесполезно после моих, многих жалоб, – но только желаю знать, получили Георгій Кирмаламу от Фисуна, и больше ничего.

Государь Император всемилостивейше пожаловал мне Орден Св. Вл(а)д: 1^{ої} ст:, а Герцог Мекленбургскій – Орден Венда⁴ 1^{ої} же ст:, но вы несочли нужным сказать мне, хоть по знакомству, какоенибудь слово. Однакож я не жалуюсь. Вы с вашим сыном всегда заняты чемнибудь, но только не мною.

Для Георгія готовлю двух серых жеребят, таких, которыя, как птицы, вдруг, прыг,⁵ и перелетают через высокій забор. Они еще на свободе, не выезжаны; но, по признакам, обещают быть необыкновенными Скаакунами; а для себя готовлю брата знаменитаго Мерцхала.

Завтра начинаю говеть; простиже, матушка, мои прегрешенія пред тобой, словом, делом, яко есмь человек со слабостями.⁶ Любимое Слово беднаго Каплана. Цалую тебя и моего Георгія, лентяя, и да хранит вас Господь Бог. – Письмо начато в Понедельник, т: е: 12 фев:; просто недают писать. – Посылаю тебе в Дагестане сделанную шаль; она в Россіи известна под именем Оренбургская. Незнаю понравитсяли,⁷ но она продевается сквозь кольцо.

В последній вечер Масленицы был у Майки очень веселый Пикник: Сама Майка, Ольга Барятинская, Мирскій с женой, Марія Орбел:, Лиза Иванова, Саломе, Како, Нина Чолакаева, Борис, Вейсенгофа, Лиза Мухранская и другія. Консулы Гер-

манский и Французский таяли в кругу красивых молодых дам. Нигде незабываемый Фисунь. Мирский сделался Толубашом за ужином и с большим юмором провозглашал За здравие тосты. Едва, едва разъехались в 5 часов утра. А ты Георгий где провел этот вечер? –

პარტარე პაგრატიონ-ორგანიანისადმი №81 (981)

14^ს თებერვალი: 1879. ცარსკოე სელოს.

ჩემო მეგობარო ვარვარა! დადგა დიდმარხვა და მასთან ერთად სერიოზული ფიქრები, რომლებმაც მე ასეთ კითხვამდე მიმიყვანებს: დიდხანს იცხოვრებთ შენ და ჩემი ბიძია გიორგი ჩემგან დაშორებულ, მყაცრი კლიმატის მქონე ქვეყანაში, სადაც სულ უფრო და უფრო ზიანდება თქვენი ჯანმრთელობა – ზეცის ძვირფასი საჩუქარი, თქვენივე ნებით მსხვერპლად შეწირული არცთუ ისე ნათელი მომავლის ზოგიერთი სიკეთისათვის. სხვათა შორის, რევმატიზმები, გულის ტკივილი და სხვ: სხულებები, ასე დამახასიათებელი პეტერბურლისთვის და თქვენს ორგანიზმში მშვიდად დაბუდებული, ადრე თუ გვაან, თავისას იზამენ და შემაწუხებლად იმოქმედებენ მთელ თქვენს ცხოვრებაზე. ამიტომ ნება მომეცით, გკითხოთ:

1) კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ცხოვრებას ულამაზეს ცარსკოე სელოში, რომლის გასამშვენიერებლადაც დიდი ეკატერინეს გენიამ არ დაზოგა არც შრომა, არც მილიონები, მაგრამ კლიმატის შეცვლა უკეთესობისკენ მაინც ვერ შეძლო. – და ამ დროს თქვენთვის, ვინც ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით ძალიან შორს ხართ იმ მომხიბლავი, ნატიფად დახვეწილი სიამოვნებებისგან, რომლებიც მდიდარი ადამიანების გასართობადაა გამოგონილი, ნუ-თუ არ ჯობია, რომ ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ.

2) მომავალში თქვენი მანდ დარჩენისათვის განა არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი მიზეზები, რისთვისაც ასეთი შეუპოვარი მოთმინებით უძლებთ ყველა გაჭირვებას, რომელიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ნაკლოვანებასა და ტანჯვასთან, რაც ახლავს ავადმყოფურ მდგომარეობას. პასუხი უნდა იყოს ნათელი, და-

დებითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული. ახლა ჩემს აზრს მოგახსენებ.

როგორი შედეგი ექნება გიორგის გადმოსვლას ერთ-ერთ აქაურ დრაგუნთა პოლკში?

1) სავსებით ცხადია, რომ ამ პოლკებში ის არ შეხვდება მდიდარი ახალგაზრდების ისეთ საზოგადოებას, როგორებიც, საერთოდ, გვარდიაში მსახურობენ, და განსაუთორებით ლეიბ გვარდიაში. მაგრამ ყოველ აქაურ დრაგუნთა პოლკში ის იპოვის ძალიან ღირსეულ ოფიცრებს განათლებით, ჭუით, ხასიათით, რომელთა წრეშიც გიორგი სიამოვნებით იცხოვრებს. 2) შენიც და მისი ჯანმრთელობაც უფრო დაზღვეული იქნება და, ბოლოს, 3) ეკონომიკური მხარე, რაც ასეთი მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში, სულ უფრო და უფრო უკეთესად აენყობა გიორგის მომავლისათვის და სულ მარტივადაც: აქ ის ხელფასს ფიქციურად კი არ აიღებს, არამედ რეალურად; ამას მივუმატოთ მისი საკუთარი ფული 2/ათ: რუბი: და ეს თანხა სავსებით საკმარისი იქნება ოფიცრის მოთხოვნილებების მქონე სამხედრო პირისათვის. და მაშინ გიორგისთვის ჩემ მიერ მიცემული 3/ათ: რ: ყოველწლიურად მიემატება კაპიტალს, რომელიც დროთა განმავლობაში სავსებით უზრუნველყოფს ანგარიშიან გიორგის. ასეთია ჩემ მიერ წარმოდგენილი პროექტის კარგი მხარე, რომლის უარყოფასაც ველოდები თქვენგან.

მე არ მაქს განზრახული თქვენ წინააღმდეგ საყვედურის გამოთქმა ჩემდამი თქვენი უყურადღებობის გამო – აზრიც არა აქვს ამდენი საყვედურის შემდეგ – მარტო მინდა ვიცოდე, მიიღო თუ არა გიორგიმ ფისუნისგან ქირმალამა და მეტი არაფერი.

ხელმწიფე იმპერატორმა გულმრნყალებით მიბოძა წმ. ვლადიმირის I ხარისხის ორდენი, ხოლო პერცოგმა მეკლემბურლმა – ვენდის I-ვე ხარისხის ორდენი, მაგრამ თქვენ არ ჩათვალეთ საჭიროდ ჩემთვის რაიმეს თქმა, თუნდაც უბრალოდ, ნაცნობობით. თუმცა არ გსაყვედურობთ, თქვენ და თქვენი ვაჟი ყოველთვის რაიმეთი ხართ დაკავებული, ოღონდ არა ჩემით.

გიორგისთვის ვამზადებ ორ რუს კვიცს, რომლებიც ჩიტებივით ახტებიან მაღალ ღობეს. ისინი ჯერ თავისუფლად არიან, არ ვაჭენებთ, მაგრამ ეტყობათ, რომ არაჩვეულებრივი ბედაურები იქნებიან. ჩემთვის კი ვამზადებ სახელგანთქმული მერცხალას ძმას.

ხვალ მარხვას ვიწყებ; მომიტევე, ძალუა, შენ წინაშე ჩადენილი ცოდვები, სიტყვით, საქმით, რადგან ადამიანი ვარ ჩემი სისუსტეებით. ყაფლანის საყვარელი სიტყვაა. გკოცნით შენ და ჩემს ზარმაც გიორგის. გფარავდეთ უფალი ღმერთი. – წერილი დავიწყე ორშაბათს, ე. ი., 12 თებერვალს, მაგრამ, უბრალოდ, არ მაცლიან წერას. – გიგზავნი დალისტანში მოქსოვილ შალს; ის რუსეთში ცნობილია, როგორც ორენბურგული. არ ვიცი, მოგეწონება თუ არა, მაგრამ ბეჭედში გაეტევა.

ყველიერის უკანასკნელ საღამოს მაკასთან იყო ძალიან მხიარული პიკნიკი: თვითონ მაკა, ოლღა ბარიატინსკაია, მირსკი ცოლთან ერთად, მარია ორბელიანი, ლიზა ივანოვა, სალომე, კაკო, ნინა ჩოლობაევა, ბორისი, ვეისენგოფა, ლიზა მუხრანსკაია და სხვები. გერმანიისა და საფრანგეთის კონსულები ახალგაზრდა ლამაზ ბანოვანთა წრეში დნებოდნენ. არსადაა დაუკინწყარი ფისუნი. მირსკი სადილზე ტოლუბაში გახდა და დიდი იუმორით წარმოთქვამდა ჯანმრთელობის სადღეგრძელოებს. ძლივს, ძლივს დავიშალეთ დილის 5 საათზე. შენ კი, გიორგი, სად იყავი ამ საღამოს? –

მაქსიმილიან მსტენ-საკენისაღვი №3 (982)

20^{го} февр: 1879.

Барону Максимилиану Александр фондер оствен-Сакену –¹

С робостью решаюсь обратиться к вам с рекомендациою о молодом человеке, Мурадове, который будет иметь честь представиться с этим письмом. Он желает служить по ведомству вами управляемому и именно в Канцелярии. За его прекрасную нравственность я вполне ручаюсь, а о научном его образованіи свидетельствует Совет С:Петерб^{го} Земледел(ъ)ческаго Института.

Я прошу вас, Барон, взглянуть снисходительно на мою просьбу тогда только, если к поступленію его на Службу не встретите особенного Затрудненія.

მაქსიმილიან მსტენ-საკენისადმი №3 (982)

20^მ თებერვ: 1879.

ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრ: ფონდერ ოსტენ-საკენს

მოწინებით მოგმართავთ რეკომენდაციით ერთი ახალგაზრდა კაცის, მურადოვის, საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ექნება პატივი, ეს წერილი მოგართვათ. მას სურს იმსახუროს თქვენი მმართველობის ქვეშ არსებულ უწყებაში და, თანაც, სახელდობრ, კანცელარიაში. მის მაღალზნეობრიობაზე მე სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას, ხოლო მის სამეცნიერო განათლებას ადასტურებს პეტერბურლის მიწათმოქმედების ინსტიტუტის საბჭო.

გთხოვთ, ბარონო, ჩემს თხოვნას შემწყნარებლურად შეხედოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიძნელეები არ შეგხვდებათ.

ბარბარე ბაბრატიონ-ორბელისადმი №82 (983)

21 Февр: 1879. Тифл.: в Петерб:¹

Мой друг варвара! Наконец, пришло вчера твое письмо от 11^{го} февр: вместе с Депешею. Слава Богу! Вы здоровы, а я очень и очень мучился, не имея известий о вас.

Скажу откровенно, это письмо удивило меня своею неожиданностью. Гм! вы пишете «Георгий хочет поступить в Академию, потому² что, я этого желаю и еще потому, что его товарищи поступают тудаже.» Но где же сам Георгий, т: е:, его горячее желание, его добрая воля, его настойчивость вступить в Академию? – Неминутная ли вспышка увлечения, после которого всегда следует охлаждение, а потом и отвращение к делу, к которому Сердце не лежит. Ты допроси его, потому что в прошлом году

на мой Совет, Георгій выразил нежеланіе. Но, если теперь, по здравом размышлении, он решился и намереніе его непреложно, Дай Бог! Пусть идет, но только твердо, упорно, без оглядки, по дороге им избранной, которая наверно ведет к лучшему. Грешно Зарывать талант, дарованный Богом. В чёмже затрудненіе? В Орбеліановской лености, которую нужно отбросить в сторону, чтоб докончить изученіе тех предметов, которые несовсем новы для Георгія, а при его умственных способностях, это даже и несоставит труда. Вся трудность не в Академіи, а преодолеть леность, и больше ничего.

Что же касается твоих стенаний о издержках, сопряженных с новым вашим передвижением, скажу только, жаль, что в письме не приложили счета; я бы теперь же мог ответить, в какой степени я могу оказать вам помошь. Итак, постараитесь скорей прислать приблизительный счет.

При этом невольно припомнил я Немецкую пословицу: Лишьбы желаніе было, а плов³ можно кушать обеими руками. Так и в этом деле, лишьбы вы с крепким сердцем пожелали установиться, всё, самособой уладиться, устроиться. – При мне служили офицеры Генер: Штаба и вам очень знакомые: Капгер, Радецкій, Окольничій, Астафьев; Они были очень бедны, точно также, как Томич. Казбек, Кишишев, Шаликов, тут братья Комаровы. Как они поступили в Академію и чем они жили в томже Петерб?: При стремлениі к такой важной цели, надо только немногого, немногого, забыть сіяніе Княжества и блеск Лейб Гусарства, больше ничего, и тогда всё установиться в порядке. Затрудненія непреодолимы только при нежеланіи преодолеть их, или при слабом характере. Сколько раз я уходил в поход, имея только 6 абазов в кармане; И ничего, ходил и возвращался здоровым после шести, семи месяцев. Георгій уже достаточно познакомился с Кавалерійскими Конюшнями, пусть знакомиться теперь со стенами Академіи.

Впрочем, зачем откладывать решеніе этого вопроса насколько касается меня. Я забыл, это у меня храняться деньги Георгія 15/т: р:, из них, если оторвать 2/т: и послать к вам для единовременных ваших расходов, будетели довольны? Я обязуюсь, что эти деньги, современем, будут мною же пополнены. Более не могу и не требуйте. Кроме того, Георгій небудет нуждаться в лошадях и в издержках на них. Мне кажется, и ты моглабы покойно оставаться в Царском, а Георгій, с одним, или даже двумя из своих товарищей, могбы нанять квартиру, где им и заниматься былобы охотнее, чем одному, и притом экономнее: один учитель может учить двух, трех, разом.

Таков мой взгляд за три тысяча верст, а там, на месте, вам лучше знать.

Моя матушка Варвара! Я всё сомневаюсь, и потому прошу тебя откровенно сказать мне, по добройли воле Георгій желает вступить в Академію? Какбы там небыло, а я вас обеих целую и благословляю. —

Жду ответа, очень подробного.

Пріехал Князь Голицын с Сестрою; они славныя люди. К концу месяца ждем и Великаго Князя.

პარტარე პატრატიონ-ორგანიაციას №82 (983)

21 ടെക്നോളജി: 1879. തബില: പ്രൈത്തിനർഡ്:

ჩემო მეგობარო ვარვარა! ბოლოსდაბოლოს, გუშინ მოვიდა შენი 11 თებერვლის წერილი დეპეშასთან ერთად. მადლობა ღმერთს! თქვენ ჯანმრთელად ხართ, მე კი მეტისმეტად ვწუხდი, რადგან თქვენ შესახებ არათერი ვიკოდი.

გულახდილად გეტყვი, ამ წერილმა გამაოცა თავისი მოულოდნელობით. ჰმ! თქვენ მნერთ, „გიორგის აკადემიაში შესვლა იმიტომ უნდა, რომ ეს მე მინდა, და იმიტომაც, რომ მისი ამხანაგი-

ბიც იქ შედიან.“ მაგრამ სად არის თვითონ გიორგი, ე. ი. მისი მხურვალე სურვილი, მისი კეთილი ნება, მისი ჟინი, შევიდეს აკადე-მიაში? – ხომ არ არის ეს წუთიერი გაელვება გატაცებისა, რომელ-საც შემდგომ ყოველთვის მოჰყვება გულგრილობა, მერე კი საქმის შეჯავრებაც კი, რომელსაც გულს ვერ უდებ. შენ კარგად გამოჰ-კითხე, იმიტომ, რომ შარმან ჩემს რჩევაზე გიორგიმ უარი განაცხა-და. მაგრამ თუ ახლა, საღი განსჯიდან გამომდინარე, მისი განზრახ-ვა უცვლელია, ღმერთმა ქნას! დაე, იაროს, ოღონდ მტკიცებდ, შე-ურყევლად, უკან მოუხედავად თავისივე არჩეული გზით, რომელიც ნამდვილად უკეთესობისკენ მიდის. ღვთისგან ბოძებული ტალანტის ჩამარხვა ნამდვილად ცოდვაა. სიძნელე რაღაშია? ორბელიანების სიზარმაცეში, რომელიც გვერდზე უნდა მოისროლოს, რათა დაას-რულოს იმ საგნების შესწავლა, რომლებიც სულ მთლად ახალი არ არის გიორგისთვის, და მისი გონებრივი ნიჭის მქონე ადამიანისთვის ეს დიდ შრომასაც არ მოითხოვს. მთელი სიძნელე აკადემიაში კი არ არის, არამედ სიზარმაცის გადალახვაში და მეტში არაფერში.

რაც შეეხება შენს ჩივილს ხარჯებთან დაკავშირებით, რაც ახლავს თქვენს ახალ გადაადგილებას, გეტყვი მხოლოდ, რომ დასა-ნანია, წერილს რომ არ დაურთეთ ანგარიში; მე ახლავე შევძლებდი მეპასუხა, რამდენად შემიძლია თქვენი დახმარება. ასე რომ, შეეცა-დე სწრაფად გამომიგზავნო მიახლოებითი ანგარიში.

ამასთან დაკავშირებით უნტურად გამახსენდა ერთი გერმა-ნული ანდაზა: თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო. ასეა ამ საქმეშიც, მთავარია, მტკიცებდ გადაწყვიტო და ყველაფერი თა-ვისთვად გამოვა, აეწყობა. – ჩემთან მსახურობდნენ გენერ: შტაბის ოფიცირები, თქვენთვისაც კარგად ნაცნობები: კაპლერი, რადეცკი, ოკოლნიჩინი, ასტაფიევი; ისინი ძალიან ღარიბები იყვნენ, ზუსტად ისევე, როგორც ტომიჩი, ყაზიბეგი, ქიშმიშევი, შალიკოვი, აქ ძმები კომაროვები. როგორ მოეწყვენ აკადემიაში და რით ცხოვრობდნენ იმავე პეტერბურლში? ასეთი მნიშვნელოვანი მიზნისკენ სწრაფვისას საჭიროა მხოლოდ ცოტათი, ცოტათი დაივიწყო თავადიშვილობის ბრწყინვალება და ლეისტუსარის სიკამპაშე, მეტი არაფერი, აი, მა-შინ ყველაფერი დალაგდება. სიძნელეები გადაულახავი რჩება მხო-ლოდ მაშინ, როცა მათი დაძლევის სურვილი არ გაქვს, ანდა სუსტი ხასათი გაქვს. რამდენჯერ წავსულვარ ლაშქრობაში მხოლოდ 6 აბაზით; და არც არაფერი, მივლია და ჯანმრთელი დავბრუნებულ-

ვარ ექვსი, შვილი თვის შემდეგ. გიორგი უკვე საკმარისად გაეცნო კავალერიის საჯინიბოებს, დაე, ახლა აკადემიის კედლებს გაეცნოს.

ისე, რატომ უნდა გადავდოთ ამ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც მე მეხება. დამავიწყდა, რომ ჩემთან ინახება გიორგის ფული 15/ათ: რ., იმას რომ მოვაკლ 2/ათ: და გამოგიგზავნოთ თქვენი ერთჯერადი ხარჯებისთვის, კმაყოფილი იქნებით? მე ვიღებ ვალდებულებას, რომ დროთა განმავლობაში ეს ფული მევე შევავსო. მეტი არ შემიძლია და არ მოითხოვოთ. ამას გარდა, გიორგის არ ექნება გასაჭირო ცხენებში და მათზე საჭირო ხარჯებში. მე ვფიქრობ, რომ შენც მშვიდად შეგეძლება ცარსკოეში დარჩენა, გიორგი კი შეძლებდა თავის ერთ ან ორ ამსანაგთან ბინის დაქირავებას, სადაც მათ-თვის მეცადინებობაც უფრო სახალისო იქნება, ვიდრე მარტო, და, ამასთან, უფრო ეკონომიურიც: ერთ მასწავლებელს შეუძლია ერთ-დროულად ორი ან სამი მოსწავლე ამეცადინოს.

ჩემო ძალუა ვარვარა! მე სულ ეჭვი მეპარება და ამიტომ გთხოვ, გულახდილად მითხრა, გიორგის ნამდვილად თავისი კეთილი ნებით უნდა აკადემიაში შესვლა? როგორც არ უნდა იყოს, მე მაინც გეოცნით ორივეს და გლოცავთ. –

ველი პასუხს ძალიან დაწვრილებით.

კნიაზი გოლიცინი ჩამოვიდა თავის დასთან ერთად. თვის ბოლოს დიდ კნიაზსაც ველოდებით.

კუმისის მამასახლისისა და მოსამართლეებისადგი №1 (984)

31 თებერ: ¹ 1879²

კუმისის მამასახლისო და სუდიებო! – ოლქიაშვილი პსჩივის, რომ ამასა და გალუმაშვილსა პქონიათ საჩივარი სახლის მამულზე და თქუცი ეს საქმე გაგისამართლიათ და გადგიჭრიათ ასე, რომ გალუმაშვილი გამტყუნებულია; მაგრამ გალუმაშვილსა ხანჯალზე უჭირავს ხელი და ოლქიაშვილს არ უშვებს, რომ თავისი მამული მოიხმაროს, როგორ(ც) უნდა.

სიტყუა ისკი არ არის, რომ სამართალი გადასჭრათ და

თავი დაანებოთ, არა, უნდა კიდეც სამართალი მოიყუანოთ აღსრულებაში და დაუშალოთ მტყუანსა ავკაცობა და ძალადობა. ეს თქუცი მოვალეობა არის; თორემ თუკი სამართალი არ აღსრულდება, მაშ რაღათ არის სამართალი? – მაშინ ვისაც ძალა აქვს იმისი იქნება მამულიცა და ქუცყანაცა, და სოფელიც ვეღარ იცხოვრებს. სამართალი არის დაწესებული სამართლისათვს და არა ძალადობისათვს.

და ახლა, თუ გალუმაშვილი, მაინცდამაინცა, კიდევ ძალადობაზე იდგეს და თქუცი ბძანება იმან არ გაიგონოს, მაშინ შეადგინეთ აკტი³ და მიეცით ოლქიაშვილსა, და მერე აქ ვიპოვნით იმ სამართალსა, რომელსაცა არ შეეშინდება გალუმაშვილის ხანჯლისა.

მარია პრიუკოვსკაია-პოლიუბაკინისადმი №3 (985)

6^{го} марта 1879. Марии Васильевне Колубякиной.¹

Приношу вам искреннюю мою благодарность за то милостивое приказание, в силу которого я делаю доброе дело, принося лепту в пользу Ремесленного Училища, которому от души желаю полнейшаго процветания. При этом решаюсь покаяться пред вами: я сделался Скептиком. Много было предприятий с подобною же благотворною целью, и ниодно из них неимеет прочной жизни, так как существование его зависит от той личности, которая стоит во главе предприятия; с удалением же этой личности всё глохнет, рушиться. И в настоящем случае необходимо прежде обезпечить неприосновенным капиталом, на проценты которого, помимо Главной Личности, Училище могла бы навсегда существовать, или очень много времени потребуется для образования необходимаго капитала. Приношенимиже в 3,10 р:

мне кажется, далеко неуйдем. Впрочем, да благословит Господь Бог!

მარია პრიუკოვსკაია-პოლიუგაკინისადმი №3 (985)

6ء მარტს 1879. მარია ვასილიევნა კოლიუბაკინას.

გულწრფელ მადლობას გიხდით იმ მადლიანი ბრძანებისა-თვის, რომლის ძალითაც ვაკეთებ კეთილ საქმეს, შემაქვს რა წვლი-ლი სახელოსნო სასწავლებლის სასარგებლოდ, რომელსაც გულ-წრფელად ვუსურვებ სრულ კეთილდღეობას. ამავე დროს, გადავ-წყვიტე მოვინანიო თქვენ ნინაშე: მე გავხდი სკეპტიკოსი. ბევრი სა-ნარმო ყოფილა მსგავსი კეთილშობილური მიზნით და არცერთ მათ-განს არა აქვს ხანგრძლივი სიცოცხლე, ვინაიდან მისი არსებობა დამოკიდებულია სანარმოს სათავეში მყოფ ადამიანზე; ამ პიროვნე-ბის მოშორებით ყველაფერი ჩერდება და იშლება. მოცემულ შემ-თხვევაში, პირველ რიგში, აუცილებელია ხელშეუხებელი კაპიტალის უზრუნველყოფა, რომლის პროცენტებითაც, მთავარი პირის გარდა, შეკოლაც სამუდამოდ იარსებებდა, თორემ აუცილებელი კაპიტალის შესაქმნელად დიდი დროა საჭირო. 3,10 რუბლის შემოწირულებით, მეჩვენება, რომ შორს ვერ წავალთ. თუმცა კი, დაგლოცოთ უფალმა ღმერთმა!

პარპარე პაგრატიონ-ორგანისადმი №83 (986)

1879 Марта 19^{го} в царское село¹

Мой друг варвара! Глубоко, глубоко огорчен я смертью К² Барятинского, которого любил искренно, как человека, и как Правителя. Он, и по характеру, и по привычкам, и по широкости взгляда, принадлежал не нашему времени, а веку Екатерины великой, олицетворяя собою, и Потемкина, и Румянцова. Барин

— в высоком смысле, — барство котораго нетяготило никого, и все охотно шли состоять при нем. Подобные люди являются нечасто. Да успокойтесь Душа его. Отрадно было видеть, когда Экзарх Грузіи в походной церкви, раскинутой в Александр: Саду, служил Панахиду по усопшим Фельдмаршале, в присутствії Грузин: Дворянства, и Громадной массы народа с представителями различных вероисповеданій: Армянскій Эпископ, Католич: Прелат, Шеихульислам, Лютеран: Пастор и Муфтій, — все, все присутствовали и искренно выражали Соболезнованіе. Так, благодарный народ воздает последнее выраженіе своей признательности памяти Славнаго Правителя, котораго жизнь посвящена была благоденствію Края высочайше ему ввереннаго. Только в таких случаях и выясняется истинная Слава Человека.

Депутація от Грузинс: Двор:^{віа}, высланная присутствовать при печальной церемонії погребенія фельдмаршала: Нико Чавч:, Михаил Эристов, Вано и Александр Орбел:, Амилахвари, и сам предвод: Дворян^{віа} Сумбатов. По известіям они уже возвращаются.

Вчера пріехали Иван и Софія из Дагестана, и я истинно рад. Слава Богу, несколько оживится Заглохшая наша улица.

Его Высоч:^{во} выехал вчера в Батум, т: е: 17 марта, возвратиться сюда и потом, в вербное воскресеніе, направиться в Петербург.

Прилагается 250 р: — как здоровье моего дяди Георгія? Что он думает о своей будущности? Цалую его и тебя в голову и да хранит вас Господь Бог!

Твой Гр:²

Вчера был у меня Мачабели, и я очень рад был его видеть: очень хороший молодой человек. Он мне говорил, что и вам, и

Георгію, очень хочется навсегда пріехать сюда. Что же вам мешает? Какие у вас есть планы, скажите решительнее, и с Богом! Я никогда непомешаю вашим планам, и заранее даю свое согласие.

Князь Шаховский здесь, здоров и вместе с В: К^{ем} возвращаться в Питер.

პარპარე პატრატიონ-მრპელიანისადმი №83 (986)

1879 მარტის 19^ს ცარსკოე სელოს

ჩემო მეგობარო ვარვარა! ღრმად, ღრმად ვარ დამწუხებული კარიატინსკის სიკვდილით, როგორც ჭეშმარიტად მიყვარდა, როგორც ადამიანი და როგორც მმართველი. იგი, როგორც ხასიათით, ასევე ჩვევებით, ფართო თვალთახედვით ჩვენს დროს კი არ ეკუთვნოდა, არამედ დიდი ევატერინეს საუკუნეს, განასახიერებდა რა პოტიომჟინსაც და რუმიანცევსაც. მებატონე – ფართო გაგებით, რომლის ბატონობა არავის ამძიმებდა და ყველა სიამოვნებით მიდიოდა მის სამსახურში. მსგავსი ადამიანები ხშირად არ იბადებიან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. სასიამოვნო საყურებელი იყო, როგორ ატარებდა საქართველოს ეგზარქოსი განსვენებული ფელდმარშლის პანაშვილს ალექსანდროვის ბაღში მდებარე ეკლესიაში, სადაც თავი მოეყარა ქართველ თავადაზნაურობასა და უამრავ ხალხს, სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს: სომეხ ეპისკოპოსს, კათოლიკე პრელატს, შეიხულისლამს, ლუთერანელ პასტორს, მუფთის, – ყველა, ყველა ესწრებოდა და გულწრფელად გამოხატავდა მწუხარებას. ასე გამოხატავს მადლიერი ხალხი დიდებული მმართველის ხსოვნისადმი პატივისცემას, რომელმაც თავისი ცხოვრება შესწირა მისი რნბუნების ქვეშ მყოფი მხარის კეთილდღეობას. მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ვლინდება ადამიანის ნამდვილი სახე.

ფელდმარშლის დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიაზე დასასწრებად წარგზავნილი იყო ქართველი თავადაზნაურობის დეპუტაცია: ნიკო ჭავჭავაძე: მიხეილ ერისთოვი, ვანო და ალექსანდრე ორბე-

ლიანები, ამილახვარი და თვით თავადაზნაურობის წინამდლოლი სუმბათოვი. როგორც იტყობინებიან, უკვე ბრუნდებიან.

გუშინ დაღისტნიდან ჩამოვიდნენ ივანე და სოფიო და მე ნამ-დვილად მოხარული ვარ. მადლობა ღმერთს, ცოტა გამოცოცხლდე-ბა ჩვენი მიყრუებული ქუჩა.

მისი უმაღლეს გუშინ ბათუმს გაემგზავრა, ე: ი: 17 მარტს. აქ დაბრუნდება და მერე, ბზობის კვირას, პეტერბურლს გაემგზავრება.

თან ერთვის 250 რ:, – როგორ არის ჩემი ბიძია გიორგის ჯან-მრთელობა? რას ფიქრობს თავის მომავალზე? გკოცნით მას და შენ თავზე, გფარავდეთ უფალი ღმერთი!

შენი გრ:

გუშინ ჩემთან იყო მაჩაბელი და მე ძალიან გამიხარდა მისი ნახვა: ძალიან კარგი ახალგაზრდაა. მითხრა, რომ თქვენც და გიორ-გისაც ძალიან გინდათ აქ ჩამოსვლა სამუდამოდ. რა გიშლით ხელს? რა გეგმები გაქვთ, თქვით უფრო გადაწყვეტით და ღმერთი იყოს თქვენთან! კა შახოვსკი აქ არის, ჯანმრთელადაა და დიდ კნიაზთან ერთად დაბრუნდება პეტერბურლს.

გიორგი მოხალისადმი №2 (987)

26^{го} марта 1879 г: Тифлис в Царское Село.¹

Мой друг и дядя Георгий! Твое дело с детьми покойного Александра о уничтожении некоторых пунктов Завещания, оказавшихся, и незаконными, и слишком невыгодными для тебя, – его наследника, – не получает до сих пор окончания, потому, что Старший Нотариус только теперь усмотрел, что в доверенности, данной тобой Михайлу Месхиву, недописаны некоторые слова, необходимые для окончания этого дела. Поэтому прилагаю здесь готовое доверительное письмо, которое ты должен подписать, а нотариус засвидетельствовать твою подпись. – Постарайся, ради

Бога, как можно скорее возвратить эту бумагу, чтобы развязаться с этим несносным делом.

Теперь целую тебя и мою матушку Варвару, поздравляю с светящим Праздником и благословляю на многіе, многіе таковые Праздники.

Искренно – любящій вас...²

Иван и Софія пріехали навремя из Дагестана, а Шереметьев из Петербурга и встретился старинным другом Иваном и припомнили они свои старин(н)ые кутежи на Вере в саду у Покро Николаевича.

ՑՈՐԾՑՈ ԹՐԱՇՈՒԱՅՈՆՍԱԳՑՈ №2 (987)

26^ւ մարտս 1879 ն. տօնլուսութ ցարսկոյ սելոս.

Ի՞շմո մեցօքարոն դա ծոփօ ցոռորցի! Շենո սայմե ան ցանչցենց-ծյլո ալլեյսանձրյես վզոլլեծտան անգըրծիս րամճենիմյ პյոնյթուս ցայմեծածյ ալմորինդա յաբանօնոն դա մալլից դամաժարալլեծելո Շեն-տապուս, – մոխո մեմշագութունուսութապուս, – յէր կուցը ար արուս դախորշուլո, րագցան յոցրուսմա նորդարուսմա մեղոլուդ աելա ալմորահինճ, րոմ Շեն մոյր մոխեոլ մյսենուզուսատապուս մուցեմյուլ մինճոնծոլունամո նոցը սութ-պյա, ռոմելուց այլունեծլագ սաֆորուս ամ սայմուս դասախորագ, դայմ-տավրցելուա. ամուգոմ ներուլս վարտազ ցամիացեծյուլ մինճոնծոլունաս, ռոմելուսաց Շեն յնճա մոանցըրու ելու դա նորդարուսմա յնճա դա-ամոնմուս Շենո ելումոներա. – լատուս ցուլուսատապուս, ցուագը, րաց Շե-ունցեծա, մալլե դաածրունոն յը յալալլու, րատա դացամուացրուտ յը այ-դանցը սայմե.

Աելա ցոռունութ Շեն դա իշմե մալլուս վարցարաս, ցոլուցաւու ծրնցունցալլու գլուսասնայլուս դա ցլուցաւու, րոմ ծեցը, ծեցը ասցու գլուսասնայլուս դասնընցեծոցը.

გულწრფელად თქვენი მოყვარული...

ივანე და სოფიო დროებით ჩამოვიდნენ დაღესტნიდან, შერე-
მეტიევი კი – პეტერბურღიდან. ძველი მეგობრები შეხვდნენ ერთმა-
ნეთს და გაიხსენეს თავიანთი ახალგაზრდული დროსტარება ვერის
ბალში ფოხრო ნიკოლაევიჩთან.

პარპარი პატრატიონ-მრპელიანისადმი №84 (988)

19^{го} Апр: 1879.: В Царское Село из Тифлиса

Мой друг Варвара! Только три дня, как я стал выезжать на прогулку после болезни, постигшей меня тотчас за известием о злодейском покушении на жизнь нашего Великодушного Государя. При этом печальном известии, я вскочил и стоял² долго, долго, без слов, без мысли. После обеда 3^{го} Апр; я уже лежал больной и только теперь я начинаю оправляться: но всё еще слаб.

Каковы должны быть благотворные плоды учения того сильного Учителя, который, сам будучи воспитан в Сатанической Злобе противу человечества, – желая убийством Царя произвесь Смуты по всей Россіи! Безумец, забыл страшную Силу Топора Русского мужика, которая кроваво прошиблы от Оренбурга до Петербурга, и первыя головы, которые слетелибы с плеч, былибы Головы таких интелигентных учителей Проповедников убийства, и тогда установилось бы тёмное, кровавое царство мушников и закрыласьбы Россія от просвещенной Европы, для Науки, для искусства, для всего того, что возвышает человека духовно, и облекласьбы Матушка–Россія непроницаемым мраком варварства на столетія.

Представьте пошлую наглость преступника, сказавшего «я отдаю себя суду потомства». Хорошее будет то потомство, кото-

рое станет рукоплескать Гнусным убийцам. Да в течении 7/ты: лет ниодин из убийц не был благословляем Потомством.

გუშინ უენევიდან მომივიდა ტასო ოკლობუის წერილებიც. მისი ქმარი ცხელებით იყო ავად, ქალიშვილები კი მოწყენილნი არი-ან. ვაშაა თბილის! მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ წელს საზღვარგა-რეთ ცხოვრება ძალიან ძვირია.

სალომე ახლა უკვე თქვენთანაა, ცარსკოე სელოში. მას და
ბარონ მაქსიმ: ალექსანდრ: ჩემს გულწრფელ პატივისცემას მოვახსე-
ნებ.

გახარებული თქვენი წერილებით საღამოს მივდივარ მირსკებ-
თან.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისაღმი №89 (1001)

20^{го} Июня. 1879 Тифлис.¹

Благодареніе Богу! Наконецто я получил твое письмо, мой друг варвара. В письме сказано: «Георгій хорошо здал экзамен в высшій Спеціал: класс и я успокойлась, а в Августе будет здавать экзамен по общему Гимназ: Курсу». Откровенно сознаюсь, я несовсем ясно понимаю значение этих слов. Разве экзамены начинаются с конца и переходят к началу, т: е: прежде уравнение 2^{ой} степ: и Логика, а потом Арифметика, или Азбука? Нет, здесь чтото неладно. Впрочем, быть может, я и ошибаюсь, в особенности, когда ты так успокойлась, ну и Слава Богу! Значит, ты счастлива. А я, что делать, грешен, не совсемто спокоен этим откладываніем до Августа.

Посылаю 300 р:² и целую тебя с Георгіем. Говорят, Минерва родилась в Августе. Так должно быть: мудрость немогла родиться в ветрянном Апреле, или в веселом мае. Зачем же экзамены назначены в этих месяцах? Поставьте же свечку пред образом Минервы, да даст она Георгію в Августе как-нибудь клочок из своей Мудрости. Много ученых людей носили имя Августа; один только Эристов называется Реваз Апрель! Зачем же экзамены в это время? –

პარკარე პატიონ-ორგელისადმი №89 (1001)

20^ს ივნისს. 1879 თბილისით.

მადლობა ღმერთს! როგორც იქნა, მივიღე შენი წერილი, ჩემო მეგობარო ვარვარა. წერილში ნათევამია: „გიორგიმ კარგად ჩააბარა გამოცდა უმაღლეს სპეციალურ კლაში და მე დავმშვიდდი, აგვისტოში კი გამოცდას ჩააბარებს ზოგადი გიმნაზიის კურსში.“ გულწრფელად ვაღიარებ, რომ მთლად ნათლად არ მესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. გამოცდები იწყება ბოლოდან და გადადის დასაწყისზე, ანუ, ჯერ მეორე ხარისხის განტოლება და ლოლიკა და მერე არითმეტიკა და ანაბანა? არა, აქ რაღაც არასწორია. თუმცა, შეიძლება ვცდები, მით უმეტეს, როცა შენ ასე დამშვიდდი, ასე რომ, მადლობა ღმერთს! გამოდის, შენ ბედნიერი ხარ. მე კი, რას ვიზამ, ცოდვილი ვარ, მთლად მშვიდად არ ვარ ამ გადავადებით აგვისტომდე.

გიგზავნი 300 რ-ს: და გუოცნი შენ და გიორგის. ამბობენ, რომ მინერვა აგვისტოში დაიბადა. ასეც უნდა იყოს: სიბრძნე ვერ დაიბადებოდა ქარიან აპრილში, ან მხიარულ მაისში. რატომ არის დაგეგმილი გამოცდები ამ თვეებში? აანთეთ სანთელი მინერვას გამოსახულების წინ, დაე, მან აგვისტოში გიორგის უწილადოს ნაგლევი თავისი სიბრძნიდან. ბევრი მეცნიერი ატარებდა აგვისტოს სახელს; მხოლოდ ერთ ერისთოვს ჰქვია რევაზ აპრილი! რატომ არის გამოცდები ამ დროს? –

ილია ჭავჭავაძისადმი №3 (1002)

ჩემო ბატონო,
კნიაზო ილიავ.

დავჰერდი და შევუდევ სულის გზასა; ვჰეკითხულობ დავითნსა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვკი, რომ თქუცნვე წაუკითხოთ ჩემს ულმობელს კრიტიკოსსა კნე: ოლღასა; თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ

კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ასე რომ მაგ ლექსის
სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენელად.

ფსალმუნით.¹

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰერობენ ანგელოზნი ღ~თისა² დიდებას?...
– სულითა წრთელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხუად,
და სიყუარულით შეიწყალა ცთომილი ვნებით;
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობსრა მისს შუქს, ფუჭ-
წარმავალსა; ...
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა წელი და აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა
ღ~თისა³ დიდების გალობითა, ნათელ მოსილი!
თქუცინი მარადის ბედნიერების მსურველი
თ⁴ გრიგოლ ორბელიანი

25^ს ივნისს 1879.⁵

ანასტასია ორბელიან-ოპერატორსადმი №8 (1003)

1879 ტაბახმელა. კათათვის¹

ჩემო გულით საყუარელო დაო ტასო! ადრევე მოგართვი
წერილი კარლსბადში იმ ადრესით, რომელიცა მომცა შენმა
დამ სოფიომ და ჰსჩანს, რომ დაკარგულა და არმოგსვლია. შენ კარგად იყავ, მაგრამ მეწყინაკი, რადგანაც ბევრი, მეტად
ბევრი აქაური ჭორები იწერა; შემდეგ დიდად დაცხა და ჩუცნ-

ცა შეუდეგით აყრა-დაყრასაა. ძალუა ქეთევან და მისი ტასო გაბუტებულნი არიან იმაზე, რომ კიდევ ტაბახმელას ამოვიდნენ და ხშირად ოხრვით ამბობენ „ეეჲ, ნეტავი იმათ!!!“ ეს სიტყუა სულ შენზედ არის, რომ სადაც გინდა იქ წახვალ, და ესენიკი წავისს და ტაბახმელას ვერ გაჰსცილდენ. ამათ წუნუნს თავი დავანებოთ, და აი ახალ-ახალი ამბავი:

ისრაჭილ ბეგის შვილმა, რომლისაც ქორწილი იყო დიდკაცური, იმავე ქორწილის ღამეს, თავი დაანება ცოლსა და გაიქცა ბორჩალოში, უარს ამბობს, არ მინდა ცოლად ამისთანა ბაიყუშიო! და ახლა, შენ წარმოიდგინე ის განხეთქილება, ის მტერობა, რღლიცა² ჩამოვარდა ამ ორთა სახლობაში, გუარეულობაში! ერთის მხრით საბრალო ისრაჭილ ბეგ, [მ]ეორე-დამ მთლად ყარაბალის ხანის გუარობა და ნათესაობა. – მამა ეუბნება „შვილო რათ მირბიხარ? ახლა ვინც გიყუარს და გინდა, ისიც შეირთე, ვინ გიშლის?“ და არის ეს საქმე ასე, მანამ, როგორცა ამბობს შენი და სოფიო, ელიჩკა დაბრუნდება. – ეს საიდუმლოა.

მაგრამ ყველაზე უკეთესი არის ანგარიში შენის დისა: თორმეტს ოთახს ავაშენებ სამასს თუმნად, ზევით ეტაჟაში მე დავდგები, ქვეითსა მივსცემ ქირით სამოც თუმნად!“ და არის ეხლავ ამ სიხარულში, რომ ვალებსაც გადინყვეტს სამს წელი-წადში და სახლიც მუქთად დარჩება! – და ჯერკი მუშაობაც არ დაუწყვია.

კოჯორში არიან ობლად მირსკიანნი, რადგანაც მათი ქალები მათის ბაჭყალებით წავიდნენ ამ ზაფხულს ბელიკურებისა; კოჯორსავე არიან აპპაჩინიანნი.

იყო აქა ჩუცნი ივანე, რღლსაცა³ შეხუდნენ აქავე ნიკო, ვასტენ, შერემეტიევი, გიგო, ისაკ, ჩუცნ და ნახევარი ქალაქი და შეიქნა ჰაიშარა. ზურნა, მუზიკა, საზანდრები, სადილვახშები, პიკნიკები, ორთაჭალას, სანსუსსში, ვერაზე, კინღრუსტში ფოხრო ნიკოლაიჩისას. ნიკო წამოვიდა თქუცნკენ, ივანეც გაემართა დალისტანში და დამშვიდდა, და დაყრუვდა ქალაქიცა.

ამასთანა ზედდაერთო სიცხეცა, და წავიდა-წამოვიდა ხალხი აქა იქ; ჩუმშნცა აქ ამოვახნიეთ, და დარჩნენ თბილისში შენი საკუთარი ისაკ და კიდევ ელიჩკას საკუთარი ლუკა სტეფანიჩი. ღ~თმან⁴ უცოცხლოს, კარგი ვკუსია.⁵

ძალუა ელისაბედს აქუს წირვა კუმისში, სადაცა არის მიწვეული ცხრა სოფელი. – ეს ძალიან ჰსნინთ შენს რძლებსა, და აქუსთ დიდი ყრილობა, და ამაზე ლაპარაკი სოფიოსას.

გაჩნდა ამ ქუმყანაში საზარელი კალია, რ~ლმანცა⁶ მოჭამა ყარაბალი, განჯა, შამშადილი, ყაზახი, გადმოვიდა და მოჭამა ჩუმშნი სოფლები, ასე რომ საძოვარი ბალახიცკი ვერ მიშოვნია ერთის ცხენისათვს, რომ ხანდახან ავიდე კოჯორსა. აქედამ წავიდა კალია და კასპამდის შეჭამა მთლად სოფლების მინდვრები და მოსავალი.

შენმა წერილმა მილანიდამ⁷ გულით, სულით, გამახარა. ვჰმადლობ ღ~თსა⁸ ჩემის საყუარელის ივან დიმიტრიჩის მშვიდობიანად მორჩენისათვს; მაგრამ ქალები რომ არა ჰყოლოდით, უფრო კარგად მორჩებოდა. ჩამიკოცნე, ჩამიპროშტე. კარგად და კარგად. – გეყოფათ, კარგია, მაგდენი ტანტალი. რით ვერ შეიტყეთ, რაც ვენა⁹ არის, ის არის პარიუიც,¹⁰ მილანიც,¹¹ უენევაც,¹² ბერლინიც,¹³ რომიცა.¹⁴ განსხუაება არის ისა, რომ ზოგი დიდია, ზოგი პატარა, და უენევაში არის ტბა, როგორცა ჩუმშნის კუმისში. – პარიუში არის ტულიერ,¹⁵ რომში სობორო პეტრეპავლესი.¹⁶ მილანში¹⁷ თეატრ. სკალა,¹⁸ სულ დიდროანნი შენობაები, და რა უყოთ? მაგაზეინებიც ერთი და იგივეა. გეყოფათ, წამოდით. აქედამ მილანამდის იარე, იარე და კუმისის ლელვიკი ნახე; აბა რას დაბიხარ ტყუილად?

წამოვიდა თქუმშნკენ ივანე მუხრანსკი ცოლითა, მიხეილის მუხრანსკის შვილი, რ~ლმანცა¹⁹ შეირთო ბაბოს ქალი, ესენიც წამოვიდნენ; ამიროვი, შაქრო ჯორჯაძე, რ~ლმანცა²⁰ შეირთო ირაკლის მუხრან: ქალი; ონიკოვიცა, მაგრამ ამბობენ ზღვისა შეეშინდა და დაბრუნდა კისლოვოდსკში; ღენერ: ტერლუქაზოვი, და სტაროსელსკი ორის ქალითა, და სხუანი. –

ამ ახლოს ხანში დამარხეს ღენერალი გაპრიელ ივანიჩი ყორლანვი. ლაზარევის ოტრიადიდამ ჯერ არა ისმისრა; სულ ემზადება.

ტაბახმელა, ოჟ, ოჟ, რა ტაბახმელაა, ამისთანა ტაბახმელა რომ ქუცყანაზე არარის!! ამისი ჰაერი, ამის წყალი უკუდაებისა, ამის გადასახედავი! აგერ ყაზიბეგი, აი მთა ბორბალო, აიქ შილდის მთა, აი ემანდა ყარაია და დედუფლისწყარო, თითქოს სულ მე მეკუთვნის, სულ ჩემი იყოს! აბა, შენ სად დარბიხარ და დაგყავს ეგ ავათმყოფი ქმარი? –

ელიჩკას, ნინაჩკას ჩავჰკოცნი.

სოფიო ერისთავ-ორგანიანისადმი №8 (1004)

11 ივლისს ტაბახმელა 1879 კნეინა ორბელიანისას.¹

ჩემო საყუარელო დაო-ძალუავ სოფიო! შენ დამასწარი და მივიღე, ჩემის გულის გასახარებლად, შენი წერილი კარალეთიდამ. ვჰ[მად]ლობ ღ~თსა,² რომ ნელნელა გემატება ღონე და უკეთესობაში მიდის შენი სიმრთელე. – აგრეა, დიდი ძალი აქუს მშობლიურსა ჰაერსა. მე რუსეთიდამ მოველ სრულიად დაჭლეულებული; მამარჩინა მხოლოდ ჰაერმა. – ივანესათვის ნუ ჰსნუხარ, ღ~თი³ არის მფარველი მისი და მასთან ჩუცნიცა; არ დაგუაგდებს იგი უნუგეშოდ! მჰრნამს, რომ კიდევ გვეღირსება ერთად ყოფნა, და რწმენა ესე მიმაგრებს გულსა, მიმატებს სიცოცხლის ძალსა. ეს იმედი რომ არა მქონდეს, ვერცა გავჰსძლებდი.

სიბერის ძალით შევიქენ ზარმაცი, შევიძულე წერა; ეს იყო მიზეზი, რომ აქამომდის დავპრჩი ასე და ვერ მოგწერე; ამასთანა ვარ ქართველი „დღეს ვერ მოვასწარ, ხვალკი ადრიან, დილით მივსწერ“ და ასე მიდის დღეები, თვეები. – ახლა აქ ტაბახმელას ამოველ, რ~ლისა⁴ მშვენიერი, გამაცოცხლებე-

ლი ჰერი და წყალი უკუდაებისა, მეცა მაღვიძებენ სიცო-
ცხლისათვს, და აი შეუდეგ ამის წერასა!

მე ასე არ დავპტერდებოდი, ... და დამაბერა მხოლოდ იმ
შემაწუხებელმა ფიქრმა, რ~ლიცა,⁵ ჩემ სატანჯავად, დღედა-
ლამ განუმორებელია ჩემგან, ვპხედავრა ასე საშინლად დაცე-
მასა, განყალებასა საზოგადოდ მრთელის საქართველოსი და
განსაკუთრებით ჩუმინის გუარისა, რ~ლისა⁶ აღდგენა, თუ არა
ვითარისაგამე (sic) სასწაულითა, ყოვლად შეუძლებელია.
თითქოს განგებ ამასა ვპსცდილობთ, რომ მალე დავაქციოთ
ჩუმინი სახლი, და ასე გულს-მოდგინებით მუშაობს მრთელი
საქართველო და მიდის შეუყუნებლივ ამ დალუპვის გზაზე!
მაშ რა არის ესა, თუ არა ზეგარდამო მოვლენილი რისხუა,
წარღუნა, რ~ლისა⁷ ალელებულმა ტალღამ უნდა შთაპნოებას
ჩუმინი, ოდესმე, კარგი თავად-აზნაურობა, რ~ლისა⁸ გასაოცე-
ბელმა მამაცობამ, სარწმუნოებისათვს თავ-შეწირულობამ და
მამულისა სიყუარულმან, ათასის წლის ბრძოლაში, მარტოდ
დამდგარმან ხმალ-ამოღებული, მოპირდაპირედ მრთლად აზი-
ისა. – არა გადუშვა კავკასიის იქით მაპმადიანობა და მით
დაიცუა მაშინდელი რუსეთიცა და თკო ევროპიაცა გაოხრე-
ბისაგან და ქრისტიანობაცა ამოწყვეტისაგან. საქართველოს
ღუაწლი ჯერ ისტორიას ვერ აუწონია ღირსეულად.⁹ – ახლა,
ნუთუ მართლად ჩუმინ ვართ შვილნი მათნი? რა დაგვემართა,
რა მოხდა, რა უხილავი მიზეზი აღმოგვიჩნდა, ჩუმინდა საუბე-
დუროდ, რომ ასე საზოგადოდ ვიღუპებით სწორედ იმ დროს,
როცა გარეშე მტერი აღარ არის ჩუმინთვსა? – ყოვლის მხრი-
დამ, ყოვლის სახლიდამ, მოისმის მხოლოდ ხმა ვაებისა და
კვნესისა; სიგლახაკემ მიახნია უკანასკნელს ხარისხამდის, და
სად არის გამომხსნელი ჩუმინი? – ეს არის ის საზარელი ფიქ-
რი, რ~ლიცა¹⁰ მანუხებს, მანუხებს და მაპერებს. – ნათესავნი,
მეგობარნი, ნაცნობნი, ცრემლით, ხვეწნით გვეძახიან და ...
ვერ მივშველებივართ! გარეშემო ვაებაში ვიღას იამება სიცო-
ცხლე?

დალუპვის ჟამსა კაცი ჩალას ებლაუჭება; ჩუტინცა ეგრე-
თუც შეუდეგით უკანასკნელს ღონისძიებას, პრიკაზის ვალი-
საგან განთავისუფლებას, და გუაქუს იმედიცა, რომ ყოვლად-
მოწყალე ჭელმწიფე არ დაგვიტევებს უნუგეშოდ. ამ საგანზედ
იყო კიდეცა შედგენილი თბილისში კამისია, პეტერბურლიდამ
მოსულის ჩინოვნიკის თანადასწრებითა. ამ კამისიაში აღმოჩ-
ნდა სამი ჰაზრი შესახებ პრიკაზის ვალისა: 1) ეპატიოს მხო-
ლოდ შტრაფი: სარგებელიკი მიემატოს თავნისა და ეს ვალი
განიწილოს 47 წლად; 2) ეპატიოს შტრაფიცა, შეუტანელი
სარგებელიცა და მხოლოდ თავნი განიწილოს 37 წლად, სამის
პროცენტითა სარგებელი, და ერთიცა თავნის გადასაწყვეტი;
და 3) ეპატიოს თავნის გარდა ყოველივე, და ნადელის ფული
მიიღოს ხაზინამ თავნის გადასაწყვეტიდ. მაგრამ ჩუტინმა დე-
პუტატებმა გადაწყვეტით წარმოჰსოჭუცის, რომ ჩუტინ არავი-
თარისამე ვალის გადახდა არ შეგვიძლიან. ჭელმწიფე იმპერა-
ტორმა გვიწყალობოს ბრძანებითა, რომ პრიკაზის ვალი სრუ-
ლიად მიიღოს ხაზინამ იმ მიზეზების პატივდებითა, რომელ-
თაგამო დვორიანსტვო ჩავარდა ამ გამოუხსნელს მდგომარე-
ობაში! ამაზედ დაბოლოვდა. ახლა ღ̄ თი¹¹ და ბედი საქართვე-
ლოსი! ველიკი კნიაზი, მირსკი, არიან თავგამოდებული ჩუ-
ტინს და ვნახოთ.

მაგრამ, ჩემო სოფიო, გულის სიმწარით გეუბნები, რომ
ჩუტინმორის არიან ისეთნი პირი, უსულონი, უგულონი, რ ღ-
ნიცა¹² მკითხავდენ „მე რაღას მომცემენ, პრიკაზში რომ არამ-
მართებსრა?“ მე უპასუხე, შე უსჯულოვ, შენი ძმა ტყვეობი-
დამ რომ გამოიხსნან, არ გიამება? – და ან შენი რა დასაკლი-
სია, რომ ჭელმწიფემ უწყალობოს ვისმე რამე? ჩემო სოფიოვ,
საქართველოში ჯერ ისევ ბნელა.¹³

12 ივლისს.¹⁴

დღეს ძალუა ელისაპედ წავიდა კუმისს და თან-გაპუუ-
ნენ ჩუტინი ძალუები ყაფლანისათვის, ჩემის საყუარელის ძმისა

და მეგობრისათვის წირვის გადახდენად. მე ვერ წაველ, არშე-
მიძლიან, საშინელი სიცხვებია; იფიქრეთ, ტაბახმელას 26
გრად: ჩრდილში. – შენც ძალიან კარგად ინებე, რომ არნა-
მოხველ, ძალიან შეწუხდებოდი.

ამ თვის 25 მოელიან ბორჯომსა ველიკის კნიზაა და
ოკდომბ: ველიკის კნეინასა(.)

აღარ მახსოვს, გითხარ თუ არა, რომ კნ: მირსკიმ მიპა-
სუხა „ივანეს გადმოყუანა ძნელი არ არისო, მაგრამ ისოდენი
ჯამაგირი აქ არ მიეცემაო.“) – ვნახოთ; მოითმინოს, ეგებ რა
აღმოჩნდეს აქ ადგილი კარგის ჯამაგირითაო.

ჯერ კოჯორშიაც ვერ ავსულვარ, ასეთი გაზარმაცებუ-
ლი შევიქენ.

ღ~თი¹⁵ იყოს შენი მფარველი, ჩემო საყუარელო სოფი-
ოვ, ნუდამივიწყებ.

პარკარე პაგრატიონ-ორგანიანისაღვი №90 (1005)

20^ე იЮля 1879. Табахмела. В Царьское Село.¹

Мой друг Варвара! Письмо твое от 5^{го} Июля говорит мне
всё еще о слабости твоего здоровья и о разстройстве твоих фи-
нансов. Боже мой! Зачем мучить себя? Кому полезны твои доб-
ровольные страдания от Петерб^{го} Климаты? Пойми, моя Матуш-
ка, что в Петерб^е не возстановляются, ни разстроенные финан-
сы, ни разстроенное здоровье. Если ты не забыла, я, вначале же
предсказывал тебе всё это, но теперь напоминаю эти также без-
полезны. Посылаю 600 р:, из коих тебе принадлежит 350. И Дай
Бог, чтоб этим возстановилось твое здоровье.

Живу в Табахмеле; правда, дом Лизы Мухран^{оій} очень,
очень, ветхий; едва держиться; пол, стены с трещинами; но, воз-
дух, воздух Табахмельский – чудо красоты! Его свежая, чистая,

живительная струя летит к нам прямо из Ледников Казбека и мы, с жадностью пьяницы, пьем эту струю и чувствуем, что пьем здоровье, силу, веселіе, и становиться легко, легко на душѣ; и являются давно забытыя желанія: хочется гулять, хочется петь, хочется быть в обществе красивых дам, словом, самое приятное настроеніе духа! И нет никакой претензіи на то, что дом очень стар. Вот здесь, именно здесь, твое выздоровленіе, а не микстуры и пилюли, с важностью предлагаемыя Докторами.

17^{го} я был в Коджори на открытие Ротонды; музыка, танцы, ужин, продолжались за полночь. Я ночевал у Мирских, которые, как сироты, остались теперь одни: Майко и Ольга с детьми проводят лето на Белом Ключе, где Полковым Команд^{:ом} К: Барятинскій. Любопытно видеть Ольгу в лице Матушки-Командирши.

В Коджореже я был у Графини Лорис. Она мало изменилась; дети ея очень хорошо выдержаны; старшій сын, Паж, мне очень понравился; старшая дочь с музыкальным талантом.

Великаго Князя ожидаем к концу месяца.

От Лазарева нет еще особых известій; досих пор он только готовился. Представь себе отряд, в котором до 20/т: верблюдов! Это напоминает мне баснословную Поэму, Караманіани,² в которой описывается война в древней Индіи. – Полагаю, что в скором времени начнется наступательное движение Текинского отряда. – Боюсь, чтоб Голицын не пострадал от страшных жаров в безводной пустыне.

Бедный Вастен разбит параличом.

Цалую дядю Георгія. Как он справляется с Эскадроном? Скажи ему, чтоб он не слишкомто важничал: Наполеон, в его лета, уже командовал Итаянскою Армією. Когдаже Чин Ротмистра? – Цалую тебя, мой друг, и молю Бога, да хранит Он вас обоих везде. –

Здоровыли в Москве твои родные? – Кетевана и Тасо искренно посылают свое почтеніе.

Опочинины также в Коджоре и все здоровы; Я и Джорджадзе обедали весело у них.

ბარბარე პატიონ-ორგელიანისადგი №90 (1005)

20^მ ივლისს 1879. ტაბახმელით. ცარსკოე სელოს.

ჩემო მეგობარო ვარგარა! შენი 5 ივლისის წერილი ისევ შენი სუსტი ჯანმრთელობისა და გაუარესებული ფინანსების შესახებ მამცნობს. ღმერთო ჩემო! რატომ იტანჯავ თავს? ვისთვისაა სასარგებლო შენი ნებაყოფლობითი ტანჯვა პეტერბურლის კლიმატით? გაიგე, ჩემო ძალუავ, რომ პეტერბურლში არც გაუარესებული ფინანსები აღდგება და არც მოშლილი ჯანმრთელობა. თუ არ დაგვიწყებია, თავიდანვე გინინასწარმეტყველე ეს ყველაფერი, მაგრამ ახლა ეს შეხსენებებიც უსარგებლოა. გიგზავნი 600 მანეთს, საიდანაც 350 შენ გეკუთვნის. ღმერთმა ქნას, რომ ამით აღდგეს შენი ჯანმრთელობა.

ვცხოვრობ ტაბახმელაში. მართალია, ლიზა მუხრანელის სახლი ძალიან, ძალიან დანგრეულია, ძლივს დგას; იატაკი, კედლები გაბზარულია; მაგრამ, ჰაერი, ტაბახმელის ჰაერი მშვენიერების სასწაულია! მისი სუფთა, წმინდა, გამაცოცხლებელი ნაკადი პირდაპირ ყაზიბეგის მყინვარებიდან მოქრის ჩვენენ და ჩვენ მთვრალის სიხარბით ვსვამთ ამ ნაკადს და ვგრძნობთ, რომ ვსვამთ ჯანმრთელობას, ძალას, მხიარულებას და უფრო და უფრო სიმსუბუქე გვეუფლება სულში; და გვიჩნდება დიდი ხნის დავიწყებული სურვილები: გინდება სეირნობა, სიმღერა, მშვენიერი ქალბატონების გარემოცვა-ში ყოფნა, ერთი სიტყვით, გეუფლება ყველაზე სასიამოვნო სულიერი განწყობა! და არ არსებობს პრეტენზია იმაზე, რომ სახლი ძალიან ძველია. აი, აქ, ზუსტად აქ არის შენი გამოვანმრთელება და არა ექიმების მიერ მედიდურად შემოთავაზებული ნამლები და აბები.

17-ში კოჯორში ვიყავი როტონდის გახსნაზე; მუზიკა, ციკვები, ვახშამი გაგრძელდა შუალამის შემდეგაც. ღამე მირსკებთან გა-

ვათენე, რომლებიც ახლა ობლებივით მარტო არიან დარჩენილები: მაიკო და ოლღა შვილებთან ერთად ზაფხულს ბელი კლუჩზე ატარებენ, სადაც პოლქს სარდლობს კნიაზი ბარიატინსკი. საინტერესოა ოლღას ნახვა მეთაურის დედის სახით.

კოჯორშივე ღრაფინია ლორისს ვესტუმრე. ის ოდნავ შეიცვალა; მის შვილებს მშვენიერად უჭირავთ თავი; ძალან მომენტი უფროსი ვაჟი, პაჟი; უფროს ქალიშვილს მუსიკალური ნიჭის აქვს.

ველიკი კნიაზს თვის ბოლოსთვის ველოდებით.

ლაზარევისგან მნიშვნელოვანი სიახლე ჯერ კიდევ არაფერია; აქამდე ის მხოლოდ ემზადებოდა. წარმოიდგინე რაზმი, რომელშიც 20/ათ-მდე აქლემია! ეს მახსენებს ზღაპრულ პოემა ყარამანიანს, რომელშიც აღნერილია ომი ძველ ინდოეთში. – ვფიქრობ, რომ მალე დაინტერესობა ტეკინის რაზმის შეტევითი ბრძოლა. – ვშიშობ, გოლიცინი არ იტანჯებოდეს საშინელი სიცხისგან უნცულო უდაბნოში.

საწყალი ვასტენი პარალიზებულია.

ვკოცნი ბიძია გიორგის. როგორ უმელავდება ესკადრილიას? უთხარი, რომ არ არის ძალიან მნიშვნელოვანი: ნაპოლეონი მის ასაკში უკვე იტალიის არმიას მეთაურობდა. როდისლა როტმისტრის წოდება? – გუოცნი, ჩემო მეგობარო, და ღმერთს შევთხოვ, რომ ყველგან დაგიცვათ ორივე. –

შენი ნათესავები ხომ ჯანმრთელად არიან მოსკოვში? – ქეთევანი და ტასო გულწრფელ პატივისცემას გითვლიან.

ობორინები ასევე კოჯორში არიან და ყველა ჯანმრთელადაა; მე და ჯორჯაძემ მხიარულად ვისადილეთ მათთან.

ალექსეი თამჩინინისადმი №1 (1006)

18 Август 1879. Алексею Петровичу Опочинину.
из Тбилиси в Коджори.¹

Были у меня Рейтер и Сумбатов-Маршал для разрешения вопроса, какой характер должен иметь обед, предполагаемый для К^и Дмитрия Иван., официальный или частный? В первом случае следовало бы пригласить всех Начальников Частей и многих

других Лиц, мало известных К^{зю}, что будет означать совершенный выезд его из края без возврата. В последнемже случае только близkie Князю люди будут прощаться с ним, как выезжающим нанекот[орое] время.

Я, признаюсь, незнав какой им дать ответ. Поэтому, посылая к вам Список Лицам, Составленный Рейтером и Исааком, я убедительно прошу разрешить Гордіев узел, вычеркивая из списка тех, которых найдете ненужными, вписать тех, которые, быть может, непомещены в списке, как часто случается, по забвению, и возвратить мне этот список с точным определением дня возвращенія Князя Дмит: Ив:^а из Боржома в Тифлис и вашей тудаже поездки,² чтобы и мне можно было пріехать к тому времени в Тифлис.

ალექსი თამჩინინისადმი №1 (1006)

18 აგვ: 1879. ალექსეი პეტროვიჩ ოპოჩინის.
ტაბახმელით კოჯორს.

ჩემთან იყვნენ რეიტერი და სუმბათოვი-მარშალი იმის გადასაწყვეტად, თუ რა ხასიათი უნდა ჰქონდეს თავად დიმიტრი ივანოვიჩისთვის გამართულ სადილს, ოფიციალური, თუ კერძო? პირველ შემთხვევაში, საჭირო იქნება განცოფილებების ყველა ნაჩალნიკისა და კნიაზისთვის ნაკლებად ნაცნობი ბევრი სხვა პირის მოწვევა, რაც იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ თავადი უკან მობრუნებას აღარ აპირებს. მეორე შემთხვევაში კი დაპატიუებული იქნებიან მხოლოდ კნიაზთან დაახლოებული ადამიანები, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ისინი მოსულნი არიან დროებით მიმავალ თავადთან გამოსამშვიდობებლად.

უნდა ვაღიარო, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ამიტომ გიგზავნით რეიტერისა და ისაკის მიერ შედგენილ სიას და დაბეჯითებით გთხოვთ, გახსნათ გორდიას კვანძი – ამოშალოთ, ვისაც არ ჩათვლით საჭიროდ და ჩაამატოთ, ვინც გამორჩენილია, რაც ხშირად

ხდება ხოლმე, და დამიბრუნოთ ეს სია კნიაზ დიმიტრი ივანოვიჩის ბორჯომიძან თბილისში დაბრუნებისა და თქვენი იქ გამგზავრების ზუსტი თარიღის შეტყობინებით, რათა იმ დროისთვის მეც ჩამოვიდე თბილისში.

პარკარე პაგრატიონ-ორგელიანისადმი №91 (1007)

Мой друг Варвара! Начинаю письмо глубоко опечаленный полученными мною наднях известіями, с которыми немог примириться, покоряясь величію Судьбы. Князь Мирскій наднях выезжает в Россію в отпуск на четыре месяца; но я знаю, он выезжает навсегда. Можешь себе представить положеніе Софії, полное тихой грусти! Жалобы ея не слышны, но молча льются из глаз слёзы. И в самом деле, куда и к кому она поедет? Она родилась здесь, здесь же прошла вся ея жизнь; здесь же все ея воспоминанія: ея дети, внуки, Сестра, родные, друзья, словом всё, что в жизни составляет утешеніе! Они едут теперь к брату Николаю, а там, как Бог укажет. Каково и мне разставаться с Софією и с Дмитріем, который был неизменным моим другом, братом в теченіи 32 лет! Я любил его со всею искренностью и в нем его светлый многосторонний ум, благородство энергического характера. Служеніе его было, по истине, самопожертвованіем; простреленная в двух местах, грудь его ясно свидетельствует, что он шёл, как говориться, грудью вперед противу непріятеля. Но, немногіе знают, как я, что лучшая сторона его энергически полезной деятельности на поприще Государственной службы скрыта, пока, в канцелярских переписках и, современем, конечно оценят достойно его обширный ум, его дальновидность и строгую справедливость при высоком чувстве человеколюбія. Впрочем, Государь Император, высокій ценитель дарованій, уже признал его заслуги, прикрыв его славныя на груди раны слав-

ными Георгіевскими Крестами! Но зависть, злоба, в особенності же, желаніє занять его место, породили ему много врагов. Чтож! Он выдержит их напор.

Странно, мне никогда неприходила мысль, что когда-нибудь я должен разлучиться с ними, и даже в сию минуту мне невериться.

Еще одна печаль. Бедный Лазарев умер в походе противу Текетуркмен,¹ в то именно время, когда все было им подготовлено и началось наступительное движение нашего отряда для нанесения поражения непріятелю. Какое несчастіе! Лазарев принадлежит к числу замечательных людей. Сын бедного Портнаго, в Шуше, без воспитанія, без науки, стал в числе лучших Генералов Кавказской Арміи. Я взял его, в чине капитана Ширван: Полка, в Дагестане, поручив ему управление Акушою² в самое смутное и опасное время для нас, и тогдато, впервые, раскрылись его необыкновенныя умственныя способности. Спустя несколько лет, он уже был Правителем Дагестанских народов и, потом, начальником Дивизіи, и наконец, в последней войне противу Турок, его образцовое обходное движение на Алажинскія высоты и поражение Турецкой Арміи под предводительством Мухтара Паши,³ и в заключеніе всего, как финал, взятие Карса, доставили ему Георгія 2^{ой} степ: и званіе Генерал Адъютанта. – Смерть его, в настоящее время, составляет большую потерю, и для нашей Арміи, и для нашего Края. Помолись, матушка, за [душу] его и прости меня, что я сообщаю тебе только печальныя известія, поразившія меня.⁴

Цалую тебя, мой друг, и моего дядю Георгія, и да хранит вас господь Бог.

Прійми обычныя 250 руб.

Барон Николай с дочерью и зятем благополучно прибыли в Бетанію, но я еще не видел их.

22 Авгу: 1879. Табахмела, ах Табахмела, красавица Табахмела, в міре только одна Табахмела.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისაღვი №91 (1007)

ჩემო მეგობარო ვარგარა! წერილს ვიწყებ ძალიან დამწუხრებული ამ დღეებში მიღებული ცნობის გამო, რომელსაც ვერ ვეგუები, თუმცა კი ბედის სიდიადეს უნდა დავემორჩილო. კარგი დიმიტრი რამდენიმე დღეში რუსეთს მიემგზავრება შვებულებით ოთხით; მაგრამ მე ვიცი, რომ ის სამუდამოდ მიდის აქედან. წარმოიდგინე სოფიოს მდგომარეობა, რომლის გული სავსეა გამოუთქმელი მწუხარებით! ის არ გამოთქავამს დარდს, თვალებიდან უხმოდ მოსდის ცრემლები და, მართლაც, სად მიდის, ვისთან მიდის? ის აქ დაიბადა, აქ გაატარა მთელი თავისი ცხოვრება. აქ არის მთელი მისი მოგონებები: მისი შვილები, შვილიშვილები, დები, ნათესავები, მეგობრები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ადამიანს შვებას აძლევს! ისინი ჯერ ძმასთან, ნიკოლაისთან, მიემგზავრებიან, მერე კი ისე იქნება, როგორც ღმერთი ინებებს. ჩემთვის როგორილაა მათთან განშორება, სოფიოსთან და დიმიტრისთან, რომელიც შეუცვლელი ძმა და მეგობარი იყო ჩემთვის 32 წლის მანძილზე! მე გულწრფელად მიყვარდა ის, მიყვარდა მისი ნათელი, მრავალმხრივი გონება, ენერგიული ხასიათის კეთილშობილება. მისი სამსახური ჭეშმარიტი თავგანწირვა იყო: ორ ადგილას ტყვიით გახვრეტილი მისი მკერდი აშკარად მოწმობს რომ ის, როგორც ამბობენ, პირდაპირ მკერდით მიდიოდა მტრისკენ. მაგრამ ცოტამ თუ იცის, როგორც მე, რომ სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზე მისი ენერგიული, სასარგებლო მოღვაწეობის საუკეთესო შხარე ჯერჯერობით დაფარულია საკანცელარიო მიწერ-მოწერებში და დროთა განმავლობაში ღირსეულად დაფასდება მისი მრავალმხრივი გონება, შორსმჭვრეტელობა და მკაცრი სამართლიანობა მაღალი კაცომოყვარეობის გრძნობასთან ერთად. სხვათა შორის, ხელმწიფე იმპერატორმა, ადამიანების ღირსების მაღალმა შემფასებელმა, უკვე აღიარა მისი დამსახურებები და მის მკერდზე მიყენებულ დიდებულ ჭრილობებს მიაფარა დიდებული გიორგის ჯვრები! მაგრამ შურმა, ბოროტებამ, განსაკუთრებით კი

მისი ადგილის დაკავების სურვილმა მას ბევრი მტერი გაუჩინა. რას იზამ! ის გაუძლებს მათ ზენოლას.

საოცარია, არასდროს მომსვლია თავში აზრი, რომ მე ოდესმე მათთან განშორება მომიწევდა. აი, ამ წუთშიც ვერ ვიჯერებ.

კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი. საპრალო ლაზარევი დაიღუპა თექეთურქმენთა წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობაში, სწორედ მაშინ, როცა მას ყველაფერი მომზადებული ჰქონდა მტერზე შეტევის-თვის მის გასანადგურებლად. რამხელა უბედურებაა! ლაზარევი ეკუთვნოდა შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს. შუშაში დაბადებული, ლარიბი თერძის შვილი, სწავლა-განათლების გარეშე გაზრდილი, კავკასიის არმიის საუკეთესო დენერლებს შორის ჩადგა. მე ის სამსახურში მივიღე შირვანის პოლკის კაპიტნის წოდებით დალისტანში და ჩავაბარე აპყოშას მმართველობა ჩვენთვის ყველაზე არეულ და საშიშ დროს და სწორედ მაშინ გამოაშკარავდა პირველად მისი არაჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობები. რამდენიმე წლის შემდეგ ის უკვე დალისტნებლი ხალხების მმართველი იყო, შემდეგ – დივიზიის ნაჩალნიკი და, ბოლოს, თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ბოლო ომში მისმა სანიმუშო შემოვლითმა მოქმედებამ ალა-ჟინის სიმაღლეზე და თურქეთის არმიის დამარცხებამ, რომელსაც მუხთარ ფაშა ხელმძღვანელობდა, და ყველაფრის ბოლოს, როგორც ფინალი, ყარსის ალებამ მას მიანიჭა || ხარისხის გიორგის [ჯვარი] და ლენერალ-ადიუტანტის წოდება. მისი სიკვდილი ამ მომენტში დიდ დანაკარგს წარმოადგენს როგორც ჩვენი არმიისთვის, ისე ჩვენი მხარისათვის. ილოცე, ძალუა, მისი სულისათვის და მომიტევე, რომ მე, სამწუხარო ამბებით თავზარდაცემული, მარტო არასასია-მოვნო ამბებს გატყობინებ.

გუცნით, ჩემო მეგობარო, შენ და ჩემს ბიძია გიორგის, უფა-ლი ღმერთი გფარავდეთ.

მიიღე ჩვეული 250 რ.

ბარონ ნიკოლაი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად მშვიდო-ბით დაბრუნდა ბეთანიაში, მაგრამ მე ისინი ჯერ არ მინახავს.

22 აგვ: 1879. ტაბახმელა, ოჳ, ტაბახმელა, ულამაზესი ტაბახ-მელა, ამქვეყნად მხოლოდ ერთი ტაბახმელაა.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №12 (1008)

უგანათლებულესო კნეინავ,
მოწყვალეო ჯელმწიფავ, ეკატერინავ!

ჭეშმარიტის სიხარულით აღვსილი გილოცავ ჩემის გულით-საყუარელის სალომეს მშვიდობით გადარჩენასა მშობიარობიდამ. ამასკი, მართლად, ვჰსნუხარ, რომ – წყეული იყოს სიბერე – ვერ მოვაჭენე ცხენდაცხენ, ვერ გიახელ, რომ ჩუტენებურად ძეობა გაგვემართა, და ქუდი ჭერში გვეკრა.

სალომეს ქალი, უეჭველია, მშვენიერი იქნება თავის დროზე, და ნეტავი იმ მომავალსა ყმაწვილკაცობასა, რომელსაცა მიეფინება შუქი მაგის შვერებისა! მომაგონდა თქუცნი ბრნწყინვალე ყმაწვილქალობა და მასვე დროს სხუანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით! მართლად, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა, და ამასთანა საითაც შევპხედავდით, უთოოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამისგამო ხშირად ვამბობდით ძველებურს, სავათნავას¹ ლექსას „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქუს?“ ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქუცნი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის ან დაბერებულის გულის გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად! ღორმა² გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით, და ეხლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქუცნის საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი! თქუცნ გამომიყუანეთ მე კაცად, პოეტად, და ახლაც თქუცნვე ხართ ჩემი ნუგეშისმცემელი! გახსოვსთ, ჩუცნი ხშირად ჩხუბი საწყალ-მანანასთან?

ადრევაც მოგეწერათ ჩემთვს და მეც მაშინვე დაველაპარაკე მირსკისა თქუცნის ტყის გაკაფაზე, მაგრამ მირსკი ეს ერთი თვე არის, თითქმის აღარ ერევა საქმეში, რადგანაც მიდის ოტპუსკში და არის მზადებაში; მაინცკი ეს საქმე ჩააბარა

პეშჩუროვსა, და ამ დღეებშივე მე დაველაპარაკები პეშჩუროვსაცა და შტაბის ნაჩალნიკსაცა და მოგახსენებ პასუხსაცა.

საბრალო ლენერალი ლაზარევი მოკუდა სწორედ მაშინ, როდესაც სრულებით მოამზადა ჯარი და წავიდა თექეთურქმენის დასაპყრობლად. 27 ამ თვისას მოასვენებენ ქალაქში და იქნება მისი ცერემონიით დასაფლავება. მეც იმ დროს ჩავალ უკანასკნელის გამოსალმებისათვეს. საკურველი კაცი იყო ლაზარევი. უბრალო მექერვლის შვილი, ყარაბალელი, უსნავლელი, გაუზრდელი, შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ლენერალი კავკაზიის არმიისა! სულპირველად მე ავიყუანე, როდესაც იყო კაპიტანი შირვანსკის პოლკისა, და ჩავაბარე მას აყუშა.³ იქ გამოჩენდა მაგის გონება და შორსმხედველობა, რადგანაც იყო დიდი შიში და ხალხის აღრეულობა შამილისაგან. გულადი, ვაჟკაცი, გონებიანი, დავიახლოვე და მალე გამოვიყუანე ჩინებში, ასე რომ კნ: ბარიატინსკიმაც, დალისტნის აღებაში, დაიახლოვა, და ბოლოს ველიკი კნიაზმაც მისცა დივიზია; მაგრამ შურმა და დაბეზღებამ მალე ჩაამწარეს ლაზარევსა სამსახურში ამაღლება: ველიკი კნიაზმა ჩამოართვა დივიზია და დიდს ხანს ჰსცხოვრებდა ბაქოში,⁴ ყველასაგან დავიწყებული, ვიდრემდის არ დაიბარეს ამ უკანასკნელს ბრძოლაში, სადაცა მუხთარ ფაშის⁵ დამარცხებამ და შემდეგ ყარსის აღებამ აღიყუანეს ლენერალ-ადუტანტად და ჩამოჰკიდეს მეორე ხარისხისა წმინდა გიორგი!

გავპედავ და დავიკვეხებ, რომ ვინც გაიარეს ჩემს შეოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხუაებით გამოჩენილნი: რადეცი, ტერლუქაზოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ლენერალი ასტაჭიევი, დივიზიის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანოვი, უდროოდ მკუდარი ივანე ბაგრატიონი, ეგრეთუც სოსიკო ორბელიანი, და ალექსანდრე ორბელიანი, ლენერალი ბრუსილოვი უდროოდ დამბლად დაცემული, ლენერალ-ლეიტენანტი ლოპპე, აკოლნიჩი, და თვთ ცოტაოდენად ლრაჭ ლორის მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენდის ლრადონაჩალნიკად, და სულ ბოლოს, ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭა-

ვაძე, ელისავეტოპოლის ღუბერნატორი, რომლისა მზგავსი არავინა გუყავს ღუბერნატორებში!

ბარონ ნიკოლაი მშვიდობით იმყოფება ბეთანიაში თავის ქალითა და სიძე-ბატონითა; მეცი ჯერ არ მინახავს.

ჩემს გულით საყუარელს დას სალომეს ჩაუკოცნი წე-ლებსა და იყოს ღმერთი მაგისი და მაგის ქმრისა და შვილები-სა მფარველი.

ჩემს საყუარელს ბატონს ნიკოს დავჭკოცნი შუბლსა, გულსა, და ვჰსთხოვ რომ ჩემმაგიერ წელი დაუკოცნოს თავის მეუღლესა და გამაცნოს მაინცა შორიდამ.

ღ~თი⁶ არის მონამე, რომ მიყუარხართ დედით, შვილე-ბით, შვილისშვილებით. რა ვჰქნა, სიბერემ მძლია; თქუცნი ერთად ყოფნა, ნეტავი, მენახა, რომ სულით, გულით დავმტკ-ბარვიყავ! – ეჲ, ღ~თმან⁷ გაკურთხოსთ ერთობრივ, – ოლონდ-კი ზოგჯერ გახსოვდეთ.

თქუცნი მარადის ერთგული
თ~⁸ გრიგოლ ორბელიანი

24^{სს} აგვისტოს 1879.

ტაბახმელა.⁹

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №17 (1009)

29 Август 1879. Табахмела. Барону Николаи, Алек: Павл:¹

С чувством искренней, Задушевной радости поздравляю вас с благополучным пріездом в любимую вашу Бетанію, в любимый вами Край, благоденствію и процветанію которого посвящены были лучшіе годы вашей жизни. Плодотворная, сознательная деятельность ваша немогла непривязать вас к kraю, и теперь, ежегодный ваш пріезд ясно свидетельствует, что сила

этой привязанности неослабела досихпор в благородном вашем Сердце. Мыже – глубоко ценим и ...² молчим.

Мою милую Тетушку Маку целую в светлую голову вместе с ея Георгіем. И да благословит вас всех Господь Бог, и верьте моей любви.

Похоронили бедного Лазарева в ограде Ванкского Собора. Умер он в то, именно, время, когда всё было им подготовлено и уже началось наступательное движение отряда противу Текетуркмен;³ Какое несчастіе! Лазарев принадлежит к числу Замечательных людей! Сын бедного портного в Шуше, без воспитанія, без науки, стал в числе лучших Генералов Кавказ: Армії! Я взял его в Дагестане в чине Штабс Капитана Ширван:⁴ Полка, [поруч]ив ему Управление Мехтулин: Ханством, потом и Акушою в самое смутное, опасное [для нас] время, когда Шамиль был в Зените своей Славы. Тогдато, впервые, раскрылись его [...венные]⁴ умственные способности. Силою своего природного мощного ума обнимал и р[азре]жал неведомыя ему дотоле вопросы. Спустя несколько лет, он уже был Правителем Дагестан: народов; потом Вел: Кн: дал ему Дівізію; но Злоба, Зависть, недостойные доносы взяли верх, и он потерял Дівізію. И жил он в Баку, Забытый всеми, пока в последней войне невспомнили и невытребовали его в Действующій Корпус. Здесь его образцовое движение с отрядом в обход Армії Мухтара Паши,⁵ которому нанёс окончательное поражение на [Ал]аджинских высотах,⁶ и потом взятие Карса доставили ему Георгія 2^{ой} степ: и званіе Генер: адъют:^а и наконец умолкли и шипевшіе противу его змеиные языки. – Смерть его в настоящее время составляет великую Потерю для нас. На место его назначен Генер: Тергукасов;⁷ но скажу откровенно; не лежит сердце к этой Экспедиціи.

Будетли хвастовством, если скажу вам, Барон, что Лазарев, Тергукасов, Радецкій, [Джорджа]дзе,⁸ Бедный Иван Багратион, Генер: Алексан: Туманов, Генер: Астафьев, Генерал Бру[си-

ло]в,⁹ Флигель Адъют: Алек: Орбел: и Сосико Орбел:, служили при мне в малых Чинах, любил я их, как молодых людей с высокими чувствами честности, благородства, самоотверженія, и старался я, сколько мог, скорее открыть им дорогу по Службе, для пользы же Службы, и я не ошибся!

Спускаюсь сегодня из Табахмели в Тифлис, где, наднях,
буду счастлив видеть вас с вашими дорогими детьми.

С чувством Глубо...¹⁰

ალექსანდრე იოვოლაისაძე №17 (1009)

29 აგვ: 1879. ტაბახმელით. ბარონ ნიკოლაის,
ალექს: პავლოვიჩს.

გულწრფელი, გულითადი სიხარულის გრძნობით გილოცავთ
მშვიდობიანად ჩამობრძანებას თქვენს საყვარელ ბეთანიაში, თქვენს
საყვარელ მხარეში, რომლის კეთილდღეობასა და აყვავებასაც მიუ-
ძღვენით თქვენი სიცოცხლის საუკეთესო წლები. შეუძლებელია,
რომ თქვენი შეგნებული ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად არ შეგ-
ყვარებოდათ [ეს] მხარე და ახლა თქვენი ჩამოსვლა ყოველ წელს
ნათლად მოწმობს, რომ ეს სიყვარული დღემდე არ შესუსტებულა
თქვენს კეთილშობილ გულში. ჩვენ კი ღრმად ვაფასებთ და... არა-
ფერს ვამბობთ.

ჩემს საყვარელ დეიდა მაკას ვკოცნი ნათელ შუბლზე მის გი-ორგისთან ერთად. უფალმა ღმერთმა დაგლოცოთ ვყელნი და ერ-წმუნეთ ჩემს სიყვარულს.

საბრალო ლაზარევი დავკრძალეთ ვანის ტაძრის გალავანში. ის სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა ყველაფერი მომზადებული ჰქონდა და უკვე დაიწყო შეტევითი მოძრაობა თურქების წინააღმდეგ; რა უბედურება! ლაზარევი მიეკუთვნება შესანიშნავი ადამიანების რიცხვს. უბრალო თერძის შვილი შუმადან, აღზრდა-განათლების, მეცნიერების გარეშე, კავკასიის საუკეთესო ღენერლების რიცხვში ჩაეწერა! მე ის ავიყვანე დალისტანში შირვანის პოლკში შტაბსკავიტინის წილებით და ჩავაბარე მეხთულის სახანოს მართვა,

შემდეგ კი აყუშისაც; ყველაზე არეულ, ჩვენთვის სახიფათო დროში, როცა შამილი თავისი დიდების ზენიტში იყო, აი, სწორედ მაშინ იჩინა თავი პირველად მისმა [...] გონიერივე ნიჭმა. თავისი თანდაყოლილი უძლიერესი გონების წყალობით აცნობიერებდა და წყვეტდა მანამდე მისთვის უცნობ საკითხებს. რამდენიმე წლის შემდეგ იგი უკვე დაღისტნელი ხალხების მმართველი იყო. მერე დიდმა კინაზმა დივიზია მისცა, მაგრამ ბოროტებამ, შურმა უღირსმა დასმენებმა თავისი გაიტანეს და მან დივიზია დაკარგა. ცხოვრობდა ბაქოში, ყველასგან მივიწყებული, სანამ ახალ ომში არ გაიხსენეს იგი და არ გამოიძახეს მოქმედ კორპუსში. აյ მისმა სამაგალითო მოძრაობამ თავის რაზმთან ერთად მუხთარ ფაშის არმიის შემოსავლელად, რომელიც მან საბოლოოდ დაამარცხა [ალ]აუინის სიმაღლეებზე, და შემდეგ ყარსის აღებამ მოუტანეს მას მეორე ხარისხის გიორგის [კორდენი] და ღენერალ-ადიუტანტის წოდება, და, ბოლოსდაბოლოს, მის წინააღმდეგ მოსისინე გველების ენებიც დადუმდნენ. ახლა მისი სიკვდილი უდიდესი დანაკარგია ჩვენთვის. მის ადგილზე დაინიშნა ღენერალი ტერლუქაზოვი. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა: რაღაც გული არ მიმინევს ამ ექსპედიციაზე.

თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, ბარონო, რომ ლაზარევი, ტერლუქაზოვი, რადეცკი, [კორჯა]ძე, საბრალო ივანე ბაგრატიონი, ღენერალი ალექსანდრე თუმანოვი, ღენერ: ასტაფიევი, ღენერალი ბრ[უსილო]ვი, ჭლიგელ-ადიუტანტი ალექსანდრე ორბელიანი, სოსიკო ორბელიანი ჩემთან მსახურობდნენ დაბალი ჩინებით. მე ისინი მიყვარდნენ, როგორც პატიოსანი, კეთილშობილი და თავ-განწირვის მაღალი გრძნობის მქონე ახალგაზრდა ადამიანები და, რამდენადაც შემეძლო, ვცდილობდი, მალევე გამეკაფა მათვის გზა სამსახურში იმავე სამსახურის სასარგებლოდ. და მე არ შევმცდარ-ვარ.

დღეს ტაბახმელიდან თბილისს ვეშვები, სადაც დღე-დღეზე მექნება თქვენი და თქვენი ძვირფასი შვილების ნახვის ბედნიერება. ღრმა გრძნობით...

დავით ჭავჭავაძისადმი №1 (1010)

13^ს სეკლემ: 1879. წინანდალსა. დავით ჭავჭავაძე.¹

ჩემო ბატონო, ჩემო ძმაო, ჩემო თვალის ჩინო,
კნ: დავით!

შენი წერილი დიდის ყურადღებით წავიკითხეთ მე და
დიმიტ: ჯორჯი: ავილეთ, დავილეთ, და ბოლოს ასე გადავჰ-
სწყვიტეთ:

1) რადგანაც კნ: მირსკი წავიდა რუსეთსა და სტარო-
სელსკი ჯერ არ მოსულა;

და 2) რადგანაც ველიკი კნიაზიც მიპანდება ამ ორს
დღეზე ყარსისა² და ოლთის³ სანახავად, ამისგამო სრულებით
უდროო და უსარგებლო იქნებოდა კნ: ანნა ილინიშნასაგან
წიგნის მირთმევა ველიკის კნიაზსა, და უფრო უმეტესად
ამან შეგვაშინა და შეგვაყენა, რომ ამ ახლოს ხანს ველიკის
კნს დიდად ეწყინა სწორედ ამ გუარის წერილის მირთმევა
ერთის პატივსაცემის პირისაგან, – და ასე ვარჩიეთ, რომ მო-
უცადოთ სტაროსელსკისა, პატარა ხანმაც გაიაროს, რომ გუ-
ლი დაუმშვიდდეს ჩუმნს ბატონსა, და მერე მიერთოს წერი-
ლიცა. – ამასთანა ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ღ̄ თმა⁴
მოგუხედა მოწყალებითა და ჩუმნის პრიკაზის საქმე, რომელ-
საცა ამ დღეებში შეიტანენ სოვეტში,⁵ – დატრიალდება ისე,
როგორცა გვსურს ჩუმნ, და როგორცა თკთ ველიკი კნიაზიც
არის თავგამოდებული, მაშინ აღარა გვიშავსრა, და მოგვეხ-
სნება ის მეტად შემაწუხებელი გულიდამ დარდი, და ზურგი-
დამ ის ვეება ვალის ბარგი, რომელიცა გვამძიმებს მთლად
საზოგადოდ საქართველოსა; მაშინ შენი ოჯახიც მაგრად და-
დგება, ისევ ისე, როგორცა იყო უწინ. ახლაკი საშიშია, ვაითუ
მაგ გუარის წერილების ხშირად მირთმევამ შეაწუხოს ველი-
კი კნიაზი და ამ მიზეზისაგამო ჩუმნს საზოგადოდ დიდს
საქმესაც, რომლისა აღსრულება დიდად ჰსურს, – თვალყური

აღარ უგდოს. და თუ, ჩუმინდა საუბედუროდ, ეს საერთო საქ-
მე პრიკაზისა ვერ აღსრულდა, მაშინ საკუთარი თქუმინი, კერ-
ძონობითი, პატარა სათხოვარი უფრო გაუადვილდება ჩუმინს
ბატონსა. – აი, ეს იყო მიზეზი, ჩემო საყუარელო დავით, რომ
ჯერ, ამ ხელად, შევაყენეთ წიგნის დაწერა. იმედი გუაქუს მე
და დიმიტრის, რომ არ გაგვიწყრებით ამ პასუხზე, არცა შენ
და არცა კნეინა ანნა ილინიშნა, რომელსაცა ჭეშმარიტის პა-
ტივისცემით და სიყუარულით დაუკონი წელებსა.

აქაური ამბავი ეს გახდავსთ, რომ, როგორც მოგახსე-
ნეთ, ველიკი კნი: ბორჯომიდამ ახალქალაქზე⁶ მიბძანდება
ყარსსა; მირსყი ცოლით წავიდა რუსეთს ოტპუსკში⁷ ოთხის
თვით, მაგრამ, მგონია, აღარ დაბრუნდეს, და მერწმუნე ძა-
ლიან დააკლდება აქაურს მხარესა. ვჰსწუხარ მათ წასვლას:
ვინა ჰყავს საბრალოს სოფიოს რუსეთში და ანუ თვთ მირსკი-
სა? ამათი შვილები, შვილისშვილები, ნათესავები, მეგობრები
სულ აქ არიან; იქ ვისთან და ვისთვის უნდა იცხოვრონ?

სტაროსელსკიც⁸ ჯერ არ მოსულა; ამის მოადგილე, 佩-
შური,⁹ დიახ პატივსაცემი, გონიერი, მცოდნე, გამოცდილი
სამოქალაქოს საქმეებში, და ამასთანა კეთილის გულისა
არის, მაგრამ, როგორცა თვთვე ამბობს «Я Калиф начас»,^{*10}
არეკიდება დიდროანს საქმეებსა, რომელიცა მოელიან სტა-
როსელსკის მოსვლასა.

ძალიან ბევრნი იყუნენ წლეულსა აქედამ წასულნი სამ-
ზღუარ გარე: ივანე მუხრან: ცოლითა და კონიათი, ოკლობ-
უიო ცოლით და ორის ქალითა, შაქრო ჯორჯაძე ცოლითა,
მიხეილის მუხრანსკის შვილი ცოლითა, ამიროვი და ჩუმინი ნი-
კო ჭავჭავა: რომელიცა ჯერაც არდაბრუნებულა და მასთან
ზულყადარ,¹¹ განჯის ხანის შვილი. დავრჩით ქალაქში მხო-
ლოდ მე და ისაკ! ნახე, სადამდის წავიდა თბილისი.

თბილისი შეიქნა ვეება ქალაქი; ერთი თეატრი არა
ჰყოფნის; გაიმართა ცირკი, ქართული და სომხის თეატრი,
კრუეოკ, თიფ: იიბრ:,** გაჩალებულის ლეკურითა, სიმღერითა,
ვალც-მაზურკითა, ოხვრა-კვნესითა, და გააქუსთ ერთი ყოფა,

ერთი ამბავი! საკუთრივ მეკი ალარა მცალიან იმათთვს, და დავდივარ მხოლოდ ჩუცნს ანგლიის კლუბში და ვჰკოზირობ, და ხანდახან სტარიკა ერისთავსავით, ვჰყვირი, «ფუ ყორ!»***

თამარ¹² შვილებითა და ბატონის რძალი, იმყოფებიან ჯერ ისევ ბორჯომსა; ირაკლი¹³ არის ქალაქში და ძალიან ნაღვლობს ვაჟის დაკარგვასა.

ვარინკა¹⁴ და გიორგი,¹⁵ ღ~თით,¹⁶ კარგად არიან; მპირ-დებიან მოსვლასა, მაგრამ ალარა მჯერა იმათი სიტყუა; თქუ-ცნი სალომე აქამდის გადავიდოდა პეტერბურლსა. იმისი იქ ყოფნა ვარინკასათვს დიდი ნუგეში იყო.

ბარონ ნიკოლაი¹⁷ მისის მაკათი¹⁸ და სიძე ბატონითა იმ-ყოფებიან ბეთანიაში, მალე ჩამოვლენ; ბარონი წავა პეტერბ; და ახალდაქორწილებულნი აქ დარჩებიან.

დიდი შიმშილობა არის ჩუცნს უეზდში, არცა პურის მო-სავალი, არცა ბალახი, არცა ვენახები, ყოველივე წახდა. შე-ჭამა კალიამ და თაგვმა. საკურველია, თაგვები ადიან მრავ-ლობით ხებზე და ჰსჭამენ ხილსა! არსაით არის ლონისძიება; მეტად განწირულებაში არის ხალხი, მეტად გაგლახაკდენ თა-ვადობაცა და გლეხობაცა. ეს მიკვირს, რასა ჸსჭამს, რითა ჸსცხოვრებს საბრალო ხალხი ამ შიმშილობაში! ოჳ, დავით, ცუდს დროს მოვესწარით.

ღ~თი¹⁹ იყოს შენი და შენის სახლობის მფარველი; ჩაგი-კოცნი შვილებსა.

* ხალიფა ვარ ერთი საათით.

** თბილისის კრება

*** ფუ ჯანდაბა!

କାନ୍ଦାର୍ଜ କାଥରାତିମ୍ବ-ମରକେଣ୍ଡୋବୁସାଙ୍ଗୀ ନଂ 92 (1011)

В Царское Село 18^{го} Сент: 1879 г:¹

Мой друг Варвара! Подношу обычное месячное жалование 250 руб: с истинным пожеланіем, чтоб оно, когда нибудь увеличилось в своем объеме.

Барон Николай выехал из Тифлиса в Питер, оставив свою Маку с ея мужем здесь. Я искренно радуюсь, что она осталась в нашем Крае. Люблю её, так как она своим воспитаніем напоминает мне Грузинок прежнего моего времени. Она и ея муж – Хорошая Пара и я от души благословил их.

Выехали и мои задушевные друзья, К: Дм. Мирский и Софія. Много, много я потерял в их отъезде, который, хотя и назван отпуском, но едвали они возвратяться. Бедная Софія! Здесь осталась вся ея жизнь, всё ея счастіе; а для здешняго Края отезд К: Дмитрия составляет великую потерю. Что же бедная Софія будет делать там, где, между чужими? А новые знакомства, в наши годы, не имеют прелести.

С наступлением Сентября началась и продолжается дождливая погода, которая мешает осенному сезону Кавалькад, гуляній в садах, охам, вздохам, шушуканіям, а между тем появились известія из Текинского отряда, где было сурьёзное дело, в котором мы потеряли убитыми 6 офиц: и 178 ниж: чин:, ранеными 16 оф: и 243 солд: – Непріятель же потерял много тысяч, но донесение так без толка написано, что неможешь разобрать, мы ли победили, или, нас побили? Неясность эта возбуждает здесь нескончаемые споры, доходящія иногда до непріятности.

Генер: Тергуказов отправился туда командовать на место Лазарева отрядом; Я поручил К: Голицына его попеченію. – Лейб Гусарь Крупенский и его брат умерли, один в Текинском

отряде, другой же – в Тифлисе. Несчастная их мать пріехала сюда, чтоб похоронить обоих своих сыновей. Вот истинное несчастье!

Семейство Оклобжіо возвратилось из Заграницы, где из наших остаются еще наш Нико Чавчав: и Старосельскій с двумя дочерьми.

Их высочества остаются в Боржоме до половины Октября.
Цалую тебя и Дядю Георгія, и да хранит вас Господь Бог.

Все дни Георгія поглощены Службою; я верю, и потому пусть он небезпокойтесь: неполученіе его писем нисколько нетревожит мое спокойствіе.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისაღმი №92 (1011)

ცარსკოე სელოს 18^ს სექტ: 1879 წ.

ჩემო მეგობარო ვარვარა! მოგართმევ ჩვეულ თვიურ ხელფასს 250 რ:ს გულწრფელი სურვილით, რომ როდიმე მისი ოდენობა გაიზარდოს.

ბარონი ნიკოლაი თბილისიდან პეტერბურლს წავიდა, თავისი მაყა კი ქმართან ერთად აქ დატოვა. გულწრფელად მიხარია, რომ ის ჩვენს ქვეყანაში დარჩა. მე ის მიყვარს იმიტომ, რომ თავისი აღზრდით მახსენებს ძველი დროის ქართველ ქალებს. ის და მისი ქმარი კარგ წყვილს წარმოადგენენ და მე დავლოცე ისინი.

გაემგზავრნენ ჩემი გულითადი მეგობრებიც კ:^ზ დიმიტრი მირსკი და სოფიო. მათი წასვლით ბევრი, ბევრი დავკარგე, რომელ-საც, მართალია, შვებულება დაარქვეს, მაგრამ ისინი, ალბათ, აღარ დაბრუნდებიან. საბრალო სოფიო! აქ დარჩა მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი ბედნიერება; აქაური მხარისთვის კი კ:^ზ დიმიტრის წასვლა დიდ დანაკარგს წარმოადგენს. და რა უნდა ქნას იქ საწყალმა სოფიომ, სადღაც უცხო ხალხში? ჩვენს ასაკში ახალი ნაცნობების გაჩენა აღარ არის საინტერესო.

სექტემბრის დადგომასთან ერთად დაიწყო ხანგრძლივი წვი-
მიანი ამინდები, რაც ხელს უშლის კავალკადების შემოდგომის სე-
ზონს, ბალებში სეირნობას, ოხვრა-კვნესას, ჩურჩულს. სხვათა შო-
რის, მოვიდა ცნობები ტეკინის რაზმიდან, რომელიც სერიოზულ
ბრძოლაში მოხვდა, იმის შესახებ, რომ იქ ჩვენ დავკარგეთ, მოკ-
ლულთა სახით, 6 ოფიცერი და 178 დაბალჩინოსანი, დაჭრილთა სა-
ხით, 16 ოფიცერი და 243 ჯარისკაცი. მოწინააღმდეგებ კი დაკარგა
რამდენიმე ათასი, მაგრამ პატაკი ისე აბდაუბდად იყო დაწერილი,
რომ ვერ გაარჩევდი, გავიმარჯვეთ თუ დავმარცხდით. გაურკვევ-
ლობა იწვევს აქ უსიამოვნებამდე მისულ კამათს.

ღენერ: ტერლუქაზოვი წავიდა იქ, რომ ლაზარევის ნაცვლად
უხელმძღვანელოს რაზმს. მე მას დაგვალე კ:³ გოლიცინზე ზრუნვა.
ლეიბ გუსარი კრუპენსკი და მისი ძმა დაიღუპნენ. ერთი ტეკინის
რაზმში, მეორე – თბილისში. მათი საცოდავი დედა ჩამოვიდა, რომ
დაკრძალოს თავისი ორი ვაჟიშვილი. აი, ნამდვილი უბედურება!

ოკლობულოს ოჯახი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, სადაც
ჩვენებიდან დარჩნენ ჩვენი ნიკო ჭავჭავა: და სტაროსელსკი ორ ქა-
ლიშვილთან ერთად.

მათი უდიდებულესობანი ბორჯომში რჩებიან ოქტომბრის ნა-
ხევრამდე.

გკოცნით შენ და ბიძია გიორგის, გფარავდეთ უფალი ღმერ-
თი.

გიორგი ყოველდღე დაკავებულია სამსახურით; მე მჯერა და
ამიტომ ნუ შენუხდება: მისგან წერილების მიუღებლობა სულაც არ
არღვევს ჩემს სიმშვიდეს.

ФОДОФРУ СЗІДАФМЗАМЛЗ-ЭДІКСІЗІСАФӘО №7 (1012)

20 Сент: 1879 г. Курско-Харьковская железн: дорога.
Люботино.¹

К^ю Дмит: Ив: Мирскому²

Где вы, мой друг, мой брат К: Дмитрій и ты, сестра моей души, Софія? Без вас, я совершенный Сирота. С вами я забывал мои старые года, мое одиночество; в вашем доме, полном юной, игривой жизни, я находил радость для своей жизни, я сам моло-дел душою; и странно, мне никогда неприходила мысль, что я, когданибудь, могу разстаться с вами. Верители, два раза подъезжал к вашему дому, чтоб войти к вам. И даже теперь всё еще не-мог привыкнуть к мысли, что вас уже нет здесь. Трудно, очень трудно, разом прервать 30 летную привязанность дружбы, родства; а новая близкія знакомства, в мои годы, невозможны. Что мне сказать? Молю Бога, чтоб новый климат придал вам более здоровья.

С нетерпением жду наднях прієзда Майко с детьми из Белаго Ключа; Ольга здорова; но Олимпіада здоровее своей матери, растет и хорошеет. У Опочининых всё благополучно.

В: К^{зб} выехал через Ахалкалак в Карс и Олти и возвратиться к 26 Сент: в Боржом, где пробудет до 15^{го} Окт:, хотя и теперь, во время дождливой погоды, Боржом не особенно пріятен.

Нико Чавч: и Старосельский еще невозвратились из заграницы.

Читали ли вы безтолковое донесение из Текинского отряда о деле 28 Авгу:, из которого мы немогли понять, нас ли побили, или мы разгромили Туркмен, а между тем, у нас убиты 7 офиц: и 178 рядо:, ранены 16 офиц: и 243 ряд:. Теперь, как видите довольно солидная, но о результате-ровно ничего, т: е: еще хуже

«мы отзвали назад войска во время штурма!»³ Тергуказов уже там; и теперь⁴ получили известія, задостоверность неотвечаю, – что наши войска возвращаются пока в Чат.⁵

Тифлис хорошеет светлыми, теплыми днями; Дожди освежили, очистили воздух; окрестные горы украсились зеленью; начались кавалькады и Шушуканье на хорошо известный вам лад; некогда кр[а]сивая Глебова, растолстевшая донельзя безобразія, продолжает играть невинную молодость; а ме[ж]ду тем на армянском базаре опять появились слухи о К^е Дундукове, о упраздненіи Главного Управле^{ія} и д[а]же Наместничества, в видах сбереженія Экономії.

Барон Николай выехал в Петерб[:], оставив здесь свою Маку⁶ с ея мужем.

Еду сейчас к Бабале узнать о вашем адресе. Прощайте, цалую вас, и да хранит вас Господь Бог.

Князю Николаю приношу мое задушевное уваженіе; Перерайте, что я всегда любил его и теперь люблю; И из любви к нему, с глубоким чувством уваженія, цалую его Супругу. Что же,⁷ мне кажется, за три тысячи верст дело дозволенное.

დიმიტრი სვიათოვანლკ-მირსკისაძე №7 (1012)

20 სექტ: 1879 წ. კურსკი-ხარკოვის რკინიგზა. ლუბოტინო.

კნ: დიმიტრი ივ: მირსკის.

სად ხართ, ჩემო მეგობარო, ჩემო ძმაო კნ: დიმიტრი, და შენ, ჩემო სულიერო დაო სოფია? უთქვენოდ საგსებით ობოლი ვარ. თქვენთან მე მავინცდებოდა ჩემი ასაკი, ჩემი მარტობა, თქვენს ახალგაზრდულ, ხალისით სავსე სახლში მეც სიხარულს განვიცდი, სულით ვახალგაზრდავდებოდი და, საოცარია, არასდროს მომს-

ვლია აზრად, რომ მე ოდესმე თქვენთან განშორებას შევძლებდი. თუ დამიჯერებთ, ორჯერ მოვედი თქვენს სახლთან, რომ თქვენთან შემოვსულიყავი. და ახლაც კი ვერ შევგუებივარ იმ აზრს, რომ თქვენ აქ აღარ ხართ. ძნელია, ძალიან ძნელია ერთაშად გაწყვეტა 30-წლიანი მეგობრობისა, ახლობლობისა; ჩემს ასაკში კი ახალი, ახლო ნაცნობობის დამყარება შეუძლებელია. რა გითხრათ? ღმერთს ვევედრები, რომ ახალმა კლიმატმა უკეთესად იმოქმედოს თქვენს ჯანმრთელობაზე.

მოუთმენლად ველოდები მაიკოს ჩამოსვლას ბავშვებით თეთრიწყაროდან; ოლღა ჯანმრთელადაა; მაგრამ ოლიმპიადა დედაზე ჯანმრთელია, იზრდება და ლამაზდება. ოპოჩინინებთან ყველაფერი რიგზეა.

დიდი კ. ახალქალაქზე გავლით გაემგზავრა ყარსსა და ოლთში და 26 სექტ. დაბრუნდება ბორჯომში, სადაც დარჩება 15 ოქტომბრამდის; თუმცა ახლაც კი, წვიმიან ამინდში, ბორჯომი დიდად სასიამოვნო არ არის.

ნიკო ჭავჭა: და სტაროსელსკი ჯერ არ დაბრუნებულან საზღვარგარეთიდან.

წაიკითხეთ თუ არა უაზრო მოხსენება ტეკინის ოლქიდან 28 აგვისტოს საქმესთან დაკავშირებით, საიდანაც ვერ გავიგეთ, ჩვენ დაგვამარცხეს, თუ ჩვენ გავანადგურეთ თურქები, მაშინ, როცა ჩვენი 7 ოფიცერი და 148 რიგითი მოკლულია და დაჭრილია ჩვენი 16 ოფიცერი და 243 რიგითი. როგორც ხედავთ, დანაკარგი საკმაოდ სოლიდურია, შედეგზე კი არაფერია ნათქვამი, კიდევ უარესი: ჩვენ ჯარები უკან გამოვიწიეთ შტურმის დროს! ტერლუქაზოვი უკვე იქ არის. და ახლა მივიღეთ ცნობები, – უტყუარობაზე პასუხს არ ვაგებ, – რომ ჩვენი ჯარები ჯერ ჩატში ბრუნდებიან.

თბილისი უფრო და უფრო სასიამოვნო ხდება ნათელი, თბილი დღეებით; წვიმებმა გააჯანსაღა, გაასუფთავა ჰაერი, გარშემო მდებარე მთები ლამაზად ამწვანდნენ, დაინყო კავალკადები და ჩურჩული თქვენთვის კარგად ნაცნობ ყაიდაზე; ოდესლაც ლამაზი გლებოვა, სამინლად გასუქებული, აგრძელებს უმწიკვლო ახალგაზრდის როლის თამაშს, და ამ დროს სომხურ ბაზარზე ისევ ისმის ხმები კნ: დუნდუკოვზე, მთავარი სამმართველოსა და ნამესტნიკობის გაუქმებაზეც კი, ვითომდა ხარჯების შესამცირებლად.

Ծարոնի նոյոլլաս პეტეրბუրլս გაემგზավրա, մայս կո տազուսո յմրուտ այ դագրովա.

Աելա ծածալլեստան մովզուցար ովքենո մուսամարտուս գասացեած. մշցուռնուտ, ցորունուտ. ցուրացցուտ ուղալո լմերտո.

Կնօած նոյոլլաս զշուտվոլո հիմս ցշլուտագ ձագուցուցեմաս; ցծ-դացուու, րոմ մը ուս մոյցարճա պաշտամուս, աելաց մոյցարժ գա մուս-դամո լրմա ձագուցուցեմուս ցրծնունուտ զյունո մուս մեշլլես, սամո ատասո զյունուս մանծուլթյ. հիմո ածրուտ, յս գասամշցեծուս.

ԱՐԺԱԿԱՆ ՎԱՃՐԱԳՈՐԾ-ՊՐԻՎԵԼՈՒՅՈՒՆՆԵՐԸ №93 (1013)

21 Окт: 1879. Тифлис в Царское Село.¹

Моя матушка варвара! Прилагается при сем 250 р: вам на здоровье.

Спешу на похороны Армянского Епископа Саркиса, которого я уважал за ученость и высоконравственную Пастырскую жизнь. Его [«]путешествие по Армении[»], в котором, между прочим, описывается подробно История нашей фамилии, высокопоставило его между учеными Армянами.

Вел: К^{3b} вчера ночью пріехал из Боржома, чтобы присутствовать на скачке; но, увы, некстати проливной дождь помешал моему Мерцхалу² и юному, впервые явившемуся на сцену, трехлетнему Орби,³ заслужить славу Скаакуна. Теперь скачка отложена до воскресения, т: е: до 28 и 29 Октября. А кто может уверять, что будущее воскресение будет лучше настоящего?

Старосельский возвратился с своими дочерьми из путешествия по Европе, совершенно помолодевший. Думаю, не пеятали и мне туда же, чтоб возвратить себе давно растерянные, Бог знает где, юные годы. Как ты думаешь?

Сюда пріехал Граф Уваров с женою; они оба страшные Археологи. Женщина-Археолог, какая новость! Делают раскопки, отыскивают Черепа, кости, вещи древних людей, зарытыя глубоко в могилах. Теперь он работает в окрестностях Мцхета,⁴ а товарищи его вблизи Араката. Кажется, в 1881 г: Будет здесь съезд ученых Археологов, к приличному приему которых приводит теперь предварительная изысканія. Такчто, мой друг, Кавказ, мало помалу, теряет свой Грозный, воинственный вид и делается добытою мирной науки, могуществу которой должен покориться весь мір!

Генерал Граф Граббе совершенно неожиданно вошел вчера ко мне.

Цалую твою Голову, твои руки, твою грудь, в которой живет сердце, полное доброты, цалую моего дядю Георгія, и да благословит вас Бог!

პარპარე პაგრატიონ-ორგელიანისადმი №93 (1013)

21 ოქტ. 1879. თბილისით ცარსკოე სელოს.

ჩემო ძალუა ვარვარა! წერილს ახლავს 250 რ: ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ.

ვჩეკარობ სომები ეპისკოპოსის, სარქისის, დაკრძალვაზე, რომელსაც პატივს ვცემდი მისი სწავლულობისა და მაღალზნეობრივი ეპისკოპოსური ცხოვრების გამო. მისმა [„]მოგზაურობამ სომხეთში[“], რომელშიც, სხვათა შორის, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი გვარის ისტორია, მნიშვნელოვანი ადგილი მიაკუთვნა მას სომებ სწავლულთა შორის.

დიდი კაჟ გუშინ დამით ჩამოვიდა ბორჯომიდან დოლზე დასასწრებად, მაგრამ, სამწუხაროდ, უდროოდ მოსულმა გადაუდებელმა წვიმამ ხელი შეუძლა ჩემს მერცხალასა და სცენაზე პირველად გამოჩენილ ნორჩ, სამი წლის ორბის ბედაურის სახელის მოპო-

ვებაში. დოლი გადაიდო კვირამდე, ე.ი. 28 და 29 ოქტომბრამდე, მაგრამ ვინ იცის, მომავალი კვირა ახლანდელზე უკეთესი იქნება?

სტაროსელსკი სრულიად გაახალგაზრდავებული დაბრუნდა ევროპიდან თავის ქალიშვილებთან ერთად. ვფიქრობ, მეც ხომ არ წავიდე იქ დიდი ხნის წინ, ღმერთმა უწყის, სად გაფანტული ახალგაზრდული წლების დასაბრუნებლად. შენ რას იტყვი?

აქ ჩამოვიდა ღრაფი უვაროვი მეუღლესთან ერთად; ორივე გატაცებულია არქეოლოგით. ქალი-არქეოლოგი, აი, სიახლე! ისინი გათხრებს აწარმოებენ, ექცენტრული დროის ადამიანთა თავის ქალებს, ძვლებს, ნივთებს, ღრმად ჩამარხულს საფლავებში. ახლა ის მუშაობს მცხეთის მიდამოებში, მისი ამხანაგები კი – არარატის მახლობლად. როგორც ამბობენ, 1881 წ. აქ გაიმართება მეცნიერ არქეოლოგთა ყრილობა, რომელთა ღირსეულად დასახვედრად წარმოებს წინასწარი კვლევა-ძიება. ასე რომ, ჩემო მეგობარო, კავკასია ნელ-ნელა კარგავს თავის მრისხანე საომარ იერს და ხდება მსოფლიო მეცნიერების მონაბოვარი, რომლის ძლევამოსილებას დაემორჩილება მთელი სამყარო!

გუშინ ღენერალი, ღრაფი გრაბე მოუღლოდნელად შემოვიდა ჩემთან.

გიკოცნი თავს, ხელებს, მკერდს, რომელშიც ფეთქავს სიკეთით სავსე გული, ვკოცნი ჩემს ბიძია გიორგის, ღმერთმა დაგლოცოთ!

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისაღვი №24 (1014)

ჩემო ბატონო, საყუარელო ნიკო! ამ წერილს მოგართმევს გამოცვლილი ყაზია ახუნდი მირ ყასუმოვი,¹ რომელიცა არის გამოცვლილი, (რა საკურველია მტრობითა და დაბეზღებითა) და მეცა რა საკურველია, ყოველივე ესე მიზეზი მჯერა, რადგანაც თვთ შეიხულისლამ² ამტკიცებს ამის სულის სიწმინდეს და ანგელოზებრივს უანგარობას. ყოველივე ესე მრნამს, მაგრამ, მაინც კიდევ ბოდიშს ვიხდი, რომ ვარ იძულებული ამ თხოვნის შეწუხებითა: მთელი ირან-თურანი, სპარსეთის კონსულები და სხუა უცხო პირნი მთხოვენ, რომ

მოგწერო და გთხოვო, რომ ეს სადმე განაწესო, სადაცა იყოს, ანუ შემდეგ იქნება, ვაკანსია-ყაზიად, და მით შენი სული, ცოდვით აღვსილი შევიდეს სასუფეველში ამის წმინდა ლოცვის შემწეობითა, და ახლა შენ იცი.

მოპრძანდა ველიკი კნიაზი თავის სახლობით თბილის; ველიკი კნიაზი შვილებით ბძანდებოდა სკაჩკაშიაცა,³ სადაცა ჩემი ცხენი და ზულყადარისა დარჩნენ დიახ შორს უკან.

მოვიდა აქა, დროებით, ღენერალი ღრაჭი ღრაბბე, ისევ ისე გულმხიარული; დრაგუნებმა მაშინვე გაუკეთეს სადილი და გადაჰკრეს.

ჩუცის ბაქოს რკინის გზისა გაკეთებაც იმპერატორმა დაამტკიცა, და ამავე ზამთარს დაინტენდენ მუშაობას. ღ~თმან⁴ ინებოს, რომ არა ვითარიმე მიზეზმა არ შეაყენოს მუშაობა და მალეც შეასრულონ, ამ ქუცყნის საბედნიეროდ, გზა რომელიცა დარჩომილია უგზოდ, და უხიდოდ ესოდენსა ხანსა.

ისრაჭილბეგის შვილმა შეირთო წასულს გაზაფხულზედ ყარაბალის ხანის ქალი, და იმავე ქორწილის ღამეს მეფემ თავი დაანება და გაიპარა ბორჩალოში. ახლა მოვიდნენ ქალის პატრონები ქალის უკანვე წასაყუანად, და შენ იფიქრე, რა ყალმაყალია მუსულმანებში.

ჩუცის ქართლ-საქრისტიანოში არა(ა)რისრა ჯერ ამხელად სიგლახაკობის მეტი.

ღ~თი⁵ იყოს შენი მფარველი.

შენი მარადის ბედნიერების მსურველი
თ~⁶ გრიგოლ ორბელიანი

31 ოქტომბერი 1879

თბილისით.⁸

0141 ქავხაპისადგი №4 (1015)

ჩემო მოწყალეო ბატონო,
კნიაზო ილიავ!

მომირთმევია საბინინის წერილი, რომლითაცა ითხოვს ჩუმინის საზოგადოებისაგან შემწეობასა ფულით, შესასრულებლად საქართველოს ეკულესიის ისტორიისა და გამოსახსნელად ლეიპციხიდამ ქართველთ წმიდების სურათებისა. თქუმინ კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი შრომა და ღვაწლია მისგან მიღებული, და რა სასარგებლოა საკუთრივ ჩუმინთვის ამ ისტორიის გამოცემა და განვრცელება ჩუმინს ხალხში.

ახლა თუ დავიცდით ჩუმინის საზოგადოების შეკრებამდის, მეტად ბევრი დრო გავა და საბინინიც დარჩება უღონოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩუმინს საზოგადოებას არ-ეწყინება, მის დაუკითხავად, ბანკიდამ შემწეობა ამ გაჭირებულს შემთხუმდევაში ესრეთის საზოგადოდ კეთილის საქმისა-თვის განსანათლებელად ჩუმინის დაცემულის მხარისა. – ჩუ-ენს უსტავშიაც იხსენება ი распространеніи Грамотности, или просвещеніи в народе.*

მე ბანკიდამ შემწეობას იმიტომ ვახსენებ, რომ წელის მოწერით ვაითუ დაგვიანდეს, ან ვერ შეჰსდგეს საკმაო ფული. – მახლაზ, როგორცა ინებებთ, ისე აღსრულდეს, ოღონდკი აღსრულდეს.

თქუმინი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი
თ~¹ გრიგოლ ორბელიანი

2^ს ნოემ: 1879²

* ხალხში წერა-კითხვის, ანუ განათლების გავრცელების შესახებ.

ФОДОФРУ СЗІДАФМЗАМЛЗ-ЕДІРСІЗПІСАФӘО №8 (1016)

В Полтаву. 9^{го} Нояб: 1879 г. В Полтаву

К:^ю Дмит: Ив: Мирскому.

9^{ое} Ноября, день светлый, теплый, воздух живительный, Небо веселое, и я выезжаю, конечно, в Му[штаи]д² и далее в поле, где всё вновь зазеленело, всё дышит весною, и думаю, где же моя Софія, где мой К: Дмитрій? И естьли у них такое Солнце? Или туманное, плаксивое небо нахмуренно торопит их ближе к печи? Вдруг мимо меня пронесся экипаж, в котором сидит Велик: Княгиня с старшим Ея сыном Николаем, еще несется Экипаж с Великим к^{зем}, впереди которого сидят три Его сына. Они весело раскланиваются со мною и несутся далее. Я за ним, трух, трух; нет недогоню, и зачем? Возвращаюсь домой и, о удивление, предомною стоит Граф Николай Граббе, пріехавшій из Дагестана, где он ищет в недрах Кавказа Золото, давно им, где то, растерянное, т: е: занят добиваніем серы вблизи Чирката довольно успешно. Дай Бог!

Здесь был и Граф Уваров с женою; он и она очень симпатичные люди и страстные археологи; рылись они около Мцхет(а), в могилах, откуда, вынимали кости, разные вещи, зарытые глубоко в Землю втечениі многих тысячелетій. Было и торжественное заседаніе в Музее, в котором только я и К^{зъ} Трубецкой непринадлежали к ученой корпораціи и потому смиленно сидели, в стороне, около Графини Уваровой, внимательно слушая чтеніе Ученых, число которых, к моему удивленію, оказалось до 30 и между ими две женщины. Признаюсь, неожидал. Один из членов, именно Эрицов, начал читать предлинную и скучную Диссертацио о том, что древніе Греки считали Фазисом не Ріон, а Чорох, доказывая из описанія Ксенофонтом возвраще-

нія 10^ит: Греков из Азіи. И вспомнил я, при имени этого проклятого язычника, Артиллерійское училище в Тифлісе, где наш учитель Беклемишев бил меня безжалостно книгою по голове за то, что, я немог пр[ои]знести это имя иначе, как Ксефонт. Истые Педагоги – Варвары; они непрощают ни одной буквы. Никто невозражал Эрицову; но я осмелился шепотом сказать Графине о моих страданіях в училище, и она хотала от души. При этом я говорил ей «допускаю, что приведенныя диссертантом доказательства неопровергими. Что же из всего этого следует, допуская безспорно, что Ріон неесть древній Фазис? какую существенную пользу может принести Человечеству решеніе этой задачи, противу котораго нет даже надобности возражать? Между тем, сколько истрачено времени, труда! Во всякомже случае, нехудобылы спросить об этом и генер: Комарова, который недавно с отрядом прошел, именно, подороге Ксенофонта. – Но зато я с большим увлеченіем слушал речь Графа Уварова, который с замечательною простотою и ясностью развивал великое значеніе Археологіи в исторії. И вот, моя матушка Софія, до какого чуднаго времени я дожил: видел своими Глазами в Тифлісе женщину – Археолога!!!

Наконец, прибыл генер: Гурчин из Текинского отряда, где он, подобно Лазареву, заболел Карбункулом; но теперь он вне опасности. Текинский отряд, малопомалу, устраивается, успокаивается назиму в Бате³ и Чикишлере.⁴ Если мы, в нынешнее лето, недостигли там вполне цели, то ответственность падает, как уверяют, на слабаго характером Ломакина,⁵ власть котораго небыла никем признаваема; следствіем чего [бы]ли разрозненныя дейстvія отдельных Начальников. Так отсутствіе твердой власти всегда рождает неурядицу.⁶

Говорят, Франкин выезжает в отпуск; былобы недурно. Опыт выказал, что он не на своём месте. Лучшим проявленіем его служебной деятельности, по Управлению Карскою областью,

было Закрытіе и открытие Армянского духовного училища в Карсе, и потом опять Закрытіе и открытие Армянской церкви в Ване,⁷ что дало новый повод Иностранным газетам надсмеяться над нашим Управлением.

Из Аджаріи [и] Карса продолжается переселение жителей внутрь Турціи. Чему приписать эта низменное явление – бегство иноверцев от владычества Русских? Крым опустел; Черкезы более 200/т: выселились из Кубани; Абхазія осталась без населения. Теперь жители Аджаріи и Карса, даже Армяне, бегут от нас, точно от чумы! Неужели всё это объясняется фанатизмом? – Конечно, от части влечет и фанатизм; но существуют и другие, не менее важные причины. По моему убеждению, где Правители пекутся о благосостояніи населенія, там проявляется фанатическое чувство противу Правительства, разве в единичных случаях; потому что человек, к какойбы религії, непринадлежал, прежде всего желает и ищет себе жизни спокойной, без [мятеж]-ной, жизни без обиды, без притеснений, и безропотно покоряется справедливым Законам, на какомбы то языке небыло написанным. И совершенно в этом духе правды желает действовать наше Правительство. Но, где же корень Зла? Он находится в выборе второстепенных правителей сомнительного происхождения, неподготовленные ни научною, ни воспитанием. Чтобы сделаться Начальником Дивизіи, в которой всего до 16/ты: человек, – нужна 30^у летняя служба, выказавшаяся, или Заслугами, или, замечательными способностями ума. Такія личности уже заранее известны Правительству, и обществу. Рождается вопрос, чем и кому известен какойнибудь участниковый Заседатель, которому вручается населеніе в 20/т: душ? Почему никто из них небыл приглашаем во Дворец к обеду? Потому что он считается недостойным; быть даже у меня за обедом. А между тем Судьба 20/т: душ находится в его власти! Небольшое жалованье, конечно, не привлекает их на эту службу, если небылобы убежденіе, что в

течениі нескольких лет, они будут иметь большое [сос]тояніе, и потому им нет надобности беспокойтсья о счастії в вереннаго им [на]рода. Напротив, они отравляют лучшія намеренія Правительства ядом ненасытнай жадности нажить себе деньги всеми неправдами, следствіем Чего естественно в жителях рождается чувство неудовольствія, недоверія тайной злобы, проявленіем которых, нередко бывают взрывы народных волненій. Это самое я высказывал и Георгію Мухранскому, советуя ему, ежегодно выпускаемых, из высших учебных Заведеній, молодых людей непомещать в канцеляріях Губернаторов и Главном Управ:; а назначать их прямо в Уезды для смены, разом, всех прежних Чиновников, между которыми, конечно, существуют и исключенія – Эти моло[ды]е люди с лучшими гуманными направлениіями, подготовленные науково, вначале если и ошибутся, то всёта-ки внесут в Управлениі честность, [пра]вду, безкорыстіе, доступность при вежливой обходительности, которая так украшает Начальника в глазах населенія и привлекает к нему [С]ердца людей, вселяя в них доверчивость, убежденіе в том, что он [...енно]⁸ печется о их благосостоянії. При таких Начальниках населен[іе ск]ро почувствует силу благотворного Управлениі и изчезнет чувство враждебнаго фанатизма, и сколько, впоследствіи, принесут пользы и Правительству те молодые деятели, ознакомившись ближе с населеніем и изучив его образ мысли, понятій, обычаи, нравы, Религію, его потребности, что, в сущності, составляет жизнь, и человека, и народа! Ну, у, у! Вот куда я забрел!! Вот что значит непреодолимая жажда говорить с вами. Теперь, как хотите, хоть вовсе нечитайте: я удовлетворен.

Хорошо. Но как несказать, что, во имя общественного спокойствія, запретили играть нетолько Зурну, но и Чонгури, и Тари, и дайра; даже Гармоники отбираются Полицейскими Солдатами, блюстителями Общественной тишины! Неужели народ должен быть лишен всякой возможности веселиться или пеніем,

или пляскою! Неужели он обречен никогда ничем невыражать своей радости, своего счастя? –

Вместо Рославлева назначен Эриван: Губернатором Генерал Шаликов. Наконец, радуйся моя Софія! Предстоит нам совершить великое дело: приступаем к разделу нашего имения, оставшегося, после первого раздела, в общем владении.

Часто бываю у Майки. Дети ея здоровы и очень красиво кувыркаются.

8^{го} Нояб: у Их Высочеств был большой завтрак в портретном зале, а обед, по обыкновению, в нашем Англій: Клубе, окончившийся великолепным Бостоном.

Точно, как с неба упал, явился вдруг К: Шахавской в Дворцовой Церкви, по его словам, пріехал охотиться за Дурожами.

Цалую тебя, цалую К: Дмитрія; Цалую Нину и ея мужа, и мою Тетушку Марусью, и других детей Нины, мне еще незнакомых.

Надоже, наконец, знать и честь. Совершенно Справедливо и я умолкаю. Бог да хранит вас для моего счастя.

Вам искренно преданный.

Бабале, Алексей Петрович, Петр Алексеевич и его Мария и Владимир Петрович, и Лиза, и все, и все здоровы, удостоверяю.

Моему благородному другу – брату, К:^ю Николаю, когда увидите, скажите, что люблю его, люблю и его жену, и его детей, и благословляю их.

11^{го} Ноя: 1879

Тифліс.⁹

Письмо за кутежом осталось до сегодняя.¹⁰

ଡିଇତିକ ପ୍ରକଳ୍ପ-ମାନ୍ୟମାନ ନଂ ୧୦୧୬

პოლტავას. 9^ს ნოემბრი: პოლტავას.

კნიაზ დიმიტ: ივ: მირსკის.

9 ნოემბერი ნათელი, თბილი დღეა, ჰაერი მაცოცხლებელი, ცა მხიარული და გავდივარ, რა თქმა უნდა, მუშთაიდში, შემდეგ მინდოორში, სადაც ყველაფერი კვლავ ამწვანდა, ყველგან გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა და ვფიქრობ, სად არის ჩემი სოფია, სად არის ჩემი კნიაზი დიმიტრი? აქვთ მათ ასეთი მზე? თუ ბურუსით მოცული, მტირალა, მოღუშული ცა აჩქარებს მათ ღუმლისკენ? უცებ გვერდით ჩამიქროლა ეკიპაჟმა, რომელშიც ზის დიდი კნეუნა თავის უფროს ვაჟიშვილ ნიკოლაისთან ერთად, კიდევ მოქრის ეკიპაჟი დიდ კნიაზთან ერთად, რომლის წინ ზის მისი სამი ვაჟიშვილი. ისინი მხიარულად მესალმებიან და აგრძელებენ გზას. მე მათ მივყვები, ტრუხ, ტრუხ, არა, ვერ დავენევი, ანდა რისთვის უნდა დავენიო? სახლში ვდრუნდები და, ჰო, საოცრება! ჩემს წინ დგას ლრაფი ნიკოლაი გრაბე, ჩამოსული დაღისტნიდან, სადაც ის კავკასიის მთებში ეძებს დიდი ხნის წინ მის მიერ დაკარგულ ოქროს, ე.ი. დაკავებულია გოგირდის მოძიებით ჩირკატის მახლობლად და საკმაოდ ნარმატებით. ლერთმა ქნას!

აქ იყო ღრაფი უვაროვი მეულლესთან ერთად; ორივენი ძალი-ან სიმპათიური ადამიანები და მგზებარე არქეოლოგები არიან; ისინი გათხრებს აწარმოებდნენ მცხეთის მახლობლად, სამარხებში, საიდანაც ამოჰკერნდათ ძელები, მრავალი ათასწლეულის მანძილზე მინაში ღრმად ჩაფლული სხვადასხვა ნივთი. საზეიმო სხდომაც გაი-მართა მუზეუმში, სადაც მარტო მე და კნიაზი ტრუბეცკიო არ მივე-კუთვნებოდით სამეცნიერო კორპორაციას და ამიტომაც წყნარად ვისხედით მოშორებით, ღრაფინია უვაროვას მახლობლად, რომელიც უსრადღებით უსმენდა მეცნიერთა გამოსვლებს, რომელთა რიცხვი, ჩემდა გასაოცრად, 30-ს ალწევდა და მათ შორის ორი ქალი იყო.

უნდა ვალიარო, არ ველოდი. მათგან ერთ-ერთმა, კერძოდ, ერიცოვმა, დაწყო ძალიან გრძელი და მოსაწყენი დისერტაციის კითხვა იმის შესახებ, რომ, ძველი ბერძნების აზრით, ფაზისი იყო არა რიონი, არამედ ჭოროხი, რასაც ამტკიცებდა ქსენოფონტეს მიერ აზიდან 10 ათასი ბერძნის დაპრუნების შესახებ დაწერილ აღწერილობაზე დაყრდნობით. და ამ დაწყევლილი წარმართის სახელმა გამახსენა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, სადაც ჩვენი მასწავლებელი ბეკლემიშევი უმოწყალოდ მირტყამდა თავში წიგნს იმის გამო, რომ ამ სახელს წარმოვთქამდი, როგორც ქსეფონტს. წამდვილი პედაგოგები ბარბაროსები არიან, ისინი არცერთ ასოს არ გაპატიებენ. ერიცოვს არავინ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მე გავბედე და ჩურჩულით ვუთხარი ღრაფინიას ჩემი ტანჯვის შესახებ სასწავლებელში, რაზეც მან გულიანად იხარხარა. ამასთანავე, მე მას ვუთხარი: „დავუშვათ, დისერტანტის მიერ მოტანილი მტკიცებულებები უდავოა. მაგრამ რა გამოდის აქედან? ვთქვათ, რიონი წამდვილად არ არის ძველი ფაზისი? რა არსებითი სარგებლობის მოტანა შეუძლია კაცობრიობისთვის ამ ამოცანის გადაჭრას, რომლის საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის არავითარი საჭიროება არ არსებობს? და ამ დროს რამდენი დრო და შრომაა უქმად დახარჯული! ყოველ შემთხვევაში, კარგი იქნებოდა ამის შესახებ გვეკითხა ღენერალ კომაროვისათვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ სწორედ ქსენოფონტეს გზაზე გაიარა რაზმთან ერთად. სამაგიეროდ, მე დიდი გატაცებით ვუსმენდი ღრაფ უვაროვის მოხსენებას, რომელიც შესანიშნავი სიმარტივითა და მკაფიოდ ავითარებდა აზრს არქეოლოგიის უდიდეს მნიშვნელობაზე ისტორიისათვის. და აი, ჩემო ძალუა სოფიო, რა საოცარ დროს მოვესწარი: ჩემი თვალით ვნახე თბილისში ქალი – არქეოლოგი!!!“

ბოლოსდაბოლოს, ჩამოვიდა გენერალი გურჩინი ტეკინის რაზმიდან, სადაც ის, ლაზარევის მსგავსად, დაავადდა ძირმაგარით; მაგრამ ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ტეკინის რაზმი ნელ-ნელა ეწყობა, მშვიდდება საზამთროდ ბათასა და ჩიკიშლარში. თუ ჩვენ ამ ზაფხულს ბოლომდე ვერ მივაღწიეთ იქ მიზანს, როგორც ამბობენ, პასუხისმგებლობა ეკისრება ხასიათის მქონე ლომაკინს, რომლის ძალაუფლებას არავინ ცნობდა, რის შედეგადაც ცალკეული მეთაურების მოქმედებები არ იყო შეთანხმე-

ბული. ასეა, ძალაუფლების სისუსტე ყოველთვის წარმოშობს უწეს-რიგობას.

ამბობენ, რომ ფრანკინი შევებულებაში გადის, ძალიანაც კარ-გია. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ის შესაფერის ადგილზე არ არის [სამსახურში], მისი სამსახურებრივი მოღვაწეობის ყველაზე კარგი გამოვლინება იყო ყარსის ოლქის მართვის პერიოდში სომხური სასულიერო სასწავლებლის დახურვა და გახსნა ყარსში და შემდეგ ისევ დახურვა და გახსნა სომხური ეკლესიისა ვანში, რამაც ახალი საბაბი მისცა უცხოურ გაზეთებს ჩვენი მთავრობის დასაცინად.

აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება მოსახლეობის გადასახ-ლება თურქეთის სიღრმეში. რას უნდა მივაწეროთ ეს აღმაშფოთე-ბელი მოვლენა – უცხო სარწმუნოების ადამიანების გაქცევა რუსე-ბის ბატონობისგან? ყირიმი დაცარიელდა, 200 ათ:-ზე მეტი ჩერქეზი გადასახლდა ყუბანიდან; აფხაზეთი მოსახლეობის გარეშე დარჩა. ახლა აჭარისა და ყარსის მცხოვრებლები და სომხებიც ისე გაგვირ-ბიან, როგორც შავ ჭირს! ნუთუ ეს ყველაფერი ფანატიზმით უნდა ავხსნათ? რა თქმა უნდა, ნანილობრივ ფანატიზმიც მოქმედებს, მაგრამ არსებობს სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიც. ჩემი აზრით, სა-დაც ქვეყნის მმართველები ზრუნავენ მოსახლეობის კეთილდღეობა-ზე, იქ ფანატიკური გრძნობა მთავრობის წინააღმდეგ მხოლოდ ერ-თეულ შემთხვევებში ვლინდება, იმიტომ, რომ ადამიანს, რომელ რე-ლიგიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს, პირველ რიგში, სურს და ეძებს თავისთვის მშვიდ, უწყინარ ცხოვრებას, შევიწროების გარეშე, და უსიტყვოდ ემორჩილება სამთავრობო კანონებს, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს ის დაწერილი. და სწორედ ამ სამართლიანობის მი-მართულებით სურს მოქმედება ჩვენს მთავრობას. მაგრამ სად არის ბოროტების ფეხვი? ის არის საეჭვო წარმოშობის მეორეხარისხოვა-ნი მმართველების შერჩევაში, რომელთაც არც განათლება გააჩნიათ და არც აღზრდა. 16-ათასიანი დივიზიის მეთაური რომ გახდე, საჭი-როა 30-წლიანი სამსახური, გამორჩეული ან დამსახურებებით, ან შესანიშნავი გონებრივი უნარებით. ასეთი პიროვნებები ადრიდანვე ცნობილები არიან მთავრობისთვის და საზოგადოებისთვის. იბადება კითხვა, რით და ვისთვის არის ცნობილი რომელიმე უბნის წარმო-მადგენელი, რომელსაც ებარება 20-ათასიანი მოსახლეობა? რატომ არ იყო რომელიმე მათგანი სასახლეში სადილზე? იმიტომ, რომ არ მიიჩნიეს ლირსად. ის ჩემთანაც არ ყოფილა არასდროს სადილზე და

ამ დროს 200 ათასი ადამიანის ბეჭია მის ხელში. რა თქმა უნდა, ამ სამსახურში მათ იზიდავს არა მცირე ხელფასი, არამედ რწმენა, რომ რამდენიმე წელიწადში დიდი ქონება ექნებათ; ამიტომაც არ ადარდებთ მათზე მინდობილი ხალხის ბეჭინიერება. პირიქით, ისინი მთავრობის საუკეთესო მიზნებს წამლავენ გაუმაძლარი სიხარბის სანიმღლავით, ყოველნაირი უსამართლობის გზით შეიძინონ ფული, რის შედეგადაც, ბუნებრივია, მოსახლეობაში ჩნდება უკმაყოფილების, უნდობლობის, ფარული გაბოროტების გრძნობა, რის გამოც არცთუ ხშირად ხდება სახალხო მღელვარების აფეთქებები. სწორედ ამას ვეუბნებოდი გიორგი მუხრანსკის და ვურჩევდი, რომ უმაღლესი სამხედრო სასწავლებლებიდან ყოველწლიურად გამოშვებული ახალგაზრდები ღუბერნატორთა კანცელარიებსა და მთავარ სამართველოში კი არ გაუშვან სამუშაოდ, არამედ პირდაპირ მაზრებში გაგზავნონ ყველა ძველი ჩინოვნიკის ერთიანად შესაცვლელად, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, არსებობენ გამორჩეული ჩინოვნიკებიც. ეს ახალგაზრდა ადამიანები, საუკეთესო ჰუმანური მრნამსით და განათლებულები, დასაწყისში შეიძლება რამეში შეცდნენ, მაგრამ მმართველობაში მაინც შეიტანენ პატიოსნებას, სამართლიანობას, უანგარობას, ზრდილობიანი მოქცევით მიზნის მიღწევას, რაც ასერიგად ამაღლებს ნაჩალნიკებს მოსახლეობის თვალში, მისკენ იზიდავს ადამიანთა გულებს და აჩენს მათში ნდობას, იმის რწმენას, რომ ის ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე. ასეთი ნაჩალნიკების ხელში მოსახლეობა მალე იგრძნობს მათზე მზრუნველი მმართველობის ძალას და მტრული ფანატიზმის გრძნობა გაქრება. შემდგომში რამდენ სარგებლობას მოუტანენ მთავრობასაც ის ახალგაზრდა მოღვაწეები, რომლებიც ახლოს გაეცნობიან მოსახლეობას და შეისწავლან მათ აზროვნებას, შეხედულებებს, ადათ-წესებს, ხასიათს, რელიგიას, მოთხოვნილებებს, რაც არსებითად შეადგენს ადამიანისა და ხალხის ცხოვრებას! ოჳ, ოჳ, ოჳ, აი, სადამდე ავედი! აი, რას ნიშნავს თქვენთან ლაპარაკის დაუძლეველი სურვილი. ახლა, როგორც გენებოთ, თუ გინდათ, სულაც ნუ ნაიკითხავთ: მე დაკმაყოფილებული ვარ.

კარგი, მაგრამ როგორ არ ვთქვა, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდის სახელით აკრძალეს არა მარტო ზურნაზე დაკვრა, არამედ ჩინგურზე, თარზე, დაირაზე; პოლიციის ჯარისკაცებმა, სიწყნარის დამცველებმა, გარმონიც კი ამოილეს მოსახლეობიდან! ხალხს არ

უნდა წაართვა სიმღერითა და ცეკვით მხიარულების საშუალება! ნუთუ მისი ხევდრია ის, რომ ვერასდროს ვერაფრით გამოხატოს თავისი სიხარული, თავისი ბედნიერება? როსლავლევის ნაცვლად ერევნის ღუპერნატორად დანიშნულია ღენერალი შალიკოვი. ბოლოსდაბოლოს, გიხაროდეს, ჩემო სოფია! ჩვენ დიდი საქმის აღსრულება გველოდება: ვიწყებთ პირველი გაყოფის შემდეგ დარჩენილი ჩვენი მამულის გაყოფას საერთო მფლობელობაში.

ხშირად ვარ ხოლმე მაკასთან, მისი შვილები ჯანმრთელად არიან და ძალიან ლამაზად გადადიან ყირაზე. 8^ს ნოემბრს მათ უდიდებულესობებს ჰქონდათ დიდი საუზმე სურათების დარბაზში, სადილი კი, ჩვეულებისამებრ, ჩვენს ანგლიურ კლუბში, რომელიც დასრულდა დიდებული ბოსტონით.

უცებ, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, სასახლის კარის ეკლესი-აში გამოჩნდა კნიაზი შახავსკო, რომელიც, მისი თქმით, დურავებზე სანადიროდ იყო ჩამოსული.

გკოცნი, ვკოცნი კნიაზ დიმიტრის, ვკოცნი ნინას და მის მეუღლეს, ჩემს ძალუას – მარუსიას და ნინას სხვა შვილებს, რომლებიც ჯერ არა მყვანან ნანახი.

ბოლოსდაბოლოს, პატიოსნად ხომ უნდა მოვიქცე. სავსებით სამართლიანია და მე ვჩუმდები. ღმერთი გთარავდეთ ჩემდა საბეჭნიეროდ.

თქვენი გულწრფელად ერთგული.

ბაბალე, ალექსეი პეტროვიჩი, პეტრე ალექსეევიჩი თავისი მარიათი და ვლადიმერ პეტროვიჩი, ლიზა და ყველანი და ყველანი ჯანმრთელად არიან, ვადასტურებ.

ჩემს კეთილშობილ მეგობარს – ძმას, კნიაზ ნიკოლაის, როცა ნახავთ, უთხარით, რომ მიყვარს ის და მისი ცოლიც, შვილებიც, და ვლოცავ მათ.

11^ს ნოემბრ. 1879

თბილისით.

ქეიფს მოყოლებული წერილი დღემდე დამრჩა.

პარტარე პაგრატიონ-ორგელიანისაღვი №94 (1017)

12 Нояб: 1879. Тифл: в Царскоселье.¹

Моя матушка варвара Ильинишина! Имею честь прислатъ
Его Здоровью, Леиб Гусару Георгію, процентныя его деньги в
количество, 375 р:

Нельзяли, чтоб, хоть ты, сообщила мне, что сделано Георгіем, по делу, о котором я писал ему, относительно взысканія 1877 р: с него, как Наследником Князя Александра Орбел:?² – Пусть Георгій пришлет доверенность – черновая которой послана ему мною, – на имя Михайла Дмитриевича Алексеева-Месхієва. Надеюсь, он здесь покончит это дело в нашу пользу.

Тороплюсь, еду к К^ю Шахавскому, который совершенно неожиданно пріехал сюда охотиться за Дуражами.

Цалую тебя и Георгія, и благословляю вас.

პარტარე პაგრატიონ-ორგელიანისაღვი №94 (1017)

12 ნოემბ: 1879. თბილ: ცარსკოე სელოს.

ჩემო ძალუა ვარვარა ილინიშნა! მაქვს პატივი, ლეიბ გუსარ გიორგის გამოვუგზავნო მისი პროცენტების ფული 375 რ:

ნუთუ არ შეიძლება, შენ მაინც გამაგებინო, რა გააკეთა გიორგიმ იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ვწერდი და რომელიც ეხება მის, როგორც კნიაზ ალექსანდრე ორბელ: მემკვიდრის, მიერ 1877 რ:-ის გადახდას? გიორგიმ გამომიგზავნოს მინდობილობა, შავად ნაწერი, მიხეილ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიევის სახელზე, რომელიც მე გამოვუგზავნე. იმედი მაქვს, რომ ის ამ საქმეს ჩვენს სასარგებლოდ დაამთავრებს.

ვჩერაობ კნიაზ შახოვსკისთან ნასვლას, რომელიც სავსებით მოულოდნელად ჩამოვიდა დურაჯებზე სანადიროდ.

გუცნით შებ და გოორგის და გლოცავთ.

პარარე პატიონ-მრავალისადმ №95 (1018)

Мой друг Варвара Ильиниша! Вчера Телеграма опять принесла нам печальное известіе о злодейском покушені на Священную жизнь Государя Импер:^ა по Курской железной дороге. Гнусно, омерзительно, и наконец стыдно для большинства Русского населенія, остающегося, какбы, разнодушным Зрителем при этих ужасных, повторяющихся злодеяніях. Но, Велик Бог, охраняющей святую душу Освободителя Христіянства! – Люблю Грузію, всё народновыражающую свое чистосердечное негодованіе, проклятие к этой шашке разбойников, и какая должна быть высота души в Государе, до которой недосягает чувство разочарованія, озлобленія, ожесточенія противу Человечества!. На эти Горкіе ответы только обнаружили во всем блеске величие Его души. Здесь Он неподражаем, и молю Грешными устами Всеблагого Творца, да хранит Он жизнь Его от преследованій Злодеев!

Бедная Майка, жена Вано Орбел:, вполне больна; Параличное Состояніе ноги и глаз. По словам Докторов – Повреждение мозга от паденія, когдато, в танцах. Но мне не хочется верить им, видя необыкновенную твердость ея духа. Наднях пріехала к ней и Сестра ея Ольга Барятинская.

Высылаю 250 р:¹ и целую твои руки, голову, целую и Георгія, и да хранит вас благословеніе Божье.

23^{го} Нояб:²

Кто поверит, что это короткое письмо стоит мне двух дней! Просто недают писать. Сейчас я был у Майки и, благодаря

Бога, ей очень хорошо, и я спокоен: Гуляет по Головинскому Проспекту.

Возвратились из Петербурга Шереметьевы; Славное семейство, искренно мною уважаемое.

[1879]

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისაღმი №95 (1018)

ჩემო მეგობარო ვარვარა ილინიშნა! გუშინ ტელეგრამაშ ისევ სამწეხარო ამბავი გვამცნო ხელმწიფე იმპერატორის წმინდა სიცოცხლეზე ავაზაკური თავდასხმის შესახებ კურსკის რკინიგზაზე. რუსი მოსახლეობის უმრავლესობისათვის სისაძაგლეა, საზიზლობაა და, ბოლოს, სირცხვილია თითქოსდა გულგრილ მაყურებლად დარჩენა ამ საშინელი, რამდენჯერმე განმეორებული ბოროტებისა. მაგრამ დიდია ღმერთი, რომელიც იცავს ქრისტიანობის განმათავისუფლებლის წმინდა სულს. – მიყვარს საქართველო, რომელიც სახალხოდ გამოხატავს თავის გულწრფელ აღმფოთებას ამ ავაზაკთა ბრძოს წინააღმდეგ. და როგორი მაღალი სულის პატრონია ხელმწიფე, რომელშიც ვერ აღწევს იმედგაცრუების, გაბოროტების, სიკმაცრის გრძნობა ადამიანთა მოდგმის წინააღმდეგ! მაგრამ ამ მწარე პასუხებმა მხოლოდ ცხადყო მთელი ბრწყინვალებით მისი სულის სიდიადე. აქ ის განუმეორებელია და ცოდვილი ბაგეებით ვევედრები ყოვლადკურთხეულ შემოქმედს, რომ დაითაროს მისი სიცოცხლე ავაზაკთა დევნისგან.

საწყალი მაკა, ვანო ორბელიანის ცოლი, ძალიან ავადაა, პარალიზური მდგომარეობა აქვს ფეხისა და თვალებისა. ექიმების თქმით – ტვინია დაზიანებული ოდესლაც ცეკვის დროს დაცემის გამო, მაგრამ მე არ მჯერა მათი, მისი არაწვეულებრივი სულის სიმტკიცის შემხედვებს. ცოტა ხნის წინ მასთან ჩამოვიდა მისი და ოლღა ბარიატინსკაია.

გიგზავნი 250 რ: და გიკოცნი ხელებს, თავს, ვკოცნი გიორგისაც. გფარავდეთ ღვთის კურთხევა.

23^и ნოემბ:

ვინ დაიჯერებს, რომ ამ მოკლე წერილს ორი დღე მოვანდო-
მე! უბრალოდ, არ მაცდიან წერას. ახლა მაკასთან ვიყავი. მადლობა
ღმერთს, ძალიან კარგად არის და მე დავმშვიდდი: გოლოვინის
პროსპექტზე სეირნობს.

პეტერბურლიდან დაბრუნდნენ შერემეტიევები. დიდებული
ოჯახია, მე მათ გულწრფელად ვცემ პატივს.

[1879]

გიორგი მრჩევიანისაძე №3 (1019)

17^{го} Дек: 1879. В Царское Село Георгію.¹

Мой друг и дядя Георгий! Посылаю подробную выписку из дела по тяжбе о Сахкалутанском Земле. Прошу тебя, как можно скорее, передать эту выписку Васо Мачабели, и скажи ему, что я нарочно поместил в ней многія подробности, быть может излишныя, но вовсяком Случае, считаю для Васо необходимым, ознакомиться совсем мелочами дела, потому что придирки Сената выставляются рельефнее: очевидно желание, вочтобы нестало, отнять у нас вековое именіе.

Тороплюсь, чтоб не опоздать напочту, а сам я отправляюсь к бедному К^ю Дмитрию Мирскому, котораго печаль глубока. – Петя также здесь.

Цалую тетушку варвару руки и молю Бога да хранит вас для моего счастія.

გიორგი ორგელიანისადმი №3 (1019)

17^ს დეკ: 1879. ცარსკოე სელოს გიორგის.

ჩემო მეგობარო და ბიძია გიორგი! გიგზავნი დაწვრილებით ამონაწერს საჰყალტუთანის მამულთან დაკავშირებული დავის საქ-მიდან. გთხოვ, რაც შეიძლება, ჩეარა გადასცე ეს ამონაწერი ვასო მაჩაბელს და უთხარი, რომ მე საგანგებოდ ამოვნერე ყველაზე დაწ-ვრილებითი ამბები, რომლებიც შესაძლოა, არც კი იყოს საჭირო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საჭიროდ მიმართია, რომ ვასო გაეც-ნოს საქმის ყველა წვრილმანს, რათა სენატის მოთხოვნები უფრო რელიეფურად დაინახოს.

ნათლად ჩანს სენატის სურვილი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, წაგვართვას ჩვენი საუკუნოვანი მამული.

ვჩეარობ, რომ ფოსტაში არ დამავიანდეს. მერე კი მივდივარ საბრალო კა დიმიტრი მირსკისთან, რომლის მწუხარება უსაზღვ-როა. – პეტიაც აქ არის.

ძალუა ვარვარას ვუკოცნი ხელებს და ღმერთს შევთხოვ თქვენს მფარველობას ჩემდა საბედნიეროდ.

ივანე კონსტანტინეს ძე ორგელიანისადმი №7 (1020)

ჩემო საყუარელო ძმაო ვანოჯან! ამ წერილს მოგარ-თმევს აჭარელის შარიბეგისშვილი ჯამალ, ყმაწვილი კაცი, რომლისა მამამ შარიბეგმა გამოუჩინა ჩუმის იმპერატორსა უკანასკნელს ბრძოლაში ოსმალებთან ისეთი დიდი ერთგულე-ბა და სამსახური, რომ პირდაპირ უწყალობეს ღენარლობა: ამან გაუადვილა აჭარის დამორჩილება.

ახლა, ეს ყმაწვილი განაწესეს კანვოიში, და რადგანაც მეტად ხამია, საზოგადობაში გამოუცდელი, არის სრულიად უმანკო ზნეობით, გულწრფელი და ამასთანა მანდა არავინა ჰყავს მფარველი და დამრიგებელი, ამისთვის გთხოვ მიღო შენს მფარველობასქუმშე, ასწავლო, მოარიდო ცუდს საზოგა-

დოებას, რომ არ წახდეს ზნეობით; მეტადრე რუსულის ენის უცოდინარი დიახ ადვილად წახდება მანდა, თუ არავინ ეყოლება ზედამხედველად. მადლია, ჩემო ვანო, გებრალებოდეს,¹ კარგის ოჯახის შვილია. გეთაყუანე, შეიქმენ ამისი მეორედ მამად, გამოიყუანე კაცად და ღ~თი² გადგიხდის სამაგიეროს.

მე დიდად გულმოკლული ვარ ზედაზედ მწუხარების მოვლენითა: წელიწად ნახევარში მომიკუდა ყაფლან, მისი და ეკატერინა, ჩემი გულით საყუარელი სოსიკო, და ახლა ჩემი სასურველი და სოფიო, რომელიცა დავმარხეთ ქაშუეთის გალავანში! აღარა მაქუს ძალი აღარცა მწუხარებისათვს, აღარცა სიხარულისათვს. ვგდივარ მარტო, გამოყრუებული ჩუცნს, ოდესმე სიხარულითა და სიცოცხლითა აღუსილს, ქუჩაში. ღმერთმან ნუგეში მისცეს შენს დას ტასოსა, ისევ ეს მაცოცხლებს, და ვატარებ ამასთან თითქმის ყოველს საღამოს. ესენი, ღ~თის³ მოწყალებით, კარგად არიან.

საწყალს სტაროსელსკის მოუკუდა ვაჟიშვილი, ძალიან აღმაზი და გონებიანი, ცამეტის წლისა, და ნიკო ჭავჭავაძესაცა უმცროსი ქალი! სულ ამ გუარი სამწუხარო ამბებია აქა.

კნ: მირსკიმ მიიღო ტელეგრამა ველიკის კნ: კონსტანტინესაგან, რომელიცა ულოცავს ღოსუდარსტ: სოვეტის ჩლენიბასა ისეთის სიტყვებითა, რომ სრულიად გააცოცხლა ეს მეტად შეწუხებული და დაღონებული კაცი, ცოლის სიკუდილისაგამო. – ეჭვი არ არის, რომ შენი ველიკი კნიაზი, თვთ მაღალ-გონიერი, ღირსეულად დააფასებს მირსკის გონიერებასაცა და გამოცდილებასაცა სასარგებლოდ წელმწიფობისა.

ჩემო ვანოჯან, ნუ დამივიწყებ, უნდა გებრალებოდეს ჩემი სიბერე; მომიგონებდე ზოგჯერ შენის წერილითა და გულით ჩამიკოცნე შენი საშა.

კარგა ხანია გამოგიგზავნე სიჩქარით, ცერნოვე,* ქალდები საჰყალტუთანის საქმეზე; მერე კარგად გადაწერილი გაუგზავნე მაჩაბელსა გიორგის ხელით, და არ ვიცი მიიღეთ, თუ არა? და თუ აკლია რამე, ვასომ შემატყობინოს,

რომ თავის დროზე მივაშველო რაც არის საჭირო აღსახსნებლად საქმისა.

კნ: ლევან⁴ მალე მოვა აქა მირსკის მაგიერ; დაღისტანში წავა ჩუმინი ნიკო,⁵ და ამის ალაგს ელისავეტოპოლის ლუბერნატორად – ნაკაშიძე.⁶ ლენერალ შავ⁷ წავიდა ჩიკიშლარში ტერლუკასოვის მაგიერ, რომელიცა ეხლა აქ არის მეტად ავათმყოფი.

[1879 წლის 17 დეკემბრის შემდეგ]

* შავად ნაწერი

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისაღვი №96 (1021)

В Царское Село 18 декаб: 1879 г.¹

С глубоким чувством скорби пишу тебе, мой друг, варвара – о несчастії, постигшем вновь нашу фамилію; Софія Мирская скончалась внезапно в Полтаве 26 Нояб: и похоронили здесь в ограде Кашуэтской церкви 7 декаб: – Немогу описать моей горести; ты знаешь, как я любил ее! До сих пор несообщал тебе, опасаясь опечалить тебя; но теперь, полагаю, ты уже знаешь о нашем горе. Помолись, матушка, За ея чистую, святую душу. Бедный Дмитрий, как он несчастлив! Совсем постарел! Одно утешеніе, что всё общество, весь простой люд выразил искреннее сожаленіе. Из церкви на Вере до Кашуэта народ на головах нёс очень тяжелый ея гроб. День был чудный, и сбылось ея желаніе: она писала: «когда же согреет меня Солнце моей родины»? И Солнце ея родины осветило своими лучами ея торжественное шествіе к могиле! – Грустно, всё вокруг меня падает, разрушается. В два года похоронил я моего Каплана,² его Сестру

Екатерину,³ Сосико⁴ и теперь Софію.⁵ Нет сил для терпенія, нет сил даже для печали!

Князь Мирскій не остается здесь, и хорошо делает. Служба его тяжелая, трудная своею многообразностью и ответственностью. А между тем в тишине работают злословія, нареканія, порожденныя Завистью, Злобою, желаніем ему вреда, чтоб самому занять его видное место. Увидим. Вакансію можно занять, но заменить трудно; а край потеряет много. Ну, у, экая важность, край.

Вчера я послал на имя Георгія письмо с выпискою из дела по Сахкалтуганскому іменію, прошу его, как можно скорее, передать Васо Мачабели, адрес которого я потерял. В этой выписке разобраны мною все мельчайшія подробности, которые выставляют во всей ясности несправедливыя притязанія Сената – вернее сказать бессовестный доклад Сенату. – Удивительно! весь вопрос состоит только в том, кому принадлежит Земля, Алиханагаджи, казне или К^{ъм} Орбел?:? Кто поверит, что для решенія этого пустейшаго вопроса потребовалось времени, 60 лет!!!

Я прибегнул к разъясненію этих мелочей, чтоб Мачабели без труда мог обнять и усвоить всесторонно этот вопрос. Здесь он увидит, какие бывают в Сенате Злостные докладчики, и с каким замечательным искус(с)твом они могут извращать ясный смысл Грамот и тем затемнять истину! И всё это делается только для того, чтоб иметь наслажденіе сделать Зло Человеку, совершенно ему неизвестному.

Посылаю 250 р:⁶ на здоровье; целую твои руки, люблю тебя, мой друг варвара, целую Георгія, и прошу тебя – не Георгія – писать комне почаше.

Сегодня 4 гр: мороз!! Кутаемся в теплое Пальто; незнаем как одеться, чтоб сколько нибудь согреться. Просто Беда!

Бог да хранит вас.

პარპარე პაგრატიონ-ორგელისადმი №96 (1021)

ცარსკოე სელოს 18 დეკემბერი: 1879 წ.

ღრმა მწუხარების გრძნობით გწერ, ჩემო მეგობარო ვარვარა, რომ ჩვენს გვარს კვლავ დაატყდა თავს უბედურება; 26 ნოემბერს პოლტავაში მოულოდნელად გარდაიცვალა სოფიო მირსკაია, რომელიც დაკრძალეს აქ, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში 7 დეკემბერს. – ჩემი მწუხარება ენით აღუწერელია; შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა. აქმდე არ გატყობინებდი, შენს დამწუხრებას ვერიდებოდი; ახლა კი, ვფიქრობ, უკვე იცი ჩვენი მწუხარების შესახებ. ილოცე, ძალუა, მისი სუვთა, წმინდა სულისათვის. საწყალი დიმიტრი რა უბედურია! ძალიან მოხუცდა! მხოლოდ ისლა გვაიმედებს, რომ მთელმა საზოგადოებამ, მთელმა უბრალო ხალხმა გულწრფელად გამოხატა ღრმა მწუხარება, ვერის ეკლესიიდან ქაშუეთამდე ხალხს ხელით მიჰკონდა მისი ძალიან მძიმე კუბო. დღე იყო არაჩვეულებრივი და ახდა მისი სურვილი. ის წერდა: „როდისლა გამათბობს ჩემი სამშობლოს მზე?“ და მისი სამშობლოს მზემ თავისი სხივებით გაანათა მისი საზეიმო მსვლელობა საფლავამდე! – სამწუხაროა, ჩემ ირგვლივ ყველაფერი ნადგურდება. ორ წელინადში დაკრძალე ჩემი ყაფლანი, მისი და ეკატერინე, სოსიკო და ახლა კი სოფიო. მოთმინების ძალა აღარ მაქს, მწუხარების ძალაც კი აღარ მაქს!

კნიაზი მირსკი არ ჩრება აქ და კარგადაც შვრება. მისი სამსახური მძიმეა, ძნელია თავისი მრავალმხრივობითა და პასუხისმგებლობით. სიწყნარეში კი მუშაობს პოროგულისტება, შურით, სიპოროტით გამოწვეული საყვედურები, მისთვის ავის ქმნის სურვილი მისი გამორჩეული ადგილის დაკავების განზრახვით. ვნახოთ. ვაკანსიის დაკავება შეიძლება, მაგრამ მისი მაგივრობის გაწევა ძნელია; მხარე კი ბევრს დაკარგავს. ეჭ, თუმცა, მხარე ვის ადარდებს.

გუშინ გიორგის სახელზე გამოვგზავნე წერილი საპყალტუთანის მამულთან დაკავშირებული საქმიდან ამონაწერით. ვთხოვ გიორგის, რაც შეიძლება, ჩქარა გადასცეს ვასო მაჩაბელს, რომლის მისამართიც მე დავკარგე. ამ ამონაწერში დაწვრილებით მაქვს განმარტებული ყველა წვრილმანი, რომლებშიც ცხადად ჩანს სენატის ყველა მოთხოვნა – უფრო სწორედ, უსინდისო მოხსენება სენატის წინაშე. – საოცარია! მთელი კითხვა მდგომარეობს მხოლოდ იმაში,

ვის ეკუთვნის ალიხანაგაჯის მიწა – ხაზინას, თუ თავად ორბელიანებს? ვინ დაიჯერებს, რომ ამ უმარტივესი საკითხის გადაწყვეტას დასჭირდა მთელი 60 წელი!!!

მე ამ წვრილმანების განხილვა საჭიროდ ჩავთვალე, რათა მაჩაბელი ადვილად ჩასწვდეს და გაითავისოს ეს საკითხი. აქ ის დაინახავს, სენატში როგორი ბოროტი მომხსენებლები არიან და რა შესანიშნავი ოსტატობით შეუძლიათ გააბუნდოვანონ სავსებით ნათელი აზრი და გადაფარონ ჭეშმარიტება! და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ ისიამოვნონ ბოროტების ქმნით ადამიანისათვის, რომელსაც არცკი იცნობენ.

გიგზავნით 250 რ.-ს. მშვიდობაში მოიხმარეთ; გიკოცნი ხელებს, მიყვარსარ, ჩემო მეგობარო ვარვარა, ვკოცნი გიორგის და გთხოვ შენ – არა გიორგის – უფრო ხშირად მომწერო.

დღეს 4 გრ: ყინვაა!! თბილ პალტოებში ვიფუთნებით; არ ვიცით, რა ჩავიცვათ, რომ ცოტათი მაინც გავთბეთ. მოკლედ, უბედურებაა!

ღმერთი გფარავდეთ.

ბასბორტტები, შენიშვნები,

კომენტარები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აյ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია,⁴ პუნქტუაცია და აბზაცები. წინა ტომებში შენიშნული გვაქვს და აქაც გავიმეორებთ, რომ XIX საუკუნის ტექსტების ორთოგრაფია არაერთგვაროვანია. ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება მოცემული იყოს სხვადასხვა დაწერილობით. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი ხშირად სხვადასხვა სახის ნაწილაკს, წინდებულსა თუ თანდებულს მეზობელ (მომდევნო თუ წინამავალ) სიტყვებთან აერთებს, ხან ორ, ზოგჯერ კი სამ სრულმნიშვნელოვან სიტყვასაც ერთად წერს. ამან მკითხველი გარევეულ შემთხვევებში შეიძლება დააბნიოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ავტორის სტილია, ჩვენ ის შევინარჩუნეთ. ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არჩაგვისწორებია.

იგივე მიდგომა შევინარჩუნეთ რუსულენოვან წერილებთან მიმართებით. XIX საუკუნის რუსული ორთოგრაფიული წესები, ცხადია, თანხვედრაში ვერ იქნება თანამედროვე ნორმებთან. გასათვალისწინებელია ისიც, როგორ აღიქვამდა რუსულ ბერით სისტემას წერილების ავტორი, მიუხედავად ამ ენის სრულყოფილი ცოდნისა. შევინარჩუნეთ ყველა ორ-

⁴ გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა.

თოგრაფიულად მცდარი (დღევანდელი გადასახედიდან) ფორმა, რომელიც გრიგოლ ობელიანის წერილებისთვის წარმოადგენს ნორმას, მაგალითად, სიტყვაში «Церковь» (ეკლესია) ის ყოველთვის რბილ ნიშანს წერს «р» თანხმოვნის შემდეგ: «Церьковь». ასევე, სიტყვა «расстройство» მოცემულია «разстройство»-ს სახით; «восстановление» – «возстановление»-ს სახით; «бесполезны» – «безполезны»-ს სახით და ა. შ. ასო «й»-ს ხშირად ნახმარია «и»-ს ნაცვლად და პირიქით; «змейные», «пройзводит», «войнственныей»; «ы» – «й»-ს ნაცვლად და პირიქით: «многосторонный», ნაცვლად «многосторонний»-სა; «древных», ნაცვლად «древних»-ისა; «и» ძალიან ხშირად ჩანერილია «і»-ს სახით; რუსულ წერილებშიც ხშირად სიტყვასთან მიერთებულია წინდებულები თუ ნაწილაკები: «вначалеже», ნაცვლად «в начале же»; «уних», ნაცვლად «у них»; რბილი ნიშანი «ъ» სისტემურად ჩანს ზმის III პირის ფორმებში: «дом... едва держиться»; «кажеться»; ხმოვნით დაწყებულ სახელებს თანდებულიან ბრუნვაში (предложный падеж) ნაცვლად «о» წინდებულისა, დაერთვით «о» წინდებული: «о удивленie»; ზედსართავ სახელებს ნათესაობით ბრუნვაში – «аго» ბრუნვის ნიშანი, ნაცვლად «ого»-სი; მრავლობითი რიცხვის მარკერად კი მათთან უმეტესად გამოყენებულია «ыя» სუფიქსი, ნაცვლად «ыie»-სი: «добровольныя»; «разстроеныя»; აქაც ჩავასწორეთ მხოლოდ კალმისმიერი ლაფსუსები.

რუსული წერილების ქართულ თარგმანებში მაქსიმალურად შევინარჩუნეთ ავტორისეული ლექსიკა: „ლენერალი“, „ლუბერნატორი“, „ლვარდია“, „ლრაფინია“; „მუზიკა“; მათ შორის, რუსიციზმები: „კნიაზი“, „კნეჟნა“; „ველიკიი“; „ნაჩალნიკიი“; ასევე პირთა და გეოგრაფიულ სახელთა მისეული დაწერილობები: „ანგლია“, „დალისტანი“, და სხვ.

ავტოგრაფის დაზიანებული ადგილები აღვადგინეთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო ავტორის მიერ უნებლიერ გამორჩენილი ასოები – მრგვალ ფრჩხილებში.

კომენტარებს წინ უძლვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. **ავტოგრაფი:** აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ცენტრალური არქივი A, ლიტერატურის მუზეუმი L, ხოლო ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმი – Z ლიტერით.

2. **ავტოგრაფის აღწერილობა:** რუბრიკა გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და ფერის ქალალდზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

3. **თარიღი და ადგილი:** აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარილებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

4. **ხელმოწერა:** რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

5. **ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უნიდებს და ა. შ.

6. **ადრესატის მისამართი:** აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვია-

თად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრე-სატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინებთ;

საპასპორტო რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინ-ფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. შენიშვნები: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლათსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმე-რაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

2. პირველი პუბლიკაცია: აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ. თუ წერილი პირველად იბეჭდება, აღნიშნული რუბრიკა სამეცნიერო აპა-რატს არ ახლავს;

3. დათარილება: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის სა-ფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თა-რილი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. გამოცემაში და-თარილებულია 11 წერილი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახ-სნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი. თითოეული საკო-მენტარო ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მი-თითებით. სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სა-თაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის სა-ჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღ-ნიშვნით, ვთქვათ, „1878 / დიმიტრი ჯორჯაძისადმი №111 (930)“, პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „ჩემო ბატო-ნო,“ რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გე-ოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძ-

ლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

ანდრონიკაშვილები, თარხნიშვილები, თუმანიშვილები, მელიქიშვილები, ჩოლოყაშვილები და სხვა გვარის წარმომადგენლები წერილებში ხშირად მოხსენიებიან, როგორც ანდრონიკოვები, თარხანვები, თუმანოვები, მელიქოვები, ჩოლოყავები და ა.შ. წინა ტომებში ამ გვარის წარმომადგენლები ტექსტური მონაცემით იყვნენ წარმოდგენილნი საძიებელში და ფრჩხილებში მითითებული ჰქონდათ „შვილზე“ დაბოლოებული გვარები: „ანდრონიკაშვილი“, „თარხნიშვილი“, „თუმანიშვილი“, „მელიქიშვილი“, „ჩოლოყაშვილი“, და სხვ.

თუ რომელიმე ამ გვარის წარმომადგენელი წერილებში მარტო სახელით ჩანდა, ან წერილის ადრესატი იყო და მისი გვარი არ იყო მოხსენიებული ავტორის მიერ, საძიებელში გატანილი იყო მხოლოდ „შვილზე“ დაბოლოებული ვარიანტი, მაგ., „ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა ელენე ივანეს ასული“, „ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის (მელქისედეკის) ძე“, და ა.შ. ამდენად, საძიებელში გვექმნებოდა სხვაობა ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთა დასახელების დროს. რამდენადაც ამოსავალი პრინციპი ჩვენთვის იყო პიროვნების ტექსტური მონაცემის სახით წარმოდგენა, ამ სხვაობის წარმოქმნას ვერ ვაღწევდით თავს.

წინამდებარე ტომში მიდგომა შევცვალეთ და უარი ვთქვით ტექსტურ მონაცემზე. ეს საგამომცემლო პრინციპი ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ წერილებში მოხსენიებული ნებისმიერი პიროვნება იდენტიფიცირებულია კომენტარებში და იქვეა დასახელებული მისი სრული გვარი. კომენტარებში მოცემული ინფორმაცია სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველი არ დაიბნეს და მისთვის სასურველი პიროვნების ანოტაცია მარტივად იპოვოს საძიებელში.

სწორი გვარებია მოცემული საძიებელში იმ შემთხვევებშიც, თუ გვარი ავტორის მიერ დამახინჯებული ფორმითაა გამოყენებული. მაგ., „ჩოლოყავევის“ ნაცვლად ავტორი წერს

„ჩოლაყაევს“, „შახოვსკაიას“ ნაცვლად – „შახავსკაიას“, და სხვ.

ტექსტური მონაცემი მხოლოდ იმ შემთხვევებშია შენარჩუნებული, თუ პიროვნება დაუდგენელია, მაგ., **შალიკოვი; მამაცოვი; ონიკოვი.**

ხშირად გრიგოლ ორბელიანი პიროვნებებს ერთი ან მეტი კნინობით-ალერსობითი სახელით იხსენიებს: სოსიკო, მაიკო, ნინოჩკა, კაცია / კონია, სანდრო / საშა, და სხვ. ჩვენ ყველა მათგანს საძიებელში ოფიციალური სახელების გვერდით ფრჩხილებში ვუთითებთ, მაგ., **ორბელიანი იოსებ (სოსიკო) კონსტანტინეს ძე; ორბელიანი ალექსანდრე (სანდრო, საშა) ესტატეს ძე.** თუ პიროვნებას სხვა სახელიც აქვს და ავტორი მას კნინობითი სახელითაც მიმართავს, ფრჩხილებში ჯერ კნინობით სახელს ვუთითებთ, ხოლო შემდეგ – მეორე სახელს და მათ ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით გამოვყოფთ, მაგ., **ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა სოფო (სოფო; ხორეშან) კონსტანტინეს ასული.** დასახელებულ პიროვნებას მეორე სახელიც ჰქონდა – ხორეშანი, მაგრამ ავტორი მას კნინობითი „სოფოს“ სახით მოიხსენიებს.

ქალი პიროვნებები წარმოდგენილნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ., „ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული“, „ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული“; ..„დადიანი-მიურატისა სალომე დავითის ასული“, და ა. შ.

თუ ქალი პიროვნება მოიხსენიება, როგორც მეუღლე, და ცნობილი არ არის მისი ქალიშვილობის გვარი, საძიებელში ის გატანილია მეუღლის გვარით, მაგ., **ორბელიანისა ალექსანდრა (საშა); ბუჭყაიშვილისა სოფო; სუმბათაშვილისა სონია (სონიჩკა), და სხვ.**

თუ ოჯახი მრავლობითის ფორმით სახელდება, მაგ., „მირსკიანნი“; „ოპოჩინინები“ // „ოპოჩინიაანნი“, და ა. შ., ის საძიებელში არ გადის. ნათქვამი ეხება იმ შემთხვევებსაც,

როდესაც გვარები მოხსენიებულია ზოგადად, კონკრეტული ოჯახის ან პიროვნების გულისხმობის გარეშე, მაგ., „გაჩქარებული მოგვდევენ სოლალაანნი, ბარათაანნი, ჭავჭავაძიანნი; ანდრონიკაანნი, ვაჩნაძიანნი, ციციანნი, თარხნიანნი, ერის-თვიანნი და სხუანი. – ჩუმში მამულებს ეპატრონებიან მირზოები, თაიროები, მიკირტუმები, მირმანოები და მრავალნი სხუანი.“

თუ ნახსენებია მხოლოდ გვარი და ვერ ირკვევა პიროვნების ვინაობა, საძიებელში მხოლოდ გვარი გვაქვს დაფიქსირებული და ანოტაციაში მითითებული გვაქვს ტექსტური ინფორმაცია. მაგ., „ონიკოვს დარჩა ათასთუმანში მთლად მანანასშვილის ალექსანდრეს მშვენიერი წილი მამულისა!“ საძიებელში ვწერთ: „ონიკოვი – 1878 წლის 7 / 8 თებერვლის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მას შეუსყიდია გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, სახლი ათას თუმნად.“

ანოტაციები არ ერთვის საზოგადო სახელებით მოხსენიებულ პიროვნებებს, თუმცა კომენტარებში განმარტებულია, ვისზეა საუბარი. მაგ., „დათიკოს სუმბათოვის ძმა.“ აქ ნახსენებია დათიკო სუმბათოვი, მაგრამ მისი ძმა მოცემულია საზოგადო სახელით. საძიებელში გატანილია სუმბათაშვილი დავით (დათიკო) ალექსანდრეს ძე, ხოლო კომენტარში აღნიშნულია: „საუბარია დავით და ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილებზე. ვასილ სუმბათაშვილი (1843-1905) იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე. მან 1878 წელს იქორნინა სოფიო მელიტონისა ასულ ბარათაშვილზე.“

რაც შეეხებათ ადრესატებს, მათ გვერდები აღნიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ ბარათებში მოხსენიებან, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა შემთხვევაში მათ საძიებელში ეთითებათ, რომ წერილის ადრესატები არიან.

გეოგრაფიული სახელები წერილებში ხშირად რუსული

სახელწოდებით, ან დამახინჯებული ფორმით არის მოცემული. ანოტირებულ საძიებელში ისინი გატანილია ტექსტური მონაცემით, ხოლო სწორი დასახელება წარმოდგენილია ფრჩხილებში, მაგ., **ანგლია** (ინგლისი); **დილიუანი** (დილიჯანი); **ალბულახი** (ალბულალი). თუ ტოპონიმი ორივე – სწორი და დამახინჯებული – ფორმით არის გამოყენებული, საძიებელში ორივეა გატანილი: ჯერ სწორი დასახელება, ხოლო პარალელური ხაზების შემდეგ – დამახინჯებული, მაგ., **დედოფლისწყარო // დედუფლისწყარო // დედუფლის წყარო**. გეოგრაფიული სახელის ტექსტური ფორმით გატანის საფუძველი ის არის, რომ კომენტარებში მათ არ განვმარტავთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტოპონიმს სახელი შეცვლილი აქვს და მკითხველს შეიძლება გაუჭირდეს მისი დაკავშირება თანამედროვე დასახელებასთან.

იშვიათად ავტორი გეოგრაფიულ სახელს ძველი და ახალი დასახელებით იყენებს, მაგ., **თეთრიწყარო, ალბულახი, ბელიკლური; განჯა, ელისავეტოპოლი**. ასეთ დროს საძიებელში ყველა სახელწოდებაა წარმოდგენილი თავ-თავის ადგილას და გვერდებიც მიწერილი აქვთ, თუმცა ანოტაცია ერთვის მხოლოდ ახალ სახელწოდებას, ხოლო ძველი სახელწოდებები ანბანური პრინციპის მიხედვით გაგზავნილია თანამედროვე სახელდებასთან.

საძიებელში ანოტაციები არ ერთვის საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს (მაგ., კახეთს, გურიას, იმერეთს და ა. შ.), აგრეთვე კონტინენტებს. მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

პირთა და გეოგრაფიულ სახელებს გვერდები ეთითებათ მხოლოდ ორიგინალური ტექსტის მიხედვით. შესაბამისად, რუსული წერილების ქართული თარგმანების მონაცემები გათვალისწინებული არ არის.

ტომს ერთვის ლექსიკონიც. უანრის სპეციფიკის გათვა-

ლისწინებით, მასში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვები-ცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. მაგ., **სამზღვარგარე // სამზღვარგარეთ // სამზღვარსგარე.** თითოეულის გვერდები ერთმანეთს პარალელური ხაზებით გამოეყოფა.

სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

გარკვეულ შემთხვევებში სიტყვებს განმარტება არ სჭირდება, მაგ., „ლუბერნია“, „ქვეშე“, „უვარგობა“ და სხვ., მაგრამ ისინი ასახულია ლექსიკონში ავტორისთვის დამახასიათებელი ლექსიკის სრულად წარმოჩენის მიზნით. ლექსიკონში გვერდები არა აქვს მითითებული რუსული წერილების ქართულ თარგმანებში გამოყენებულ სიტყვებს.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №111 (930) გვ. 12.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №621/№26,
164r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო, გახუნებული, თხელი,
საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გა-
დაკეცილი ფურცელი; ზომა: 20,8X13,4 სმ.; შესრულებულია
მუქი შავი მელნით, რომელიც გადასულია მომდევნო გვერ-
დზე.

თარიღი და ადგილი: „1^ს იან: 1878.“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ერთგული თ~ გრიგოლ ორბე-
ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო
დიმიტრი!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი თბილისში მუ-
შაობდა. წინამდებარე წერილში ავტორი მას ხელმწიფის წყა-
ლობას, „ტაინი სოვეტნიკობას,“ ულოცავს. შესაბამისად, ბა-
რათი თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თავადი; 2. თარიღი ხაზგასმულია.

გვ.: 12,2. „კნიაზო დიმიტრი!“ – წერილის ადრესატია
გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დი-
მიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 12,4. „ქელმწიფის წყალობასა, ტაინიიი სოვეტნიკ!“
– დიმიტრი ჯორჯაძემ მიღო საიდუმლო მრჩევლის სამოქა-
ლაქო წოდება, რომელიც რუსეთის არმიაში გენერალ-ლეიტე-
ნანტის წოდების ტოლფასი იყო.

ყაფლან ორბელიანისადმი №25 (931) გვ.: 12-13.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №407/№27 (ძველი №S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r / 5r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 36X22,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაუდენთილია ფურცელში.

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო – ძმაო ყაფლან!“

ადრესატის მისამართი: წერილში ავტორი ადრესატს ჩამოსვლას სთხოვს: „წამოდი, გეყოფა კარგია; მანდ ძალუაც ეყოფა მამულ-დედულის მოსავლელად.“ იმის გათვალისწინებით, რომ ზამთარია და ამ დროს გრიგოლი ყოველთვის თბილისში ცხოვრობდა, ყაფლანი კოდაში უნდა ყოფილიყო, სადაც მას სახლი და მამული ჰქონდა.

დათარილება: წერილის ადრესატი ყაფლან ორბელიანი გარდა-იცვალა 1878 წლის ივნისში, მაგრამ, რამდენადაც წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ დაზამთრდა და ყინვები დაიწყო, მისი დაწერის ზედა ზღვარი უნდა იყოს **1878 წლის იანვარი.**

გვ.: 12,8. „**ძმაო ყაფლან**“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 12,21. „**ძალუაც ეყოფა**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №3 (932) გვ.: 13-18.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №192/№68,
1r-v, 2r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ორად გადაკეცილი ფურ-
ცელი; ზომა: 27X21,3 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით,
რომელიც გაუდენილია ფურცლებში. I გვერდზე, ზედა მარ-
ცხენა მხარეს, შავი ფანქრით რუსულად აწერია: «Читал».
ამავე გვერდის II აბზაცს და III გვერდის ბოლო 4 აბზაცს მარ-
ცხენა აშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; IV გვერ-
დის ქვედა მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურად და ვერტიკა-
ლურად შავი ფანქრით და შავი მელნით მიწერილია რიცხვე-
ბის ანგარიში; აქვე, ქვედა მარჯვენა მხარეს, შავი ფანქრით
მიწერილია: „15000.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „7th ფევრ: 1878 გ. თბილისით“ / „თებერ:
გაა.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი გრიგოლ
ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო
ივანე!“

ადრესატის მისამართი: წინა წერილებიდან ვიცით, რომ ამ პე-
რიოდში ადრესატი პეტერბურგში ცხოვრობდა. ეს საანალიზო
ბარათშიც ჩანს: ავტორი მას რუსეთის ხელისუფლებისთვის
საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ინფორ-
მაციის მიწოდებას სთხოვს. ამასთან, ადრესატის ადგილსამ-
ყოფელს ადასტურებს ავტორის მიერ გამოყენებული ზმნური
ფორმები: „ბარონ საკენი დანიშნეს ნაჩალნიკად ტამოჟენის
კარანტინის ნაწილისა, მაგრამ აქ აღარა დგება ესე, და წამო-
ვა პეტერბურლსა“; „ჩუმინ აქ შეუდგებით საქმესა ველიკის
კნიაზთან, რომელიცა, თუ შერიგება მოხდა, უეჭველია, წამო-
ვა პეტერბურლსა.“

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3-4. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია ზემოდან; 5. სიტყვა ხაზგასმულია; 6. „ნიკო ჭავჭავაძე“ ხაზგასმულია; 7-12. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 13. ღმერთი; 14. თარიღი ხაზგასმულია.

გვ.: 13,4. „**ძმაო ივანე!**“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 13,11-12. „**ხან ქეთევანსა და ხან შენს დას ტასოსა**“ – საუბარია ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე.

გვ.: 13,17. „**ტასო თავის ქალებით... ქმარიც**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოს ქალიშვილებზე: ნინოსა და ელენეზე და ქმარზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 13,18. „**შენი და სოფოცი**“ – საუბარია სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩილოყაშვილისაზე.

გვ.: 13,19. „**გიგოც აქ არის**“ – საუბარია გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 13,19. „**სოსიკოც მშვიდობით არის**“ – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 13,24. „**ლევან მელიქოვი იყო**“ – საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 13,25-26. „**ნიკო ჭავჭავაძე.... განთემული ღუბერნატორობაში**“ – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, რომელიც 1866-1876 წლებში იყო დასავლეთ დალესტნის სამხედრო გუბერნატორი და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

გვ.: 13,26. „**ველიკის კნიაზსა**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 14,3-4. „**ტერლუქაზოვიცა, ამ ომიანობაში ჩინებულად გამოჩენილი**“ – საუბარია გენერალ არზას არტემის ძე

ტერლუკასოვზე, რომელმაც თავი გამოიჩინა თურქეთთან ომის დროს.

გვ.: 14,8-9. „ლენერალ ლაზარევი... ყარსის აღებაში“ – საუბარია გენერალ-ლეიტენანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზ-ზე.

გვ.: 14,12. „შერიგებამაც მოასწრო“ – იგულისხმება 1878 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება.

გვ.: 14,18-19. „ვერცყი მიახწია ჰასანყალამდის“ – იგულისხმება ამჟამად აზერბაიჯანის ჰუსარის რაიონის სოფელი.

გვ.: 14,26. „შტურმა ციხისძირზე“ – იგულისხმება რუსეთის არმიის შეტევა ციხისძირზე 1878 წლის 18 იანვარს.

გვ.: 15,2-3. „პასკევიჩმა... ბებუთოვმა... მურავევმა“ – სავარაუდოდ, საუბარია რუსეთის ჯარების ყოფილ მთავარსარდალ ივანე თევდორეს ძე პასკევიჩზე, ცნობილ გენერალ ვასილი იოსების ძე ბებუთოვსა და კავკასიის ყოფილ მთავარმართებელ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვ-ყარსკიზე.

გვ.: 15,5. „შალვა ერისთავი იტყოდა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე ორბელიანის მეუღლეზე, ანასტასია ბატონიშვილის ვაჟზე – შალვა რევაზის ძე ერისთავზე.

გვ.: 15,19-20. „საყაფლანისშვილო მამული“ – ორბელიანები თავის თავს ყაფლანიშვილებსაც უწოდებდნენ, წინაპრის სახელის მიხედვით.

გვ.: 15,20-23. „მოგვდევენ სოლალაანნი, ბარათაანნი, ჭავჭავაძიანნი; ანდრონიკაანნი, ვაჩინაძიანნი, ციციანნი, თარხნიანნი, ერისთვიანნი და სხუანი“ – იგულისხმება ამ თავადაზნაურული გვარების წარმომადგენლები.

გვ.: 15,23-24. „მირზოები, თაიროები, მიკირჭუმები, მირმანოები“ – ჩამოთვლილია არაქართველი თბილისელი ვაჭრების გვარები.

გვ.: 15,24-26. „ონიკოვს დარჩა... მანანასშვილის ალექსანდრეს მშვენიერი წილი მამულისა“ – იგულისხმება გრიგო-

ლის ნათესავი – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი, მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანის ვაჟი, მაგრამ რომელმა ონიკოვმა შეისყიდა მათი სახლი, უცნობია.

გვ.: 15,26-27. „იყიდებოდა მანანას სახლი“ – იგულისხმება მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანის სახლი, რომელიც თბილისის ერთ-ერთი კულტურული კერა იყო.

გვ.: 15,27. „ტასო გაგარინისა“ – საუბარია მანანა მირმანოზის ასულ ორბელიანის ქალიშვილზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 15,29. „შეჩვენებული სომოვა“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, ადრე დაღუპული ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, ქალიშვილ მარიამის გამზრდელ ბებიაზე, მარია შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისაზე. გრიგოლ ორბელიანს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მას თავისი შვილიშვილისთვის შეესყიდა ეს სახლი.

გვ.: 15,32. „მამუკას შვილის კოტეს მამული“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ კონსტანტინე მამუკას ძე ორბელიანის მამულზე.

გვ.: 15-16. „დავით ჭავჭავაძეზე“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 16,14. „იმპერატორის წინაშე“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II.

გვ.: 16,24-25. „აპარინინის ქალი ნინა სტატკოვსკისა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის, ქალიშვილზე – ნინა ალექსეის ასულ ოპორინინა-სტატკოვსკისაზე.

გვ.: 16,25. „რევაზ ანდრონიკოვი“ – საუბარია რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 16,25. „ნიკოს ძმა ცუცა ჭავჭავაძე“ – საუბარია 1877 წელს გარდაცვლილ მელქისედეკ (მიხეილ) ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, რომელსაც, „ცუცას“ ეძახდნენ.

გვ.: 16,25-26. „ყაფლანის და ეკატერინა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე, და მის ძმა ყაფლანზე.

გვ.: 16,26-27. „ვანო მელიქოვი ყარსის აღებაში“ – სავა-რაუდოდ, საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილის პირველ ვაჟზე, რომლის გარდაცვალების წელი გენერალოგიურ ნუსხაში მითითებული არ არის.

გვ.: 16,27. „ვასილი არლუთინსკი“ – მე-19 საუკუნის მე-ორე ნახევარში იყო არაერთი ვასილ არლუთინსკი. მაგალი-თად, ვასილ მიხეილის (ივანეს) ძე გარდაცვალა 1895 წელს, ვასილ ივანეს ძე გარდაცვალა 1864 წელს, ვასილ ნიკოლო-ზის (კიკოლას) ძე გარდაცვალა 1876 წელს, ვასილ ზურაბის ძე (დაბად. 1855) გარდაცვალა 1886 წელს. რამდენადაც არც ერთი მათგანის გარდაცვალების თარიღი არ ემთხვევა 1877-1878 წლების ზამთარს, შესაძლოა, საუბარი იყოს 1830 წელს დაბადებულ ვასილი ზურაბის ძე არლუთინსკიზე, რომლის გარდაცვალების თარიღი გენერალოგიური ნუსხის მიხედვით უცნობია.

გვ.: 16,27-28. „არცრუნი ლენერალი“ – საუბარია გენე-რალ იერემია გიორგის ძე არწრუნზე.

გვ.: 16,30. „იჯდე მანდა“ – იგულისხმება პეტერბურგი, სადაც ადრესატი ცხოვრობდა.

გვ.: 17,1-2. „სანდროს ანგარიშში არ ვაგდებ“ – სავარაუ-დოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – ალექსან-დრე ესტატეს ძე ორბელიანი.

გვ.: 17,4. „ბიძინა ჩოლაყავი... წერეთლის ქალზე“ – საუ-ბარია ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილსა და ნინო დავითის ასულ წერეთელზე.

გვ.: 17,6. „ძალუა და გიორგი“ – საუბარია გრიგოლის ძმის ცოლ-შვილზე: ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუ-ზინსკაია-ორბელიანისაზე და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 17,10. «**мою Тётушку Сашу**» – საუბარია გრიგო-ლის ბიძაშვილიშვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის,

მეუღლე ალექსანდრაზე.

გვ.: 17,17-18. „ახალი ლუბერნატორი კნ: გაგარინ“ – საუბარია კონსტანტინე დიმიტრის ძე გაგარინზე.

გვ.: 17,18. „პარონ საკენი“ – საუბარია მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენზე.

ანასტასია თრბელიან-ოკლობუიოსადმი №3 (933) გვ.: 18-19.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, ალწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), 42r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ერთ ადგილას ამომწვარი (ზედა მარჯვენა მხარეს) ქაღალდი; ზომა: 22X15,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „25 თებერ.“

ხელმოწერა: „შენი დაჩაგრული გრიგოლ თრბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ტასო!

ადრესატის მისამართი: იმის გათვალისწინებით, რომ თარიღი სავარაუდოა, ჭირს ადრესატის ადგილსამყოფლის დადგენა, თუმცა თარიღიანი წერილებიდან ვიცით, რომ ტასოს მეუღლე ცხოვრობდა ოზურგეთში, სადაც ცოლი აკითხავდა ხოლმე.

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

დათარიღება: წერილში ნახსენებია ადრესატის ძმა იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, რომელიც გარდაიცვალა 1879 წლის 3 იანვარს. რამდენადაც უთარიღო წერილს „25 თებერვალი“ აწერია, მას ვათარიღებთ 1878 წლის 25 თებერვლით, ან უფრო ადრეული პერიოდით.

გვ.: 18,8. „ჩემო საყუარელო ტასო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ თრბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობუიოსი.

გვ.: 18,9-10. „შენ დას სოფოს“ – იგულისხმება გრიგო-

ლის ბიძაშვილიშვილი სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა.

გვ.: 18,12-13. „შეველ ქეთევანისას“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსიმესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 18,20-21. „ჩემი და მიდის ვეჩერში პალიბინისა!“ – საუბარი უნდა იყოს წერილის ადრესატზე და თბილისში მცხოვრებ ვლადიმერ ივანეს ძე პალიბინზე, რომელსაც 1872 წელს თბილისში შეეძინა ვაჟი.

გვ.: 18,28. „სახლი სოსოსა“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 19,2-3. „ტასო და... გამომესარჩლნენ“ – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, დისშვილი – ანასტასია (ტასო) ჩერქეზიშვილი-ხერხეულიძისა.

გვ.: 19,11. „ტოლეს მაღაზეინში“ – საუბარია თბილისში, იმჟამინდელი გოლოვინის ქუჩაზე (ამჟამად – რუსთაველის გამზირი), სარაჯიშვილის სახლის გვერდით მდებარე ქალის ქუდების მაღაზიაზე, რომლის მეპატრონე იყო ფრანგი ქალბატონი – ტოლე.

ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №4 (934) გვ.: 19-21.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №134/№63, ორმაგი პაგინაციით 1r-v, 2 r-v/5 r-v, 6 r-v.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 20,8X13,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც || გვერდზეა გადასული. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „27^ს თებერ: 1878 თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ტასუნი!“

ადრესატის მისამართი: ადრესატის ძმის – ივანე ორბელიანი-სადმი 1878 წლის 7/8 თებერვალს გაგზავნილი წერილიდან ვი-ცით, რომ ტასოს მეუღლე ცხოვრობდა ოზურგეთში, სადაც ცოლი აკითხავდა ხოლმე. ავტორი მას სწერს: „შენი და ტასო ხვალ მიდის ოზურგეთში ქმრის სანახავად.“ წინამდებარე ბა-რათიდან ირკვევა, რომ ადრესატის მეუღლე ქუთაისთანაც იყო დაკავშირებული: „გირჩევ, რომ ივანე დიმიტრიჩი, ცოტა რომ ღონე მიეცეს, აქ წამოიყუანოთ: არცა ოზურგეთის ჰაერი და არცა ქუთაისისა მაგას არ არგებს.“ შეიძლებოდა გვევარა-უდა, რომ ტასო ამ პერიოდში ოზურგეთში იმყოფებოდდა, რომ არა ავტორის მიერ გამოყენებული ზმნური ფორმა „წაიყვანა“ შემდეგ წინადადებაში: „იაკინთეს შვილი დაინიშნა ყაზიბეგის დაზე, ქეთევანკი ძალიან ჯავრობს: ჯერ ჯუარი არ დაუწერია და წაიყვანა დანიშნული ოზურგეთში.“ ტასო რომ იქ ყოფი-ლიყო, გრიგოლი დაწერდა „წამოიყვანა“ ფორმას. წერილში ჩანს, რომ ადრესატის მეუღლეს ავადმყოფობა ახალი გადა-ტანილი აქვს: „გულით მოხარული ვარ, რომ ჩემი საყუარელი ივანე დიმიტრიჩი ახლა, ღ~ თის მოწყალებით, გამოვიდა სამ-შვიდობოში.“ თუმცა ჯერ ისევ სუსტად არის, რაზეც მიგვა-ნიშნებს ფრაზა: „ცოტა რომ ღონე მიეცეს.“ უფრო სავარაუ-დოა, რომ ის ქუთაისში მკურნალობდა და წერილიც აქ იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთის; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმუ-ლია.

გვ.: 19,17. „ჩემო ტასუნი!“ – წერილის ადრესატია გრი-გოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტი-ნეს ასული ორბელიანი-ოკლობულისი.

გვ.: 19,18-19. „ივანე დიმიტრიჩი... გამოვიდა სამშვიდო-ბოში“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე ივანე დიმიტრის ძე ოკლობული, რომელსაც ავადმყოფობა ახალი გადატანილი ჰქონდა.

გვ.: 19,21. „ნიკოს ტელელრამაზ“ – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 19,24. „სოფო გავათხვეთ“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის დისწულზე – სოფიო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ.: 19,26. „დათიკოს სუმბათოვის ძმა“ – საუბარია დავით და ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილებზე. ვასილ სუმბათაშვილი (1843-1905) იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე. მან 1878 წელს იქორწინა სოფიო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ.: 20,1-2. „იაკინთეს შვილი“ – სავარაუდოდ, საუბარია ქართველ საზოგადო მოღვაწეზე, მთარგმნელსა და პუბლიცისტ ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილზე (1840-1908).

გვ.: 20,2. „ყაზიბეგის დაზე“ – სავარაუდოდ, საუბარია პოლიტიკოსსა და სამხედრო პირ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგსა და მის დაზე – ოლღა ნიკოლოზის ასულ ყაზბეგზე.

გვ.: 20,2-3. „ქეთევანკი ძალიან ჯავრობს“ – საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან იაკინთეს ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 20,5-6. „ირაკლის გრუზინსკის დაებადა ვაჟი... დედმამის სიხარული“ – ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძის ვაჟის სახელი უცნობია, რადგან ის მალე გარდაიცვალა.

გვ.: 20,6-7. „მეტადრე, ბატონისრძლისა“ – იგულისხმება ერეკლე მეფის რძალი, ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე – მარიამ ისაკის ასული აღამალიანი.

გვ.: 20,9. „მაკრინას დიდად ჰსურდა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 20,11. „შენი ქალები“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილებზე: ნინო და ელენე ოკლობუიოებზე.

გვ.: 20,17-18. „ძალუა ვარინკაც... გიორგი“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 20,20. „კნეინა შახავსკაია“ – სავარაუდოდ, საუბარია ოლღა ალექსანდრეს ასულ ოზეროვა-შახოვსკისაზე.

გვ.: 20,21. „შელვოვნიკოვი დავმარხეთ ვანეში“ – საუბარია რუსეთ-თურქეთის ომის გმირ ბორის მარტინის ძე შელვოვნიკოვზე, იგივე ბეგბუთ მარტიროსის ძე მეტაქსიანზე, რომელიც დაკრძალეს ვანქის ტაძარში.

გვ.: 20,21-22. „ველიკიის კნიაზმაც“ – საუბარია მეფის-ნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 20,23-24. „სოსიკო... გიგოც“ – საუბარია ადრესატის ძმებზე: იოსებ და გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანებზე.

გვ.: 20,24-25. „ყაფლანც... ელისაბედ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 20,25. „სოფოც“ – საუბარია ადრესატის დაზე – სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 20,26-27. „ყიფიანისა ჭატოს ქალი, მაიკოს დისწული... დუმბუზაშვილმა სულხანოვმა“ – პირთა შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

გვ.: 20,27. „ლიზას დისწულმა“ – საუბარია ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილის დის, ნინო გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-აფხაზის, ვაჟზე.

გვ.: 20,27-28. „გიგომ შეირთო ილია აფხაზის ქალი“ – საუბარია გრიგოლ (გიგო) ნიკოლოზის ძე აფხაზსა და მის მეუღლეზე, გვარად ასევე აფხაზზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 20,30. „ბაბალე, ტასო“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპო-

ჩინინასა და და გრიგოლის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, დისწულზე – ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.

გვ.: 20,31-32. „შენის ივანეთი“ – იგულისხმება ადრესა-ტის მეუღლე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობული.

გვ.: 21,4. „ბანდაყულ ისაკთან“ – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 21,6. „ბიძინა ჩოლაყაევი თავის მშვენიერის ცოლი-თა“ – საუბარია ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილსა და ნინო დავითის ასულ წერეთელ-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 21,9-10. „დიმიტრი გურიელი“ – საუბარია დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელზე.

გვ.: 21,14. „თაიროვის ქალი შეირთო ბებუთოვის პეტრეს შვილმა“ – სავარაუდოდ, საუბარია პეტრე აბესალომის ძე ბებუთოვზე. თაიროვის სახელი ნახსენები არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 21,15. „ნოვოსელსკი მოსულა“ – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნოვოსელსკიზე, რომელმაც 1858 წელს სარკინიგზო სააქციონერო საზოგადოება დააარსა.

ყაფლან ორბელიანისადმი №26 (935) გვ.: 21-22.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №404/№27 (ძველი №S: 2660), 1r.

ავტოგრაფის აღნერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 31X19,6 სმ.; შესრულებულია ყავისფერი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. ქალალდი ზედა მხარის სამ ადგილას და ქვედა მხარის ორ ადგილას გახვრეტილია; წერილს გვერდზე, შუაში, მისამართი წერია.

თარიღი და ადგილი: „21 მარტს.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო – ძმაო ყაფლან!“

ადრესატის მისამართი: „ბატონს ყაფლანს მიერთოს კოდას.“

შენიშვნები: 1. „პანუხა დენშიკო“ ხაზგასმულია; 2. „ქიმ აქარ, ქიმ ეარ“ ხაზგასმულია; 3. თარიღი ხაზგასმულია; 4. სიტყვა ხაზგასმულია.

დათარიღება: ყაფლან ორბელიანი გარდაიცვალა 1878 წლის 13 ივლისს, შესაბამისად, წერილი, რომელსაც 21 მარტი ანერია, დაწერილი უნდა იყოს **არა უგვიანეს 1878 წლის 21 მარტისა.**

გვ.: 21,19. „ჩემო ბატონო – ძმაო ყაფლან!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 22,1. „გეუას დიდს მოურავს უბძანეთ“ – საუბარია ადრესატის მოურავზე.

გვ.: 22,1-2. „პოლკოვნიკოდამ მოიტანა, თუ არა, ნამყენბი?“ – ტოპონიმი დამახინჯებულია. იგულისხმება ქვემო ქართლში მდებარე პოლკოვნიკლო.

გვ.: 22,6-7. „ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №4 (936) გვ.: 22-25.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 61r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი, შელახული, გაცვეთილი, კიდეებში შეხეული ფურცელი; ზომა: 35,2X24,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის მარჯვენა და II გვერდის მარცხენა კიდეებზე სიტყვები მკრთალად ჩანს. II

გვერდი ფანქრით არის დაფარული. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. მარჯვენა კიდე დაზიანებულია, რის გამოც ბოლოკიდური ასოები არ ჩანს. აღდგენილი ასოები კვადრატულ ფრჩხილებში გვაქვს გამოცემაში ჩასმული. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „თბილისით 27 მარტ: 1878.“ / „29^ს მარტის.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ვანო!“

ადრესატის მისამართი: „პეტერბურღს.“

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მთელ სიგრძეზე ხაზია გასმული; 2. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან წითელი ფანქრით; 3. ფრაზა, დაწყებული სიტყვებით – „ტანჯვით და წყევლით“ – და დამთავრებული სიტყვებით – „როგორცა ათასნი“ – წითელი ფანქრით ხაზგასმულია; 4. „წამოსვლის დროს“ ხაზგასმულია; 5. რომელსაც; 6. ღმერთი; 7. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 8. ღვთისა; 9. ღვთით; 10. თარიღი ხაზგასმულია; 11. ღვთით.

გვ.: 22,15. „ჩემო საყუარელო ძმაო ვანო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 23,8. „ველიკის კნიაზსა“ – იგულისხმება მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 23,11. „წინაშე ჭელმწიფისა“ – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II.

გვ.: 23,18-19. „ჭინანსის მინისტრმა“ – 1878 წლის 7 ივნისამდე რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი იყო მიხეილ ქრისტეფორეს ძე რეიტერნი.

გვ.: 23,23. „ამ საქმეზე“ – იგულისხმება ქართველი თავადაზნაურობისთვის სახელმწიფო პრიკაზის ვალების პატიება.

გვ.: 24,3. „კნ: მირსკისზე“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 24,7. „მირსკის ადგილი“ – რუსეთ-თურქეთის ომის დროს დიმიტრი მირსკი მსახურობდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის შტაბში.

გვ.: 24,16. „ვარინკა და გიორგი“ – საუბარია გრიგოლის ძმის ცოლ-შვილზე: ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 24,18. „სოფო და ტასო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილებზე – სოფიო ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე და ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 24,18-19. „აგლობჟიოც აქ იყო“ – საუბარია ადრესატის სიძეზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 24,20. „გიგო ცოლითა“ – საუბარია ადრესატის ძმაზე, გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, და მის მეუღლეზე – ნინო სიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანისაზე.

გვ.: 24,20-21. „სანდორ მაიკოთი და მაკრინეთი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ესტატე იოსების ძე ორბელიანის, ქვრივზე – მაკრინე ივანეს ასულ სულხანიშვილზე, მის ვაჟ ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანსა და რძალზე – მარიამ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 24,21-22. „კარცოვის შვილი ნიკოლაი“ – საუბარი უნდა იყოს იმხანად გარდაცვლილ გენერალ ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვსა და მის ვაჟზე – ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კარცოვზე.

გვ.: 24,23. „საშა მელიქოვისა და ნინა ლევანის და“ – საუბარია ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე და მისი მეუღლის, ლევან მელიქიშვილის, დაზე – ნინო ივანეს ასულ მელიქიშვილზე.

გვ.: 24,25. „საშას შვილი ვანო“ – რეალურად, ივანე ლევანის ძე მელიქიშვილის დედა იყო მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი და არა ალექსანდრა მამუკას ასული ორბელიანი-

მელიქიშვილისა, მაგრამ ის გარდაცვლილი იყო და ივანე მა-
მის ოჯახში მის სხვა შვილებთან ერთად იზრდებოდა.

გვ.: 24,28. „ლორის მელიქოვი“ – საუბარია გენერალ მი-
ხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე.

გვ.: 24,29. „გალავასაგან რეჩებითა“ – ამ დროს თბილი-
სის ქალაქის თავი იყო დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

გვ.: 25,3. „სოსიკოს წერილი“ – იგულისხმება ადრესა-
ტის ძმა – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 25,15. „გარჩაკოვის გამარჯვებაცა“ – იგულისხმება
რუსი დიპლომატი ალექსანდრე მიხეილის ძე გორჩაკოვი, რო-
მელიც მონანილეობდა 1878 წლის ზაფხულში ბერლინის კონ-
გრესში, სადაც წყდებოდა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №20 (937) გვ.: 25-27.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №515/№30
(ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 30r-v, 31r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სის-
ქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად
გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 20,5X14,8 სმ.; შესრულებულია
შავი მელნით. IV გვერდზე დაბლა, მარცხენა მხარეს, მელნის
ნალვენთია. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარილი და ადგილი: „⁷ აპრილს 1878 თბილისით.“

ხელმოწერა: „მარადის შენი ბედნიერების მსურველი გრიგოლ
ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო
ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი განჯის გენე-
რალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა. ტექსტი-
დან ჩანს, რომ ის თავის სამსახურებრივ ადგილას იმყოფება.
გრიგოლი მას სწერს: „ძალიან სიმართლით და დიდსულოვნო-
ბით მოიქცევი, თუ ნუხის ტუსალებს, პივომუშენიუ - განა-

თავისუფლებ.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილია **განჯაში**.

შენიშვნები: 1. სახელი და გვარი ხაზგასმულია; 2. ლმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 25,20. „**ძმაო ნიკო**“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 25,20-23. „**შვილის შვილი ძველის ნუხის ყადისა... აბდულსალამ ბეგ ყაზიევი**“ – პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 26,3. „**ლორის მელიქოვი**“ – საუბარია გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე.

გვ.: 26,4-5. „**გალავასაგან რეჩებით**“ – იმჟამად თბილის თავი იყო დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

გვ.: 26,12. „**ველიკი კნიაზი**“ – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 26,15-16. „**ყაენს დაუხვდეს**“ – საუბარია 1848-1896 წლებში ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარზე, რომელიც სტუმრობდა თბილის.

გვ.: 26,19. „**კარცოვის შვილი ნიკოლა**“ – საუბარი უნდა იყოს იმხანად გარდაცვლილ გენერალ ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვსა და მის ვაჟზე – ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კარცოვზე.

გვ.: 26,19-20. „**ჩვენი ტასიკო**“ – როგორც ჩანს, საუბარია რომელიმე ნათესავის მცირენლოვან შვილზე, რომლის შესახებ ინფორმაციაც არ არის გენეალოგიურ ნუსხებში.

გვ.: 26,21. „**ძალუა ვარინკა და გიორგი**“ – საუბარია გრიგოლის ძმის ცოლ-შვილზე: ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 26,21. „**ყაფლან და ელისაბედ**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა

და მის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 26,21-22. „სანდრო მაიკოთი და მაკრინეთი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ესტატე იოსების ძე ორბელიანის, ქვრივზე – მაკრინე ივანეს ასულ სულხანიშვილ-ორბელიანისაზე, მის ვაჟ ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანსა და რძალზე – მარიამ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 26,22-23. „ლიზა... ქეთევან“ – საუბარია ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე და ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 26,24. „ლევან მელიქოვის ცოლი საშა და მისი და ნინა“ – საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, მის მეუღლე ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე და ლევან მელიქიშვილის დაზე – ნინო ივანეს ასულ მელიქიშვილზე.

გვ.: 26,26. „ლევანის შვილი ვანო“ – საუბარია ლევანის შვილ ივანე მელიქიშვილზე, რომელიც მას მაიკო ქაიხოსროს ასულ ორბელიანისგან ჰყავდა.

გვ.: 26,31. „ნუხის ტუსალებს... რათ შემოუშვეს მტერი“ – 1877-1878 წლების ომში ნიკო ჭავჭავაძე მეთაურობდა თურქეთის საზღვარზე განლაგებულ კავალერიის ერთიან დივიზიას და, როგორც ჩანს, აქ საუბარია იმ ნუხელებზე, რომლებმაც მტერი შემოუშვეს.

ივანე ლაზარევისადმი №1 (938) გვ.: 27-29.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 62r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 35X23,7 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავ-

- რირებულია. წარმოადგენს შავ პირს.
თარიღი და ადგილი: «28^თ Апр: 1878. Тиф:»
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Генер: Лазареву.» /
«Глубокоуважае: Иван Давидович!»
ადრესატის მისამართი: «в Карс.»
შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.
- გვ.: 27,17. «**Иван Давидович**» – წერილის ადრესატია
იმხანად გენერალ-ლეიტენანტი – ივანე დავითის ძე ლაზარე-
ვი.
- გვ.: 27,22. «**Генер: Кравченко**» – საუბარია გენერალ
პავლე პავლეს ძე კრავჩენკოზე.
- გვ.: 27,25. «**те непріятности**» – სავარაუდოდ, საუბარია
გენერალ პავლე პავლეს ძე კრავჩენკოს მარცხზე სოხუმთან.
- გვ.: 28,10. «**Юнкер К: Соломон Андр:**» – სავარაუდოდ,
საუბარია სოლომონ არჩილის ძე ანდრონიკაშვილზე.
- გვ.: 28,14-15. «**К^и Захарія Чавч:**» – საუბარია ზაქარია
გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.
- გვ.: 28,17. «**ожидаем Шаха**» – საუბარია 1848-1896
წლებში ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარზე, ყაჯარების
მეოთხე წარმომადგენელზე, მუჟამედ შაჰ ყაჯარის ვაჟზე.
- გვ.: 28,27-28. «**Вел: Княжны Анастасія Михайловни с
Герцо: Мекленбург:^{ом}**» – საუბარია მეფისნაცვლის ქალიშვილ
ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვასა და მეკლენბურგ-შვე-
რინის ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ზე.
- გვ.: 28,28. «**Графстве Михайла Тарієлича**» – საუბარია
გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე.
- გვ.: 28,31. «**Его Высочество**» – იგულისხმება მეფის-
ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.
- გვ.: 29,4. «**Старика Жирардена**» – სავარაუდოდ, საუ-
ბარია ფრანგ პოლიტიკოსსა და უურნალისტ ემილ დე უირარ-
დენზე.

გვ.: 29,6. «**Оклюбжіо пріехал**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის, ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 29,7. «**Ген: Алхазову**» – საუბარია გენერალ-მაიორ იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილზე.

გვ.: 29,7. «**Гассан Бек Агаларов**» – საუბარია გენერალ-ლეიტენანტ ჰასან ბეგ ალალაროვზე.

გვ.: 29,12. «**вашей Супруги**» – ადრესატის მეუღლის ვინაობა უცნობია.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №5 (939) გვ.: 31-34.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №193/№64, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r./ 3r-v, 4r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, სქელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 27X21,5 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში. I გვერდის ზედა მარცხენა მხარეს შავი ფანქრით რუსულად აწერია: «Читал.» II გვერდის მარცხენა აშიაზე პირველ სამ აბზაცსა და III გვერდის მარცხენა აშიაზე ბოლო სამ აბზაცს შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. IV გვერდის ზედა მარჯვენა მხარეს შავი ფანქრით უკულმა აწერია: „1878.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „ნე მაისს 1878. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის და მარადის ერთგული ძმა თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ვანო!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი პეტერბურგში ცხოვრობდა, რაც წერილიდანაც ჩანს. ავტორი მას სწერს: „წამოვიდა, წა-მოვიდა პეტერბურლისაკენ დიდი ყაენი.“

შენიშვნები: 1. ხელნაწერშია „გარადსკიოის“; 2. გვარი ჩამატე-ბულია ზემოდან; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4-5. ღმერთი; 6. თავადი; 7. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 31,11. „ჩემო საყუარელო ძმაო ვანო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 31,12. „დიდი ყაენი“ – საუბარია 1848-1896 წლებში ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარზე, რომელიც სტუმრობდა თბილისს.

გვ.: 31,18. „მარშალის – სუმბათოვი“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე, რომელიც იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი.

გვ.: 31,19. „გარადსკოის გალავის – ყიფიანი“ – იმუამად თბილისის ქალაქის თავი იყო დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

გვ.: 31,20-21. „პატარა ველიკი კნიაზები, მიხეილ და გი-ორგი“ – საუბარია მიხეილ და გიორგი მიხეილის ძე რომანოვებზე.

გვ.: 31,22. „შაჰზადები“ – სპარსული სიტყვაა და ნიშ-ნავს ტახტის პოტენციურ მემკვიდრეს.

გვ.: 31,25-26. „ბარიატინსკისვე დროს გაკეთებული“ – იგულისხმება ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის კავკასიის მეფისნაცვლად ყოფნის პერიოდი – 1856-1863 წლები.

გვ.: 31,27-28. „უწყალობა კნ: მირსკის“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 32,2. „ლენერ: კამაროვსა და ამილახვარსა“ – საუბარია გენერლებზე: კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვსა და ივანე გივის ძე ამილახვარზე.

გვ.: 32,5-6. „ნიკო ჭავჭავაძე: ელისავეტოპოლის ლუბერნატორი“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 32,18. „შენი ძმები, დები, რძლები“ – საუბარია იმ-სებ და გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანებსა და სოფიო (ხორეშან) და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბე-ლიანებზე. ადრესატს მხოლოდ ერთი რძალი ჰყავდა – ნინო სიმონის ასული აბაშიძე-ორბელიანისა.

გვ.: 32,19-20. „ნიკო... იმის საყუარელი ცოლი“ – საუბა-რია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის ცოლზე – ანა დავითის ასულ ერისთავზე.

გვ.: 32,24-25. „ჯომარდიძეს მოუკუდა ვაჟი თორმეტის წლისა“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ გრიგოლის ძე ჯო-მარდიძესა და მის ვაჟზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 32,26. „მოენონა შენი და ტასო“ – საუბარია ადრესა-ტის დაზე – ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკ-ლობჟიოზე.

გვ.: 32,27. „სიძე ოკლობჟიო“ – საუბარია გრიგოლ ორ-ბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის, ქმარზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 33,4. „კაპერებით ანგლიას ვერ დაჰსცემთ“ – კაპე-რებს უწოდებდნენ შეიარაღებულ გემებს, რომლებსაც იყენებ-დნენ სავაჭრო გემების ხელში ჩასაგდებად.

გვ.: 33,26-27. «Алиханагаджи, или Сахкальтутан» – საჰიალტუთანი ენოდებოდა ამჟამად თურქეთის ტერიტორია-ზე (სომხეთთან ახლოს) მდებარე პალანდოკენის მთის ნა-ნილს, სადაც ორბელიანებს მიწები ჰქონდათ.

გვ.: 33,29. „მეკლემბურლასკი“ – საუბარია კავკასიის იმ-ჟამინდელი მეფისნაცვლის სასიძოზე – მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ზე.

გვ.: 33,30. „ველიკი კნეჟნა“ – საუბარია კავკასიის იმ-ჟამინდელი მეფისნაცვლის ქალიშვილ ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 34,1. «Тетушке Саше» – საუბარია ადრესატის მე-ულლე ალექსანდრაზე, რომლის გვარი უცნობია.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №21 (940) გვ.: 34-37.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 30r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, შელახული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 35,3X23,9 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. მარცხენა ზედა კუთხეში წითელი ფანქრით წერია: „X.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „10 მაისს 1878 თბილისით“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჭავჭავა:“ / „ჩემო საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: „ელისავეტოპოლის.“

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. ეს წინადადება წითელი ფანქრითაა ხაზგასმული; 3. ლმერთსა; 4. რომელსაცა; 5. სიტყვა ხაზგასმულია; 6. რომელთათვის; 7. ლმერთი.

გვ.: 34,17. „ჩემო საყუარელო ნიკო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 34,21. „მარშალი სუმბათოვი“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე, რომელიც იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი.

გვ.: 34,21-22. „ყიფიანი რეჩითა“ – იგულისხმება ქალაქის თავი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

გვ.: 35,2-3. „პატარა ველიკი კნიაზები მიხეილ და გიორგი“ – საუბარია მიხეილ და გიორგი მიხეილის ძე რომანოვებზე.

გვ.: 35,6. „კნ: მირსკისა“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 35,10. „სპასალარმა მირზაჰუსეინ ხანმა“ – სავარაუდოდ, საუბარია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მირზა ჰუსეინ-ხან სიპახსალარზე.

გვ.: 36,22-23. „ჯომარდიძე გეპრალებოდეს, მოუკუდა ათორმეტის წლის ვაჟი“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარდიძესა და მის ვაჟზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 36,24. „გარდაცუალებისათვს შენის მეულლისა“ – საუბარია ანა დავითის ასულ ერისთავ-ჭავჭავაძისაზე.

გვ.: 36,30. „ველიკი კნიაზი ცოლშვილით გამობძანდება“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე, მის მეუღლეზე – ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და შვილებზე: ნიკოლოზ, ანასტასია, მიხეილ, გიორგი, ალექსანდრე, სერგეი და ალექსეი რომანოვებზე.

გვ.: 37,1. „ძალუა ვარინკა და გიორგი“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 37,5. „დედიდაშვილი ქეთევან“ – ნიკო ჭავჭავაძის დედა იყო გვარად რუსიშვილი, მაგრამ დედიდაშვილის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 37,8. «**Твоей Ниночке**» – გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეს შვილები არ ჰყოლია, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის წერილებში ნახსენებია მისი ქალიშვილის ქორნილი. შესაძლოა, აქ სწორედ ის იგულისხმებოდეს.

გვ.: 37,11-12. „ლაზარევის შვილი... აფიცარი ლეიბულანისა“ – საუბარია გენერალ ივანე დავითის ძე ლაზარევის ვაჟზე – ლეიბგვარდიის ულანის პოლკის იუნკერ ალექსანდრე ივანეს ძე ლაზარევზე.

ივანე ლაზარევისადმი №2 (941) გვ.: 37-38.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი
პაგინაციით: 171r (წითელი ფანჯრით), 25r (შავი ფანჯრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-
ვებული, შელახული, ალაგ-ალაგ შეხეული, შუაში ორ ადგი-
ლას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 22,6X20,4 სმ. (გაზომილია
დიდი მხრიდან); წერილი შესრულებულია შავი ფანჯრით. ხელ-
ნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «12^{го} Мая 1878. из Тиф:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Генер: Лазареву.» /
«Уважаемый Иван Давидович!»

ადრესატის მისამართი: «в Карс..»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული.

გვ.: 37,18. **«Иван Давидович»** – წერილის ადრესატია
იმხანად გენერალ-ლეიტენანტი – ივანე დავითის ძე ლაზარე-
ვი.

გვ.: 37,18. **«Податель сего письма»** – როგორც შინაარ-
სიდან ჩანს, გრიგოლ ორბელიანი წერილს ატანს ადრესატის
ვაჟ ალექსანდრე ივანეს ძე ლაზარევს.

გვ.: 38,2-3. **«Нересов, сын нашего Мирза Юсупа, по-
лучил звание Магистра Прав»** – სავარაუდოდ, საუბარია სო-
მეხ ისტორიკოს მირზა იუსუფ ნერსესოვის (ოვსეფ ნერსისი-
ანცის) ვაჟ ნერსესზე.

გვ.: 38,4. **«Андроников... Молитвы его матери»** – სავა-
რაუდოდ, საუბარია სოლომონ არჩილის ძე ანდრონიკაშვილის
დედაზე, ბარბარე მერაბის ასულ ანდრონიკაშვილზე (1839-
1907), რომლის ქალიშვილობის გვარიც ანდრონიკაშვილი იყო.
ბებია ორბელიანი ჰყავდა.

ივანე ლაზარევისადმი №3 (942) გვ.: 39-40.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 63r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,4X24,0 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნანერს შუაში და მარჯვენა კიდეზე ეტყობა შავი მელნის ნაღვენთი. რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20^{oe} მაი 1878.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Лазареву.» /

«Глубокоуважаемый Иван Давидович!»

ადრესატის მისამართი: «в Карс.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. მრავალ-წერტილი ავტორისაა.

გვ.: 39,2. «**Иван Давидович**» – წერილის ადრესატია იმხანად გენერალ-ლეიტენანტი – ივანე დავითის ძე ლაზარევი.

გვ.: 39,27. «**Великаго Князя**» – იგულისხმება მეფის-ნაცვალი – მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 40,1. «**Прием Шаха**» – საუბარია 1848-1896 წლებში ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარზე, რომელიც სტუმრობდა თბილისს.

გვ.: 40,2. «**Августейшаго Хозяйна**» – საუბარია რუსეთის მპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 40,4-5. «**молодой Юнкер К: Андроников**» – სავარაუდოდ, საუბარია სოლომონ არჩილის ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 40,5. «**его красивейшая мать**» – სავარაუდოდ, საუბარია სოლომონ არჩილის ძე ანდრონიკაშვილის დედაზე, ბარბარე მერაბის ასულ ანდრონიკაშვილზე, რომლის ბებია გვარად ორბელიანი იყო.

გვ.: 40,7. «Лейб-Улан, юный Лазарев» – საუბარია გენერალ ივანე დავითის ძე ლაზარევის ვაჟზე – ლეიბგვარდიის ულანის პოლკის იუნკერ ალექსანდრე ივანეს ძე ლაზარევზე.

ანასტასია თრბელიან-ოკლობუიოსადმი №5 (943) გვ.: 41-44.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ თრბელიანის არქივი, №135/№72, 1 რ-ვ, 2 რ-ვ.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, სქელი, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,6X20 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცლებში. | გვერდის ზედა მარცხენა მხარეს შავი ფანჯრით წერია: «Читал.» ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „10^ი ივნისს 1878. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის გრიგოლ თრბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დაოტასო!“

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიწერილი წერილებიდან ცნობილია, რომ მისი მეუღლე დაკავშირებული იყო ოზურგეთთან და ქუთაისთან და მას ცოლი ხშირად აკითხავდა. ტექსტიდან ჩანს, რომ ტასო ამჟამადაც მასთან არის. ავტორი მას სწერს: „პოლიტიკის ჰამბავი აქა ის არის, რაცა ქუთაისში.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს ქუთაისში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ხელნაწერშია „წავიკითხოთხოთო“; 3. ხელნაწერშია „შეპსცვინდენ“; 4. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 41,18. „ჩემო საყუარელო დაოტასო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ თრბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტინეს ასული თრბელიანი-ოკლობუიოსი.

გვ.: 41,19. „აიყარნენ მირსკიანნი“ – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატო-პოლკ-მირსკის ოჯახზე.

გვ.: 41,20-21. „აიყარა მაშაცა, ესე იგი, საშას ცოლი“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანი, და მისი ცოლი – მარიამ ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 41,21-22. „ნავიდა ირაკლიცა სამზღვარგარე თავის გასპარიანცითა“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, მაგრამ გასპარიანცის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 41,22. „თამარცა“ – საუბარია თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 41,23. „ბარონესაა სალომესაკენ“ – საუბარია ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენის მეუღლეზე – სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე.

გვ.: 41,26. „ელენა ასტაფიევისა“ – საუბარია ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე.

გვ.: 41,26-27. „აპარინიანნიცა თავის ჭუჭულებით“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის, და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 41,28. „ისაკის ანაბარად“ – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 41,29. „საგინოვის მეტი“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 42,2. „ძალუას ქეთევანს“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 42,3. „შეჰსჩივის მაკრინეს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მე-

უღლებე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 42,7. „**ბიძინა ჩოლაყაევის ცოლი წავიდა დილიუანს ქმართან**“ – საუბარია ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილსა და ნინო დავითის ასულ წერეთელ-ჩოლოყაშვილისაზე. სავარაუდოდ, ავტორი გულისხმობს სომხეთის საკურორტო ქალაქ დილიჯანს და არა მგზავრების გადასაყვან დახურულ ეტლ დილიუანსას.

გვ.: 42,11. „**ინებებს სოლომონკა**“ – საუბარია მსახურ ბიჭზე.

გვ.: 42,12. „**ყაფლან ძალიან სუსტად არის**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 42,13. „**სოსიკოსაგან მომივიდა**“ – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 42,28. „**რევაზ ვაჩინაძესას**“ – სავარაუდოდ, საუბარია რევაზ იოსების ძე ვაჩინაძეზე.

გვ.: 43,2. „**ეგონათ ზაქარია ანდრონიკაშვილი**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ნინო იოსების ასულ ორბელიანის, ვაჟზე – ზაქარია (ზაზა) დონიკეს ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 43,7-8. „**იასე ჭავჭავაძეთი**“ – სავარაუდოდ, საუბარია იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 43,8. „**უანდარმი ორლოვსკი**“ – პირის სახელი უცნობია და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 43,19. „**კოხტას აფხაზსა**“ – საუბარია ალექსანდრე (კოხტა) ნიკოლოზის ძე აფხაზზე.

გვ.: 43,30. „**ნემენცმა ტიზენდაუზენმა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება იმხანად სილნალის მაზრის უფროსი – ვლადიმერ თეოდორის ძე ტიზენჰაუზენი.

გვ.: 43,33. „**ლენერალ ყორლანოვის ქალისა**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს თბილისელი გენერალ-მაიორის, გაბრიელ ივანეს ძე ყორლანოვის, ქალიშვილზე – სალომე გაბრიელის ასულ ყორლანოვაზე.

გვ.: 44,1. „ნიკო ჭავჭავაძე ჯერ ისევ აქ არის“ – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 44,3. „სოფიოცა“ – საუბარია სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 44,5-6. „თალალაცა და სანდროცა“ – შესაძლოა, საუბარი იყოს მსახურებზე.

გვ.: 44,6. „დარია ბარათოვისა“ – სავარაუდოდ, საუბარია დარია იოსების (ბებურო) ასულ ვაჩინაძე-ბარათაშვილისაზე.

გვ.: 44,10-11. „დიმიტრი ვეზიროვი... ამის ცოლშვილი“ – საუბარია დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე, მის მეუღლე ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე (1838-1919) და მათ შვილებზე.

გვ.: 44,13. „ივან დიმიტრიჩი“ – საუბარია ადრესატის ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუჟიოზე.

გვ.: 44,13. „ელიჩია და ჭნაუა ნინოჩია“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილებზე: ელენე და ნინო ივანეს ასულ ოკლობუჟიოზე.

გვ.: 44,20. „ნესტორი და ჩემივე პელაგია“ – სავარაუდოდ, საუბარია ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელსა და მის მეუღლე-ზე – პელაგია ქაიხოსროს ასულ გურიელ-წერეთლისაზე.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №6 (944) გვ.: 45-46.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 64r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,9X24,2 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით, რომელიც ॥ გვერდზეც ეტყობა. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «25^თ იЮНЯ 1878.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Дмитр: Семен:

Старосельскому.» / «Милост: Гос:»

ადრესატის მისამართი: ადრესატი 1878 წელს კავკასიის მე-ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. ტექსტიდან ჩანს, რომ ის მაღალი თანამდებობის პირია, რომელსაც ავტორი ჩინოვნიკის ქვრივის, ნატალია ვასილის ასულ პაცევიჩის, დახმარების თხოვნით მიმართავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში.**

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ, შუაში, მოკლე ხაზია გასმული.

გვ.: 45,1. «**Дмитр: Семен: Старосельскому**» – წერილის ადრესატია იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 45,3. «**Кшины Гагариной**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 45,7. «**Наталія Васильевны Пацевича**» – ტექსტიდან ჩანს, რომ იგი მედდად მსახურობდა, მაგრამ დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 45,11. «**Бабушка этих детей**» – სახელი უცნობია.

გვ.: 45,14. «**назпосланная Богом Пророку Иову**» – იგულისხმება ბიბლიური იობის განსაცდელები.

გვ.: 45,17-18. «**Великой Княжны Ольги Феодоровны**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №7 (945) გვ. 47.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515°, 65r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 23,2X22,9 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანჯრით, რომელიც // გვერდზეც ეჭყობა. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «28 იЮНЯ 1878 გ:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Дмитр: Сем:

Старосельскому.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი 1878 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. ტექსტიდან ჩანს, რომ ის მაღალი თანამდებობის პირია, რომელსაც ავტორი ჭლექით დაავადებული, ციმბირმისჯილი პატიმრის, მაჩაბლის, შემწეობის თხოვნით მიმართავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ, შუაში, ხაზია გასმული; 2. მრავალნერტილი ავტორისაა.

გვ.: 47,8. «**Дмитр: Сем: Старосельскому**» – წერილის ადრესატია იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 47,11-12. «**Мачабели... Цициановых**» – საუბარია დიმიტრი (ტიტიკო) იესეს ძე მაჩაბელზე, მოკლული ციციშვილების სახელები კი ვერ დავადგინეთ.

გვ.: 47,18. «**брат этого несчастного**» – საუბარი უნდა იყოს ზაალ (ზალიკო) იესეს ძე მაჩაბელზე.

ივანე ოკლობჟიოსადმი №3 (946) გვ.: 48-49.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 66r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 31,7X24,1 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით, რომელიც II მხარე-საც ეტყობა. ქვედა მარცხენა კიდეზე ხელნაწერი გახეულია. რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «1^დ იЮЛЯ 1878.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К Оклюбжю.»

ადრესატის მისამართი: «в Кутаис.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ შავი ფანქრით ხაზია გასმული; 2. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 48,23. «**К Оклюбжю**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის, ქმარი – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო.

გვ.: 49,18-19. «**Исторіографа Исацлова**» – იგულისხმება ლუკა სტეფანეს ძე ისარლიშვილი.

გვ.: 49,19-20. «**Софіи из Царскаго Колодца**» – ადრესატის და, სოფიო კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა, იმყოფებოდა დედოფლისნყაროში.

გვ.: 49,20. «**Сосико жив**» – საუბარია ადრესატის ცოლის ძმაზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 49,21. «**большого Каплана**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 49,22. «**Цалую Тасо... Эличку и Ниночку**» – საუბარია ადრესატის ცოლ-შვილზე: გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 49,25. «Лука Степанич» – იგულისხმება ლუკა
სტეფანეს ძე ისარლიშვილი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №112 (947) გვ. 51.

ავტოგრაფი (თეორი პირი): С: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№622/№26, 165r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული,
საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-
ვებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21X13,2 სმ.;
შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გადასულია || გვერ-
დზე. | გვერდის ქვედა და || გვერდის ზედა მხარეს შავი ფან-
ქრით შესრულებულია რიცხვების ანგარიში.

თარიღი და ადგილი: „9^ა ივლ: 1878 წ.“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ერთგული თ ~ გრიგოლ ორბე-
ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო
დემეტრე.“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში თბილისში
ცხოვრობდა და მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგ-
ზავნილი.

შენიშვნები: 1. თავადი.

ავტოგრაფი (შავი პირი): А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^ა
(ძველი №175), 29r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული,
საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-
ვებული, ერთ ადგილას გახვრეტილი, არასტანდარტული
ფორმის ქაღალდი; ზომა: 17,5X15,5 სმ. (გაზომილია დიდი
მხრიდან); წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი
რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „9^ა ივლ: 1878 წ.“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ერთგული თ ~ გრიგოლ ორბე-

ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე.“

გვ.: 51,1-2. „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლო-ბელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 51,5. „უწყალობა ნემენცებსა“ – საუბარია ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (სომხეთთან ახლოს) მდებარე საპალტუთანის ორბელიანისეულ მამულებზე.

შავი პირი:

9^ს ივლისს 1878 წელსა.

კნ: დიმიტრის დავითის ძეს ჯორჯაძეს.

ჩემო ბატონო, კნ: დემეტრე! მომირთმევია, ჩუცულებისაებრ, ჩემგან შედგენილი ანგარიში შემოსავლისა მამული-საგან, რომელიცა ხაზინამ უსამართლოდ წაგვართო და უწყალობა ნემენცებსა.

გთხოვ, გულ-მოსვენებით და ყურადღებით, წაიკითხოთ და თუ რამე ჰპოვოთ, ანუ შეცთომილება, ანუ მომატება, ყოველივე დანიშნოთ და მიბოძოთ თქუცენის ჰაზრით ამ დაუსრულებელს საქმეზე. რა ვჰქმნა, მე, რამდენჯერაც ვჰშინჯავ, მგონია, რომ არას ვითხოვ წინააღმდეგ ჰსჯულისა, სიმართლისა და სინიდისისა; მაგრამ, ესეცეკი არის, რომ ყოველს კაცსა მიაჩნია მართლად მხოლოდ თავი თკსი, და ამისათვის მინდა ვიცოდე თქუცენი ჰაზრიცა.

ივანე ოკლობუიოსადმი №4 (948) გვ. 51.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №144/№69,
171r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: მარჯვენა მხარე: 19, მარცხენა მხარე: 19,3, ქვედა მხარე: 18,7, ზედა მხარე: 20,1სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს. ერთ გვერდზეა დაწერილი ივანე ოკლობუიოსადმი, რევაზ ერისთავისადმი, ნიკო ჭავჭაძისადმი, ბარბარე ორბელიან-ოპორჩინინისადმი, ლევან მელიქიშვილისადმი გასაგზავნი დეპეშები. ბოლოში მიწერილია იოსებ (სოსიკო) ორბელიანის სახელი, რომ მისთვისაც იგივე ტექსტი უნდა გაეგზავნა: «о томже Сосико Орбе: в Царевские колодцы».

თარიღი და ადგილი: «из Тифлиса... 13^{го} Июля 1878.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Оклюбжіо»

ადრესატის მისამართი: «в Кутаис.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. «в 11 часов утра» ჩამატებულია ზემოდან.

გვ.: 51,17. «**Оклюбжіо**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის, ქმარი – ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიო.

გვ.: 51,19. «**Каплан скончался**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 51,20. «**Передайте Нине**» – იგულისხმება გარდაცვლილის ქალიშვილი – ნინო ყაფლანის ასული ორბელიანინულუკიძისა.

რევაზ ერისთავისადმი №3 (949) გვ. 52.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №144/№69, 171r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: მარჯვენა მხარე: 19, მარცხენა მხარე: 19,3, ქვედა მხარე: 18,7, ზედა მხარე: 20,1სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს. ერთ გვერდზეა დაწერილი ივანე ოკლობუიოსადმი, რევაზ ერისთავისადმი, ნიკო ჭავჭავაძისადმი, ბარბარე ორბელიან-ოპორინინისადმი, ლევან მელიქიშვილისადმი გასაგზავნი დეპეშები. ბოლოში მიწერილია იოსებ (სოსიკო) ორბელიანის სახელი, რომ მისთვისაც იგივე ტექსტი უნდა გაეგზავნა: «о томже Сосико Орбе: в Царевские колодцы».

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ревазу Эриставу»

ადრესატის მისამართი: «в Гори»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

დათარილება: თარიღი ხელნაწერის ზემოთ წერია, ივანე ოკლობუიოსადმი მიმართული ტექსტის თავში. რამდენადაც ყველა ადრესატისადმი გასაგზავნი ტექსტი ერთ გვერდზეა და ერთ მოვლენას შეეხება, თარიღი ყველასთვის საერთოა: «13^{го} Июля 1878.»

გვ.: 52,5. «Ревазу Эриставу» – წერილის ადრესატი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის შვილი – რევაზ შალვას ძე ერისთავი.

გვ.: 52,7. «Каплан скончался» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №22 (950) გვ. 52.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №144/№69, 171r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: მარჯვენა მხარე: 19, მარცხენა მხარე: 19,3, ქვედა მხარე: 18,7, ზედა მხარე: 20,1სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს. ერთ გვერდზეა დაწერილი ივანე ოკლობუიოსადმი, რევაზ ერისთავისადმი, ნიკო ჭავჭავაძისადმი, ბარბარე ორბელიან-ოპორინინისადმი, ლევან მელიქიშვილისადმი გასაგზავნი დეპეშები. ბოლოში მიწერილია იოსებ (სოსიკო) ორბელიანის სახელი, რომ მისთვისაც იგივე ტექსტი უნდა გაეგზავნა: «о томже Сосико Орбе: в Царевские колодцы».

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Нико Чавч.:»

ადრესატის მისამართი: «в Елисаветополь»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

დათარილება: თარიღი ხელნაწერის ზემოთ წერია, ივანე ოკლობუიოსადმი მიმართული ტექსტის თავში. რამდენადაც ყველა ადრესატისადმი გასაგზავნი ტექსტი ერთ გვერდზეა და ერთ მოვლენას შეეხება, თარიღი ყველასთვის საერთოა: «13^{го} Июля 1878.»

გვ.: 52,11. „**Нико Чавч.**“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 52,13. «**Каплан скончался**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისადმი №1 (951) გვ. 53.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №144/№69, 171r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: მარჯვენა მხარე: 19, მარცხენა მხარე: 19,3, ქვედა მხარე: 18,7, ზედა მხარე: 20,1სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს. ერთ გვერდზეა დაწერილი ივანე ოკლობუისადმი, რევაზ ერისთავისადმი, ნიკო ჭავჭაძისადმი, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისადმი, ლევან მელიქიშვილისადმი გასაგზავნი დეპეშები. ბოლოში მიწერილია იოსებ (სოსიკო) ორბელიანის სახელი, რომ მისთვისაც იგივე ტექსტი უნდა გაეგზავნა: «о томже Сосико Орбе: в Царскіе колодцы».

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Варваре Яковлевне Опочининой»

ადრესატის მისამართი: «в Коджори.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

დათარილება: თარიღი ხელნაწერის ზემოთ წერია, ივანე ოკლობუისადმი მიმართული ტექსტის თავში. რამდენადაც ყველა ადრესატისადმი გასაგზავნი ტექსტი ერთ გვერდზეა და ერთ მოვლენას შეეხება, თარიღი ყველასთვის საერთოა: «13^{го} Июля 1878.»

გვ.: 53,4. «**Варваре Яковлевне Опочининой**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი – ბარბარე იაკობის ასული ორბელიანი-ოპოჩინინისა.

გვ.: 53,5-6. «**Каплан скончался**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 53,6. «**Передайте Софию и всем нашим**» – იგულისხმება ადრესატის და – სოფიო იაკობის ასული ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა.

ლევან მელიქიშვილისადმი №6 (952) გვ. 53.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №144/№69, 171r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: მარჯვენა მხარე: 19, მარცხენა მხარე: 19,3, ქვედა მხარე: 18,7, ზედა მხარე: 20,1სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს. ერთ გვერდზეა დაწერილი ივანე ოკლობუიოსადმი, რევაზ ერისთავისადმი, ნიკო ჭავჭავაძისადმი, ბარბარე ორბელიან-ოპორინინისადმი, ლევან მელიქიშვილისადმი გასაგზავნი დეპეშები. ბოლოში მიწერილია იოსებ (სოსიკო) ორბელიანის სახელი, რომ მისთვისაც იგივე ტექსტი უნდა გაეგზავნა: «о томже Сосико Орбе: в Царевские колодцы».

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К^{ვი} Левану Меликову»

ადრესატის მისამართი: «в Шуру.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

დათარილება: თარიღი ხელნაწერის ზემოთ წერია, ივანე ოკლობუიოსადმი მიმართული ტექსტის თავში. რამდენადაც ყველა ადრესატისადმი გასაგზავნი ტექსტი ერთ გვერდზეა და ერთ მოვლენას შეეხება, თარიღი ყველასთვის საერთოა: «13^{го} Июля 1878.»

გვ.: 53,10. «Левану Меликову» – წერილის ადრესატია გენერალი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ.: 53,12. «Каплан скончался» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 53,12-13. «Передайте Софию» – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე – სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა, რადგან ივანე წერილის ადრესატთან მსახურობდა.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №16 (953) გვ.: 54-55.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №129/№32,
13r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალ-
დი; ზომა: 35,3X22,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. |
გვერდის I აბზაცის ბოლო შვიდ ხაზს შავი ფანქრით ხაზი
აქვს ჩამოსმული და მარცხენა აშიაზე ვერტიკალურად ანე-
რია: „შივ!“ წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «19^{го} იЮля 1878. Табахмела»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Барону Алексе Павловичу
Николай.» / «.... Барон...»

ადრესატის მისამართი: «в Бетанію.»

შენიშვნები: 1-2. სტრიქონების ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 3.
მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 54,6. «**Барону Алексе Павловичу Николай**» – ნე-
რილის ადრესატია სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის
მეუღლე – ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 54,9-10. «**Маки и К^а Георгія Шервашидзе**» – საუ-
ბარია ადრესატის ქალიშვილ მარიამ (მაკა) ალექსანდრეს
ასულ ნიკოლაისა და მის მეუღლეზე – გიორგი დიმიტრის ძე
შერვაშიძეზე.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №8 (954) გვ. 56.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^о, 67r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-
ვებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა:
27,7X23,1 სმ.; ნერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელ-

ნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «1^{го} Августа 1878. Табахмела.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Дми: Семен:
Старосельскому.»

ადრესატის მისამართი: «в Коджори»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ შავი ფანქრით ხაზია გასმული; 2. სტრიქონის ქვეშ შავი ფანქრით მოკლე ხაზია გასმული; 3. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 56,2. «**Дми: Семен: Старосельскому**» – წერილის ადრესატია იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 56,6. «**К^иш Анастасія Гагарина**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 56,13-14. «**Государя Императора**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 56,14-15. «**Генерал Губернатора К^и Гагарина**» – საუბარია ადრესატის გარდაცვლილ ქმარზე – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინზე.

გვ.: 56,15. «**умерщвленного в Кутайсе**» – ალექსანდრე გაგარინი მოკლა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №77 (955) გვ.: 58-60.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №166/№58, 15r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,8X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდის მარცხენა აშიაზე | აბზაცის ბოლო ნაწილს, III აბ-

ზაფის შუა ნაწილს, ბოლო ორ აბზაცსა და ॥ გვერდის მარცხენა აშიაზე ორ აბზაცს შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «8^{го} Августа: 1878. из Табахмеля»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...мой друг Варвара?»

ადრესატის მისამართი: «В Царское село»

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით ნინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის V აბზაცი («Смиленно живу в Табахмеле... как будьто – мое!!»): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 172-173.⁵

გვ.: 58,2. «**мой друг Варвара**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას, მეუღლე, ილია ბატონიშვილის ქალიშვილი – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 58,6. «**тебе и Георгию**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 59,16-17. «**Непокойчицкий, Радецкий, Скобелев, Гурко, Зотов, Имеретинский**» – საუბარია არტურ ადამის ძე ნეპოკოიჩიკიზე, თეოდორ თეოდორის ძე რადეცკიზე, მიხეილ დიმიტრის ძე სკობელევზე, იოსებ ვლადიმერის ძე გურკოზე, პავლე დიმიტრის ძე ზოტოვსა და ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე. ავტორი სიტყვა „აკადემიკოს“ ამ შემთხვევაში იყენებს მეტაფორულად, რათა აღნიშნოს ამ სამხედრო ლიდერების მაღალი კომპეტენცია და წვლილი სამხედრო საქმის განვითარებაში.

⁵ გვერდებს ვუთითებთ ელექტრონული ვერსიიდან:

https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/5/Cxovreba_Da_Ghvawli_Grigol_Orbelianisa_1905_Gateqstebuli.pdf

გვ.: 59,23. «**Кетеваною и Taco**» – საუბარია გრიგოლის ოძალ ქეთევანა დამიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელი-ანსა და მის დისწულ ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.

გვ.: 60,3. «**Барон Сакен и Зах: Чавч**» – საუბარია დავით ჭავჭავაძის სიძეებზე – მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენსა და ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 60,5-6. «**Алексей Петр: с Бабале и Софией Мирской**» – საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპორჩინისაზე, მის ქმარ ალექსეი პეტრეს ძე ოპორჩინისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 60,8. «**Taco Гагарина в Ялте**» – ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა დაქვრივების შემდეგ, ძირითადად, იალტაში ცხოვრობდა.

გვ.: 60,8. «**Taco Оклюбжіо с детьми**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოსა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 60,10. «**убийстве Мезенцова**» – საუბარია სერგეი კრავჩინსკის მიერ რუსეთის იმპერიის უანდარმერის შეფის, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე მეზენცოვის, მკვლელობაზე.

გვ.: 60,17. «**Ираклій выздоровел**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 60,18-19. «**посещает Выставку**» – საუბარია პარიზის მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც 1878 წელს ჩატარდა 1 მაისიდან 10 ნოემბრამდე.

გვ.: 60,20-21. «**за Тамару, и за Царевну**» – საუბარია ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძესა და დედაზე – მარიამ ისაკის ასულ ალამალიან-ბაგრატიონისაზე.

ვასილი ბელსკისადმი №1 (956) გვ. 64.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, 185r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, დაზიანებული, შელახული ქალალდი; ზომა: 20,3X22,2 სმ.; ხელნაწერს ზედა მარჯვენა კიდე მოხეული აქვს. მარცხენა კიდეც ალაგ-ალაგ შეხეულია. წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარილი და ადგილი: «18 Авг: 1878. Табахмела.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Василію Феодоровичу Бельскому – Вице Губернатору.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში თბილისის ვიცე-გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ შავი ფანქრით მოკლე ხაზია გასმული; 2. «непременно послать на подводы» ხაზგასმულია.

გვ.: 64,2. «**Василію Феодоровичу Бельскому**» – წერილის ადრესატია თბილისის ვიცე-გუბერნატორი – ვასილი თეოდორის ძე ბელსკი.

გვ.: 64,5. «**помогите [Къ] Мачабели – отцу**» – საუბარია დამიტრი (ტიტიკო) მაჩაბლის მამაზე – იესე სიმონის ძე მაჩაბელზე.

ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელისადმი №1 (957) გვ.: 65-66.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №175/№25, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 7r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული,

ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 20,8X13,5 სმ.; შესრუ-
ლებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუდენთილია ფურ-
ცელში. III გვერდის ზედა მხარეს, შუაში, ლურჯი მელნით მი-
წერილია: VII, ზედა მარცხენა მხარეს – S:№2660, ზედა მხა-
რეს შუაში შავი ფანქრით წერია: „V“, მის ქვემოთ ლურჯი
მელნით: „გრიგოლ ორბელიანის წერილები ელისაბედ ორბე-
ლიანისადმი 1853-1874 4 წერილი.“ მის ქვემოთ არის არქივა-
რიუსის ხელმოწერა. ქვედა მხარეს, შუაში, შავი ფანქრით წე-
რია: „5 წერ.“; IV გვერდის ზედა მხარეს, შუაში, იასამნისფერი
მელნით – „ელისაბედისადმი 5 წ.“ ხელნაწერი რესტავრირე-
ბულია.

თარიღი და ადგილი: „24^ე აგვის: 1878. ტაბახმელით.“

ხელმოწერა: „თქუმნი მარადის ერთგული თ გრიგოლ ორბე-
ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ
ელისაბედ!“

ადრესატის მისამართი: წერილში არ ჩანს ადრესატის ადგილ-
სამყოფელი. სხვა წერილებიდან ცნობილია, რომ ის ხან თბი-
ლისში ცხოვრობდა, ხან კოდაში. რადგანაც ზაფხულის პერი-
ოდია, უფრო სავარაუდოა, რომ ელისაბედი კოდაში იმყოფე-
ბოდა.

შენიშვნები: 1. ღვთისაცა; 2. ღვთისადმი; 3. ღვთისაგან; 4.
ღმერთსა; 5. ღვთის; 6. ღვთისა; 7. ღმერთიც; 8. თავადი; 9.
სიტყვა ხაზგასმულია;

გვ.: 65,23. „ძალუავ ელისაბედ“ – წერილის ადრესატია
გრიგოლ ორბელიანის გარდაცვლილი ბიძაშვილის, ყაფლან
ასლანის ძე ორბელიანის, ქვრივი – ელისაბედ ივანეს ასული
ბარათაშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 66,5. „ყაფლანსა“ – საუბარია ადრესატის გარდაც-
ვლილ ქმარ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 66,24. „ძალუა ქეთევანმაც“ – საუბარია გრიგოლის
რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელია-
ნისაზე.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №7 (958) გვ.: 67-71.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^ა, 68r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,6X24,0 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ტექსტს რამდენიმე ადგილას კიდებთან ხაზი აქვს ჩამოსმული, კერძოდ: I გვერდის I აბზაცის ბოლოს დართულ ლექსს – მარცხენა კიდეზე წითელი ფანქრით; ამავე აბზაცს – მარჯვენა კიდეზე მწვანე ფანქრით; III, IV, V და VI აბზაცებს – შავი ფანქრით; III და IV აბზაცებს – მარცხენა კიდეზე შავი ფანქრით; II გვერდის პირველ აბზაცს – მარცხენა კიდეზე წითელი ფანქრით; II გვერდის I აბზაცს – მარცხენა კიდეზე წითელი ფანქრით; III-IV აბზაცებს – მარცხენა კიდეზე შავი ფანქრით; II აბზაცის დასაწყის სიტყვას ლურჯი მელნით უწერია: „Х“; ამავე გვერდის ბოლო აბზაცი შავი ფანქრით არის შემოხაზული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „1878 აგვისტოს 24^ე ტაბახმელით.“

ხელმოწერა: „თქუმი მარადის ერთგული, სულით, გულით თქუმი მარადის“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დაო, ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო!“

ადრესატის მისამართი: „შურას.“

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. ღვთისა; 3. ღმერთო; 4. რომელიცა; 5. რომელთანაც; 6. რომლის; 7. რომელიცა; 8-9. ღმერთმან; 10. სიტყვა ხაზგასმულია; 11. სიტყვის პირველი ასო ასომთავრულია; 12. სიტყვა ხაზგასმულია; 13. რომელიცა; 14. სიტყვა ხაზგასმულია; 15. რომელმანცა; 16. რომელიცა.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის I აბზაცი, დასაწყისში მიმართვისა და ბოლოში ლექსის გარეშე („დიდი-

ხანია ველარ მოგწერე... განუშორებელი ფიქრი ჩუცნის ოჯა-
ხისათვს“) და IX აბზაცი („ასე, ჩემო სოფიო... ჩუცნსა წელმწი-
ფესა!!“): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრი-
გოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრო-
ნის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი,
გვ.: 115; 127.

გვ.: 67,2. „ძალუავ სოფიო“ – წერილის ადრესატია გრი-
გოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის,
მეუღლე – სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 67,8. „საყუარელი ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის
ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 67,14-16. „ანდრონიკანნი, ჩოლაყაანნი, მაჩაბლიან-
ნი, თარხნიანნი, მუხრანიანნი“ – საუბარია ქართულ თავადუ-
რი წარმოშობის საგვარეულოებზე.

გვ.: 67,20. „პოლოზოვები, აბონიანცები“ – საუბარია
თბილისის არაქართულ საგვარეულოებზე.

გვ.: 67,21. „უფალს თაიროვს“ – სახელი ნახსენები არ
არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 68,5. „ჩემს ივანესთან“ – საუბარია ადრესატის
ქმარზე – ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 68,6. „ტასო... იალტაში“ – საუბარია ადრესატის
მულზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 68,16. „პრიკაზმაც შეაყენა ექსსს თვეს“ – თავადაზ-
ნაურობის თხოვნით, სახელმწიფო პრიკაზმა სესხის გადახდის
დრო ექსსი თვით გადაავადა.

გვ.: 68,18. „ნემენცების მამულის საქმეცა“ – საუბარია
ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (სომხეთთან ახლოს) მდე-
ბარე საჰყალტუთანის ორბელიანისეულ მამულებზე, რომლე-
ბიც იმჟამად გერმანელებს ჰქონდათ მიკუთვნებული.

გვ.: 68,28-29. „ძალუა ქეთევან და მისი ტასო“ – საუბა-
რია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მეს-
ხიშვილ-ორბელიანისაზე და მის დისწულზე – ანასტასია ჩერ-
ქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.

გვ.: 69,1. „პარიუიდამ... ირაკლი“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 69,5. „სოსიკოსაც მალე მოველით“ – საუბარია იო-სებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 69,5-6. „ვანოს პეტერბურგში მცხოვრებ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 69,8. „მირსკი იმყოფება“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 69,11. „ოკლობუიო შესულა ციხისძირსა“ – საუბა-რია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონ-სტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოს, ქმარზე – გენერალ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 69,15-16. „დიდის იმპერატორის“ – საუბარია რუსე-თის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 69,29. „ველიკი კრიაზი“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 71,4. „ჭინანსის მინისტრსა“ – იმ დროს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი იყო ალექსანდრე მაქსიმეს ძე კნიაჟევიჩი.

გვ.: 71,11. „ტასო ოკლობუიო“ – საუბარია გრიგოლ ორ-ბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე.

გვ.: 71,11. „მირსკიანნი და ოპოჩინიანნი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილების, სოფიო და ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანების, ოჯახებზე.

გვ.: 71,13. „ივანე ჩამიკოცნე“ – იგულისხმება ადრესა-ტის ქმარი – ივანე დავითის ძე ორბელიანი.

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისადმი №2 (959) გვ. 71.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515, 69r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,5X24,0 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ხელნაწერის მთელ სიგრძეზე ॥ გვერდიდან გადასულია შავი ფანჯარი, რომლითაც დაწერილია ისაკ თუმანიშვილისადმი მიძღვნილი წერილი. რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „26^ს აგვის: 1878. ტაბახმელა.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ირაკლის გრუზინსკისა.“

ადრესატის მისამართი: ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თბილისში ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. ღვთისა-გან.

პირველი პუბლიკაცია:

გვ.: 71,20. „ირაკლის გრუზინსკისა“ – წერილის ადრესა-ტია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

გვ.: 71,22. „მობრძანებასა ქართლ-საქართველოში“ – ადრესატი ახალდაბრუნებული იყო პარიზიდან.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №14 (960) გვ.: 72-73.

ავტოგრაფი: L, №16260-ხ // №05294 // 85/1, 1r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ფურცელი; ზომა: 21,2X14,1 სმ. წერილი შესრულებულია ორ გვერდზე შავი მელნით. ნაწერი გადასულია მეორე გვერდზეც. ხელნაწერი რესტავრირებულია.

ასლი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №422 (ძველი Hd.-7694), 1r-v.

ასლის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ორად გადაკეცილი ხაზიანი ფურცელი; ზომა: 21,1X13,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გადასულია || გვერდზე. | გვერდის ზედა მარჯვენა მხარეს შავი მელნით აწერია „ასლი.“

თარიღი და ადგილი: „29^ე აგვის: 1878. ტაბახმელით.“

ხელმონერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ალექსანდრე!“

ადრესატის მისამართი: ტექსტში ჩანს, რომ ადრესატი მეუღლესთან ერთად **ალბულაშია** წასული. ავტორი მას სწერს: „შენი სიტყვები ხშირად მაგონდება, რომ დედაკაცები დროს ვერ გაგატარებენ: „ვაი ჩუმი ბრალი, ალექსანდრე ლიზათი წასულან ალბულახსა, და ჩუმი ვერას ველირსენით, თუ არ წავკისი ტაბახმელა, ტაბახმელა წავკისი!“ ყოველდღე ეს სიტყვები მესმის.“

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 2. თავადი; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 72,1. „ჩემო საყუარელო ალექსანდრე“ – წერილის ადრესატია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი.

გვ.: 72,3. „ალექსანდრე ლიზათი“ – საუბარია ადრესატ-სა და მის || ცოლზე, ილია ჭავჭავაძის დაზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 72,5-6. „ტასოს... ქეთევანს რევმატიზმები“ – საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანსა და მის დისწულ ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.

გვ.: 72,12. „სოსიკო და სოფიო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბე-

ლიანსა და მის დაზე – სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელი-ან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 72,16. „აკლობჟიო შევიდა ციხისძირში“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის, ქმარზე – გენერალ ივანე დიმიტ-რის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 72,17-18. „მირსკი... ბათუმში“ – იგულისხმება დი-მიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 72,18. „დერვიშფაშა“ – საუბარია თურქეთის ჯარე-ბის სარდალზე, რომელმაც დიმიტრი მირსკის სიმბოლურად გადასცა ბათუმის გასაძები.

გვ.: 72,25-26. „წელმწიფის მფარველობასა“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 72,26. „თამარ მეფის სამეფო“ – საუბარია XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფოზე.

გვ.: 72,29. „ძალუა ელისაბედს“ – საუბარია დაქვრივე-ბულ ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისადმი №1 (961)

გვ.: 73-76.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 172r-v, 173r (წითელი ფანქრით), 26r-v, 27r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსქვლისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ოთხ ადგილას გახვრეტილი ორი დამოუკიდებელი ქაღალდი; ზომა: 27,1X22,0 სმ.; წერილი შესრულებულია მუქი შავი მელნით. I გვერდის ზედა მარჯვენა მხარეს შავი ფანქრით დახრილად მიწერილია: „გადაწერე.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

წერილის ბოლო 173r (27r) გვერდზე, ბოლოში, ავტორის 1-აბ-

ზაციანი რუსული მინანერია შავი ფანქრით, რომელიც 1879 წლის 27 დეკემბრით თარიღდება. ტექსტიდან ირკვევა, რომ გრიგოლს სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისადმი დაწერილი წინამდებარე წერილის გაგზავნა დავიწყებია.

ეს მინანერი შემდეგია:

27^{го} Декаб: 1879.

Начинаю искать Телеграмму, полученную мною вчера из Петерб:^а, очень нужную для распоряжения, касающагося Управления Красн: Креста. Ищу, ишу, перебрасываю все бумаги, лежавшія на столе; нет телеграммы. Вдруг попадается мне это письмо, к удивленію моему, неотправленное к Софії. Начинаю читать; письмо заинтересовало, улыбаясь продолжаю чтеніе. В эту минуту входит комне Вано Орбел: с роковым известіем о смерти Софії, глубоко мною любимой моей сестры! Какая странная случайность! Письмо выпало из рук, я окаменел; смотрел только на Вано, но без всякой мысли!

ქართული თარგმანი:

24^б დეკემბ: 1879.

ვიწყებ პეტერბურლიდან გუშინ მიღებული დეპეშის ძებნას, რომელიც ძალიან საჭიროა „წითელი ჯვრის“ სამმართველოსთან დაკავშირებული განკარგულების გასაცემად. ვეძებ, ვეძებ, მაგიდოდან ვყრი მასზე დაგროვილ ქაღალდებს, არ არის დეპეშა. უცბად ხელში მხვდება ეს წერილი, რომელიც გასაგზავნი დამრჩენია სოფიოსთვის. ვიწყებ კითხვას; წერილმა დამაინტერესა, ლიმილით ვაგრძელებ კითხვას. ამ დროს ჩემთან შემოდის ვანო ორბელ[იანი] საბედისწერო ცნობით ჩემი უსაყვარლესი დის, სოფიას, გარდაცვალების შესახებ. რა საოცარი შემთხვევითობაა! წერილი ხელიდან გამივარდა, გავქვავდი; ვანოს მივჩერებოდი უაზროდ!

თარიღი და ადგილი: «Табакмела. 29 Авгу: 1878.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Моя матушка Софія!»

ადრესატის მისამართი: «В Коджори»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ შავი ფანქრით მოკლე ხაზია გასმული; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 4. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 5-20. მონიშნული სიტყვები ხაზგას-მულია.

გვ.: 73,7. «**матушка Софія**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი – სოფიო იაკობის ასული ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა.

გვ.: 75,25. «**моего Соломона**» – საუბარია მსახურზე.

გვ.: 75,30. «**Платон Иоселиани**» – საუბარია პლატონ ეგნატეს ძე ოსელიანზე.

გვ.: 76,14. «**друг Исаак**» – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმა-ნიშვილზე.

ისაკ თუმანიშვილისადმი №1 (962) გვ.: 80-81.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515°, 70r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,5X23,8 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ზედა მარცხენა კუთხეში წითელი ფანქრით წერია: „Х.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „ტაბახმელით... 1878 აგვისტ..“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...ჩემო გულით საყუარელო ისაკ“...

ადრესატის მისამართი: „თბილისა“

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. ფრაზას – „და ფიქრები პრბიან ისევ წასულთ“ – ქვეშ წითელი ფანქრით ხაზი აქვს გასმული.

გვ.: 80,2. „საყუარელო ისაკ“ – წერილის ადრესატია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილი.

გვ.: 80,5-6. „ყაფლანის დაკარგვისაგამო“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 80,21. „ტახოს წიგნში ჩადებული“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილზე – ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობული.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №15 (963) გვ. 81.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №423/№29, ორმაგი პაგინაციით: 1r / 18r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, არასტანდარტული ფორმის, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 13,6X12,9 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენილია ფურცელში. III გვერდის ზედა მხარეს არქივარიუსის ხელით იასამნისფერი მელნით მიწერილია: „წერილები საგინოვისადმი დაუთარილებელნი.“ IV გვერდის ბოლოში შავი მელნით ადრესატის ვინაობა წერია მისამართის გარეშე.

თარიღი და ადგილი: „5^ე სეკდ: 1878“

ხელმოწერა: „შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...ჩემო ალექსანდრე“...

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი ამავე წლის 29 აგვისტოს გაგზავნილი წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ის მეუღლესთან ერთად აღბულალშია წასული. ავტორი მას სწერს: „შენი სიტყვები ხშირად მაგონდება, რომ დედაკაცები დროს ვერ გაგატარებენ: „ვაი ჩუმინი ბრალი, ალექსანდრე ლიზათი წასუ-

ლან აღბულახსა, და ჩუმენები ვერას ველირსენით, თუ არ წავკისი ტაბახმელა, ტაბახმელა წავკისი!“ ყოველდღე ეს სიტყვები მესმის.“ წინამდებარე წერილიდან კი ვიგებთ, რომ ალექსანდრე ჯერ არ დაპრუნებულა: „ახლაკი შენი დროც არის ჩამოსვლისა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგაზავნილი უნდა იყოს აღბულალში.

შენიშვნები: 1. ლვთით; 2. სტრიქონი ხაზგასმულია.

გვ.: 81,6. „ჩემო ალექსანდრე“ – წერილის ადრესატია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი.

გვ.: 81,6-7. „აპარინინის პეტიას ვაჟი ეყოლა“ – საუბარია ალექსეები პეტრეს ძე ოპორინინის შვილ პეტრესა და მის ახალშობილ ვაჟ ვალოდიაზე.

გვ.: 81,8-9. „ღრიშა გრუზინსკი... ცოლშვილით“ – საუბარია გრიგოლ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, მის მეუღლე ოლღა დიმიტრის ასულ ფროლოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და შვილებზე: ალექსანდრეზე, ილიაზე, პეტრეზე, ანასტასიაზე, ელისაბედზე, თამარსა და ნინოზე.

გვ.: 81,11. „სოსიკო მოვიდა“ – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 81,12. „გიგოც დაპრუნდა ცოლით“ – საუბარია გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – ნინო სიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანისაზე (1831-1919).

გვ.: 81,14-15. „ძალუამ ქეთევანმა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 81,15. „ლიზაც ნულარ დააგვიანებს“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

ლევან მელიქიშვილისადმი №7 (964) გვ.: 82-84.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №114/№28,
ორმაგი პაგინაციით: 3r / 6r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 33,8X21,8
სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის მარცხენა აში-
აზე ბოლო ორი აბზაცი მონიშნულია შავი ფანქრით; II გვერ-
დის ზედა მხარეს ჰორიზონტალურად შავი ფანქრით, სხვისი
ხელით მინაწერია: „ესენი გამორჩეულნი იყო მაგრამ გამო-
ვაგდე.“ წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „5^ე სეკდ: 1878. შურას.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კ: ლევანს მელიქოვს.“ /
„ჩემი ბატონო კნიაზო ლევან!“

ადრესატის მისამართი: „შურას.“

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 3. რომ-
ლითაც; 4. სახელი და გვარი ხაზგასმულია; 5-8. მონიშნული
სიტყვები ხაზგასმულია; 9. ღმერთსა; 10. სახელი და გვარი
ხაზგასმულია; 11-14. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 15.
ღმერთი.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა.
იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის IX აბზაცი
(„დიდად მეშინიან, რომ აჭარაში... ხალხის დაშვიდება და კე-
თილ-დღეობა“): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანწლი
თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმომეჭდილი მოამბე-დან,
ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა,
ტფილისი, გვ. 129.

გვ.: 82,1. „ლევანს მელიქოვს“ – წერილის ადრესატია
გენერალი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ.: 82,6-8. „ფირანისშვილი ნიკო... ნაკაშიძეს“ – ნიკო
ფირანისშვილის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. რაც
შეეხება ნაკაშიძეს, ის წინამდებარე ტომის წერილებში სამ-
ჯერ იხსენიება: საანალიზო წერილში, 1879 წლის 4 ივნისის

და ერთ უთარილო წერილში, რომელიც 1879 წლის 17 დეკემბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. სამივეგან ის გვარით სახელდება. სხვადასხვა პიროვნებაზე რომ იყოს საუბარი, ავტორი აუცილებლად სახელსაც მოიხსენიებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ერთ პიროვნებაზეა საუბარი და ეს უნდა იყოს მაღალიჩინოსანი ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძე, რომელმაც ნიკო ჭავჭავაძე შეცვალა ელიზავეტა-პოლის გუბერნატორის თანამდებობაზე.

გვ.: 82,15. „პარიუიდამ ირაკლი“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 82,18-19. „ბატონის რძლისათვაც და თამარისათვაცა“ – საუბარია ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და დედაზე – მარიამ ისაკის ასულ ალამალიან-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 82,20. „ღრიშა ღრუზინსკი ცოლშვილით“ – საუბარია გრიგოლ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, მის მეუღლე ოლღა დიმიტრის ასულ ფროლოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და შვილებზე: ალექსანდრეზე, ილიაზე, პეტრეზე, ანასტასიაზე, ელისაბედზე, თამარსა და ნინოზე.

გვ.: 82,24. „ჩუმინი სოსიკო“ – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 82,27-29. „კნ: მირსკი... დერვიშფაშა“ – საუბარია თურქეთის ჯარების სარდალზე, რომელმაც გენერალ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის სიმბოლურად გადასცა ბათუმის გასაღები.

გვ.: 83,1. „თამარ მეფის სამეფო“ – საუბარია XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფოზე.

გვ.: 83,1-2. „დილის იმპერატორის“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 83,6-7. „ბარონ ნიკოლაი... მაკათი“ – საუბარია ბარონ ალექსანდრე ნიკოლაისა და მის ქალიშვილ მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაიზე.

გვ.: 83,7-8. „დაინიშნა გიორგის შარვაშიძეზე“ – საუბარია მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაის მეუღლეზე
– გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეზე.

გვ.: 83,10. „ველიკი კნიაზი“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 83,12-13. „ქალის დასაქორწინებლად“ – საუბარია ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 83,29. „სავათნავამ ჰესტეჟა“ – იგულისხმება საქართველოში მოღვაწე სომეხი პოეტი.

გვ.: 84,1-2. „ნოეს დაბადებიდამ“ – მიანიშნებს უხსოვარ დროზე.

გვ.: 84,5. „საშას ჩავჭკოცნი“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – გრიგოლის ნათესავ ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 84,6. „ბატონის რძლის“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე – ოლღა დიმიტრის ასული ფროლოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისა.

გვ.: 84,8. „ნინოსაც ჩავჭკოცნო“ – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის დაზე – ნინო ივანეს ასულ მელიქიშვილზე.

გვ.: 84,11-12. „პეტიას აპარინინსა ეყოლა ვაჟი... ვალოდია“ – საუბარია ალექსეი პეტრეს ძე ოპორინინის ვაჟ პეტრესა და მის ახალშობილ ვაჟ ვალოდიაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №113 (965) გვ.: 84-85.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №623/№26, ორმაგი პაგინაციით: 3r-v / 166r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,5X13,5 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაუღენთილია ფურცელში. IV გვერდის შუაში შავი ფანქრით უკუღმა წერია: „1878.“ ხელნა-

წერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „15^ს სეკდ: 1878“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ერთგული თ გრიგოლ ორბე-ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში თბილისში ცხოვრობდა და მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 2. თავადი; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 84,15. „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 84,17-18. „გუინუქს ბეგი, ჰაჯიხანჯან“ – პირის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 84,19-20. „შამილმა... ტყველ“ – საუბარია ჩეჩენეთ-დალესტნის ყოფილ იმამზე.

გვ.: 84,22-23. „თუთ ვარანცოვისაგან“ – საუბარია ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 84,25. „ნიკო ჭავჭავაძებ“ – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 85,1. „მამაცოვმა უბძანა“ – პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 85,12. „მაჲმადალა“ – პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 85,18-19. „შეაგონოთ სტაროსელსკისა“ – იგულისხმება მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 85,22. „ველიკის კნიაზისაგან“ – იგულისხმება მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

დიმიტრი გოლიცინისადმი №1 (966) გვ. 86.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №75/№70, 174r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: 21,1X17,6 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერის ზედა მარჯვენა კუთხე მოხეულია. რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20^ე Сент: 1878 გ. თიფლის.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Князю Дмитрию Борисовичу Голицыну, Флигель Адъютанту»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში რუსეთის არმიის ფლიგელ-ადიუტანტი და თერექის ყაზახის ვოლგის მე-2 პოლკის მეთაური იყო. თერექის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი კი ვლადიკავკაზიი იყო. სავარაუდოდ, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. სტრიქონები ხაზგასმულია; 3. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 86,2. «**Дмитрию Борисовичу Голицыну**» – წერილის ადრესატია ფლიგელადიუტანტი დიმიტრი ბორისის ძე გოლიცინი.

გვ.: 86,5-6. «**Егор Подкатилин**» – სავარაუდოდ, საუბარია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე სტეფან იგორის ძე პოდკატილინის მამაზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №78 (967) გვ.: 87-88.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №167/№58, 16r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, არასტანდარტული ფორმის ქალალდი; ზომა: მარჯვენა მხარე: 18,9, მარცხენა მხარე: 19,5, ქვედა მხარე: 21,9, ზედა მხარე: 21,5სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. წარმო-ადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «28^{го} Сент: 1878.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «в Царское Село»

გვ.: 87,3. «**Мой друг Варвара**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 87,10. «**Како была больна**» – საუბარია მარიამ (კა-კო) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 87,13. «**жену Лазарева**» – საუბარია გენერალ ივანე დავითის ძე ლაზარევის ცოლზე, რომლის სახელის დადგენა ვერ მოხერხდა.

გვ.: 87,14. «**Иякинте Месхiev**» – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, ცოლისძმა – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ.: 87,15-16. «**наша Кетевана**» – საუბარია გრიგოლის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 87,17. «**Александр Еристов – Маршал**» – სავარაუდო, საუბარია ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავზე, რომელიც ადრე გორის თავადაზნაურობის წინამდღლი იყო.

გვ.: 87,18. «**единственного сына, который умер в Париже**» – ერისთავთა გენეალოგიურ ნუსხაში არცერთი ალექ-

სანდრეს ძე ერისთავი არ არის გარდაცვლილი 1878 წელს პარიზში. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მის შესახებ ინფორმაცია გამორჩენილია და სახელის დადგენაც ვერ ხერხდება.

გვ.: 87,19. «**В: Князь»** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 87,19-20. «**Великаяже Княжня с своим Зятем Мекленбургским**» – საუბარია კავკასიის იმჟამინდელი მეფისნაცვლის ქალიშვილ ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვასა და მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ზე.

გვ.: 87,22. «**дядя Георгий**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი, გრიგოლ ორბელიანის ძმისნული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 87,23. «**свадьбе Голицына**» – საუბარი უნდა იყოს საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ბორისის ძე გოლიცინისა და სოფიო ალექსანდრეს ასულ ვიაზემსკაიას ქორწილზე, რომელიც გაიმართა 1878 წლის 11 სექტემბერს.

გვ.: 87,24-25. «**мужу Сонички Сумбатову**» – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ქეთევან გრიგოლის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ვაჟ ივანე მიხეილის ძე სუმბათაშვილზე, რომელიც ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკში მსახურობდა და ცხენი დასჭირდებოდა. მისი მეუღლის ვინაობა გენეალოგიურ ნუსხაში მითითებული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, სონია ერქვა.

გვ.: 88,1. «**Гриша живет в Тифлисе с семейством**» – საუბარია გრიგოლ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, მის მეუღლე ოლღა დიმიტრის ასულ ფროლოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და შვილებზე: ალექსანდრეზე, ილიაზე, პეტრეზე, ანასტასიაზე, ელისაბედზე, თამარსა და ნინოზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №39 (968) გვ.: 89-91.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 174r-v (წითელი ფანქრით), 28r-v (შავი ფანქრით).
ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 35,1X23,0 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდზე დასაწყის სიტყვას წითელი ფანქრით ანერია: „X“; ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «24^{го} Нояб: 1878 г. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Фельдмаршалу К^ю Александру Ивановичу Барятинскому.»

ადრესატის მისამართი: ადრესატის ბიოგრაფიდან ცნობილია, რომ სიცოცხლის ბოლო წლები მან ჟენევაში გაატარა. მის გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე დაწერილი წინამდებარე ბარათიც, საგარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. ციფრი გადაკეთებულია; „4“-ც შეიძლება იყოს და „7“-ც:

3. ხელნაწერშია «раззоряема».



გვ.: 89,9. «Александру Ивановичу Барятинскому» – წერილის ადრესატია 1856-1863 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი – ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ.: 89,12. «Михайлу Николаевичу Смирнову» – სავარაუდოდ, საუბარია ცნობილ რუს ბოტანიკოსსა და ეთნოგრაფზე.

გვ.: 89,19. «дяде Дмитрию» – საუბარია ადრესატის სიმამრზე – დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 90,17. «Великодушным Императором» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 91,4-5. «Анастасии Михайловны с наследным Герцогом Фридрихом Мекленбург – Шверинским» – საუბარია

კავკასიის იმუნიციალური მეფისნაცვლის ქალიშვილ ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვასა და მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ზე.

გვ.: 91,9. «**Княгине Елизавете Дмитриевне**» – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ დიმიტრის ასულ ორბეგიან-ბარიატინსკისაზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №79 (969) გვ.: 93-96.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №168/№58, ორმაგი პაგინაციით: 17r-v / 1r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დაზიანებული, კიდევებში დამწვარი, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 35,6X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. I გვერდის მარცხენა აშიაზე შავი ფანჯრით ხაზია ჩამოსმული; III გვერდის შუაში შავი მელნით აწერია: „782.“ წერილს დაცულობის გამო ახლავს თეთრი ქაღალდი. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «5^თ დეკ: 1878. თифლის.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Петерб:»

შენიშვნები: 1. ხელნაწერი ამ ადგილას დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ ჩანს; 2. ხელნაწერი ამ ადგილას დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ პირველი სამი ასო. ჩვენ აღვადგინეთ «Оголина».

გვ.: 93,19. «**Мой друг Варвара**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 94,1. «**семейство Оклюбжю**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ

ორბელიან-ოკლობჟიოზე, მის ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოსა და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 94,2. «**Императрице Ниночку**» – საუბარია იმხანად რუსეთის იმპერიის დედოფალზე, მარია ალექსანდრეს ასულ ჰესენელზე, და ნინო ივანეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 94,9. «**Taco желает**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 94,9-10. «**Государыне Цесаревне**» – შესაძლოა, იგულისხმებოდეს იმპერატორ ალექსანდრე II-ის და – ოლღა ნიკოლოზის ასული რომანოვა-ვიურტემბერგელი.

გვ.: 94,13. «**Спасовича... Геркулеса Юстиции**» – საუბარია იურისატ ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩზე.

გვ.: 94,15. «**Профессор Сарокин**» – საუბარია პროფესორ ივანე მაქსიმეს ძე საროვინზე.

გვ.: 94,16. «**говаривал Каплан**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 94,17-18. «**бедной Андреевской**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, მაია (მარიამ) თამაზის ასულ ორბელიანის, შვილიშვილზე, ნინო ერასტის ასულ ანდრეევსკაიაზე, რომელიც მოკლეს.

გვ.: 94,20. «**Прокур[ором] Быковым**» – სავარაუდოდ, საუბარია პროკურორ თეოდორ ალექსანდრეს ძე ბიკოვზე.

გვ.: 94,22. «**Председатель Ого[лин]**» – სავარაუდოდ, საუბარია თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარეზე – ალექსანდრე სტეფანეს ძე ოგოლინზე.

გვ.: 94,25. «**Чхотуя и Габиссонія**» – იგულისხმება ბრალდებული დავით და ნიკოლოზ ჩხოტუები და მზარეული გაბისონია.

გვ.: 94,30. «**у Опочининых**» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 94,31. «**Виделли Георгий**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 94,32. «**Захарий иеругаетли**» – საუბარია ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 95,2. «**Атлет Лазарев**» – საუბარია იმხანად გენე-რალ-ლეიტენანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 95,2-3. «**Рерберг уподобляет**» – სავარაუდოდ, საუბარია ნატალია ნიკოლოზის ასულ რერბერგზე, რომელიც თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრი იყო.

გვ.: 95,5. «**представился Радецкому**» – საუბარია გენე-რალ თეოდორ თეოდორის ძე რადეცკიზე,

გვ.: 95,7. «**наш Котे**» – სავარაუდოდ, საუბარია გრი-გოლ ორბელიანის ნათესავ კონსტანტინე მამუკას ძე ორბელი-ანზე.

გვ.: 95,8. «**Саломе, Елена, Тамара, Како, Здоровы**» – საუბარია ადრესატის დისშვილებზე, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილებზე: სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე (ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძის მეუღლეზე).

გვ.: 95,9. «**хотя Давид**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 95,14. «**Князь Голицын с его Сестрою Шереметьевой**» – საუბარი უნდა იყოს საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ბორისის ძე გოლიცინსა და მის დაზე – ევდოკია ბორისის ასულ გოლიცინა-შერემეტიევაზე.

გვ.: 95,15. «**отец их**» – საუბარია ბორის დიმიტრის ძე გოლიცინზე, რომელიც მართლაც რამდენიმე დღეში გარდა-იცვალა.

გვ.: 95,23-24. «**К^ио Барятинскому... Воронцову спасение**» – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვლებზე – ალექსანდრე ბარიატინსკისა და მიხეილ ვორონცოვზე.

გვ.: 95,28. «**კ ბმჲ კჲ**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 96,1. «**с императора**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გიორგი ორბელიანისადმი №1 (970) გვ.: 98-100.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153 / №116, Ros-292; 2829, 80r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,7X21,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის მარცხენა აშიაზე, V აბზაცის ბოლოს, შავი ფანქრით ხაზია ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «11 Декабрь 1878 Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой Георгий!»

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსით ჩანს, რომ ადრესატი პეტერბურგში იმყოფებოდა: «Фисун завтра выезжает по служебным делам в Петерб: и везет к тебе это письмо»; «9^{го} Дек: выехали также все Августейшии дети В^{го} К^и Николай, Михаил, Георгий и Александр Михайловичи, и, конечно, они, ранее этого письма прибудут в Петерб:»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. გვარი ხაზგასმულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის V აბზაცის ნაწილი («... да будет позволено мне... немогут никогда писать?»): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 162-163.

გვ.: 98,24. «**Мой Георгий**» – წერილის ადრესატია გრი-გოლ ორბელიანის ძმისნული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 98,26. «**Фисун завтра выезжает**» – შესაძლოა, საუ-ბარი იყოს ალექსანდრე ალექსეის ძე ფისუნზე, რომელიც კავ-კასიაში მოლვანეობდა.

გვ.: 98,28. «**пошлию Кирмаламу**» – ეს სიტყვა, წინამდე-ბარე წერილის გარდა, კიდევ ერთ წერილში გვხვდება. ორივე ხელნაანერში ის გარკვევით იკითხება, თუმცა მისი მნიშვნე-ლობის დადგენა ვერ შევძელით. რისი თქმაც შეგვიძლია, არის ის, რომ უსულო საგანია, თანაც ისეთი, რომლის გაგ-ზავნაც შესაძლებელია.

გვ.: 99,1. «**Майко успела**» – სავარაუდოდ, საუბარია მაიკო დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 99,3-4. «**дети В³о К³ Николай, Михайл, Георгий и Александр Михайловичи**» – საუბარია კავკასიის მეფისნაც-ვლის ვაჟებზე – ნიკოლოზ, მიხეილ, გიორგი და ალექსანდრე მიხეილის ძე რომანოვებზე.

გვ.: 99,8-9. «**Великой Княжны Анастасии**» – საუბარია კავკასიის იმჟამინდელი მეფისნაცვლის ქალიშვილ ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 99,16. «**Виделли Голицына**» – საუბარი უნდა იყოს საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ბორისის ძე გოლიცინზე.

გვ.: 99,27-28. «**Наполеон был уже Главнокомом: Итальян: Армии**» – საუბარია ნაპოლეონ ბონაპარტზე. „იტა-ლიურ არმიაში“ კი იგულისხმება საფრანგეთის არმია, რომე-ლიც ჩამოყალიბდა იტალიის ნახევარკუნძულზე ბრძოლების საწარმოებლად.

გვ.: 99,29. «**Манко и Ольга**» – საუბარია მარიამ დი-მიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისაზე და ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკი-საზე.

გვ.: 99,29-30. «**Саломе, Елена, Тамара и Како**» – საუბარია ადრესატის დეიდაშვილებზე, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილებზე: სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე (ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძის მეულლეზე).

გვ.: 99,30. «**Опочинины с их детьми**» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის, და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 100,1. «**Ивана Дмитри:**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოს მეულლეზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 100,2. «**Тасо цалую и ея детей**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 100,4. «**Цалую Варинку**» – საუბარია ადრესატის დედაზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №23 (971) გვ.: 101-103.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №516/№30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r-v / 32r-v, 33r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,6X13,7 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით. II ფურცელი ქვემოდან შეხეულია. III გვერდის მარჯვენა მხარეს, შუაში, ეტყობა თითის ანაბეჭდი

(ლურჯი მელნით). ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „12^ს დეკემ: 1878. თბილისით“

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი განჯის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-4. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 101,25-26. „ჩემო ბატონო, კნიაზო ნიკო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 101,27. „პორუჩიკი მუსაალა“ – საუბარი უნდა იყოს მუსა ალა უსუფოვზე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ამავე ადრესატისადმი მიწერილ სხვა წერილებშიც ახსენებს.

გვ.: 102,3-4. „ველიკის კნიაზის შვილები... დის ქორწილში“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის შვილებზე: ნიკოლოზ, ანასტასია, მიხეილ, გიორგი, ალექსანდრე, სერგეი და ალექსეი რომანოვებზე.

გვ.: 102,5. „თავის სახლობით“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე, მის მეულე ოლღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და შვილებზე.

გვ.: 102,9. „ზაქარია ჭავჭავაძე“ – საუბარია ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 102,11-12. „ლაზარევმა მიიღო წყალობა“ – საუბარია იმხანად გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 102,23. „ტიტიკო მაყაშვილის ცოლი“ – სავარაუდო, საუბარია დიმიტრი მაყაშვილზე, მაგრამ ვერც მის და ვერც მისი ცოლის შესახებ დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 102,28. „ალაევმა და ისაკმა“ – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ხშირად ასესნებს, მაგრამ ალაევის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 102,30. „ავინოვისათვს“ – საუბარია გენერალ სერ-გეი ალექსანდრეს ძე ავინოვზე.

გვ.: 103,5. „ოგლობუიოს მოუვიდა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის ქმარზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 103,5-6. „ეგრეთვე ტრუბეცოისა“ – საუბარია სერ-გეი ნიკიტას ძე ტრუბეცოიზე, მაგრამ გრიგოლ ორბელიანს ეშლება: მან მიიღო არა ალექსანდრე ნეველის, არამედ წმინდა ვლადიმერის ორდენი.

გვ.: 103,6. „ოგლობუიო ცოლით, შვილებით“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოსა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №114 (972) გვ. 103.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №624/№26, სამმაგი პაგინაციით: 4r / 8r / 167r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის ქაღალდი; ზომა: 21,6X13,6 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „15^ს დეკემ: 1878.“

სელმონერა: „თქუმნი მარადის ბედნიერების მსურველი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

გვ.: 103,8. „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლო-ბელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 103,9. „ველიკი კნევნასთან“ – იგულისხმება მეფისნაცვლის ქალიშვილი – ანასტასია მიხეილის ასული რომანოვა, რომელიც იმხანად საქორნილოდ ემზადებოდა.

ილია ჭავჭავაძისადმი №1 (973) გვ.: 103-104.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №638/№71 (ძველი S: 2660), 1r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 21,6X13,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. ॥ გვერდის ზედა მხარეს შავი ფანქრით უკულმა აწერია: „1878.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „27 დეკემბერი 1878.“

ხელმოწერა: „თქუცინის მარადის ბედნიერების მსურველი თვე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ“

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მიღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თავადი; 2. თარიღი ხაზგასმულია.

გვ.: 103,14-15. „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ“ – წერილის ადრესატია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 103,16. **მომირთმევია მეფე გიორგის ცხოვრება** – წერილში დაკონკრეტებული არ არის, რომელი მეფე გიორგის ცხოვრებაზეა საუბარი. პლატონ იოსელიანი იმ დროს გარდაცვლილი იყო და, შეიძლება, გრიგოლმა მისი წიგნის – „მეფე გიორგი მეცამეტის ცხოვრება“ – ხელნაწერი გადასცა.

გვ.: 103,17. „თქუმნის ახალის ჟურნალისათვეს“ – იგულისხმება ჟურნალი „ივერია.“

ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №6 (974) გვ.: 104-106.

ავტოგრაფი (თეორი პირი): C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №136/№72, ორმაგი პაგინაციით: 1 r-v/ 2 r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 27X22,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. | გვერდის ზედა მარცხენა მხარეს შავი ფანქრით რუსულად აწერია: «Читал.» IV გვერდის ქვედა მარჯვენა მხარეს ვერტიკალურად შავი ფანქრით აწერია: „78.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „24^ს დეკემ: 1878 თბილისით.“ / „28^ს დეკემ:“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი თ~ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ტასო!“

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. ლმერთი; 3-4-8. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 9. თავადი.

ავტოგრაფი (შავი პირი): C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №136/№72, ორმაგი პაგინაციით: 2r/ 4 r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,1X22,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „26^ს დეკემ: 1878.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ტასო!“

ადრესატის მისამართი: „პეტერბურლს.“

გვ.: 104,5. „ჩემო საყუარელო ტასო!“ – წერილის ადრე-სატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობჟიოსი.

გვ.: 104,15. „ლოტომბა ტერასატუროვისას“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს დიმიტრი ბოგდანის ძე ტერ-ასატუროვი, რომელიც სხვა წერილშიც არის ნახსენები.

გვ.: 104,17. „სოფიო-სოსივო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილებზე – სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე და იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 104,17. „ან გრიგოლ“ – იგულისხმება თავად ავტორი.

გვ.: 104,17-18. „ან მაკრინე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 104,19-20. „ივან დიმიტრიჩ“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის ქმარზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 104,21. „ვანოსავით“ – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის ძმაზე – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 104,24-25. „ბერნესის ცოლსა ჰყოლია ვაჟი“ – საუბარია ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორ ანდრეი ევგენის ძე ბერნესსა და მის ვაჟზე, რუსეთის კონტრ-ადმირალზე, ესკადრილის მეთაურ მიხეილ ანდრეის ძეზე (1879-1943). ახალშობილის დედის ვინაობა უცხობია. მართალია, ცალკეულ ისტორიულ წყაროებში მიხეილ ბერნესის დაბადების თარიღიდან 1879 წლის იანვარი წერია, მაგრამ ხშირად ბავშვის დაბადების დროდ მისი ნათლობის რიცხვს უთითებდნენ ხოლმე, ან გვიან არეგისტრირებდნენ.

გვ.: 105,3-4. „ერასტის ქალი... მამაცოვზე“ – სავარაუდოდ, საუბარია ელისაბედ ერასტის ასულ ჩოლოყაშვილ-მამაცაშვილისაზე.

გვ.: 105,5. „სვიმონ წერეთლისა და ლენერალ ავალოვის ქალისა“ – სავარაუდოდ, საუბარია სიმონ დავითის ძე წერეთლისა და დავით იაკობის ძე ავალიშვილის ქალიშვილზე – ანასტასია დავითის ასულ ავალიშვილზე.

გვ.: 105,10. „საღილია ფირადოვისას“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს თბილისის უანდარმთა სამმართველოს თარჯიმანი – ბალდასარ ბეჟანის ძე ფირადოვი.

გვ.: 105,11. „გიგო და ნინო“ – საუბარია გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – ნინო სიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანისაზე.

გვ.: 105,12. „მაიკო“ – სავარაუდოდ, საუბარია მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაი-შერვაშიძისაზე.

გვ.: 105,13-14. „ლიზა საგინოვისა და თვთ საგინოვიც“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილსა და მის მეორე ცოლზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 105,19. „ქეთევან და მაკრინე“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე და ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 105,23. „სოფიო ბუჭყიევისა“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ვახტანგ ბეჟანის (ბორისის) ძე ბუჭყიაშვილის ცოლზე, რომელსაც სოფიო ერქვა.

გვ.: 105,24. „მებრალება ელისაბედ“ – შესაძლოა, საუბარი იყოს სოფიო ბუჭყიაშვილის დედაზე – ელისაბედ სოლომონის ასულ ფავლენიშვილზე.

გვ.: 105,27-28. „ბელოვ და ედიგაროვ... შალიკოვის ქალისათვა“ – სახელები მითითებული არ არის და პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 105,29-30. „ეს ტასომ მიამბო“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის რძლის, ქეთევან დიმიტრის ასულ ალექ-

სი-მესხიშვილ-ორბელიანის, დისწული – ანასტასია ჩერქეზიშვილი-ხერხეულიძისა.

გვ.: 106,1. „კნ: ტრუბეცკოი, ვინსპერნ“ – შესაძლოა, საუბარი იყოს სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოისა და მეფისნაცვლის ადიუტანტ დავით ფრანცის ძე ვინსპიერზე.

გვ.: 106,2. „სტაროსელსკიც აპირებს“ – იგულისხმება მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 106,4. „ავინოვი და ამიროვი“ – შესაძლოა, საუბარი იყოს გენერალ სერგეი ალექსანდრეს ძე ავინოვზე, რადგან ის სხვა ნერილშიც იხსენიება. მეორე პირის სახელი ნახსენები არ არის, მაგრამ, შესაძლოა, ეს იყოს სამხედრო პირი სტეფანე ამიროვი.

გვ.: 106,6. „ნიკო ჭავჭავაძე... ელისავეტოპოლიდამ“ – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, რომელიც იმ დროს ელიზავეტოპოლის, ამჟამინდელი განჯის, გუბერნატორი იყო.

გვ.: 106,9. „ველიკიის კნიაზის“ – იგულისხმება მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 106,16. „შენი შვილებიცა“ – იგულისხმება ელენე და ნინო ოკლობუიოები.

გვ.: 106,17. „ვანო და მისი პანანა საშა“ – საუბარია ადრესატის ძმაზე, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, და მის ცოლ საშაზე.

გვ.: 106,21. „თკთ მეკლემბურლსკისა“ – საუბარია კავკა-სიის იმჟამინდელი მეფისნაცვლის სასიძოზე – მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ზე.

შავი პირი:

პეტერბურლს. 26^ს დეკემ: 1878.

ჩემო საყუარელო ტასო! წახველ და წახველ, ერთხელ აღარცყი მოიხედე აქეთ, აღარცყი მოიგონე ისინი, ვინ დარ-

ჩნენ აქა, და ვინცა დარჩნენ, იცნობლაა? მე არ მიკვირს ესე, რადგანაც ვიცნობ დედაკაცის გულსა, რადგანაც ვიცი, რომ ოღონდები დედაკაცი გავიდეს თავის სახლიდამ, ოღონ(ნ)დები სხუაგან იყოს, და რაც უნდა დაემართოს, ყველას მოითმენს. („}ვით, ქა, ეს რა მოგვივიდა?“ ამას იტყვის და დამშვიდება! დედაკაცსა მხოლოდ ძილისათვეს უნდა სახლი, და ცხოვრება! და სიამოვნება გარეთ, სხუაგან სადმე; იქ არის ბედნიერება! იქ უნდა თავის მოდნის ახალ-ახალი კაბაცა; ისევ ის ლოტოობა უფრო ლაზათიანია ტერასატუროვისას, და აბა, პეტერ-ბურლში რაღას მოგაგონდება, ან ჩუცნი ქუჩა, ან ვიღაცა სოფო-სოსიკო, ან გრიგოლ და ან მაკრინა? მაგრამ, ეჲ, მაინც იყოს ღმერთი თქუცნი მფარველი! მე მხოლოდ მებრალება ჩემი საკუთარი, ჩემი საყუარელი ივანე დიმიტრიჩი, რომელმანცა ბევრი იფორთხალა, ბევრი იკივლა, მაგრამ, მაინც და მაინც, ვანოსავითა, ჩაგარდა დედაკაცების წელში. –

აქაური ამბავი:

ვიცი გიამება, და აი მიხარებია: ბერნისის ცოლსა ეყოლა ვაჟი! ამბობენ, მითომ ის.... მაგრამ ყურს ვინ უგდებს, ვინც რა უნდა ჰეთქუას, რა დასაჯერია. ესკი არის სამწუხარო, რომ თკთ მშობიარე ძალიან ავად არის.

ჩუცნს კიბეზე ამბობენ, ჯერ საიდუმლოდ, რომ ერასტის ქალი დანიშნულა არტილლერისტს მამაცოვზე. კიდევ ამბობენ, რომ 13^ს იანვ: იქნება ქორნილი სვიმონ წერეთლისა და ლენერალ ავალოვის ქალისა, რომელსაცა მამა მზითვად აძლევს, ჯერ ამჴელად, ვეება სახლსა და სამიათასს თუმანსა, და მერე 200 ათასს მანათსა. ძლივს ერთმა ქართველმა გაატანა მზითევი თავის ქალსა უვექსილოდ!

დღეს დიდი გაჭიმული სადილია ფირადოვისას, სადაცა არიან მიწვეულნი ხაშზე სოფო-სოსიკო, მაიკო გიგო და ნინო და ორმოცამდის სხუანი. ახლა არის კიბეზე დიდი ბაასი, რათ გამორიცხეს ამათგან ლიზა საგინოვისა და თკთ საგინოვი?

ეჭვი მიიტანეს სოფოს ინტრიგებზე, და იმედი მაქუს, რომ დღეს, ხვალე, ეს საქმე არ დარჩება უკინკლაოდ და მეცა თავის დროზე მოგახსენებ.

ეს არაფერი, სიტყუა ეს არის, რომ საახალწლოდ დიდი იოლკა აქუს სოფოსა, რომელსაცა ეყოლება 64^ა ქალები სტუმრად და როგორცა დაბოლოვდება, იმასაც მოგახსენებ თავის დროზე!

28^ს დეკემ:

დავმარხეთ საპრალო ისაკის ქალი, გურგიმბეგოვის ცოლი, რომელსაცა დარჩა რვა შვილი. მოდი და ლაზათი გასწიე. – სანყალი ბუჭყიევის ცოლი, სოფიოც, გარდაიცუალა და დაასაფლავეს ანჩისხატში. მებრალება ძალუა ელისაბედ: უბედურება უბედურებაზე დაერთო.

ახლა ეშხის მეიდანზე გამოსულან ახალნი აშულოდლანები, լეხვი, ბელოვ და ედიგაროვ და ორნივე იხრაკებიან შალიკოვის ქალისათვს. დუელიცა ჰქონდათ, მაგრამ ორნივე დაუფარავის ბედსა, და გადარჩენიან სიკუდილსა. ეს ტასომ მიამბო, და მოგეხსენებათ, ამას არა დაემალვის რა.

კნ: ტრუბეცკონი და ვისპერნ წამოვიდნენ პეტერბურღისაკენ; სტაროსელსკიც აპირებს მალე წამოსვლასა, და ასე ნელნელად სულ მანდა გროვდებიან. აქა მხოლოდ ვრჩებით მე და სოსიკო, ავინოვი და ამიროვი, და ჩუმბიცა თქუმცი გამოჯავრებული ვჰკოზირობთ და ვჰკოზირობთ. – ნიკო მოვიდა ელისავეტოპოლიდამ რამდენისამე დღითა.

ასეთი მშვენიერი დარებია, რომ სწორედ გაზაფხულია; ველიკის კნიაზის ბალში იშლება ვარდები.

არა, აქედამ წავიდეს კაცი პეტერბურღს, თავგადაგლეჯილი მირბოდეს სამიათასს ვერსტსა და ცირკი წახოს! ეგ ხომ მეშჩანობაა. არა, პეტერბურღში ცირკზე უკეთესი როგორ არა იპოება რა? ოოჳ, ოოჳ, Provinsciā, Provinsciā!

ჩემი გულით საყუარელი ვანო და მისი პატარა საშა სი-
ყუარელით ჩამიკოცნე და ასე უთხარ, რომ დროა მოვიდეს
თავის მშვენიერს ქუმარაში. მожна быть, и в Италии, и в
Японии, но жить можно только в Тифлисе. —

1879

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისაღმი №6 (975) გვ.: 107-109.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №194/№64, 5r.
ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, გახუნებული, თხელი,
დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა:
35,8X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდის მარ-
ცხენა აშიაზე | აბზაცს ზედა ნაწილში შავი ფანქრით ხაზი
აქვს ჩამოსმული; || გვერდის ქვედა მხარეს შავი მელნით მი-
წერილია: „1879.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოად-
გენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „10“ იანვ:“ / „11“ 1879 თბილისით.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ვანო!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი პეტერბურგში ცხოვრობდა. წინამდებარე წერილში ავტორი მას ძმის გარდაცვალების ამ- ბავს აზყობინებს და საქართველოში დაბრუნებას სთხოვს: „მოდი, გაიგე შენის ოჯახის მდგომარეობა, დააწყე რიგზე შე- ნი აქაური საქმეები და მერე ისევ წადი, თუ უთოოდ შენი რუსეთში ყოფნა საბედნიეროდ მიგაჩნდეს.“ აღნიშნულის გათ- ვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს პეტერბურ- გში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 3-4. ღმერთმან; 5. ხაზგასმულია.

გვ.: 107,2. „ჩემთ საყუარელო ძმაო ვანო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 107,8-9. „სოსიკო, გიგო სუმბათოვი და აბესალომოვი“ – საუბარია ადრესატის ძმაზე, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, მეფისნაცვლის თანაშემწეზე საგანგებო დავა-ლებათა შესასრულებლად, გიორგი ლუარსაბის ძე სუმბათაშვილზე, და, სავარაუდოდ, სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვზე.

გვ.: 107,11. „ტასოს წერილი“ – საუბარია ადრესატის დაზე – ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 107,13-14. „ლიმანოვსკი, გურჩინ და ბოლუშევიჩ“ – სავარაუდოდ, საუბარია ვლადიმერ ანტონის ძე ლიმანოვსკისა და ალექსანდრე ბიკენტის ძე გურჩინზე. რაც შეეხება ბოლუშევიჩს, იმხანად თბილისში ამ გვარის რამდენიმე პირი მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 107,19-20. „ავინოვი, არლუთინსკი“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ სერგეი ალექსანდრეს ძე ავინოვსა და ალექსანდრე ივანეს ძე არლუთინსკიზე.

გვ.: 107,21-22. „ამიროვი და სხუანი“ – მეორე პირის სახელი ნახსენები არ არის, მაგრამ, შესაძლოა, ეს იყოს სამხედრო პირი სტეფანე ამიროვი.

გვ.: 107,24. „შახპარუნიანც, მინკევიჩ“ – იმ პერიოდში თბილისში რამდენიმე შახპარონიანცი მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე და გაურკვეველია, რომელი იგულისხმება. რაც შეეხება მინკევიჩს, გრიგოლ ორბელიანის წერილებში ნახსენებია ექიმი მინკევიჩი და, სავარაუდოდ, აქაც საუბარი იქნება სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს თანამშრომელზე, მთავარ ქირურგ ივანე ივანეს ძე მინკევიჩზე.

გვ.: 108,2-3. „ძალუა მაკრინა და გავგზავნე სოფოსთან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტა-

ტეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ორბელიანსა და გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირ-სკისაზე.

გვ.: 108,4-5. „გავჰგზავნე ქეთევან“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 108,23. „ძმა გიგოც“ – საუბარია გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 108,27-28. „ანტონ ყორლანოვისაკი“ – საუბარია ანტონ სოლომონის ძე ყორლანაშვილზე.

გვ.: 109,4. „შენი საშა“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე, რომლის გვარი დაუდგენელია.

გვ.: 109,4-5. „ივან დიმიტრიჩ და მისი ქალები“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის მეუღლეზე, ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე, და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

ანასტასია რომანოვასადმი №1 (976) გვ. 109.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 180r (წითელი ფანქრით), 36r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 26,5X21,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს. წერილს იმავე გვერდზე, ქვემოთ, მოსდევს ადრესატის მამისადმი დაწერილი ბარათი. ტექსტს მარჯვენა მხარეს ვერტიკალურად წითელი ფანქარი აქვს ჩამოსმული, რომელიც ფარავს წერილის ოთხ სტრიქონს და მომდევნო წერილის პირველ სტრიქონს.

თარიღი და ადგილი: «12 გენვ: 1879. из Тифл:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ея Импер: Высочеству Государыне Великой Княжне, Анастасии Михайловне.»

ადრესატის მისამართი: «В Петербург»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული.

გვ.: 109,11-12. «**Великой Княжне, Анастасии Михайловне**» – წერილის ადრესატია კავკასიის იმუამინდელი მეფისნაცვლის ქალიშვილი – ანასტასია მიხეილის ასული რომანოვა.

გვ.: 109,16. «**вашего Супруга**» – იგულისხმება მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგი ფრიდრიხ ფრანც III.

მიხეილ რომანოვისადმი №13 (977) გვ. 110.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 180r (წითელი ფანქრით), 36r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 26,5X21,5 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ტექსტს მარჯვენა კიდესთან წითელი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს. ხელნაწერის ზედა ნაწილში განთავსებულია ადრესატის ქალიშვილისადმი მიწერილი ტექსტი.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Его Импер: Высо:^{By} Государю Вел:^{my} К:^{to} Михайлу Николаевичу»

ადრესატის მისამართი: «Петербург»

დათარილება: წინამდებარე ტექსტი მოსდევს ხელნაწერის ზედა ნაწილში ადრესატის ქალიშვილისადმი მიძღვნილ წერილს, რომელიც დათარილებულია **1879 წლის 12 იანვრით**. შესაბამისად, საანალიზო ბარათიც ამ დღესაა დაწერილი.

გვ.: 110,11. «**Михайлу Николаевичу**» – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 110,13. «**Великою Княгинею**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლდა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 110,14-15. «**Августейшей вашей дочери**» – იგულისხმება კავკასიის იმჟამინდელი მეფისნაცვლის ქალიშვილი – ანასტასია მიხეილის ასული რომანოვა.

გვ.: 110,15-16. «**Фридрихом Мекленбург-Шверинским**» – იგულისხმება მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგი ფრიდრიხ ფრანც III.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №10 (978) გვ.: 111-114.

ავტოგრაფი (თეორი პირი): Z: ზსიემ №24526 / ლიტერატურული არქივი №1126.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი ქალალდი; ზომა: 28X22 სმ; დაწერილია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფით. ხელნაწერი დაზიანებულია: შუაში, გადაკეცვის ადგილას, კიდეებზე, 21 მმ-ის სიგრძეზე ორივე ფურცელი გადახეულია. III გვერდის შუაში, ასევე გადაკეცვის ადგილას, ტუშით დალვენთილი.

თარიღი და ადგილი: „17^ს იანვ: 1879 ნ: თბილისით.“

ხელმოწერა: „თქუმნი მარადის ერთგული მოსამსახურე თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „თქუმნო უგანათლებულე-სობავ, მოწყალეო დაო ეკატერინავ!“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. „ტიტლისკის სობრანიე“ ხაზგასმულია; 3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 4. ღვთით; 5. ღმერთი; 6. თავადი; 7. თარიღი ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს

სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმა-ნათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდ-ის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 325-327.

ავტოგრაფი (შავი პირი): C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №77/№48, 3r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,3X22 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანჯრით. | გვერდის მარცხენა აშიაზე, სამ ადგილას, შავი ფანჯრით ხაზებია ჩამოსმული.

თარიღი და ადგილი: „17 იანვ: 1879.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უგანათლებულესს კნეინას ეკატერინას მენგრელსკისა“

ადრესატის მისამართი: „ზუგდიდს.“

გვ.: 111,12. „მოწყალეო დაო ეკატერინავ“ – წერილის ადრესატია ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ.: 111,20. „საყუარელი ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 111,21. „საკუთარი სოსიკო“ – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 112,12. „თქუცინის ნიკოსი და ანდრიასი“ – იგულის-ხმება ადრესატის შვილები: ნიკო და ანდრია დავითის ძე დადიანები.

გვ.: 113,8. „ველიკი კნიაზი“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 113,9-10. „უფროსი შვილი“ – საუბარია ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვზე.

გვ.: 113,13. „სტაროსელსკი ნავიდა“ – იგულისხმება მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 113,14. „კნიაზ მირსკი“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 113,16. „ლევან მელიქოვი“ – საუბარია გენერალ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 113,19. „სალომე, ელენე, კაკო, თამარ“ – საუბარია ადრესატის ძმისშვილებზე: სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენი-საზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე, მარიამ (კაკო) ჭავჭავაძესა (ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძის მეუღლეზე) და თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 113,21-22. „ვაჟი ჰყავს თამარსა“ – საუბარია თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 113,24. „ირაკლიცა“ – საუბარია ირაკლი ალექსან-დრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე.

გვ.: 113,27. „ბატონის რძალიცა“ – სავარაუდოდ, საუბა-რია ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის დედაზე – მარიამ ისა-კის ასულ ალამალიან-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 113,29. „მე და დავითს“ – საუბარია დავით ალექსან-დრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 113,30. „ტახო გაგარინისა და ელენე“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორ-ბელიან-გაგარინისაზე და მის ბიძაშვილზე (დედის ძმისშვილ-ზე), გაზრდილსა და მემკვიდრეზე – ელენე იაკობის ასულ ერისთავ-თარხნიშვილისაზე.

გვ.: 113,31-32. „ივანე და სოფიო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 113-114. „ძალუა ვარინკასი და გიორგის“ – საუბა-რია გრიგოლ ორბელიანის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგ-რატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 114,4. „ჩუშნი ნიკო ჭავჭავაძე“ – საუბარია ნიკო-ლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 114,12. „მშვენიერი სალომე“ – საუბარია ადრესა-ტის ქალიშვილ სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 114,15-16. „ლირსეულის ქმრითა“ – საუბარია ადრე-სატის სიძეზე – ნეაპოლის მეფის, იოახიმ მიურატის, შვილიშვილზე, ნაპოლეონ III-ის ადიუტანტ აშილ მიურატზე (1847-1895).

შავი პირი:

ზუგდიდს. უგანათლებულესს კნეინას
ეკატერინას მენგრელსკისა

ვპსცოდე ცად მიმართ და ვარ წინაშე თქუცნსა დამნა-შავე პირშავად და არცა ვამართლებ ჩემს თავსა, რომ აქამომ-დის ვერ მოგართვი პასუხი თქუცნის წერილისა, ჩემთვს მარა-დის ძვირფასისა. უნდა მომიტევოთ, რადგანაც მიცნობთ სიყ-რმითგანვე თავდადებით ერთგულსა და პატივისმცემელსა თქუცნსა; უნდა მომიტევოთ, რადგანაც დავპჰერდი და ამას-თანა მეტად უბედური წელიწადია ჩემთვს. – დავპჰარგე ჩემი გულით საყუარელი ყაფლან, ძმა, მეგობარი, ამხანაგი; დავ-პჰარხე ჩემი საქუთარი სოსიკო, დიდად პატიოსანი, ჭკვიანი, გულით კეთილი, განთქმული ვაუკაცობითა და ამასთანავე ნასწავლი. და ახლა დადუმდა, გამოყრუვდა ჩუცნი იგი ქუჩა, რომელიცა ოდესმე ღულდა მხიარულებითა და იყო სავსე ყმაწვილეუცებითა და ქალებითა, ქებულნი ზრდილობითა, მშვენიერებითა, გონებითა! ან დავპჰთი მე მარტოდ და ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა ვიღაცა უცწნობი სხუათათვს.

განგუშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვი-
ყუარდნენ,

თუალთ მიგვეფარნენ, წავიდნენ.... ძველთაგან დავ-
ჰშთით მე და შენ!...

ასე, ჩემო უსაყუარლესო დაო, არ უნდაკი მიწყრებოდე, უნდა შემიბრალო, უნდა შემიბრალო, და აღარ შეგაწუხებ ჩე-მის ვაებითა.

რა ამბავი იცით თქუცნის ნიკოსი და ანდრიასი? დროა, რომ მოვიდეს ნიკო, დასახლდეს თავის მამაპაპეულთ მამულში, რომ გაჩნდეს ერთი მაინცა ოჯახი საქართველოსში განსასვენებელად ჩუცნისა დაჩაგრულის გულისა. ირწმუნეთ, ნიკოს ბედნიერება მხოლოდ მანდ არის და არა სადამე სხუაგან. წყალობა ჭელმწიფისა მანდაც არ მოაკლდება, და მხოლოდ პეტერბურლისათვის რა საჭიროა დადიანი? და აქვი თავს შემოევლება მთლად ჩუცნი ქუცყანა.

თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა ხალხითა, ასე რომ მიხაილოვსკის ხიდი ვეღარ იტევს მიმომსვლელთა ეკიპაჟებთა, ჭურვონებთა, ურმებთა; ერთი თეატრი ვეღარ ჰყოფნის ქალაქის მცხოვრებთა და ამისგამო გაჩნდნენ: კრუუკი, რომელშიაცა ირიცხებიან შვიდასზე მეტი ჩლენები; ტიტოლისკის სობრანიე; ეგრეთუც რამდენისამე ასის ჩლენებით, სადაცა, გარდა მუზიკისა და ტანციობისა, არიან ჩუცნი საზანდრებიცა სიმღერითა და ლეკურის თამაშობითა; ამისგარდა არის ანგლისკის კლუბი, მეშჩანსკის კლუბი, ცირკი, კარუსელ; და ვისაც ყმანვილი გული აქუს, მხიარულებს უზრუნველად.

მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდგომარეობაში იმყოფება ჩუცნი საზოგადოდ თავად-აზნაურობა, და რა საშინლად დაეცა სიღარიბისაგან! საქართველო მრავალჯერ აოხრებულა, გადამწუარა ლანგთემურისაგან, შაჰაბბაზისაგან, ოსმალთა, სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკუდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდამ და თავის მინაზე აშენებდა თავის ქოხსა, და შემდეგ უამთავანმავალობაში, ნელნელა მოდიოდა ცხოვრებაში. ახლა ჩუცნის თავად-აზნაურობას აღარსად ექმნება თავის შესაფარებელი. – ჩუცნი მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდამ ჟირანს ნათელი ნუგეშისა!

ველიკი კნიაზი, როგორც ისმის მობძანდება თებერვლის გასულს და ისევ წაბძანდება, რადგანაც მისი უფროსი შვილი უნდა დააფიცონ ცერემონიით მაისში; მერე მგონია გა-

ვიდნენ სამზღვარგარე და ბოლოს ივნისში, ივლისში მობრძანდებიან პირდაპირ ბორჯომს.

სტაროსელსკი წავიდა გუშინ პეტერბურღს სხუა და სხუა პროექტებითა. კნ: მირსკი აპირებს აქედამ სრულებით გადასახლებას პეტერბურღს, და მის ადგილს მიიღებს ლევან მელიქოვი; მაგრამ ვაითუ ვერც ამან გაუძლოს მეტად ძნელს თანამდებობას, და მაშინ ვინ იცის, ვის წელში ჩავარდება ბე-დი ჩუმინის ქუმყნისა, და ეს ფიქრი ძალიან მანუხებს. –

თქუმინი ძმისწულები, სალომე, ელენე, თამარ, კაკო მა-თის შვილებით არიან მშვიდობით და აშვენებენ აქაურს საზო-გადობას ზრდილობითა, სილამაზითა, გულითა. მეტად მშვე-ნიერი ვაჟი ჰყავს თამარსა, ჩემი ნათლული, ვეება ტანისა, გა-საოცებელის თუალებითა. კარგი ეს არის, რომ თკთ თამარცა ჩემი ნათლულია! – ირაკლი ჯერ თუმცა არ არის სრულიად განთავისუფლებული ავათმყოფობისაგან, მაგრამ დიდად უკეთ არის და კარგს ქეიფზე. – ამ პატარა ვაჟმა გააცოცხლა ირაკლიცა და ბატონის რძალიცა.

ელენა ერისთავისა და ტასო გაგარინისა, ღ~თის მოწყა-ლებით, მშვიდობიანად არიან, ეგრეთუც ივანეცა და სოფიო ბედისაგან განდევნილნი დაღისტანში. – ჩემის რძალის ვარინ-კასი და გიორგისა, ორი კვირა არის, აღარა ვიცირა. –

მესამე დღეა, რა მოუწყვეტლივ მოდის და მოდის საზა-რელი თოვლი. – ამ დღეებში იყო აქა და წავიდა ისევ თავის ღუბერნიაში ჩუმინი ნიკო ჭავჭა: უნინდელი გიური ნიკო და ახ-ლაკი დიდად გამოჩენილი ღუბერნატორი; მეტად კარგი რამ არის და გულითაც მიყუარს. – წინანდალშიაც მშვიდობით არიან; გახსოვთ ჩუმინი წინანდალში ყოფნა, როგორ გვეშინო-და მე და დავითს გრძელის მებალისა.

ღ~თი იყოს თქუმინი მფარველი და თქუმინის მშვენიერის შვილებისა, და მეცა ოდესმე გახსოვდეთ ხანდახან და მეყოფა ჩემ საბედნიეროდ. –

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №80 (979) გვ.: 114-116.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №169/№58,
18r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი ქალალდი; ზომა: 35,6X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფან-
ქრით. წარმოადგენს შავ ჭირს.

თარიღი და ადგილი: «22 Генв: 1879. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში ხან პეტერ-
ბურგშია, ხან ცარსკოე სელოში. მისდამი დაწერილი 1878
წლის 5 დეკემბრის ნერილი (№79 (969)) პეტერბურგშია გაგ-
ზავნილი, 1879 წლის 14 თებერვლის ნერილი (№81 (981)) –
ცარსკოე სელოში. ჭირს გადაწყვეტით თქმა, სად არის ბარა-
თი გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2-4. მონიშნული სიტ-
ყვები ხაზგასმულია.

გვ.: 114,20. «**Мой друг Варвара**» – ნერილის ადრესატია
გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე –
ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 114,20-21. «**Семейства Оклюбжіо**» – საუბარია
გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტი-
ნეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე, მის ქმარ ივანე დიმიტ-
რის ძე ოკლობუიოსა და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენე-
ზე.

გვ.: 114,21. «**если Taco**» – საუბარია ანასტასია კონ-
სტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე.

გვ.: 114,22. «**несчастієм**» – ანასტასია კონსტანტინეს
ასულ ორბელიანს გარდაეცვალა ძმა, იოსები.

გვ.: 114,24. «**о смерти Сосико**» – საუბარია იოსებ კონ-
სტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 114,25. «**по міновані Байкуша**» – იგულისხმება წარუმატებელი პერიодის ჩავლა.

გვ.: 115,11. «**Гиго Сумба: и Абесаломов**» – სავარაუდო, საუბარია გიორგი ლუარსაბის ძე სუმბათაშვილსა და სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვზე.

გვ.: 115,15-16. «**Лимановский, Гурчин и Богушевич**» – სავარაუდო, საუბარია ვლადიმერ ანტონის ძე ლიმანოვსკისა და ალექსანდრე ბიკენტის ძე გურჩინზე. რაც შეეხება ბოლუ-შევიჩს, იმხანად თბილისში ამ გვარის მქონე რამდენიმე პირი მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 115,22. «**Генерал Авинов и Алек: Аргутинский**» – სავარაუდო, საუბარია გენერალ სერგი ალექსანდრეს ძე ავინოვზე და ალექსანდრე ივანეს ძე არლუთინსკიზე. ალექსანდრე რომანის ძე არლუთინსკი ამ დროს ლიტვაში მსახურობდა და ის ვერ იქნება ნაგულისხმევი.

გვ.: 116,1. «**цалую Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №6 (980) გვ.: 117-118.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №479/№43, 3r.
ავტოგრაფის აღნერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, არასტანდარტული ფორმის ქალალდი; ზომა: 22X21 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «1^{го} февр: 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К^ю Дмитрию Ивановичу Святополк-Мирскому.»

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი კავკასიის მე-ფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, თანაშემწის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. სტრიქონების ქვეშ ხაზია გასმული.

გვ.: 117,20. «**Дмитрию Ивановичу Святополк-Мирскому**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქმარი, გენერალი – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 117,22. «**ваших детей**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ქალიშვილებზე: მარიამ სვიატოპოლკ-მირსკია-ბარიატინსკისაზე.

გვ.: 117,23. «**Тер-Осипянца с его семейством**» – საუბარია ივანე სტეფანეს ძე ტერ-ოსეპიანცსა და მის ოჯახზე.

გვ.: 118,1-2. «**пред выездом вашим из края**» – დიმიტრი მირსკი გადაიყვანეს ახალ სამსახურში რუსეთში.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №81 (981) გვ.: 118-121.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 27r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსქვლისფერი, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალ-დი; ზომა: 35,4X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «14^{го} февр: 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Царское Село.»

Шеნიშვნები: 1. Сტრიქონი ხაზგასმულია; 2. ფრაზა «получається им от меня 3/т:р: ежегодно» ხაზგასმულია; 3. «расчетлива го Георгія» ხაზგასმულია; 4-7. Моніშნული სიტყვები ხაზგასმულია.

გვ.: 118,17. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესათია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 118,19. «**дядя Георгий**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 119,8. «**Гений великой Екатерины**» – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II.

გვ.: 120,9. «**Кирмаламу от Фисуна**» – შესაძლოა, საუბარი იყოს ალექსანდრე ალექსეის ძე ფისუნზე, რომელიც კავკასიაში მოღვაწეობდა.

გვ.: 120,11. «**Государь Император**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 120,12. «**Герцог Мекленбургский**» – საუბარია მეფისნაცვლის ქალიშვილ ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვასა და მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგ ფრიდრიხ ფრანც III-ზე.

გვ.: 120,12. «**Оден Венда**» – საუბარია მაკლენბურგ-შვერინის და მაკლენბურგ სტრელიცის ჰერცოგთა მიერ დაწესებულ დინასტიურ თრდენზე.

გვ.: 120,19-20. «**брата знаменитаго Мерцхала**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ცხენზე.

გვ.: 120,23. «**беднаго Каплана**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 120,29. «**был у Майки**» – სავარაუდოდ, საუბარია მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაიზე.

გვ.: 120,30-32. «**Ольга Барятинская, Мирский с женою, Мария Орбел:, Лиза Иванова, Саломе, Како, Нина Чолакаев-**

ва, Борис, Вейсенгофа, Лиза Мухранская» – საუბარია გრი-
გოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანზე, მის მე-
უღლე დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, ქალიშვილ
ოლდა სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისაზე, საგარაუ-
დოდ, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანზე, გრიგოლ ორბე-
ლიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-
ივანოვის, ქალიშვილ ელისაბედზე, დავით ჭავჭავაძის ქალიშ-
ვილებზე: სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე და მარიამ
(კაკო) ჭავჭავაძეზე, ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილის მეუღ-
ლე ნინო დავითის ასულ წერეთელ-ჩოლოყაშვილისაზე, ნმინდა
ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების თბილისის განყოფი-
ლების წევრ მარია ნიკოლოზის ასულ ვეის-ფონ-ვეისენგოფ-
ზე, ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატი-
ონ-მუხრანელისაზე. შეუძლებელია „ბორისის“ იდენტიფიცი-
რება.

გვ.: 120-121. ,«Консулы Германский и Французский» –
კონსულების გვარები უცნობია.

მაქსიმილიან ოსტენ-საკენისადმი №3 (982) გვ. 123.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №474/№74,
180r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული,
თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული,
არასტანდარტული ფორმის ქალალდი; ზომა: 22,2X19,5 სმ.
(გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი ფანქრით.
წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20^{го} ფევр: 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Барону Максимилиану
Александру: фондер остен-Сакену»

ადრესატის მისამართი: 1877 წელს ადრესატი დაინიშნა კავკა-სიასა და კავკასიის ფარგლებს გარეთ საბაჟო განყოფილების მმართველად. წერილში ავტორი მას სთხოვს ერთი ახალგაზ-რდა კაცის, მურადიოვის, მისი მმართველობის ქვეშ არსებულ უწყებაში, სახელდობრ, კანცელარიაში მოწყობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული.

გვ.: 123,19. «**Барону Максимилиану Александру фондер остеи-Сакену**» – წერილის ადრესატია სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძის მეულე – ბარონი მაქსიმილიან ალექსან-დრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი.

გვ.: 123,21. «**Мурадове**» – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №82 (983) გვ.: 124-126.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/ №116, Ros-292; 2829, 81r-v.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,3X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფან-ქრით. I გვერდის IV აბზაცის ბოლო ნაწილს მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრი-რებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «21 Февр: 1879. Тифл.:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг варвара!»

ადრესატის მისამართი: «в Петерб:»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული; 2. აქედან ცი-ტატის ბოლომდე ფრაზა ხაზგასმულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 124,14. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესა-ტია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 124,18. «**Георгій хочет**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 125,19-20. «**Капгер, Радецкий, Окольничий, Астафьев**» – საუბარია ალექსანდრე ქრისტიანის ძე კაპლერზე, თეოდორ თეოდორის ძე რადეცკიზე, ნიკოლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩიზე და ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევზე.

გვ.: 125,21. «**Томич, Казбек, Кишмишев, Шаликов**» – იგულისხმება პეტრე ივანეს ძე ტომიჩი, გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, სტეფანე იოსების ძე ქიშმიშევი და სიმონ იოსების ძე შალიკაშვილი.

გვ.: 125,21-22. «**братья Комаровы**» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ბესარიონის ძე კომაროვზე, რომელსაც ჰყავდა სამი ძმა: ბესარიონი, დიმიტრი და კონსტანტინე. «**братья**» მრავლობითში დგას და მასში თანაბრად შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სამივე ძმა, ისე ორიც.

გვ.: 126,19. «**Князь Голицын с Сестрою**» – იგულისხმება დიმიტრი ბორისის ძე გოლიცინი და ევდოკია ბორისის ასული გოლიცინა-შერემეტიევისა.

გვ.: 126,20. «**Великаго Князя**» – საუბარია მეფისნაც-ვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

კუმისის მამასახლისისა და მოსამართლეებისადმი №1 (984)

გვ.: 128-129.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №99/№73, 3r.
ავტოგრაფის აღწერილობა: ყავისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქსვებული, არასტანდარტული ფორმის ქაღალდი; ზომა: 22,7X15 სმ. (გა-

ზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „31 თებერ: 1879“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კუმისის მამასახლისო და სუდიებო!“

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილი კუმისის მამასახლისისა და მოსამართლებისადმია მიმართული, იგი გაგზავნილი უნდა იყოს სოფელ კუმისში.

შენიშვნები: 1. გარკვევით უწერია 31 თებერვალი და ჩვენ ვერ ვცვლით; 2. სტრიქონი ხაზგასმულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 128,23. „კუმისის მამასახლისო და სუდიებო“ – მამასახლისისა და მოსამართლების ვინაობა უცნობია.

გვ.: 128,23-24. „ოლქიაშვილი... გალუმაშვილსა“ – პირთა სახელები მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

მარია კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისადმი №3 (985) გვ.: 129-130.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №101/№75, 181r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, არასტანდარტული ფორმის ქალალდი; ზომა: 21,5X16,1 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი ფანქრით. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «^წ მარტი 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Марії Васильевне Колубякиной.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი იყო და, წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

გვ.: 129,13. «**Маріи Васильевне Колубякиной**» – წერილის ადრესატია მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის ქვრივი – მარია ვასილის ასული კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისა.

გვ.: 129,16. «**Ремеслен:ю Училища**» – უნდა იგულისხმებოდეს 1873 წელს გახსნილი სახელოსნო სასწავლებელი.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №83 (986) გვ.: 130-132.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 83r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,6X22,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. ნარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «1879 Марта 19^{го}»

ხელმოწერა: «Твой гр:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг варвара!»

ადრესატის მისამართი: «в царское село»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. ხელმოწერის ქვეშ გრძელი ხაზია გასმული.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის | აბზაცის ნაწილი («... Глубоко, глубоко огорчен я смертью К^н Барятинского... и Потемкина»): მეუნარგია, о. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბედან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 133-134.

გვ.: 130,20. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 130,20-21. «**смerteью К^и Барятинскаго**» – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ.: 130,23-24. «**Екатерины великой**» – იგულისხმება რუსეთის ყოფილი იმპერატორი ეკატერინე II.

გვ.: 130,24. «**Потемкина, и Румянцова**» – იგულისხმება მე-18 საუკუნის რუსი სახელმწიფო მოღვაწეები და გენერალ-ფელდმარშლები: გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი და პეტრე ალექსანდრეს ძე რუმინანცევ-ზადუნაისკი.

გვ.: 131,4. «**Экзарх Грузии**» – 1877-1882 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო იოანიკე (ივანე მაქსიმეს ძე) რუდნევი.

გვ.: 131,7-8. «**Католич: Прелат**» – იგულისხმება ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი პირი.

გვ.: 131,8. «**Шейхульислам**» – იგულისხმება ისლამური რელიგიის უმაღლესი სასულიერო პირი.

გვ.: 131,16-17. «**Нико Чавч:, Михаил Эристов, Вано и Александр Орбел:, Амилахвари**» – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, მიხეილ იაკობის ძე ერისთავზე, ივანე კონსტანტინეს ძე და ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანებსა და ივანე გივის ძე ამილახვარზე.

გვ.: 131,18. «**предвод: Дворян^{ва} Сумбатов**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე, რომელიც იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი.

გვ.: 131,20. «**Иван и София из Дагестана**» – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 131,22. «**Его Высоch:^ю**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 131,25. «**дяди Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 131,29. «**был у меня Мачабели**» – საუბარია ადვოკატი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელზე.

გვ.: 132,5. «**Князь Шаховский**» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკიზე.

გიორგი ორბელიანისადმი №2 (987) გვ.: 133-134.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/ №116, Ros-292; 2829, 84г.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,6X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანერით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «26^{го} Марта 1879 г: Тифлис»

ხელმოწერა: «Искренно – любящий вас....»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг и дядя Георгий!»

ადრესატის მისამართი: «в Царское Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 133,19. «**Мой друг и дядя Георгий!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 133,19-20. «**с детьми покойного Александра**» – საუბარია გრიგოლის ბიძის, ალექსანდრე ორბელიანის, უკანონო შვილებზე, რომლებსაც, როგორც ჩანს, ქონებრივი დავა ჰქონდათ ალექსანდრეს მიერ თავის მემკვიდრედ დატოვებულ გიორგი ილიას ძე ორბელიანთან.

გვ.: 133,24. «**Михайлу Месхиеву**» – იგულისხმება მიხეილ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ.: 134,3. «**матушку Варвару**» – საუბარია გრიგოლ
ორბელიანის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-
გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 134,7. «**Иван и София**» – საუბარია ივანე დავითის
ძე ორბელიანისა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ
ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 134,7-8. «**Шереметьев из Петербурга**» – სავარაუ-
დოდ, საუბარია სერგეი ალექსეის ძე შერემეტიევზე.

გვ.: 134,9-10. «**Покро Николаевича**» – გვარი ნახსენები
არ არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №84 (988) გვ.: 135-136.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153 / № 116
(Ros-292; 2829), 85r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი ქალალდი; ზომა: 35,4X22,4 სმ.; შესრულებულია შავი ფან-
ქრით. | გვერდის II აბზაცს მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით
ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარ-
მოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «19^{го} Апр: 1879.: ... из Тифлиса»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Царьское Село»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. «и
стоял» ჩამატებულია ზემოდან.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა.
იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის II და III აბ-
ზაცები («Каковы должны быть... варварства на столетия»;
«Представьте пошлую наглость... благословляем Потомством»);
მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორ-

ბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამ-ბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 142.

გვ.: 135,7. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 135,9-10. «**Великодушного Государя**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 136,3. «**дочери Нико Чавчав:**» – შესაძლოა, საუბა-რი იყოს ნიკო ჭავჭავაძის უკანონო შვილზე, რადგან გენეა-ლოგიური ნუსხის მიხედვით, მას შვილები არ ჰყოლია.

გვ.: 136,5-6. «**София Мирская, Майко с мужем, Маша с мужем, Чолакаев с женою, Витгенштейн без жены, наш Иван**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე, მის ქალიშვილ მა-რიამ (მაიკო) დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბე-ლიანისაზე, მის მეუღლე ივანე მამუკას ძე ორბელიანზე, მა-რიამ ვახტანგის ასულ ორბელიანზე, მის მეუღლე ალექსან-დრე ივანეს ძე ორბელიანზე, ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშ-ვილზე, ნინო დავითის ასულ წერეთელზე, ევგენი ალექსან-დრეს ძე ვიტგენშტეინსა და ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 136,7. «**Сестры Нико**» – საუბარია ნიკო ჭავჭავაძის დებზე – ელისაბედ (ბებე) და თინათინ (თიკო) ზურაბის ასულ ჭავჭავაძებზე.

გვ.: 136,11. «**Дочь Эрастия Чолакаева вышла за Полковника Мамацова**» – სავარაუდოდ, საუბარია ელისაბედ ერასტის ასულ ჩოლოყაშვილ-მამაცაშვილისაზე, მაგრამ მე-უღლის სახელის დადგენა ვერ ხერხდება.

გვ.: 136,12. «**Семейство Оклобжю**» – საუბარია გრი-გოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე, მის ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 136,19. «**Михайла Месхievა**» – საუბარია იურისტ მიხეილ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №115 (989) გვ.: 138-139.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №625/№26, სამმაგი პაგინაციით: 1r / 79r / 168r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, საშუალო სის-ქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,3X13,5 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. IV გვერდის შუაში შავი ფანქრით უკულმა აწე-რია: „1879.“

თარიღი და ადგილი: „26 აპრ. 1879.“

ხელმოწერა: „თქუმნი მარადის ერთგული თ ~ გრიგოლ ორბე-ლიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე.“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში თბილისში ცხოვრობდა და მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგ-ზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. თავადი; 3. თარიღი ხაზგასმულია.

გვ.: 138,19-20. „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“ – წე-რილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 138,22. „გუარად მურადოვი“ – პირის იდენტიფიცი-რება ვერ ხერხდება.

დიმიტრი სტაროსელსკისადმი №9 (990) გვ. 139.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი
პაგინაციით: 175r (წითელი ფანქრით), 30r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული,
სქელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქა-
ლალდი; ზომა: 26,1X20,9 სმ.; წერილი შესრულებულია მუქი
შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: «[30] Апр: 1879 г.»

ხელმოწერა: «Вашего Сиятельства Покорный Слуга К: Гр.
Орбеліані»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Ваше Сиятельство, Князь
Дмитрій Иванович.»

ადრესატის მისამართი: ადრესატი 1878 წელს კავკასიის მე-
ფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებო-
ბაზე დაინიშნა. ტექსტიდან ჩანს, რომ ის მაღალი თანამდებო-
ბის პირია, რომელსაც ავტორი ინსტიტუტში ახლად გამოცხა-
დებულ ვაკანსიაზე ნატალია ბარათოვის მიღების თხოვნით
მიმართავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავ-
ნილი უნდა იყოს **თბილისში**.

შენიშვნები: 1. დაწერილია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია
«в женскую Гимназию»; 2. დაწერილია ზემოდან, მის დაბლა
გადაშლილია «еслибы»; 3. «тогда открылась» დაწერილია ზე-
მოდან, მის დაბლა გადაშლილია «была вакансия»; 4. სტრიქონი
ხაზგასმულია.

გვ.: 139,4. **«Князь Дмитрий Иванович»** – წერილის ად-
რესატია იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმარ-
თველოს უფროსი – დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი.

გვ.: 139,7. **«Его Высочества»** – იგულისხმება მეფის-
ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 139,8-9. «**Княжны Наталіи Баратовой**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის დისწულის ქალიშვილზე – ნატალია ლევანის (ლეონიდის) ასულ ბარათაშვილზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №85 (991) გვ.: 140-141.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/ №116, Ros-292; 2829, 86r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 35,4X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «2 мая 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Цар: Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. თანხა ხაზგასმულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 140,20. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 140,20. «**деньги Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 140,23. «**Оклюбжіо с семейством**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე, მის ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 141,6. «**Племянница нашей Дедопали, Елисаветы, Нина Баратова**» – სიტყვას „დედოფალი“ გრიგოლ ორბელიანი აქ ხუმრობით იყენებს. საუბარია მისი ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, ცოლზე, ელისაბედ ივანეს ასულ ბა-

რათაშვილ-ორბელიანისაზე, და მისი ძმის, ზაალ ივანეს ძე ბა-
რათაშვილის, ქალიშვილ ნინოზე.

გვ.: 141,7. «за Андроникова» – საუბარია ნიკოლოზ
დავითის ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 141,9. «Дочь Бабо Тарханова... Нина» – საუბარია
ბარბარე (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიან-თარხან-მოურავი-
საზე და ნინო იოსების ასულ თარხან-მოურავზე.

გვ.: 141,10. «Мухранского, сына Михайла» – საუბარია
ალექსანდრე მიხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

ილია ჭავჭავაძისადმი №2 (992) გვ.: 142-144.

ავტოგრაფი (თეთრი პირი): С: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№639/№71 (ძველი S:2660), 1r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, გახუნებული,
საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-
ლი, ორი გადაბმული და ოთხად მოკეცილი ფურცელი; ზომა:
27X21,2 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით. IV გვერდის
ბოლოში იასამნისფერი ფანქრით უკულმა წერია: „ილია ჭავ-
ჭავაძისადმი, 5 წ“; იასამნისფერი მელნით წერია: „ნ.ნ., 3 ბა-
რათი“; შავი ფანქრით მკრთალად წერია: „VII, 4 ბარათი
(1877,1878,1879)“; ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირე-
ბულია. გადაკეცვის ადგილებში კიდეები შეხეულია.

თარიღი და ადგილი: „18^ს მაისს 1879.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო
ილიავ!“

ხელმოწერა: „თქუეცნის ბრწყინვალებისა მორჩილი მოსამსა-
ხურე თ ~ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ცხოვრობდა და მოღვაწე-
ობდა თბილიში და წერილიც აქ არის გაგზავნილი, რაც ტექ-
სტის შინაარსითაც ჩანს: ავტორი მას უბოდიშებს იმის გამო,

რომ ვერ დაესწრება საზოგადოების (იგულისხმება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“) შეკრებას: „დღეს ვერ გიახლები ჩუტინის საზოგადოების კრებაში თეატრისაგა-მო.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. „ჩემის ჰაზრით“ ხაზ-გასმულია წითელი ფანქრით; 3. „ათასის თუმნით“ ხაზგასმუ-ლია; 4. თავადი; 5. ხაზგასმულია.

ავტოგრაფი (შავი პირი): A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, ორმაგი პაგინაციით: 19r (წითელი ფანქრით მკრთა-ლად), 71r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-ლი, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,1X23,8 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერის ზედა მხარეს, შუაში, პატარა ნაწილი ამომწვარია. რესტავრირებუ-ლია.

თარიღი და ადგილი: „18 მაისს 1879.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „კნ. ილიას ჭავჭავაძეს“

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი „ბახტრიონი“, 1922, №21, გვ. 2.

გვ.: 142,22-23. „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ!“ – წერი-ლის ადრესატია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 142,24-25. „საზოგადოების კრებაში თეატრისაგამო“ – საუბარია ქართული თეატრალური საზოგადოების დამფუძ-ნებელ კრებაზე.

გვ.: 142,26. «**Общества Возстановленія: Христіянства**» – გრიგოლ ორბელიანი იყო „ქრისტიანობის აღმდგენი საზო-გადოების“ წევრი.

გვ.: 143,9. „**ჩუტინი ბანკი**“ – საუბარია თბილისის სათა-ვადაზნაურო საადგილმამულო ბანკზე, რომლის დამფუძნებ-ლები იყვნენ ადრესატიცა და ადრესაანტიც.

შავი პირი:

18 მაისს 1879. კნ: ილიას ჭავჭავაძეს]

დღეს ვერ გიახლები ჩუცნის საზოგადოების კრებაში თეატრისაგამო, რადგანაცა ვარ მიწვეული в Экстремное Заседание Общества возстан: Християнства; მაგრამკი გავჰქოდავ და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ მე არავარ თანამგრძნობი ქართულის თეატრის ამჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად.

მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რა ლსა არა აქუს თავისი შენობა, რა ლსა არა ჰყავს გასწავლული აკტიორები, რა ლსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართულის ენის მოყუარენი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯელ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგუარი თეატრი. – არა მგონია, რომ ჩუცნი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას.

ჩუცნი ბანკი – ასე მახსოვს – დაარსდა იმ ჰაზრით, რომ ჩუცნის შვილებსა მიეღოთ, ბანკის შეწევნით, ჰსნავლით აღზრდა ღიმნაზიებში და თვთ უმაღლესთ სასწავლებლებში. ეს ჰაზრი დარჩა ჰაზრად, და ახლა მოულოდნელად ამას ზედაერთო სახალხო შეკოლება და თეატრიკა!

ვინ იტყვის, რომ შვილების აღზრდა, სახალხო შკოლები, თეატრი, არ იყოს საჭირო ჩუცნთვა? ვინ არ იცის, რომ სამი ესე საგანი არის ხალხისა სულითა ამაღლება, გონების გახსნა და თვთ ეკონომიკური შემატება. მაგრამ არა მგონია, ჩუცნის ბანკა ჰქონდეს ისეთი შეძლება, რომ ეს სამივე მეტად დიდი და ძნელი საქმე, ერთსავე დროსა, დაამკვიდროს საფუძვლიანად, შეურყყეველად.

ჩემის ჰაზრით, ჯერ პირველად აღსრულდეს საზოგადოების სურვილი, ესე იგი, მიეცეს შვილებსა ფართო გზა, დაუბრკოლებლად, სწავლით აღზრდისა, რა ლისა აღსასრულებლად

მოგვინდება რამდენიმე ათასი თუმანი ყოველს წელიწადს; – და თუ ბანქსა დარჩება რამე, მაშინ, შეძლებისამებრ, აშენდეს ხალხის შკოლებიცა და თვთ თეატრიცა; მაგრამკი საფუძვლი-ანად. – როგორ არა ვჰსტექუა, რომ ათასის თუმნით ძლივს აშენდება და დაფუძნდება, რომელსამე უეზდში, მხოლოდ ერთი პანანა შკოლა, და ამით გათავდება დიდი იგი საქმე, რომელსაცა ჰქვიან „სახალხო შკოლები“ და სხუანი უეზდებიკი დარჩებიან ისე, როგორცა არიან ამჟამად. – მე ასე მგონია, და ვამბობ იმას, რაცა მგონია; და თუ ვარ შემცდარი, ჭეშმარიტად, მე დიდად მიამება.

ქართველები ვართ ბუნებით გულ-მსწრაფლი; გვინდა ხვალვე იყოს მზად ყოველი, რაცა გვსურს! ჰსჯობს ნელ-ნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დავრჩეთ შუაგზაზე დაღალულნი!

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №86 (993) გვ.: 144-145.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 87r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 35,7X22,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «22 Мая 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Царское Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. თანხა ხაზგასმულია; 3. «Я пишу второпях» ხაზგასმულია.

გვ.: 144,11. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 144,16-17. «**Кіазо Еристов**» – საუბარია გიორგი (კიაზო) გიორგის ძე ერისთავზე.

გვ.: 144,17. «**внуки учатъся в школе**» – კიაზო ერისთავს ამ დროს ჰყავდა 10 შვილი და ბევრი შვილიშვილი.

გვ.: 144,17-18. «**женился на... Еристовой же**» – საუბარია ანა ელიზბარის ასულ ერისთავზე, რომელიც იყო კიაზო ერისთავის მესამე ცოლი. ამ დროს ანა 33 წლის იყო და გრიგოლი აზვიადებს მის წლოვანებას.

გვ.: 144,18. «**Кереселидзе также женился**» – საუბარია ივანე ივანეს ძე კერესელიძეზე.

გვ.: 144,18-19. «**на Амилахваровой**» – საუბარია ანასტასია გიორგის ასულ ამილახვარზე.

გვ.: 144,19. «**Кеке Баратова выходит за какогото Магалова**» – „კეკე“ ალერსობითი სახელია, მაგრამ, გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, ამ პერიოდში არცერთი ბარათაშვილის ქორწინება არ დასტურდება მაღალაშვილზე. შესაბამისად, პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 144,22-23. «**дочери Ираклия Мухранского Тамары с Шакро Джорджадзе**» – საუბარია თამარ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელსა და ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 145,1. «**Нико Чавч:**» – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 145,1-2. «**Тасо Гагарина**» – საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 145,2. «**Иван Мананич**» – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე, რომლის დედა იყო მანანა მირმანოზის ასული ერისთავი-ორბელიანისა. ივანეს ზედმეტსახელად „მანანიჩის“ ეძახდნენ.

გვ.: 145,3. «**жена его София**» – საუბარია სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 145,3-4. «**в Гори у брата**» – საუბარია რევაზ შალ-ვას ძე ერისთავზე.

გვ.: 145,6-7. «**скорбь Ираклия Грузинского... умер сын**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი-სა და მის ახალშობილ ვაჟზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 145,8-9. «**Царевны и Тамары**» – საუბარია ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის დედაზე, მარიამ ისაკის ასულ ალამა-ლიან-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე, და მეუღლეზე – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 145,15-16. «**дядю Георгия**» – იგულისხმება ადრესა-ტის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

იგორ სტარიცკისადმი №2 (994) გვ.: 146-149.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 176r-v (ნითელი ფანქრით), 31r-v (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, შელახული, კიდეებმოცვეთილი და ალაგ-ალაგ შეხეული, ოთხ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 32,2X23,4 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდის ზედა მხარეს შავი ფანქრით წერია „გარდაწერე“ და შემოხაზულია; მარცხენა მხარეს, თარილის ნინ, ნითელი ფანქრით წერია: „Х.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარილი და ადგილი: «23 мая 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Члену Государст: Совета Егору Павловичу Старицкому.»

ადრესატის მისამართი: «В Петербург»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. ხელნაწერს ალაგ-ალაგ მოხეული აქვს და სიტყვები არ ჩანს. დაზიანებული ადგილები კვადრატულ ფრჩხილებში გვაქვს მოთავსებული.

გვ.: 146,23. «Егору Павловичу Старицкому» – წერილის ადრესატია სამართალმცოდნე და მოსამართლე – იგორ პავლეს ძე სტარიცკი.

გვ.: 146,25-26. «Племянник... К:² Константина... К:³ Орбел:» – საუბარია კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვსა და გრიგოლ ორბელიანის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 146-147. «о именіи Сахкалтутани, [или] Алихана-гаджи» – საჰყალტუთანი ენოდებოდა ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (სომხეთან ახლოს) მდებარე პალანდოკენის მთის ნაწილს, სადაც ორბელიანებს მიწები ჰქონდათ.

გვ.: 147,12-13. «Во Франции пали Бурб(о)ны, Наполеоны» – საუბარია ბურბონთა დინასტიასა და ნაპოლეონ ბონაპარტის მმართველობაზე.

გვ.: 147,13-14. «Прусія проглотила [Гер]манію» – პრუსიის სამეფოს გერმანიის იმპერიის ორი მესამედი ეკავა.

გვ.: 147,14. «Россія дошла до стен Китая» – იგულისხმება რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოება და ჩინეთის საზღვრებთან მიახლოება.

გვ.: 148,10-11. «мой дядя Аслан Орбел» – საუბარია ასლან ნიკოლოზის ძე ორბელიანზე.

გვ.: 149,5. «Человеколюбивому Государю» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №116 (995) გვ.: 152-153.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), 174г-ვ.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი-მოყავისფრო ფერის (ნახევარი რესტავრირებულის გამო არის მოყავის-ფრო), გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის,

ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 19X13 სმ.; წერილი შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „3^ა ივნისს.“

ხელმოწერა: „თქუცინი ბედნიერების მოსურნე თ~ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „[ჩე]მო ბატონო დემეტრე!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. „რი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამ ადგილას ზემოდან ისრით არის მინიშნებული მარჯვნიდან მარცხნივ და ჩამატებულია სიტყვები: „[...]ნით არ ეწეროს.“ 3. თავადი; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

დათარიღება: 1878 წლის 1 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანის მიერ დიმიტრი სტაროსელსკისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ანასტასია ორბელიან-გაგარინისას ის მიწები, რომ-ლებზეც აქ არის ლაპარაკი, ჯერ გაფორმებულიც არ ჰქონდა, ამ უთარილ წერილის მიხედვით კი ის ითხოვს ადელბერგის შუამდგომლობას, რომ იმპერატორმა შეისყიდოს მისი ეს მამულები. შესაბამისად, ეს წერილი უფრო გვიანდელია და, რამდენადაც მას 3 ივნისი აწერია, დაწერილი უნდა იყოს 1879 წლის 3 ივნისს, ან მომდევნო წლებში.

გვ.: 152,11. „[ჩე]მო ბატონო დემეტრე!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 152,11-12. „ტასია გაგარინისა წერილი“ – საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 152,12-13. „ადელბერლის მაგიერ“ – საუბარია ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგზე.

გვ.: 152,13. „დასწეროთ ჭელმწიფესთან“ – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №87 (996) გვ.: 153-154.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116 (Ros-292; 2829), 88r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,7X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «4^{го} Июня 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...мой друг, моя Матушка, Варвара... »

ადრესატის მისამართი: «В Царьское Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. «Выехали Заграницу» ხაზგასმულია; 3. «Вскоре выедут» ხაზგასმულია.

გვ.: 153,7-8. **«мой друг, моя Матушка, Варвара»** – ნერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეულლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 153,10. **«Георгію уже 26 лет»** – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 154,4. **«Нико Чавчав:, Амироп»** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე; ამიროვის სახელი აღნიშნული არ არის, შესაძლოა, ეს იყოს სტეფანე ამიროვი, რომელთანაც გრიგოლი კარტს თამაშობდა ხოლმე.

გვ.: 154,4-5. **«Накашидзе с женой (Зять Колюбакина)»** – ნაკაშიძე ნინამდებარე ტომის ნერილებში სამჯერ იხსენიება: საანალიზო ნერილში, 1878 წლის 5 სექტემბრის და ერთ უთარილო ნერილში, რომელიც 1879 წლის 17 დეკემბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. სამივეგან ის გვარით სახელდება. სხვადასხვა პიროვნებაზე რომ იყოს საუბარი, ავტორი აუცი-

ლებლად სახელსაც მოიხსენიებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ერთ პიროვნებაზეა საუბარი და ეს უნდა იყოს მაღალჩინოსანი ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძე, რომელმაც, 1878 წლის 5 სექტემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ვინმე ნიკო ფირანიშვილი შვებულების დროს გათავისუფლა სამსახურიდან, შემდეგ კი ნიკო ჭავჭავაძე შეცვალა ელიზავეტაპოლის გუბერნატორის თანამდებობაზე.

გვ.: 154,5. «**молодой Мухран: с женой**» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე მიხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და ნინო იოსების ასულ თარხან-მოურავ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 154,5-6. «**Кація Мухр: без жени**» – იგულისხმება კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი და მისი მეუღლე – ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა.

გვ.: 154,6. «**Шакро Джорджадзе с молодою женой**» – საუბარია ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჯორჯაძესა და მის მეუღლეზე – თამარ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელ-ჯორჯაძისაზე.

გვ.: 154,7. «**Иван Мухран: с женой**» – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის მეუღლეზე – ნინო ლევან V-ის ასულ დადიან-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე (1816-1886), ოდიშის მთავრის, ლევან გრიგოლის ძე დადიანის, ასული.

გვ.: 154,7-8. «**Оников, Генерал Тергукасов**» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკოვსა და გენერალ არზას არტემის ძე ტერლუკასოვზე.

გვ.: 154,8. «**Старосельскій без жены**» – საუბარია დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკისა და ეკატერინე თადეოზის ასულ გურამიშვილ-სტაროსელსკისაზე.

გვ.: 154,11-12. «**Саломе... Баронже**» – იგულისხმება სა-ლომე დავითის ასული ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისა და მისი მე-უღლე – ბარონი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოს-ტენ-საკენი.

გვ.: 154,13. «**Нико Менгрельский с женой и детьми**» – საუბარია ნიკოლოზ დავითის ძე დადიანზე, მის მეუღლე მა-რია ალექსანდრეს ასულ ადლერბერგ-დადიანისაზე და მათ შვილებზე: ნიკოლოზსა (დაბ. 1876) და სალომე-მიაზე (დაბ. 1878). მენიკი ამ დროს ჯერ არ იყო დაბადებული.

გვ.: 154,14-15. «**Васо Мачабели**» – იგულისხმება ვასი-ლი გორგის ძე მაჩაბელი.

გვ.: 154,16. «**нашим Иваном**» – საუბარია ივანე დავი-თის ძე ორბელიანზე.

გვ.: 154,17. «**Софияже... у брата в Гори**» – საუბარია სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანსა და რევაზ შალ-ვას ძე ერისთავზე.

გვ.: 154,18. «**Что Бутурлин**» – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი სერგეის ძე ბუტურლინზე.

გვ.: 154,21. «**Петя Опочинин**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინის, ვაჟ პეტრე ალექსეის ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 154,24-25. «**бедной Бабале, его молодой жены, и старика Алексея Петровича**» – საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე, პეტრე ალექსეის ძე ოპოჩი-ნინის ცოლზე, მარია ევგენის ასულ ლუდინგპაუზენ-ოპოჩინი-ნისაზე, და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №7 (997) გვ.: 156-160.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №137/№72, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 5r-v, 6r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 29,6X21,3 სმ.; შესრულებულია შავი მელ-ნით. I გვერდის ზედა მარცხენა მხარეს შავი ფანქრით რუსულად წერია: «Читал.» IV გვერდის შუაში შავი ფანქრით რუსულად უკუღმა წერია: «Для передачи Илье Чавчавадзе»

თარიღი და ადგილი: „11 ივნისს 1879. თბილისით.“ / „13 ივნისს.“

ხელმოწერა: „მარადის ერთგული თქუცნი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დაოტასო!“

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით იკვეთება, რომ ადრესატი უცხოეთში უნდა იყოს ნასული, მაგრამ კონკრეტულად სად, არ ჩანს. ავტორი თავისი რძლის, ქეთევანის, საყვედურებს აცნობს ტასოს და მისი ხასიათის შეცვლას ხუმრობით მას აბრალებს: „...სხუანი ზალრანიცაშიაც მიდიან, და მე რომ ჩემს ნათესავებთან ნავიდე, რა საკვირველებაა? – მეც რა ვჰქნა, უნდა დავჩრუმდე. აი შენ როგორი მიზეზი გახდი ქეთევანის ხასიათის შეცვლისა! სულ ამას ამბობს: ნეტავი ტასოსა, როცა უნდა პეტერბურლში ნავა, როცა უნდა ზალრანიცაში!“ ამავე ადრესატისადმი მომდევნო – №8 (1003) წერილი-დან ვიგებთ, რომ გრიგოლს მისთვის წერილი კარლსბადში გაუგზავნია: „ადრევე მოგართვი წერილი კარლსბადში იმ ადრესით, რომელიცა მომცა შენმა დამ სოფიომ და ჰსჩანს, რომ დაკარგულა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. ხელნაწერშია „ამოიოხურავს“; 3. ხელნაწერშია „სანსუსაში“;

4-5. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 6. ხელნაწერშია „ელისპარ“; 7. თარიღი ხაზგასმულია; 8. ხელნაწერშია „პატარრძალი“; 9. ღვთის; 10. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 156,19. „ჩემო საყუარელო დაო ტასო“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტა-სია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობუიოსი.

გვ.: 156,20-21. „ქეთევანმაც ეხლა აიდგა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექ-სი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 156,29. „აბა, ჩემო სოფიო, – შენს დას ეუბნება“ – იგულისხმება ადრესატის და – სოფიო ორბელიანი-ჩოლოყაშ-ვილისა.

გვ.: 157,5. „ირაკლის გრუზინსკისა მოუკუდა ვაჟიშვილი“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი-სა და მის ახალშობილ ვაჟზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 157,7. „თამარცა და ბატონის რძალიცა“ – საუბარია ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე და დედაზე – მარიამ ისაკის ასულ ალამალიან-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 157,12. „ჩუჭნის ივანეს“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 157,12-13. „ნიკოს წასვლისათვს“ – საუბარია ნიკო-ლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 157,13-14. „მირსკიანნი ქალებითა და სიძეებითა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორ-ბელიანის, და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და მათი ქალიშვილების ოჯახებზე: მარიამ სვიატოპოლკ-მირსკა-იასა და ივანე მამუკას ძე ორბელიანზე, ოლღა სვიატოპოლკ-მირსკიასა და ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკიზე.

გვ.: 157,14. „საშა ორბელიანი ცოლითა“ – სავარაუდოდ საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანსა და მის მეუღ-ლეზე – მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანზე.

გვ.: 157,14-15. „შერემეტიევი ცოლითა“ – სავარაუდოდ, საუბარია სერგეი ალექსეის ძე შერემეტიევსა და ევდოკია ბორისის ასულ გოლიცინა-შერემეტიევისაზე.

გვ.: 157,15. „შალიკოვის ქალები“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ივანე იოსების ძე შალიკოვილი, რადგან მას და დარეჯან გულბაათის ასულ ჭავჭავაძეს ჰყავდათ ხუთი ქალიშვილი: თამარი, მარიამი, ნინო, ელენე და ელისაბედი.

გვ.: 157,15. „კნეუნა შარვაშიძისა“ – სავარაუდოდ, საუბარია მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაი-შერვაშიძისაზე.

გვ.: 157,15-16. „ბერნს, მაქალო მაღალოვითა“ – საუბარია ანდრეი ევგენის ძე ბერნსზე, მარიამ (მაკალო) ყორხმაზის ასულ მელიქიშვილსა და მის მეორე ქმარზე – ლუარსაბალექსანდრეს ძე მაღალაშვილზე.

გვ.: 157,16-17. „ხიტრავო მშვენიერის ცოლითა“ – საუბარი უნდა იყოს პეტერბურგის კომერციული ბანკის კონტროლიორ ვასილი ნიკოლოზის ძე ხიტროვოსა და მის იტალიელ ცოლზე – სოფიო ტორენტანი-ხიტროვოზე.

გვ.: 157,17. „ლიზა მუხრანსკისა ქმრითა“ – საუბარია კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის ცოლზე – ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 157,17. „ტრუბეცკო ცოლითა“ – საუბარია სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოისა და სოფიო ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელ-ტრუბეცკოისაზე (1850-1932), რომელიც იყო ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ეკატერინე ივანეს ასულ არლუთინსკი-დოლგორუკოვას ქალიშვილი.

გვ.: 157,18. „ჩუცი ივანე და მისი ვასტენ“ – იგულისხმება ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი და კავკასიის არმიის მთავარსარდლის საოლქო საბჭოში სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი – ალექსანდრე ივანეს ძე ვასტენი.

გვ.: 157,18-19. „ელენა თარხანვისა, ნიკო ჭავჭავაძე“ – საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინის

შვილობილ ელენე იაკობის ასულ ერისთავ-თარხან-მოურავი-საზე და ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 157,26-27. „ბაბოს ქალისა და მუხრანსკისა – დრაგუნ – მიხეილის შვილისა“ – საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე მიხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და ბარბარე (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიანის ქალიშვილ ნინო იოსების ასულ თარხან-მოურავზე.

გვ.: 157,29-30. „ივანე მუხრანსკი თავის ცოლით“ – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის მეუღლეზე – ნინო ლევან V-ის ასულ დადიან-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 157,32-33. „შაქრო ჯორჯაძესი და ირაკლის მუხრან-სკის ქალისა“ – საუბარია თამარ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელსა და ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჯორჯაძე-ზე.

გვ.: 158,2-3. „ნიკო ჭავჭავაძე, ამიროვი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე-ზე; ამიროვის სახელი ნახსენები არ არის, შესაძლოა, ეს იყოს სტეფანე ამიროვი, რომელთანაც გრიგოლ ორბელიანი კარტს თამაშობდა.

გვ.: 158,3. „დჟენტელმენ ონიკოვი“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკოვზე.

გვ.: 158,3-4. „ტერლუქაზოვიცა და სტაროსელსკიცა“ – საუბარია არზას არტემის ძე ტერლუქასოვსა და დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე.

გვ.: 158,4. „საგინოვანნი გაემართნენ“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილსა და მის მეორე ცოლ-ზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 158,5-6. „ლიზამ ბევრი იკვნესა, გულსშემოიყარა, მაგრამ უწყალო ქმარმა მაინც არ აჩვენა ვენა“ – საუბარია ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე და მის მეუღლეზე – გენერალ ალექსანდრე საგინაშვილზე.

გვ.: 158,6-7. „ჯორჯაძე და ისაკ“ – საუბარია დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძესა და ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 158,10. „სტაროსელსკის ეყოლა კიდევ ქალი“ – დიმიტრი სტაროსელსკის ქალიშვილებს ერქვათ რუსუდანი, თამარი და ნინო, მაგრამ გენეალოგიურ ნუსხაში არცერთის დაბადების წელი არ არის მითითებული და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 158,11-13. „ელიზბარ ერისთავის ქალი... ჩინოვნივზე, რომლისა გუარი დამავიწყდა“ – საუბარი უნდა იყოს მარიამ ელიზბარის ასულ ერისთავსა და სიგიზმუნდ დიმიტრის ძე ზლოტნიცკიზე.

გვ.: 158,15. „სოფოს ეყოლა ქალი“ – საუბარია სოფიო მელიტონის ასულ ბარათაშვილ-სუმბათაშვილსა და თამარ (თალალე) ვასილის ასულ სუმბათაშვილზე.

გვ.: 158,17-18. „ისრაჭილ ბეგის შვილისა“ – საუბარია ისრაჭილ ბეგ ედიგაროვის ვაჟზე, მაგრამ გაურკვეველია, რომელი იგულისხმება: რახიმი, ქერიმი, მამედი, ჰასანი თუ ჰუსეინი.

გვ.: 158,19. „მირსკიანნი თავის ქალებით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკიანზე, დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე და მათ ქალიშვილებზე: მარიამსა და ოლღაზე.

გვ.: 158,19-20. „ლუბერნატორი გაგარინი“ – საუბარია თბილისის გუბერნატორ კონსტანტინე დიმიტრის ძე გაგარინზე.

გვ.: 158,20-21. „ზაქარია ჭავჭავაძე“ – საუბარია ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 158,22. „ალექსანდრე არლუთინსკი“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე არლუთინსკიზე.

გვ.: 158,22-23. „ბაბალე ფუნჩულა“ – გრიგოლ ორბელიანის წრეში ბევრი ბარბარე იყო და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 158,23. „აბდულლაბეგ ბაქიხანოვი“ – სავარაუდოდ, საუბარია აბდულ-აღა ბაკიხანოვზე, რომელიც 1879 წელს გარდაცვალებამდე თბილისში მსახურობდა.

გვ.: 158,28. „ელიჩეას ნუ ეწყინება“ – საუბარია ადრესა-ტის ქალიშვილ ელენე ივანეს ასულ ოკლობჟიოზე.

გვ.: 158,31. „ჩუჭი ივანე“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 158-159. „სოფიოვი... გორს თავის ძმასთან“ – საუბარია სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანსა და რევაზ შალვას ძე ერისთავზე.

გვ.: 159,4. „შენს დასთან“ – საუბარია სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 159,11. „ოლღა ბარიატინსკისა“ – საუბარია ოლღა დიმიტრის ასული სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისაზე.

გვ.: 159,12. „მისდევს მაიკაცა“ – საუბარია მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 159,13. „ველიკის კნიაზის“ – იგულისხმება მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 159,14-15. „ბარონ საკენცა... ცოლშვილებით“ – იგულისხმება ბარონი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი, მისი მეუღლე, სალომე დავითის ასული ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისა, და მათი შვილები: ანა და სოფი.

გვ.: 159,17. „ძალუა ვარინკასა და გიორგისათვეს“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 159,18. „ნიკო მენგრელსკისა“ – საუბარია ნიკოლოზ დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 159,20. „შენი ძმა ვანო“ – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 159,23-25. „აპაჩინინის შვილი პეტია... ბაბალე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ვაჟ

პეტრეზე.

გვ.: 159,26. „**Іван Дмітріевич**“ – საუბარია ადრესატის ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 159,27. „**Taco, Эличку, Ниночку**“ – საუბარია გრი- გოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანსა და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელე- ნეზე.

გვ.: 160,1. „**პავლოვს შეურთავს შენინლის ქალი**“ – ამ პე- რიოდში თბილისში ცხოვრობდა ალბერტ ავგუსტის ძე შენინ- გი, რომელსაც ჰყავდა ქალიშვილები – ელისაბედი და ალექ- სანდრა, მაგრამ ერთი გათხოვილი იყო სლივიცკიზე და მეო- რე – ყორლანაშვილზე. ამიტომ პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 160,3. „**მაკრინა... მაიკოც**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მე- უღლეზე – მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშ- ვილ-ორბელიანსა და მის ქალიშვილზე – მარიამ ალექსან- დრეს ასულ ორბელიანზე.

გვ.: 160,4. „**ელისაბედ... ქეთევან და ტასოც**“ – საუბარია ყაფლან ორბელიანის ქვრივ ელისაბედ ბარათაშვილ-ორბელი- ანისაზე, გრიგოლ ორბელიანის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანსა და ამ უკანასკნელის დისწულზე – ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.

გვ.: 160,7. „**შენი კეკეც**“ – შეიძლება იგულისხმებოდეს მსახური ქალი.

გვ.: 160,9. „**ნინუცა, ყაფლანის ქალი**“ – საუბარია გრი- გოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის ქალიშვილ ნინო ყაფლანის ასულ ორბელიან-წულუკიძისაზე.

გვ.: 160,10. „**ლუკა თარხნისშვილი(ს) ქალები**“ – სავარა- უდოდ, საუბარია ლუკარსაბ (ლუკა) ესტატეს ძე თარხნიშვილ- სა და მის ქალიშვილებზე: ანაზე, ქეთევანზე, ნინოსა და მა- რიამზე.

გვ.: 160,11. „პელოვის სახლში“ – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №117 (998) გვ.: 160-161.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №626/№26, ორმაგი პაგინაციით: 169r-v / 2 r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21X13,7 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

თარიღი და ადგილი: „13^ს ივნისს 1879“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ბედნიერების მსურველი თ~ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო დიმიტრი“

ადრესატის მისამართი: ადრესატი ამ პერიოდში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი. ტექსტში აღწერილი მოვლენებიც თბილისთან არის დაკავშირებული.

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 3. ხელნაწერშია „მოასწავათ“; 4. სიტყვა ხაზგასმულია; 5. „კნიაზს მირსკის“ ჩამატებულია ზემოდან; 6. თავადი; 7. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 160,16-17. „ჩემო ბატონო, კნიაზო დიმიტრი“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ყოფილი მდივანი და ახლობელი – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 160,18. „მითხა მარშალმა“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე.

გვ.: 161,7. „კნიაზს მირსკის“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №11 (999) გვ.: 161-164.

ავტოგრაფი (თეთრი პირი): Z: ზსიემ №24525 / ლიტერატურული არქივი №1125.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, ზონარგაყრილი ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 27X22 სმ; დაწერილია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით. არეები დაცულია.

თარიღი და ადგილი: „16 ივნისს 1879. თბილისით.“

ხელმოწერა: „თქუცინის უგანათლებულესის უმორჩილესი მოსამსახურე თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უგანათლებულესო კნეინავ, ჩემო მოწყალეო დაო ეკატირინავ!“

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. ღვთის; 3-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 7. ღმერთმა; 8. სიტყვა ხაზგასმულია; 9. ღმერთსა; 10. ღმერთი; 11. თავადი; 12. სიტყვა ხაზგასმულია; 13-14. ღვთისა.

ავტოგრაფი (შავი პირი): C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №78/№48, 4r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,7X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

თარიღი და ადგილი: „ივნისის 16 დღე 1879. თბილისით“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უგანათლებულესო კნეინავ, ჩემო მოწყალეო დაო ეკატირინავ!“

ადრესატის მისამართი: „ზუგდიდს.“

ასლი: Z: ზსიემ №36253 / ლიტერატურული არქივი №2172.

პირველი პუბლიკაცია: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ. 327-329.

გვ.: 161,19-20. „უგანათლებულესო კნეინავ, ჩემო მოწყა-
ლეო დაო ეკატირინავ!“ – წერილის ადრესატია სამეგრელოს
უკანასკნელი დედოფალი – ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ.: 161,22. „ნიკოს... ცოლ-შვილითა“ – საუბარია ნიკო-
ლოზ დავითის ძე დადიანზე, მის მეუღლე მარია ალექსან-
დრეს ასულ ადლერბერგ-დადიანისაზე და მათ შვილებზე: ნი-
კოლოზსა (დაბ. 1876) და სალომე-მიაზე (დაბ. 1878). მენიკი
ამ დროს ჯერ არ იყო დაბადებული.

გვ.: 162,24. „ნიკო ჭავჭავაძე“ – საუბარია გრიგოლის
ბიძაშვილიშვილ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 162,24-25. „ივანე ორბელიანი“ – საუბარია ივანე
დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 162,25. „შერემეტიევი, ვასტენ“ – სავარაუდოდ, საუ-
ბარია სერგეი ალექსეის ძე შერემეტიევსა და ალექსანდრე
ივანეს ძე ვასტენზე.

გვ.: 163,1-2. „ბაბოს ქალისა და დრაგუნის მუხრანსკისა,
მიხეილის შვილისა“ – საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე მიხე-
ილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და ბარბარე (ბაბო) მამუკას
ასულ ორბელიანის ქალიშვილ ნინო იოსების ასულ თარხან-
მოურავზე.

გვ.: 163,3-4. „ირაკლის მუხრანსკის ქალი შეირთო შაქრო
ჯორჯაძემა“ – საუბარია თამარ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-
მუხრანელსა და ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჯორჯაძე-
ზე.

გვ.: 163,5. „ჯენტელმენ ონიკოვიცი“ – სავარაუდოდ,
საუბარია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკოვზე.

გვ.: 163,6-7. „სტაროსელსკი და ტერლუქაზოვიცა“ – სა-
უბარია დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკისა და არზას არ-
ტემის ძე ტერლუქასოვზე.

გვ.: 163,8. „ისაკ თუმანოვი“ – საუბარია ისაკ შიოს ძე
თუმანიშვილზე.

გვ.: 163,9. „სტაროსელსკის ეყოლა ქალი“ – დიმიტრი
სტაროსელსკის ქალიშვილებს ერქვათ რუსუდანი, თამარი და

ნინო, მაგრამ გენეალოგიურ ნუსხაში არცერთის დაბადების წელი არ არის მითითებული და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 163,10-11. „**ხიტრავო ცოლით**“ – საუბარი უნდა იყოს პეტერბურგის კომერციული ბანკის კონტროლიორ ვასილი ნიკოლოზის ძე ხიტროვოსა და მის იტალიელ ცოლზე – სოფიო ტორენტანი-ხიტროვოზე.

გვ.: 163,13. „**გრიგოლ დადიანი**“ – საუბარია ადრესატის მაზლზე, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეზე – გრიგოლ ლევანის ძე დადიანზე.

გვ.: 163,19-20. „**სალომეს ამბავი**“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილ სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 163,20. „**სად არის ანდრია**“ – საუბარია ადრესატის ვაჟ ანდრია დავითის ძე დადიანზე.

შავი პირი:

ივნისის 16 დღე: 1879. თბილისით ზუგდიდს.

„უგანათლებულესო კნეინავ,
ჩემო მოწყალეო დაო ეკატირინავ!

ჭეშმარიტის სიხარულით მოგილოცავ თქუცნის საყუარელის ნიკოს მშვიდობით მობძანებას ცოლშვილით. ღთ~მან ჰყოს ბედნიერად, როგორცა საზოგადოდ ჩუცნ ვისურვებთ. მაგრამ ეხლაკი დროა, რომ მოხედოს თავის ქუცყანას და დაბინავდეს მამაპაპეულის მამულსა, ზეგარდამო ნაკურთხსა ნაყოფიერებითა, მშვენივრად შემკობილის მდებარეობითა, საზაფხულოდ გორდითა, საზამთროდ ზუგდიდითა; მთა, ზღუა, ტყე; გარეშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთანაცა ხართ დაკავშირებული საუკუნების განმავალობითა და რომლისათვის დიდად არის საჭირო ისევ თქუცნივე ოჯახი! მაშ ვინ უნდა იყოს მზრუნველი მაგათ კეთილდღეობისათვის? ვის შესტკივა

გული მაგათ უბედურებაში, თუ არა თქუცნევე? სამენგრელო და თქუცნ ეკუთვნით ერთმანერთსა, და ხართ განუყრელნი! კნიაზმა ნიკომ, ეხლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყეველად, აღაშენოს ოჯახი თვისი, რომ დროზე ხანში შესულმა, თვთვე გაიხაროს თავის ლვაწლის ნაყოფითა; თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ვეღარა აშენდებარა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურღლსა; ზუგდიდში უნდა იყოს მაგის სიხარული; მანდ უნდა დათესოს ყოველივე კეთილი და მით, დროზე, აღადგინოს დაცემული თვისი ქუცყანა და ამას შეიძლებს კიდეცა, ღ თის შენევნითა.

ახლა აქაური სამნუხარო ამბავი ეს გახლავსთ, რომ მოვიდა ღრუბელსავით კალია და მოჭამა ქუცყანა ყარაბაღიდამ გორამდის და ანანურამდის, და ერთი ვეება ნაწილი ამ ღრუბელკალიასი წავიდა კახეთისაკენაც. და მოველით დიდს შიმშილობას; მაგრამ, ეტყობა, თბილისი ჯერ მაგდენს არა ზრუნავს მომავალისათვეს: სად იყო, სად არიყო, გაჩნდენ განჯიდამ ნიკო ჭავჭა: და დაღისტნიდამ ჩუცნი ივანე ორბელ:, აქ შესუდნენ შერემეტიევი, ვასტენ და ჩუცნცა, და შეირყა თბილისი, და გაიმართა პიკინიები, სადილ-ვახშმები სანსუსში, ორთაჭალას, ვერაზე კინდრუსატში; მუზიკა, ზურნა, საზანდრები, მშვენიერნი ქალები, მტკურის პირსა ლეკურ-ვალცები; იყო ოხვრა-კვნესანიცა, და მართლად, უამისოდ რომ ლაზათი არა აქუს ცარიელ სადილის ჭამას! აბა რა ვჰქნათ? ბოლოს, ღ თმა უშველოს: ნიკო წავიდა სამზღვარგარე, ივანეცა ისევ დალისტანში და დამშვიდდა, და დაყრუცდა თბილისი.

მცხეთას იყო ქორწილი ბაბოს ქალისა და დრაგუნ მუხრანსკისა, მიხეილისშვილი, და იქიდამვე წავიდნენ ზაგრანიცას. ირაკლის მუხრანსკის ქალი შეირთო შაქრო ჯორჯაძემ და საყდრიდამვე გაექანენ სამზღვარგარე; ასე გაშინჯეთ, ჯენტელმენ ონიკოვიცკი წავიდა ვენაში და იქიდამ პარიუსა. მალე წავლენ იქითკენვე სტაროსელსკი და ტერლუქაზოვიცა - ლენერალი, და დავრჩით მხოლოდ მე და თქუცნი დიდის

ხნის თაიგული ისაკ თუმანოვი, ორნივე გადაყრუებულნი. — სტაროსელსკის ეყოლა ქალი, მომილოცავა!

მოვიდა პრიკაზის გასაჩერეკად პეტერბურლიდამ ხიტ-რავო ცოლით, ოჰ, ოჰ, რა ცოლით, მშვენიერებით სავსე! ამისი ნათელი ყელი და ღაბაბი ინდოეთის ფასად ჰლირს. კარგია, რომ ჩემი ბატონი გრიგოლ დადიანი აქ არა ბძანდება, თორემ გახდებოდა ამისი მონა, მოსამსახურე, კარის ყარაული!

ჩემს საკუთარს პატონს ნიკოს და მისს მეუღლეს, ჯერ ჩემგან უცნობსა, გულითადის სიყუარულითა მოვახსენებ ჩემს ჭეშმარიტსა პატივისცემასა და ღრუბლის გადასაცემას. მაგათ ბედ-ნიერებით ცხოვრებასა. მიბრძანეთ ჩემის საყუარელის სალო-მეს ამბავი; სად არის ანდრია?

ლორ იყოს მფარველი და ნუგეშის მცემელი თქუცინი ყოველსა უამსა და ყოველსა ალაგსა. —

ვეგები მარადის ერთგული და პატივისმცემელი. –

ჩემი მწყალობელო დედუფალო! დავბერდი, სულის
გზას შეუდეგ; ვჰკითხულობ ფსალმუნსა და აი მეცა მივბაძე,
და თუ არ მოგეწონოსთ, დახიერ!

აქა ჰესწერია ლექსები... ვინა აღვიდეს მაღალსა მას
მთასა წმიდასა..

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №88 (1000) გვ.: 164-166.

ԱՎՔԻՆՈՒԹՅՈՒՆ: C: ցրություն առնելու անընդունակություն, №153/№116 (Ros-292; 2829), 89r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,7X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანკრით. | გვერდზე || აპზაცს მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით

ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «17^{го} Июня 1879.» / «18^{го} Июня»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «...мой друг Варвара...»

ადრესატის მისამართი: «в Царьское Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული; 2. «У меня есть только одно заветное желание: чтобы ты закрыла мне глаза в последнюю минуту моей жизни!» ხაზგასმულია; 3. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილი სიტყვა არ იკითხება; 4. ხაზგასმულია; 5. «и можно было бы, да никак нельзя» ხაზგასმულია; 6. ეს წინადადება ხაზგასმულია; 7. თარიღი ხაზგასმულია; 8. ამის შემდეგ წაშლილია «готово».

გვ.: 164,17. «**мой друг Варвара**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 164,25. «**тебе и Георгию**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 165,8-9. «**Лазарева противу Теке Туркмен**» – საუბარია იმხანად გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 165,23. «**подобно Номадам**» – საუბარია მომთაბარეობაზე.

გვ.: 165,31-32. «**Майко и Ольга Барят: с детьми**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, ქალიშვილებზე: მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისაზე, ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისაზე და მათ შვილებზე.

გვ.: 165,32. «**K: Дмитрій и Софія**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 166,10. «**старика Завадовского**» – სახელი მითითებული არ არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 166,17. «**Taco Оклобжю**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 166,18. «**муж ея**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოს ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოზე.

გვ.: 166,18. «**дочери скучают**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოს ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენე-ზე.

გვ.: 166,21-22. «**Саломе... Барону Максим: Александр**» – იგულისხმება ადრესატის დისშვილი სალომე დავითის ასული ჭავჭავაძე და მისი მეუღლე – ბარონი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი.

გვ.: 166,23-24. «**к Мирским**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №89 (1001) გვ.: 169.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 70r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, უჯრიანი, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,3X13,3 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით I გვერდის II აბზაცს მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20^{го} Июня. 1879 Тифлис.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «... мой друг варвара.»

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი 2 დღით ადრე, 17/18 ივნისს (№88 (1000)), დაწერილი წერილი გაგზავნილია ცარ-სკოე სელოში. წინამდებარე ბარათიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. თანხა ხაზგასმულია.

გვ.: 169,7-8. «**мой друг варвара**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 169,8. «**Георгий хорошо здал**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 169,18-19. «**Минерва родилась в Августе**» – გულისხმობს სიბრძნის ძველრომაულ ქალღმერთს და იმ ფაქტს, რომ ასტეროიდი მინერვა აღმოჩენილ იქნა 1867 წლის აგვისტოში.

გვ.: 169,24. «**Эристов называется Реваз**» – სავარაუდოდ, ხუმრობს იმაზე, რომ ერისთავებში ხშირი იყო სახელი რევაზი, მაგალითად, რევაზი ერქვა შალვა ერისთავის მამასაც და შვილსაც.

ილია ჭავჭავაძისადმი №3 (1002) გვ.: 170-171.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №640/№71 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r / 3r.

ავტოგრაფის ალწერილობა: სპილოსძვლისფერი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 27X21,1 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „25^е ივნისს 1879.“

ხელმოწერა: „თქუცინი მარადის ბედნიერების მსურველი თ~ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ.“

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ქვეშ ხაზი აქვს გასმული; 2-3. ღვთისა; 4. თავა- დი; 5. სტრიქონი ხაზგასმულია.

გვ.: 170,22-23. „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ“ – წერი- ლის ადრესატია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 170,26-27. „კნე: ოლლასა“ – იგულისხმება ადრესა- ტის მეულლე – ოლლა თადეოზის ასული გურამიშვილი-ჭავჭა- ვაძისა.

ანასტასია ორბელიან-კულობჟიოსადმი №8 (1003) გვ.: 171-174.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 72r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ- ლი, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,4X24,1 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. VIII აბზაცის III-VI ხა- ზებს და პოლო აბზაცს მარცხენა კიდეზე წითელი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; II გვერდის მარჯვენა მხარეს, დაბლა, იასამნისფერი მელნით აწერია: „X.“ ხელნაწერი რესტავრირე- ბულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „1879 ტაბახმელა. კათათვის“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყუარელო დაო ტასო!“

ადრესატის მისამართი: ტექსტში ჩანს, რომ ადრესატისადმი ამავე წლის 11/13 ივნისს კარლსბადში გაგზავნილი წერილი (№7 (997)) ტასოს არ მიუღია: „ადრევე მოგართვი წერილი კარლსბადში იმ ადრესით, რომელიცა მომცა შენმა დამ სოფი-

ომ და ჰსჩანს, რომ დაკარგულა და არმოგსვლია.“ წინამდებარე წერილიდან კი ვიგებთ, რომ გრიგოლს ადრესატის ბარათი მილანიდან მიუღია: „შენმა წერილმა მილანიდამ გულით, სულით, გამახარა.“ ბუნებრივია, რომ ავტორი ტასოს პასუხს მილანში დაუბრუნებდა.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. რომელიცა; 3. რომელსაცა; 4. ღმერთმან; 5. სიტყვა ხაზგასმულია; 6. რომელმანცა; 7. სიტყვა ხაზგასმულია; 8. ღმერთსა; 9-18. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 19-20. რომელმანცა.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის მეცხრე აბზაცის || ნაწილი („გეყოფათ, კარგია, მაგდენი ტანტალი... აბა რას დარბიხარ ტყუილად?“) და ბოლოს წინა აბზაცი, ერთი წინადადების გარდა („ტაბახმელა, ოჟ, ოჟ, რა ტაბახმელა... სულ ჩემი იყოს!“) მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბედან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 152-153; 172.

გვ.: 171,20. „ჩემო გულით საყუარელო დაო ტასო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობუიოსი.

გვ.: 171,22. „დამ სოფიომ“ – საუბარია სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 172,1. „ძალუა ქეთევან და მისი ტასო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანსა და მის დისწულ ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე.

გვ.: 172,7-8. „ისრაფილ ბეგის შვილმა... ცოლსა“ – საუბარია ისრაფილ ბეგ ედიგაროვის ვაჟზე, მაგრამ გაურკვეველია, რომელი იგულისხმება: რახიმი, ქერიმი, მამედი, ჰასანი თუ ჰუსეინი. ასევე უცნობია ცოლის სახელიც.

გვ.: 172,16. „ელიჩა დაბრუნდება“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილ ელენე ივანეს ასულ ოკლობუიოზე.

გვ.: 172,24. „მირსკიანნი... ქალები მათის პაჭყალებით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, მათ ქალიშვილებზე, მარიამსა და ოლღაზე, და შვილიშვილებზე.

გვ.: 172,26. „აპპარინიანნი“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა, და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 172,27. „ჩუშინი ივანე“ – იგულისხმება ივანე დავითის ძე ორბელიანი.

გვ.: 172,27-28. „ნიკო, ვასტენ, შერემეტიევი, გიგო, ისაკ“ – საუბარია ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე, ალექსანდრე ივანეს ძე ვასტენზე, სერგეი ალექსეის ძე შერემეტიევზე, გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 172,30-31.„კინლრუსტში ფოხრო ნიკოლაიჩისას“ – საუბარია ვერის ბალზე, მაგრამ პირის შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება. შესაძლოა, საუბარი იყოს მედუქნეზე.

გვ.: 173,3-4. „საკუთარი ლუკა სტეფანიჩი“ – იგულისხმება ლუკა სტეფანეს ძე ისარლიშვილი.

გვ.: 173,5. „ძალუა ელისაბედს“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, ქვრივი – ელისაბედ ბარათაშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 173,15. „ივან დიმიტრიჩის“ – იგულისხმება ადრესატის ქმარი – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჭიო.

გვ.: 173,22. „პარიუში არის ტულიერ“ – იგულისხმება ლუვრთან მდებარე ტულიერის სასახლე.

გვ.: 173,27. „ივანე მუხრანსკი ცოლითა“ – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის მეუღლეზე – ნინო ლევან V-ის ასულ დადიან-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 173,27-28. „მიხეილის მუხრანსკის შვილი, რა ლმანცა შეირთო ბაბოს ქალი“ – საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე მი-

ხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და იოსებ თარხან-მოურავისა და ბარბარე (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიანის ქალიშვილ ნინოზე.

გვ.: 173,29. „ამიროვი“ – პირის სახელი მითითებული არ არის. შესაძლოა, ეს იყოს სტეფანე ამიროვი, რომელთანაც გრიგოლ ორბელიანი კარტს თამაშობდა.

გვ.: 173,29-30. „შაქრო ჯორჯაძე, რელმანცა შეირთო ირაკლის მუხრან: ქალი“ – საუბარია თამარ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელსა და ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 173,30. „ონიკოვიცა“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკოვზე.

გვ.: 173,31-32. „ლენერ: ტერლუქაზოვი, და სტაროსელსკი ორის ქალითა“ – საუბარია არზას არტემის ძე ტერლუქასოვსა და დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე, მაგრამ ამ უკანასკნელის ქალიშვილებიდან (რუსუდანი, თამარი და ნინო) რომელი ორი იგულისხმება, გაურკვეველია.

გვ.: 174,1-2. „გაბრიელ ივანიჩი ყორლანოვი“ – იგულისხმება გენერალ-მაიორი გაბრიელ ივანეს ძე ყორლანაშვილი.

გვ.: 174,2. „ლაზარევის ოტრიადიდამ“ – საუბარია იმხანად გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 174,10. „ელიჩკას, ნინაჩკას“ – იგულისხმება ადრე-სატის ქალიშვილები – ნინო და ელენე ივანეს ასული ოკლობულები.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №8 (1004) გვ.: 174-177.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 73r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 35,3X24,4 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდზე, თარიღის

დაბლა, შუაში, წითელი ფანქრით წერია: „X“; ამავე გვერდზე Ⅲ აბზაცის რვა ხაზს მარჯვენა კიდეზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „11 ივლისს ტაბახმელა 1879“ / „12 ივლისს.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ენეინა ორბელიანისას.“ / „ჩემო საყუარელო დაო-ძალუავ სოფიო!“

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსით ჩანს, რომ ავტორს ადრესატისგან წერილი კარალეთიდან მიუღია: „შენ დამასწარი და მივიღე, ჩემის გულის გასახარებლად, შენი წერილი კარალეთიდამ.“ პასუხსაც გრიგოლი, ცხადია, კარალეთში დაუბრუნებდა.

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. ღმერთსა; 3. ღმერთი; 4. რომლისა; 5. რომელიცა; 6-8. რომლისა; 9. ეს წინადადება წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 10. რომელიცა; 11. ღმერთი; 12. რომელნიცა; 13. ეს წინადადება წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 14. ხაზგასმულია; 15. ღმერთი.

გვ.: 174,12. „**დაო-ძალუავ სოფიო**“ – წერილის ადრესატია სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა, რომელიც გრიგოლ ორბელიანს ენათესავებოდა, როგორც დედის, ისე მეუღლის მხრივ.

გვ.: 174,17-18. „**ივანესათვს ნუ ჰსნუხარ**“ – იგულისხმება ადრესატის ქმარი – ივანე დავითის ძე ორბელიანი.

გვ.: 176,20. „**ველიკი კნიაზი**“ – იგულისხმება მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 176,20. „**მირსკი**“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 176,30. „**ძალუა ელისაბედ**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის ქვრივ ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 176,31. „**ყაფლანისათვს**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 177,6. „ველიკის კნეინასა“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე – ოლდა თეოდორის ასული ბადენელი-რომანოვისა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №90 (1005) გვ.: 177-179.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/ №116 (Ros-292; 2829), 90r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 35,5X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. I გვერდზე II აბზაცს მარცხენა აშიაზე შავი ფანჯრით ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20^ე იЮЛЯ 1879. Табахмела.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Царьскoe Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. სიტყვა ხაზგასმულია.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის II აბზაცის შუა ნაწილი («воздух, воздух Табахмельский... пріятное настроение духа!»): მეუნარგია, о. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ. 173.

გვ.: 177,16. «Мой друг Варвара!» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 177,25. «**Лизы Мухран**» – საუბარია ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელი-საზე.

გვ.: 178,9. «**у Мирских**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე.

გვ.: 178,10-11. «**Майко и Ольга с детьми**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკის, ქალიშვილებზე: მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისაზე, ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისაზე და მათ შვილებზე.

გვ.: 178,11-12. «**К: Барятинский**» – იგულისხმება ოლღა სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისას ქმარი – ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკი.

გვ.: 178,14. «**Графини Лорис**» – იგულისხმება მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვის ცოლი – ნინა ივანეს ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვი-ლორის-მელიქოვისა.

გვ.: 178,15. «**дети ея**» – საუბარია ლორის-მელიქოვის შვილებზე: მარიაზე, სოფიოზე, ტარიელზე, ზაქარიასა და ელისაბედზე.

გვ.: 178,15. «**старший сын**» – საუბარია ტარიელ მიხეილის ძე ლორის-მელიქოვზე.

გვ.: 178,16. «**старшая дочь**» – საუბარია მარია მიხეილის ასულ ლორის-მელიქოვ-ბოვიკოვისაზე.

გვ.: 178,17. «**Великаго Князя**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 178,18. «**От Лазарева**» – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 178,23. «**Голицын не пострадал**» – იგულისხმება გენერალი დიმიტრი ბორისის ძე გოლიცინი.

გვ.: 178,25. «**Бедный Вастен**» – იგულისხმება ალექსან-დრე ივანეს ძე ვასტენი.

გვ.: 178,26. «**дядю Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 178,27-28. «**Наполеон... командовал Италианского Армиею**» – საუბარია ნაპოლეონ ბონაპარტზე. «იტალიურ არ-მიაში» კი იგულისხმება საფრანგეთის არმია, რომელიც ჩამო-ყალიბდა იტალიის ნახევარკუნძულზე ბრძოლების საწარმოებ-ლად.

გვ.: 178,31. «**Кетевана и Тасо**» – საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელია-ნისაზე და მის დისწულ ანასტასია ჩერქეზიშვილ-ხერხეული-ძისაზე.

გვ.: 179,1. «**Опочинины**» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისა და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 179,1-2. «**Я и Джорджадзе**» – საუბარია დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

ალექსეი ოპოჩინინისადმი №1 (1006) გვ.: 180-181.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515°, 74r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქალალდი; ზომა: 23,2X16,7 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); წერილი შესრულე-ბულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარ-მოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «18 Авгу: 1879. из Табахмела»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Алексею Петровичу Опочинину.»

ადრესატის მისამართი: «в Коджори.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მთელ სიგრძეზე ხაზია გასმული; 2. ფრაზას, დაწყებული სიტყვით «с точным», აღნიშნული სიტყვის ჩათვლით, ქვეშიდან ხაზი აქვს გასმული.

გვ.: 180,22. «**Алексею Петровичу Опочинину**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილის ქმარი – გენერალი ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინი.

გვ.: 180,24. «**Рейтер и Сумбатов-Маршал**» – საუბარია გენერალ ივანე ნიკოლოზის ძე რეიტერსა და დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილზე.

გვ.: 180,26. «**Къ Дмит: Иван**» – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 181,4. «**Исааком**» – საუბარია ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 181,5. «**разрешить Гордіев узел**» – იგულისხმება რთული ვითარებიდან გამოსავლის პოვნა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №91 (1007) გვ.: 182-183.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153 / №116, Ros-292; 2839, 124r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოსძვლისფერი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 35,4X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «22 Авг: 1879. Табахмела»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიმართული წინა წერილების უმრავლესობა და მომდევნო წერილებიც გაგზავნილია **ცარსკოე სელოში**. სავარაუდოდ, წინამდებარე ბარათიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 3. «Мухтара Паши» ხაზგასმულია; 4. ხელნაწერის ქვედა მარცხენა კიდე მოხეულია, სადაც დაახლოებით 2-3 სიტყვა უნდა წერებულიყო.

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით წინამდებარე გამოცემა. იონა მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებულია წერილის პირველი აბზაცის შუა ნაწილი («Я любил его со всею искренностью... при высоком чувстве человека любия»), მესამე აბზაცი, ბოლო წინადადების გარდა («Еще одна печаль... для нашего Края») და წერილის ბოლო წინადადება («Табахмела, ах Табахмела, красавица Табахмела, в міре только одна Табахмела»): მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვანწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბე-დან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 136; 134; 173.

გვ.: 182,3. «**Мой друг Варвара!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 182,5. «**Князь Мирский**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის ქმარზე – დიმიტ-რი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 182,7. «**положение Софии**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 182,11. «**ея дети, внуки, Сестра**» – საუბარია მარიამ და ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე, მათ შვილებსა და დეიდაზე – ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინისაზე.

გვ.: 182,12-13. «**брату Николаю**» – საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 183,6. «**Лазарев умер**» – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 183,19-20. «**Мухтара Паши**» – საუბარია ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხთარ-ფაშაზე.

გვ.: 183,26. «**дядю Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 183,29. «**Барон Николай с дочерью и зятем**» – იგულისხმება სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის მეუღლე, ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, ქალიშვილი მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული ნიკოლაი-შერვაშიძისა და სიძე გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №12 (1008) გვ.: 186-188.

ავტოგრაფი (თეთრი პირი): Z: ზსიემ №24524 / ლიტერატურული არქივი №1124.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 27X21 სმ.; დაწერილია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით. ზედა, ქვედა და | გვერდის მარცხენა არეები დაცულია.

თარიღი და ადგილი: „24^{სს} აგვისტოს 1879. ტაბახმელა.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უგანათლებულესო კნეინავ, მოწყალეო წელმწიფავ, ეკატერინავ!“

ხელმოწერა: „თქუცი მარადის ერთგული თ ~ გრიგოლ ორბელიანი“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ღმერთმან; 3-5. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 6. ღმერთი; 7. ღმერთმან; 8. თავადი; 9. სიტყვა ხაზგასმულია.

ავტოგრაფი (შავი პირი): A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^ა, 28r-v.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-

ლი, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 34,9X23,8 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. დასაწყისი სიტყვის წინ წითელი ფანქრით აწერია: „X.“ ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „24^ე აგვისტი: 1879 ტაბახმელით“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მთავრინას ეკატერინას.“

ადრესატის მისამართი: „ზუგდიდს.“

პირველი პუბლიკაცია: სრული სახით: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ. 329-331. ფრაგმენტულად: მეუნარება, ი. (1905). ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, გადმობეჭდილი მოამბედან, ელექტრონის სტამბა, წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, ტფილისი, გვ.: 139-140. აქ გამოქვეყნებულია წერილის V აბზაცი („გავპედავ და დავიკვეხებ... არავინა გუყავს ღუბერნატორებში!“):

გვ.: 186,1-2. „უგანათლებულესო კნეინავ, მოწყალეო წელმწიფავ, ეკატერინავ!“ – წერილის ადრესატია სამეცნიერო უკანასკნელი დედოფალი – ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ.: 186,4-5. „სალომეს... მშობიარობიდამ“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილზე – სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 186,8. „სალომეს ქალი“ – საუბარია ახალშობილ ანტუანეტ კატრინ (ბებე) მიურატზე.

გვ.: 186,16. „სავათნავას“ – საუბარია საქართველოში მოღვაწე სომეს პოეტზე.

გვ.: 186,25. „საწყალ-მანანასთან“ – საუბარია იმხანად გარდაცვლილ მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 186,26-27. „დაველაპარაკე მირსკისა“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 186-187. „ჩააბარა პეშჩუროვსა“ – საუბარია მეფისა-ნაცვლის მთავარი სამმართველოს დირექტორ პეტრე ალექსე-ის ძე პეშჩუროვზე, რომელსაც ასევე ეხებოდა სოფლის მეურ-ნეობისა და საკუთრების საკითხები.

გვ.: 187,3. „ლაზარევი მოკუდა“ – საუბარია იმხანად გე-ნერალ-ადიუტანტი ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 187,11. „ჩავაბარე მას აყუშა“ – საუბარია დაღეს-ტნის სოფელზე.

გვ.: 187,15. „კნ: ბარიატინსკიმაც“ – იგულისხმება 1856-1863 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი – ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ.: 187,16. „ველიკი კნიაზმაც“ – საუბარია მეფისნაც-ვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე ბარიატინსკიზე.

გვ.: 187,21. „მუხთარ ფაშის“ – საუბარია ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხთარ-ფაშაზე.

გვ.: 187,25-32. „რადეცკი, ტერლუქაზოვი, ლაზარევი, დი-მიტრი ჯორჯაძე, ლენერალი ასტაჭიევი... ალექსანდრე თუმანო-ვი... ივანე ბაგრატიონი... სოსიკო ორბელიანი, და ალექსანდრე ორბელიანი, ლენერალი ბრუსილოვი... ლენერალ-ლეიტენანტი ლოპე, აკოლნიჩი... ლორის მელიქოვიცა“ – საუბარია თეოდორ თეოდორის ძე რადეცკიზე, არზას არტემის ძე ტერლუკასოვ-ზე, ივანე დავითის ძე ლაზარევზე, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე, ნიკოლოზ ალექსეის ძე ასტაფიევზე, ალექსან-დრე გიორგის ძე თუმანიშვილზე, ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელი-ანზე, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე, ალექსეი ნიკო-ლოზის ძე ბრუსილოვზე, თეოდორ ივანეს ძე ლოპეზე, ნიკო-ლოზ ანდრიას ძე ოკოლნიჩა და მიხეილ ტარიელის ძე ლო-რის-მელიქოვზე.

გვ.: 187-188. „ნიკო ჭავჭავაძე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 188,3-4. „ბარონ ნიკოლაი... ქალითა და სიძე-ბატონი-თა“ – იგულისხმება სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის

მეუღლე, ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, ქალიშვილი მარიამ (მაკა) ნიკოლაი და სიძე – გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე.

გვ.: 188,5-7. „სალომეს... ქმრისა და შვილებისა“ – საუბარია სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე, აშილ, ლუსიენ შარლ დავიდ, ნაპოლეონ ლუი აშილ და ანტუანეტ კატრინ (ბებე) მიურატებზე.

გვ.: 188,8-10. „ბატონს ნიკოს... მეუღლესა“ – საუბარია ადრესატის ვაჟ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანსა და მის მეუღლეზე – მარია ალექსანდრეს ასულ ადლერბერგ-დადიანისაზე (1849-1926).

შავი პირი:

24^ს აგვისტ: 1879 ტაბახმელით ზუგდიდს.

მთავრინას ეკატერინას.

ჭეშმარიტის სიხარულით აღვსილი გილოცავ ჩემის გულით-საყუარელის სალომეს მშვიდობით გადარჩენასა მშობიარობიდამ. ამასკი, მართლად, ვპსწუხარ, რომ – წყეული იყოს სიბერე – ვერ მოვაჭენე ცხენდაცხენ, ვერ გიახელ, რომ ჩუპნებურად ძეობა გავვემართა და ქუდი ჭერში გვეკრა.

სალომეს ქალი, უეჭველია, მშვენიერი იქნება თავის დროზე, და ნეტავი იმ მომავალს ყმაწვილეაცობასა, რომელსაცა მიეფინება შუქი მაგის შვენებისა! მაგონდება თქუცინი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და მასვე დროს სხუანიცა მრავალი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალ-ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით! მართლად, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველობითა, და ამასთანა საითაც შევჰქედავდით, უთოოდ იყო ვინმე მშვენიერი, და ამისგამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნავას ლექსა „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მა-

ქუს?“ ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქუცი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის ან დაბერებულის გულისა გასამხიარულებლად, გასაყმანვილებლად! ლთ ~მან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით, და ეხლაც ჩემი თავი მით მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქუცის საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი! თქუცი გამომიყუანეთ მე კაცად, პოეტად, და ახლაც თქუცივე ხართ ჩემი ნუგეშისმცემელი. გახსოვსთ, ჩუცი ხშირად ჩხუბი საწყალ მანანასთან?

ადრევაც მოგეწერათ ჩემთვს და მეც მაშინვე დაველაპარაკე მირსკისა თქუცის ტყის გაკაფაზე, მაგრამ მირსკი ეს ერთი თვე არის, თითქმის აღარ ერევა საქმეში, რადგანაც მიდის ოტპუსკში და არის მზადებაში; მაინცკი ეს საქმე ჩააბარა პეშჩუროვსა, და ამ დღეებშივე მე დაველაპარაკები პეშჩუროვსაცა და შტაბის ნაჩალნიკსაცა, და მოგახსენებ პასუხსაცა.

საბრალო ღენერალი ლაზარევი მოკუდა სწორედ მაშინ, როდესაც სრულებით მოამზადა ჯარი და წავიდა თექეთურების დასაპყრობად. 27 ამ თვისას მოასვენებენ ქალაქში და იქნება მისი ცერემონიით დასაფლავება. მეც იმ დროს ჩავალ უკანასკნელის გამოსალმებისათვს. – საკურველი კაცი იყო ლაზარევი! უბრალო მკერვლის შვილი, ყარაბაღელი, უსწავლელი, გაუზრდელი, შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ღენერალი კავკა: არმიისა! სულ პირველად მე ავიყუანე, როდესაც იყო კაპიტანი შირვანსკის პოლკისა, და ჩავაბარე მას აყუშა. იქ გამოჩენდა მაგის გონება და შორსმხედველობა, რადგანაც იყო დიდი შიში და ხალხის არეულობა შამილისაგან. – გულადი, ვაუკაცი, გონებიანი, დავიახლოვე და მალე გამოვიყუანე ჩინებში, ასე რომ კნ: ბარიატინსკიმაც, დალისტნის აღებაში, დაიახლოვა, და ბოლოს ველიკი კნიაზმაც მისცა დივიზია. მაგრამ შურმა და დაბეზღებამ მალე ჩაამწარეს ლაზარევსა სამსახურში ამაღლება: ველიკი კნიაზმა ჩამოართვა დივიზია და დიდს ხანს პსცხოვრებდა ბაქოში ყველასგან დავიწყებული, ვიდრემდის არ დაიბარეს ამ უკანასკნელს ბრძოლაში, სადაცა

მუხთარ ფაშის დამარცხებამ და შემდეგ ყარსის აღებამ აღი-
ყუანეს ლენერალ-ადუტანტად და (sic) ჩამოჰკიდეს || ხა-
რისხისა წმინდა გიორგი!

გავპბედავ და დავიკვეხებ, რომ ვინც გაიარეს ჩემს შკო-
ლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხუაებით გამოჩენილნი: რა-
დეცკი, ტერლუქაზოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ლე-
ნერ: ასტაჭიევი, დივიზიის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანვი,
უდროოდ მკუდარი ივანე ბაგრატიონი, ეგრეთუც სოსიკო ორ-
ბელ: და ალექსანდრე ორბელ: ლენერ: ბრუსილოვი დამბლად
დაცემული, ლენერ: ლეიტ: ლოპბე, აკოლნიჩი, და თვთ ცოტა-
ოდენად ლრაჭ ლორის მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე
დავნიშნე დერბენდის გრადონაჩალნიკად, და სულ ბოლოს,
ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე, ელისავეტოპოლის ღუბერნა-
ტორი, რომლისა მზგავსი არავინა გუყავს ღუბერნატორებში!

ბარონ ნიკოლაი მშვიდობით იმყოფება ბეთანიაში თავის
ქალითა და სიძებატონითა; მეკი ჯერ არ მინახავს.

ჩემს გულით საყუარელს დას სალომეს ჩაუკოცნი
წელებსა, და იყოს ღმერთი მაგისი და მაგის ქმრისა და შვი-
ლებისა მფარველი.

ჩემს საყუარელს ბატონს ნიკოს დავჰკოცნი შუბლსა,
გულსა და ვპსოხოვ, რომ ჩემმაგიერ წელი დაუკოცნოს თავის
მეუღლესა და გამაცნოს მაინცა შორიდამ.

ღ~თი არის მოწამე, რომ მიყუარხართ დედით, შვილე-
ბით, შვილისშვილებით. რა ვჰქნა, სიბერემ მძლია; თქუცნი
ერთად ყოფნა ნეტავი მენახა, რომ სულით, გულით, დამ-
ტკბარვიყავ! – ეჰ, ღო~მან გაკურთხოსთ ერთობრივ, ოლონ-
დკი ზოგჯერ გახსოვდეთ.

ალექსანდრე ნიკოლაისადმი №17 (1009) გვ.: 188-190.

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 177r (წითელი ფანქრით), 33r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღნერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, შელახული, კიდეებმოცვეთილი და ალაგ-ალაგ შეხეული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,3X22,7 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. | გვერდის ზედა მხარეს, შუაში, შავი ფანქრით აწერია: „გადაწერა“ და შემოხაზულია; თარიღის დაბლა, შუაში, ზედა მხარეს, წითელი ფანქრით აწერია: „Х.“ ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «29 Авгу: 1879. Табахмела.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Барону Николаи, Алек: Павл:»

ადრესატის მისამართი: წერილის შინაარსით ჩანს, რომ ადრესატი იმყოფება ბეთანიაში. ავტორი მას სწერს: «С чувством искренней, Задушевной радости поздравляю вас с благополучным пріездом в любимую вашу Бетанію, в любимый вами Край».

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. მრავალწერტილი ავტორისაა; 3. სიტყვა ხაზგასმულია; 4. ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებული და სიტყვის დასაწყისი არ ჩანს; 5. «Мухтара Паши» ხაზგასმულია; 6. «[...]аджинских высотах» ხაზგასმულია. ამასთან, ხელნაწერი დაზიანებული და რამდენიმე ასო არ იკითხება; 7. სიტყვა ხაზგასმულია; 8. ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია და კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები არ იკითხება, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფაქტზე გრიგოლი სხვა წერილშიც საუბრობს და სხვა პიროვნებათა შორის ჯორჯაძესაც ასახელებს, აქაც მისი გვარი აღვადგინეთ; 9. ამ ადგილას გვარის შუა ნა-

ნილი არ იკითხება, სავარაუდოდ, უნდა იყოს ბრუსილოვი; 10. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 188,20. «**Барону Николаи, Алекс: Павл:**» – წერილის ადრესატია სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის მეუღლე – ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 189,3. «**Тетушку Маку... с ея Георгием**» – საუბარია ადრესატის ქალიშვილ მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასულ ნიკოლაისა და მის მეუღლეზე – გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეზე.

გვ.: 189,6. «**бедного Лазарева**» – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 189,14. «**Шамиль был**» – საუბარია ჩეჩენეთ-დალესტნის ყოფილ იმამზე.

გვ.: 189,23. «**Мухтара Паши**» – საუბარია ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირსა და სარდალ ახმედ მუხთარ-ფაშაზე.

გვ.: 189,28. «**Генер: Тे[р]гу[ка]сов**» – საუბარია არზას არტემის ძე ტერლუკასოვზე.

გვ.: 189-190. «**Лазарев... Радецкий, [Джорджа]дзе, Бедный Иван Багратион, Генер: Алексан: Туманов, Генер: Астафьев, Генерал Бру[сило]в, Флигель Адъют: Алекс: Орбел: и Сосико Орбел**» – საუბარია ივანე დავითის ძე ლაზარევზე, თეოდორ თეოდორის ძე რადეცკიზე, სავარაუდოდ, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე (გვარი სანახევროდ გადამლილია, მაგრამ სხვა წერილშია ამ კონტექსტში ნახსენები), ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილზე, ნიკოლოზ ალექსეის ძე ასტაფიევზე, ნიკოლოზ ალექსეის ძე ბრუსილოვზე, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანსა და იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

დავით ჭავჭავაძისადმი №1 (1010) გვ.: 192-194.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o, 75r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 35,0X24,4 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: „13^o სეკდემ: 1879.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „დავით ჭავჭ.“ / „ჩემო ბატონო, ჩემო ძმაო, ჩემო თვალის ჩინო, კნ: დავით!“

ადრესატის მისამართი: „წინანდალსა.“

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2. სიტყვა ხაზგასმულია; 3. ხელნაწერშია „ოლტი.“ ქართულენოვან წერილში, სადაც იგივე მოვლენებია აღწერილი, ამ ადგილას დასახელებულია ოლთი (იგივე ოლთისი); 4. ღმერთმა; 5-9. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 10. რუსული ფრაზა წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 11-15. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 16. ლვთით; 17. „ბარონ ნიკოლაი“ ხაზგასმული; 18. სიტყვა ხაზგასმულია; 19. ღმერთი.

გვ.: 192,3. „კნ: დავით“ – წერილის ადრესატია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 192,5. „დიმიტ: ჯორჯ:“ – იგულისხმება დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე.

გვ.: 192,7. „კნ: მირსკი წავიდა“ – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში.

გვ.: 192,7-8. „სტაროსელსკი ჯერ არ მოსულა“ – საუბარია დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე.

გვ.: 192,9. „ველიკი კნიაზიც“ – იგულისხმება მეფის-ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 192,10. „ოლთის სანახავად“ – იგულისხმება ოლთისი.

გვ.: 192,11. „ანა ილინიშნასაგან“ – იგულისხმება გრი-გოლ ორბელიანის რძლის, ბარბარეს, და – ანა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა.

გვ.: 193,11. „მირსკი ცოლით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და მის ქმარ დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 193,15. „ამათი შვილები, შვილისშვილები“ – საუბა-რია მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელი-ანისაზე, ოლდა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ბა-რიატინსკისაზე, მათ შვილებსა და შვილიშვილებზე.

გვ.: 193,17-18. „მოადგილე, Պეშური“ – საუბარია პეტ-რე ალექსეის ძე პეშჩუროვზე.

გვ.: 193,24. „ივანე მუხრან: ცოლითა და კოწიათი“ – საუ-ბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, მის მეუღლე ნინო ლევან V-ის ასულ დადიან-ბაგრატიონ-მუხრა-ნელისაზე და მათ ვაჟ კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 193,24-25. „ოკლობუიო ცოლით და ორის ქალითა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოზე, მის ქმარ ივა-ნე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 193,25. „შაქრო ჯორჯაძე ცოლითა“ – საუბარია ზა-ქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე ჯორჯაძესა და მის ახლად შერთულ ცოლზე – თამარ ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრა-ნელ-ჯორჯაძისაზე.

გვ.: 193,26. „მიხეილის მუხრანსკის შვილი ცოლითა“ – საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე მიხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და იოსებ თარსან-მოურავისა და ბარბარე (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიანის ქალიშვილ ნინოზე.

გვ.: 193,26-27. „ამიროვი და ჩუშინი ნიკო ჭავჭავა:“ – საუ-ბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავ-

ჭავაძეზე. ამიროვის სახელი კი მითითებული არ არის, მაგრამ, შესაძლოა, ეს იყოს სამხედრო პირი სტეფანე ამიროვი.

გვ.: 193,28. „ზულყადარ, განჯის ხანის შვილი“ – პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 193,29. „მე და ისაკ“ – საუბარია ისაკ შიოს ძე თუ-მანიშვილზე.

გვ.: 194,3. „სტარიკა ერისთავსავით“ – „სტარიკად“ გრიგოლ ორბელიანი მოიხსენიებს ხოლმე გიორგი იესეს ძე ერის-თავს.

გვ.: 194,4. „თამარ შვილებითა და ბატონის რძალი“ – საუბარია ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის ცოლზე – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე, მის ქალიშვილებზე, ელისაბედსა და ეკატერინეზე, და დედამთილ მარიამ ისაკის ასულ ალამალიან-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 194,5-6. „ირაკლი... ვაჟის დაკარგვასა“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და მის ახალშობილ ვაჟზე, რომლის სახელი უცნობია.

გვ.: 194,7. „ვარინკა და გიორგი“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკია-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 194,8-9. „თქუმინი სალომე“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილზე – სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე.

გვ.: 194,11. „ბარონ ნიკოლაი... მაკათი და სიძე ბატონითა“ – იგულისხმება ადრესატის დის, სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძის, მეუღლე – ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, მისი ქალიშვილი მარიამ (მაკა) ნიკოლაი-შერვაშიძისა და სიძე – გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე.

გვ.: 194,22-23. „ჩაგიკოცნი შვილებსა“ – იგულისხმება სალომე, მარიამ (კაკო), ელენე, თამარ, ალექსანდრე, ანასტასია, ნინო, ილია და არჩილ ჭავჭავაძეები.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №92 (1011) გვ.: 195-196.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 91г.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 35,4X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. II გვერდის ქვედა მხარეს ეტყობა შავი მელნის წვეთები. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «18^{го} Сент: 1879 г:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара!»

ადრესატის მისამართი: «В Царское Село»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

გვ.: 195,2. **«Мой друг Варвара!»** – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 195,5. **«Барон Николай выехал»** – იგულისხმება ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 195,6. **«Маку с ея мужем»** – იგულისხმება მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული ნიკოლაი-შერვაშიძისა და გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე.

გვ.: 195,10-11. **«К: Дм. Мирскій и Софія»** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიათოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 195,20. **«Текинского отряда»** – ტეკინის რაზმი იყო რუსეთის იმპერიის სამხედრო ფორმირება, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს მოქმედებდა ცენტრალურ აზიაში, კერძოდ, თანამედროვე თურქმენეთის ტერიტორიაზე.

გვ.: 195,27-28. **«Тергутазов... место Лазарева»** – საუბარია არზას არტემის ძე ტერგუჯასოვსა და გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 195,28. «**К: Голицына**» – იგულისხმება გენერალი დიმიტრი ბორისის ძე გოლიცინი.

გვ.: 195-196. «**Крупенский и его брат... мать**» – საუბარა-უდოდ, საუბარია თბილისის გუბერნატორის საგანგებო დავა-ლებათა უმცროს შემსრულებელ ვასილი კრუპენსკიზე, მაგ-რამ ძმისა და დედის სახელები უცნობია.

გვ.: 196,4. «**Семейство Оклюбжю**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე, მის ქმარ ივანე დიმიტრის ძე ოკ-ლობჟიოსა და ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 196,5-6. «**Нико Чавчав: и Старосельский с двумя дочерьми**» – საუბარია ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძესა და დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე, მაგრამ ამ უკანას-კნელის ქალიშვილებიდან (რუსუდანი, თამარი და ნინო) რომე-ლი ორი იგულისხმება, გაურკვეველია.

გვ.: 196,7. «**Их высочества**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მის მეუღლეზე – ოლ-ღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 196,8. «**Дядю Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი №7 (1012) გვ.: 198-199.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 178r (ნითელი ფანქრით), 34r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებუ-ლი, შელახული, კიდეებმოცვეთილი და ალაგ-ალაგ შეხეული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 31,1X22,5 სმ.; ნე-რილი შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრი-რებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «20 Сент: 1879 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К^ю Дмит: Ив: Мирскому» / «...мой друг, мой брат К: Дмитрий...»

ადრესატის მისამართი: «Курско-Харьковская железн: дорога. Люботино.»

შენიშვნები: 1-2. სტრიქონები ხაზგასმულია; 3. ციტატა ხაზგასმულია; 4. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 5-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 7. სიტყვა ჩამატებულია ზემოდან.

გვ.: 198,3. «**К^ю Дмит: Ив: Мирскому**» – წერილის ადრესატისა გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქმარი, გენერალი – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 198,4-5. «**сестра моей души, София**» – საუბარია ადრესატის ცოლზე, გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 198,16. «**Майко с детьми**» – საუბარია მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისაზე და მის შვილებზე: მამუკა, სოფიო და დიმიტრი ორბელიანებზე.

გვ.: 198,17. «**Ольга здорова; но Олимпиада**» – საუბარია ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისა და მის ქალიშვილ ოლიმპიადაზე.

გვ.: 198,18. «**У Опочининых**» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინსა და გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახი.

გვ.: 198,19. «**В: К^ю выехал**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 198,22. «**Нико Чавч: и Старосельский**» – საუბარია ნიკოლოზ ბურაბის ძე ჭავჭავაძესა და დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე.

გვ.: 199,1-2. «**Тергутазов уже там**» – საუბარია არზას არტემის ძე ტერგუჯასოვზე, რომელიც იმუამად იმყოფებოდა თურქენეთის ექსპედიციაში.

გვ.: 199,3. «**пока в Чат**» – ჩატს უწოდებდნენ თურქმენეთის ტერიტორიაზე რუსების მიერ 1877 წელს აშენებულ სიმაგრეს.

გვ.: 199,7. «**кр[а]сивая Глебова**» – სახელი მითითებული არ არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 199,9. «**К^е Дундукове**» – საუბარია ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვზე.

გვ.: 199,10. «**д[а]же Наместничества**» – 1882 წლიდან მართლაც გაუქმდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი.

გვ.: 199,12. «**Барон Николай**» – იგულისხმება ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 199,12-13. «**Маку с ея мужем**» – იგულისხმება მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული ნიკოლაი-შერვაშიძისა და გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე.

გვ.: 199,14. «**Еду... к Бабале**» – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი – ბარბარე იაკობის ასული ორბელიანი-ოპორჩინისა.

გვ.: 199,16. «**Князю Николаю**» – იგულისხმება ადრესატის ძმა – ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 199,18. «**цалую его Супругу**» – იგულისხმება ნიკოლოზ მირსკის მეორე ცოლი – კლეოპატრა მიხეილის ასული ხანკოვა.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №93 (1013) გვ.: 201-202.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 92r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალდი; ზომა: 31,3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. | გვერდის V აბზაცს მარცხენა აშიაზე შავი ფანჯრით

ხაზი აქვს ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «21 Окт: 1879. Тифлис»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Моя матушка варвара!»

ადრესატის მისამართი: «в Царское Село.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2-4. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

გვ.: 201,10. «**Моя матушка варвара!**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 201,12. «**Армянского Епископа Саркиса**» – საუბარია სომხური გრიგორიანული ეკლესიის ეპისკოპოს სარგის ჯალალიანცზე.

გვ.: 201,14. «**Его [«]путешествие по Арmenии[»]**» – წიგნის „მოგზაურობა სომხეთში“ პირველი ნაწილი გამოვიდა 1842 წელს, მეორე კი – 1856 წელს.

გვ.: 201,17. «**Вел: Къ**» – იგულისხმება მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 201,19. «**моему Мерцхалу... Орби**» – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის ცხენები.

გვ.: 201,23. «**Старосельский... с своими дочерьми**» – საუბარია დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე, მაგრამ ამ უკანასკნელის ქალიშვილებიდან (რუსუდანი, თამარი და ნინო) რომლები იგულისხმება, გაურკვეველია.

გვ.: 202,1. «**Граф Уваров с женой**» – საუბარია გრაფ ალექსეი სერგეის ძე უვაროვსა და მის მეუღლეზე – პრასკოვია სერგეის ასულ შჩერბატოვა-უვაროვისაზე.

გვ.: 202,11. «**Генерал Граф Граббе**» – სავარაუდო, იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ პავლეს ძე გრაბე.

გვ.: 202,14. «**дядю Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძისადმი №24 (1014) გვ.: 203-204.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №517/№30 (ძველი S:5327), სამმაგი პაგინაციით: 1r / 19r / 34r.

ავტოგრაფის აღწერილობა: სპილოს ძვლისფერი, თხელი, დიდი ფორმატის, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 27,1X21,1 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით. | გვერდის ქვედა მარჯვენა მხარეს მიწერილია «K.» ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „31 ოკტომბ: 1879 თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის ბედნიერების მსურველი თ~ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო, საყუარელო ნიკო!“

ადრესატის მისამართი: ამ პერიოდში ადრესატი განჯის გენერალ-გუბერნაციორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. პიროვნების სრული დასახელება ხაზგასმულია; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 4. ღმერთმან; 5. ღმერთი; 6. თავადი; 7. გადაკეთებულია. როგორც ჩანს, ავტორს შეეძლა და „სექტემბრის“ წერა დაინტერпретირება, მერე „სე“ გადააკეთა „ოკ“-ად და დაწერა „ოკტომბ:“; 8. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 203,23. „ჩემო ბატონო, საყუარელო ნიკო!“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 203,24. „ყაზია ახუნდი მირ ყასუმოვი“ – პირის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 203,27. „შეიხულისლამ ამტკიცებს“ – იგულისხმება ისლამური რელიგიის უმაღლესი სასულიერო პირი.

გვ.: 204,5. „ველიკი კნიაზი თავის სახლობით“ – იგულისხმება მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანვი, მისი მეუღლე ოლღა თეოდორის ასული ბადენელი-რომანვი-

სა და შვილები: ნიკოლოზი, ანასტასია, მიხეილი, გიორგი, ალექსანდრე, სერგეი და ალექსეი რომანოვები.

გვ.: 204.7. „ზულყადარისა“ – სავარაუდოდ, საუბარია ზულყადარის დინასტიის წარმომადგენელზე.

გვ.: 204.8. „ლრაჭ ლრაბბე“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ პავლეს ძე გრაბე.

გვ.: 204.11-12. „იმპერატორმა დაამტკიცა“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 204.17-18. „ისრაჭილბეგის შვილმა... ყარაბალის ხანის ქალი“ – სავარაუდოდ, საუბარია ისრაფილ ბეგ ედიგაროვის ვაჟზე, მაგრამ გაურკვეველია, რომელი ვაჟი იგულისხმება: რახიმი, ქერიმი, მამედი, ჰასანი, თუ ჰუსეინი. ამიტომ გვიჭირს ყარაბალის ხანისა და მისი ქალიშვილის იდენტიფიცირება.

ილია ჭავჭავაძისადმი №4 (1015) გვ. 205.

ავტოგრაფი (თეორი პირი): С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №641/№71 (ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1г / 4г.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 21,8X13,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „2^ნ ნოემ: 1879“

ხელმოწერა: „თქუმში მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი თ გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო მოწყალეო ბატონო, კნიაზო ილიავ!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

ავტოგრაფი (შავი პირი): А: ფონდი 5, ალწერა 1, საქმე

№7515^o, 78r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქა-ვებული, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 26,2X23,4 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. ზედა მარჯვენა კუთხეში იასამნისფერი მელნით აწერია: „Cw“; ॥ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში, იასამნისფერი მელნის ნალვენთია. ხელნაწერი რესტავრირებულია.

თარიღი და ადგილი: „3^ე ნოემბ: 1879.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო მოწყალეო ბატონო, კნიაზო ილიავ!“

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი „ბახტრიონი“, 1922, №21, გვ. 2.

გვ.: 205,1-2. „ჩემო მოწყალეო ბატონო, კნიაზო ილიავ!“ – წერილის ადრესატია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 205,3. „საბინინის წერილი“ – იგულისხმება მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინი.

გვ.: 205,18. „ბანკიდამ შემწეობა“ – იგულისხმება თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადრესატი.

შავი პირი:

ჩემო მოწყალეო ბატონო,
კნიაზო ილიავ!

მომირთმევია საბინინის წერილი, რომლითაცა ითხოვს იგი ჩუმინის საზოგადოებისაგან შემწეობასა ფულით შესასრულებლად საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა და გამოსახსელად ლეიპციხიდამ ქართველთ წმიდების სურათებისა.

თქუმინ კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი შრომა და ღუანლია მისგან მიღებული და რა სასარგებლოა საკუთრივ ჩუმინთვს ამ ისტორიის გამოცემა და განვრცელება ჩუმინს

ხალხში. ახლა თუ დავიცდით ჩუმინის საზოგადოების შეკრებამდის, მეტად ბევრი დრო გავა და საბინინიც დარჩება უღლნოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩუმინის საზოგადოებას არენინება იმის დაუკითხავად ბანკიდამ შემწეობა, ამ გაჭირებულს შემთხუცევაში, ესრეთის საზოგადოდ კეთილის საქმი-სათვის განსანათლებელად ჩუმინის დაცემულის მხარისა, რადგანაც არის ამაზე პუნქტიცა ჩუმინის უსტავში «для распространения Грамотности, или просвещенія, в народе»).

მე ბანკიდამ შემწეობას იმიტომ ვახსენებ, რომ წელის მოწერით, ვაითუ, დაგვიანდეს, ან ვერ შეჰსდგეს საკმაო ფული. მახლაზ, როგორც ინებებთ ისე აღსრულდეს, ოღონდკი აღსრულდეს.

3^ხ ნოემ: 1879.

დიმიტრი სვიათოპოლკ-მირსკისადმი №8 (1016) გვ.: 206-211.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, ორმაგი პაგინაციით: 181r-v, 182r (წითელი ფანქრით), 37r-v, 38r (შავი ფანქრით).

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, შელახული, კიდეებმოცვეთილი და ალაგ-ალაგ შეხეული, ორ ადგილას გახვრეტილი ორი ფურცელი; ზომა: 36,1X24,2 სმ.; წერილი შესრულებულია შავი ფანქრით. I გვერდის ზედა მარჯვენა მხარეს შავი ფანქრით აწერია და შემოხაზულია „გადაწერე“; მარჯვენა მხარის აშიაზე, შუაში, მკრთალი წითელი ფანქრით ხაზია ჩამოსმული. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «9^{თე} Ноябрь: 1879 г.» / «11^{თე} Ноябрь: 1879 Тифлис.»

ხელმოწერა: «Вам искренно преданный.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «К:¹⁰ Дмит: Ив: Мирскому.»

ადრესატის მისამართი: «В Полтаву.»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ ხაზია გასმული. ამასთან, «В Полтаву» ორჯერ წერია და ჩვენც ვტოვებთ; 2. ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია და სიტყვის შუა ნაწილი არ იკითხება, აღვადგინეთ შემორჩენილი ასოების საფუძველზე; 3-5. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 6. ეს წინადადება ხაზგასმულია წითელი ფანქრით; 7. სიტყვა ხაზგასმულია; 8. ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია და სიტყვა არ ჩანს; 9. სიტყვა ხაზგასმულია; 10. ხელნაწერის ბოლო გვერდზე ტექსტი, დაწყებული აბზაცით «Вместо Роставлева», ბოლომდე, ზედა მხრიდან და მარცხენა აშიიდან შავი ფანქრით არის შემოხაზული.

გვ.: 206,2. «**К:¹⁰ Дмит: Ив: Мирскому**» – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილის ქმარი, გენერალი – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 206,6. «**моя София**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკი-საზე.

გვ.: 206,8-9. «**Велик: Княгиня с... Николаем**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლე ოლღა თეოდორის ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და მის ვაჟ ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვზე.

გვ.: 206,10. «**с Великим к^{зем}... три Его сына**» – იგულისხმება მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი და, სავარაუდოდ, მისი სამი ვაჟი: მიხეილი, გიორგი და ალექსანდრე.

გვ.: 206,13. «**Граф Николай Граббе**» – იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ პავლეს ძე გრაბე.

გვ.: 206,15. «**вблизи Чирката**» – საუბარია დაღესტნის სოფელ ჩირკატზე.

გვ.: 206,17. «Граф Уваров с женой» – საუბარია გრაფ ალექსეი სერგეის ძე უვაროვსა და მის მეუღლეზე – პრასკოვია სერგეის ასულ შჩერბატოვა-უვაროვისაზე.

გვ.: 206,21-22. «Кня Трубецкой» – სავარაუდოდ, საუბარია სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეციოზე.

გვ.: 206,26. «именно Эрицов» – საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ერიციანზე (ერიცოვზე).

გვ.: 206,28. «описанія Ксенофонтом» – საუბარია ძველბერძენ მწერალ ქსენოფონზე.

გვ.: 207,3. «учитель Беклемишев» – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 207,14. «генер: Комарова» – სავარაუდოდ, იგულისხმება გენერალი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი.

გვ.: 207,21. «генер: Гурчин» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ბიკენტის ძე გურჩინზე.

გვ.: 207,22. «подобно Лазареву» – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ.: 207,24. «в Бате и Чикишлере» – საუბარია თურქენეთის სოფელ ბათასა და თურქენეთის ამჟამინდელ ქალაქ ქრასნოვოდსკიზე.

გვ.: 207,26. «характером Ломакина» – იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ პავლეს ძე ლომაკინი.

გვ.: 207,30. «Франкин выезжает» – იგულისხმება ყარსის პირველი გუბერნატორი – გენერალი ვიქტორ ანტონის ძე ფრანკინი.

გვ.: 209,8. «Георгию Мухранскому» – იგულისხმება იმსანად გარდაცვლილი გენერალი – გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 210,3. «Рославлева назначен Эриван: Губернатором Генерал Шаликов» – საუბარია მიხეილ ივანეს ძე როსლავლიოვსა და მიხეილ იაკობის ძე შალიკოვზე.

გვ.: 210,7. «**бываю у Майки**» – იგულისხმება მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული ნიკოლაი.

გვ.: 210,12. «**К: Шахавской**» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკიზე.

გვ.: 210,15. «**цалую К: Дмитрия**» – გაურკვეველია, რო-მელი დიმიტრი იგულისხმება.

გვ.: 210,15. «**Цалую Нину и ея мужа**» – იგულისხმება ადრესატის შვილი ნინა დიმიტრის ასული სვიატოპოლკ-მირ-სკაია-დენისა და მისი მეუღლე, გენერალი ვოლდემარ დენი.

გვ.: 210,16. «**Тетушку Марусью, и других детей Нины**» – იგულისხმება ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას შვილი მარიამი (მარუსია) და დანარჩენი შვილები. მას და ვოლდემარ დენს ჰყავდათ 5 შვილი. მათგან არცერთს არ ჰყოლია საკუთარი შვილი.

გვ.: 210,21. «**Бабале, Алексей Петрович**» – იგულისხმე-ბა ბარბარე იაკობის ასული ორბელიანი-ობოჩინინისა და ალექსეი პეტრეს ძე ობოჩინინი.

გვ.: 210,21-22. «**Петр Алексеевич и его Мария и Владимир Петрович, и Лиза**» – საუბარია პეტრე ალექსეის ძე ობოჩინინის ცოლ-შვილზე – მარიასა და ვლადიმერზე, მაგრამ გაურკვეველია, ვინ იგულისხმება „ლიზაში.“

გვ.: 210,24-26. «**К:¹⁰ Николаю... его жену, и его детей**» – საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, მის მეორე ცოლ კლეოპატრა მიხეილის ასულ ხანიკოვასა და მათ შვილებზე: მიხეილზე, ივანეზე, დიმიტრიზე, ვლადიმირსა და სიმონზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №94 (1017) გვ. 216.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 93г.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, არასტანდარტული ფორმის ქალალდი; ზომა: 22,1X17,9 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია ცისფერი ფანერით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «12 Нояб: 1879. Тифл:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Моя матушка варвара Ильинишина!»

ადრესატის მისამართი: «в Царскоесело.»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია.

გვ.: 216,2. **«Моя матушка варвара Ильинишина!»** – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეულე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 216,3. **«Леиб Гусару Георгию»** – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 216,7. **«Князя Александра Орбел»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის გარდაცვლილ ბიძა ალექსანდრე ორბელიანზე, რომელმაც თავისი ქონება ადრესატის შვილს დაუტოვა.

გვ.: 216,9-10. **«Михайла Дмитриевича Алексеева-Месхиева»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევანის, ძმაზე – მიხეილ დომიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ.: 216,11. **«Къ Шахавскому»** – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკიზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №95 (1018) გვ.: 217-218.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 94r.

ავტოგრაფის აღნერილობა: მოთეთრო ფერის, საშუალო სის-ქის, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 25,8X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანჯრით. ხელნაწე-რი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «23^{го} Нояб:»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «Мой друг Варвара Ильинишна!»

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიმართული წინა წე-რილების უმრავლესობა და მომდევნო წერილებიც გაგზავნი-ლია ცარსკოე სელოში. სავარაუდოდ, წინამდებარე ბარათიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

დათარილება: წერილიდან ჩანს, რომ ის 23 ნოემბერს და მის წინა დღეებშია დაწერილი. ასევე ირკვევა, რომ ახალმომხდა-რია ტერაქტი იმპერატორზე კურსკის რკინიგზის სადგურზე («покушениі на... Государя Импер:^а по Курской железной дороге»). შესაბამისად, უნდა იგულისხმებოდეს 1879 წლის 19 ნოემბრის თავდასხმა იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 217,1. «**Мой друг Варвара Ильинишна!**» – წერი-ლის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელია-ნის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელია-ნისა.

გვ.: 217,2-4. «**покушениі на... Государя Импер:^а по Курской железной дороге**» – იგულისხმება 1879 წლის 19 ნო-ემბრის თავდასხმა იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 217,16. «**Бедная Майка, жена Вано Орбел:**» – საუ-ბარია მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიასა და მის მეუღლეზე – ივანე მამუკას (მაკარის) ძე ორბელიანზე.

გვ.: 217,20. «сестра ея Ольга Барятинская» – საუბარია ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკი-საზე, ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკის მეუღლეზე.

გვ.: 217,21-22. «цалую и Георгия» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 218,1. «Возвратились из Петербурга Шереметьевы» – სავარაუდოდ, საუბარია სერგეი ალექსეის ძე შერემეტიოვისა და ევდოკია ბორისის ასულ გოლიცინა-შერემეტიოვის ოჯახზე.

გიორგი ორბელიანისადმი №3 (1019) გვ. 219.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 95г.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის, გახუნებული, თხელი, საშუალო ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ხაზიანი ქაღალდი; ზომა: 21Х13,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «17^{го} Дек: 1879.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «... Георгію.» / «Мой друг и дядя Георгій!»

ადრესატის მისამართი: «В Царское Село»

შენიშვნები: 1. სტრიქონი ხაზგასმულია; 2-6. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია.

გვ.: 219,9. «Мой друг и дядя Георгій!» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 219,10. «о Сахкалутанском Земле» – საჰყალტუ-თანი ენოდებოდა ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (სომ-

ხეთთან ახლოს) მდებარე პალანდოკენის მთის ნაწილს, სადაც ორბელიანებს მიწები ჰქონდათ.

გვ.: 219,11. «**Васо Мачабели**» – იგულისხმება ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

გვ.: 219,18. «**К¹⁰ Дмитрю Мирскому**» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის ქმარი – დიმიტრი ივანეს ძე სვიატო-პოლკ-მირსკი.

გვ.: 219,19. «**Петя также здесь**» – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი მირსკის ვაჟ პეტრეზე.

გვ.: 219,20. «**тетушку варвару**» – საუბარია ადრესატის დედაზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანისადმი №7 (1020)

გვ.: 220-222.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^o (ძველი №175), გვ.: 77r.

აღნერილობა: თეთრი, გაცრეცილი, საშუალო სისქის, ორ ადგილას გახვრეტილი ქაღალდი; ზომა: 33,7X21,5 სმ; დანერილია ფანქრით | გვერდზე, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი. ავტოგრაფი რესტავრაციის შედეგად სხვა ქაღალდზეა დაკრული.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ვანოვან!“

ადრესატის მისამართი: ადრესატი პეტერბურგში ცხოვრობდა. წინამდებარე წერილში ავტორი მას აჭარელი შარიბეგის შვილის, ჯამალის, მთარველობას სთხოვს, რომელიც კანვოიში განუწესდიათ, სავარაუდოდ, რუსეთში, რადგან საუბარია რუსული ენის ცოდნაზე: „გთხოვ მიიღო შენს მფარველობას-ქუმშე, ასწავლო, მოარიდო ცუდს საზოგადოებას, რომ არ წახდეს ზნეობით; მეტადრე რუსულის ენის უცოდინარი დიახ

ადვილად წახდება მანდა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს **პეტერბურგში**.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი გახვრეტილია პირველი „ბ“-ს ზედა ნაწილთან; 2. ღმერთი; 3. ღვთის; 4-5-6-7. სიტყვები ხაზგას-მულია ავტორის მიერ.

დათარილება: წერილში ნახსენებია, რომ საჰყალტუთანის და-ვასთან დაკავშირებით საბუთები უკვე გადაგზავნილი აქვს ვასილ მაჩაბლისთვის. ეს კი 17 დეკემბერს მოხდა. შესაბამი-სად, წერილი დაწერილია 1879 წლის 17 დეკემბრის შემდეგ.

გვ.: 220,17. „ჩემო საყუარელო ძმაო ვანოჯან!“ – წერი-ლის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 220,18. „აჭარელის შარიბეგისშვილი ჯამალ“ – პირ-თა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 221,7. „მომიკუდა ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 221,7-8. „მისი და ეკატერინა“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე – ეკატერინე ასლანის ასულ ორბე-ლიან-ერისთავისაზე.

გვ.: 221,8. „საყუარელი სოსიკო“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 221,9-13. „სასურველი და სოფიო... ტასოსა“ – საუ-ბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ.: 221,16. „სტაროსელსკის მოუკუდა ვაჟიშვილი“ – გე-ნეალოგიურ ნუსხაში არ ჩანს ამ წელს დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკის ვაჟის გარდაცვალება.

გვ.: 221,17-18. „ნიკო ჭავჭავაშვილის ბუჟიიჩსაცა უმცროსი ქალი“ – საუბარია ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძესა და ელენე ნიკოლოზის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 221,20. „კნ: მირსკიმ“ – იგულისხმება დიმიტრი ივა-ნეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 221,20-21. „ველიკის კნ: კონსტანტინესაგან“ – იგულისხმება კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 221,29. „ჩამიკოცნე შენი საშა“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე ალექსანდრა.

გვ.: 221,31. „საჰყალტუთანის საქმეზე“ – საჰყალტუთანი ეწოდებოდა ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (სომხეთთან ახლოს) მდებარე პალანდოკენის მთის ნაწილს, სადაც ორბე-ლიანებს მიწები ჰქონდათ.

გვ.: 221,32. „მაჩაბელსა გიორგის ხელით“ – საუბარია ვასილ გიორგის ძე მაჩაბელსა და გიორგი ილიას ძე ორბელი-ანზე.

გვ.: 222,3. „კნ: ლევან“ – საუბარია გენერალ ლევან ივა-ნეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 222,4. „ჩუცი ნიკო“ – იგულისხმება ნიკოლოზ ზუ-რაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 222,4-5. „ელისავეტოპოლის ღუბერნატორად – ნაკა-შიძე“ – ელიზავეტოპოლი ერქვა ქალაქ განჯას. საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძეზე.

გვ.: 222,5. „ლენერალ შავ“ – იგულისხმება გენერალი მიხეილ დიმიტრის ძე სკობელევი, რომელმაც არზას არტემის ძე ტერლუკასოვის ავადმყოფობის გამო მის ნაცვლად ჩაიბა-რა კასპიის რეგიონის ჯარების უფროსის თანამდებობა.

გვ.: 222,5-6. „ჩიკიშლარში ტერლუკასოვის მაგიერ“ – საუბარია თურქმენეთის ამჟამინდელ ქალაქ კრასნოვოდსკიზე და გენერალ არზას არტემის ძე ტერლუკასოვზე.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №96 (1021) გვ.: 222-223.

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153/№116, Ros-292; 2829, 96r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოთეთრო ფერის, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალალ-

დღი; ზომა: 35,5X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელ-ნაწერი რესტავრირებულია. წარმოადგენს შავ პირს.

თარიღი და ადგილი: «18 декабрь 1879 г.»

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: «... мой друг, варвара...»

ადრესატის მისამართი: «В Царское Село»

შენიშვნები: 1. სტრიქონის ქვეშ მოკლე ხაზია გასმული.

გვ.: 222,11. «**мой друг, варвара**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე – ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 222,12-13. «**София Мирская скончалась**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიი იაკობის ასულ ორბელიანსვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ.: 222,18. «**Бедный Дмитрий**» – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის ქმარი – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 222,25. «**моего Каплана**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 222-223. «**его Сестру Екатерину**» – საუბარია გრიგოლ ტობელიანის ბიძაშვილზე – ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე.

გვ.: 223,1. «**Сосико**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 223,10. «**имя Георгия**» – იგულისხმება ადრესატის ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 223,11. «**по Сахкалтуганскому имению**» – საჰუალტუთანი ეწოდებოდა ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (სომხეთთან ახლოს) მდებარე პალანდოკენის მთის ნაწილს, სადაც ორბელიანებს მიწები ჰქონდათ.

გვ.: 223,11-12. «**передать Васо Мачабели**» – იგულისხმება იურისტი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

გვ.: 223,16-17. «**Земля, Алиханагаджи**» – ასე უწოდებდნენ საჰუალტუთანს.

საძიებლები

პირთა ანოტირებული საძიებელი

აბაშიძე-ორბელიანისა ნინო სიმონის ასული (1831-1919) – შტაბს-კაპიტან გრიგოლ (გიგო) ორბელიანის მეუღლე. 105.

აბესალომოვი სოლომონ ზაქარიას ძე – მრჩეველი კომერციის საკითხებში კავკასიაში 6. მურავიოვის მმართველობის დროს. 107, 115.

ადლერბერგი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (1818-1888) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ალექსანდრე II-სთან დაახლოებული პირი. 152.

ავალიშვილი დავით იაკობის ძე (-1900) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ავალიშვილის, უფროსი ძმა. 105.

ავინოვი სერგეი ალექსანდრეს ძე (1831-1906) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე. 102, 106, 107, 115.

ალექსანდრე ნეველი – XIII საუკუნის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, ნოვგოროდის მთავარი (1236-1251), ვლადიმირის დიდი მთავარი (1252-იდან). 100, 103.

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე – აზნაური, გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, ძმა. 20, 87.

ალექსი-მესხიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე – მთავარმართებლის სამმართველოს ჩინოვნიკი, „ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამუშავებელი წევრი, გრიგოლ ორბელიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, ძმა. 133, 136, 216.

ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895) – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, მეუღლე. 13, 18, 20, 26, 42, 59, 66, 68, 72, 81, 87, 105, 108, 156, 160, 172, 178.
წერილების ადრესატი.

ალხაზიშვილი იაკობ ქაიხოსროს ძე (1826-1896) – ინფანტერიის გენერალი, უნგრეთის აჯანყების ჩახშობის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე. 29.

ამილახვარი ივანე გივის (ეგორის) ძე (1829-1896) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე, კავკასიის სამხედრო კორპუსის მეთაური. მისი დღიურები და მოგონებები (ჟურნალი „კავკაზიკი სბორნიკი“ 1908-1909, ტ. 26-29) საინტერესო ცნობებს შეიცავს იმ ეპოქისა და მის დროს მოღვაწე ადამიანების, მათ შორის, შამილის შესახებ. 32, 131.

ამილახვარი-კერესელიძისა ანასტასია გიორგის ასული (1839-) – აზნაურ ივანე კერესელიძის მეუღლე, იქორნინეს 1878 წელს. 144.

ამიროვი სტეფანე – სამხედრო პირი. მსახურობდა მოსე არლუთინსკისთან. შესაძლოა, ეს იყოს ის ამიროვი, რომელთანაც, 1878 წლის 24/28 დეკემბრის წერილში და-

ცული ინფორმაციის თანახმად, გრიგოლ ორბელიანი კარტს თამაშობდა. 106, 107, 154, 157, 173, 193.

ანდრევსკაია ნინო ერასტის ასული (1848-1876) – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის, ერასტი ანდრევსკის, და ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილის უფროსი ქალიშვილი. დაიხრჩო მტკვარში. 94.

ანდრონიკაშვილი ზაქარია (ზაზა) დონიკეს ძე (1836-1901) – „პრა-პორშჩიკ“ ანდრონიკ (დონიკე) ანდრონიკაშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ნინო იოსების ასულ ორბელიანის, ვაჟი. 43.

ანდრონიკაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე (1844-1905) – „ქარ-თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-ზოგადოების“ ნამდვილი წევრი. 141.

ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე (1814-1877) – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, ლეკთა კორდონის ხაზის უფროსი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მე-7 მარშალი. 16.

ანდრონიკაშვილისა – ემანუელ (ია) ანდრონიკეს (დონიკეს) ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე.

ანდრონიკაშვილი სოლომონ არჩილის ძე (1859-1896) – სამ-ხედრო პირი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსა-ხურობდა იუნკრად. ცოლად ჰყავდა ნადეჟდა დიმიტ-რის ასული ერისთავი. 28, 38, 40.

არლუთინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (-1882) – მონაწილეობდა უნგრეთის კამპანიაში (1849), ყირიმისა და რუსეთ-

თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 107, 115, 158.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი-ლორის-მელიქოვისა ნინა ივანეს ასული (1837-1918) – გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვის მეულლე. 178.

არღუთინსკი ვასილი ზურაბის ძე (1830-1877/78) – ზურაბ რე-ვაზის ძე არღუთინსკის (1780-1873) შვილი. 16.

არწრუნი იერემია გიორგის ძე (1804-1877) – გენერალ-მაიორი 1860 წლიდან, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების მონაწილე. 16.

ასტაფიევი ნიკოლოზ ალექსეის ძე (1842-1889) – გენერალ-მაიორი, სამხედრო ისტორიკოსი, ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძის მეულლე. 125, 187, 189.

აფხაზი ალექსანდრე (კოხტა) ნიკოლოზის ძე (1838-) – ილია ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი და მასზე მოგონებების ავტორი. 43.

აფხაზი გრიგოლ (გიგო) ნიკოლოზის ძე – ილია ჭავჭავაძის დის, ნინო გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-აფხაზის, ვაჟი, კოტე აფხაზის ძმა. 1878 წელს ცოლად შეირთო ასევე აფხაზი – ილია აფხაზის ქალი. 20.

აფხაზი ილია – წერილში დაცული ცნობის მიხედვით, მისი ქალი ცოლად შეურთავს ილია ჭავჭავაძის დის, ნინო გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-აფხაზის, ვაჟს – გრიგოლ (გიგო) ნიკოლოზის ძე აფხაზს 1878 წელს. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. 20.

აღაევი – თბილისის მოქალაქე. 1878 წლის 12 დეკემბრის წე-

რილში დაცული ინფორმაციის თანახმად, კარგად არ იცოდა ვისტის თამაში. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. 102.

ალალაროვი ჰასან ბეკი (1812-) – აზერბაიჯანული წარმოშობის რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. თავი გამოიჩინა უნგრეთის 1848-1849 წლების აჯანყების ჩაბობაში, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 29.

ახმედ მუხთარ ფაშა (1832-1919) – თურქი მარშალი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი. 183, 187, 189.

ბაბალე – პიროვნება დაუდგენელია. 158.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა ბარბარე (ვარვარა) ილიას ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმის, ილიას, მეუღლე, გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი. 20, 24, 26, 37, 100, 114, 134, 159, 194, 219.
წერილების ადრესატი.

ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა ანა (ანეტა) ილიას ასული (1828-1905) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და, სასახლის ფრეილინა. 1852 წელს ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს – დავითს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძლვის თელავში ქალთა განათლების კერძების დაარსების საქმეში. 192, 193.

ბაგრატიონ-გრუზინსკი გრიგოლ (გრიშა) ილიას ძე (1855-1899) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, შვილი,

ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის, ძმა. 81, 82, 88.

ბაგრატიონ-გრუზინსკი ირაკლი ალექსანდრეს ძე (1827-1882) –
უგანათლებულესი თავადი, ერეკლე II-ის ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის, და მარიამ ისააკის ასულ აღა-მალოვას შვილი. დაიბადა სპარსეთში, იზრდებოდა ჯერ ერევანში დედასთან, ხოლო შემდეგ მასთან ერთად გაამგზავრეს პეტერბურგში, სადაც იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო. 60-იან წლებში მკურნალობდა საფრანგეთში, სადაც დაუახლოვდა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ს. აქვე იქორწინა დავით ჭავჭავაძის ასულ თამარზე. საქართველოში ენეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. იყო ერთადერთი ბატონიშვილი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა. 20, 41, 60, 69, 71, 82, 113, 145, 157, 194.

წერილის ადრესატი.

ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1836/37-1900) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, იმპერიის მთავარი სამხედრო პროკურორი, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, იმერეთის მეფე, დავით II-ის შვილიშვილი. 59.

ბაგრატიონ-მუხრანელი ალექსანდრე მიხეილის ძე (1856-1935) – ქართველი თავადი, კავკასიის მეფისნაცვლის განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე. 1879 წელს იქორწინა ნინო იოსების ასულ თარხან-მოურავზე. 141, 154, 157, 163.

ბაგრატიონ-მუხრანელი გიორგი კონსტანტინეს ძე (1820/1821-1877) – ცარიზმის ერთგული მოხელე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი, სახელმწიფო ინსპექტორი („სტატს-ინსპექტორი“). 209.

ბაგრატიონ-მუხრანელი ივანე კონსტანტინეს ძე (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1882-1885 წლებში საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 1881 წლიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, ყველაზე მსხვილი მემამულე თბილისის გუბერნიაში, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღვინის ქარხნის მეპატრონე. ცოლად ჰყავდა ნინო ლევან V-ის ასული დადიანი. 154, 157, 173, 187, 189, 193.

ბაგრატიონ-მუხრანელი ირაკლი კონსტანტინეს ძე (1813-1892) – სამეფო ოჯახის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანელთა შტოს მეთაური, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 157, 163, 173.

ბაგრატიონ-მუხრანელი კონსტანტინე (კაცია, კონია) ივანეს ძე (1838-1903) – ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ნინო ლევან V-ის ასულ დადიანის შვილი, გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, ქველმოქმედი. მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ ეროვნულ

დაწესებულებებს, სტუდენტებს. მან დიდი თანხა გაიღო ქართული გიმნაზიის შენობის (შემდგომში უნივერსიტეტი) ასაგებად. ცოლად ჰყავდა ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი. 154, 193.

ბაგრატიონ-მუხრანელი მიხეილ კონსტანტინეს ძე (1831-1907) – კონსტანტინე იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ხორებან ზაალის ასულ გურამიშვილის შვილი, ოლღა გურამიშვილის მამიდაშვილი. მეუღლესთან, ელისაბედ (ელიზავეტა) დამიტრის ასულ ივინსკაიასთან, ერთად ცხოვრობდა მოსკოვში. 141, 157, 163, 173, 193.

ბაგრატიონ-მუხრანელი-ჯორჯაძისა თამარ ირაკლის ასული (1855-1940) – სამეფო ოჯახის წევრის, ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელისა, და ეკატერინე არღუთინსკაია-დოლგორუკოვა-ბაგრატიონ მუხრანელის შვილი, ქართველი მენარმის, ზაქარია ჯორჯაძის, მეუღლე. 144.

ბადენელი-რომანოვისა ოლღა თეოდორის ასული (1839-1891) – დიდი ჰერცოგის, ლეოპოლდ ბადენელის, ქალიშვილი, კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეუღლე. 45.

ბაკიხანოვი აბდულ-აღა (1824-1879) – გენერალ-მაიორი, კავკასიის ომების მონაწილე. მისდევდა საგანმანათლებლო საქმიანობას, მონაწილეობდა პირველი აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის გავრცელებაში. 158.

ბარათაშვილი კეკე – 1879 წლის 22 მაისის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ის ცოლად უნდა გაჰყოლოდა ვინმე მალალოვს. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. 144.

ბარათაშვილი ნატალია ლევანის (ლეონიდის) ასული (1866-1917) – კარის მრჩევლის, ლეონიდ გერმანოზის ძე ბარათაშვილის, და ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის შვილი. 139.

ბარათაშვილი ნინო ზალის ასული (1853-1924) – ზაალ ივანეს ძე ბარათაშვილის შვილი. 1879 წელს ცოლად გაჰყვანიკოლოზ დავითის ძე ანდრონიკაშვილი. 141.

ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1823/24-1892) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი. 20, 26, 72, 141, 160, 173, 176.
წერილის ადრესატი.

ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული (1841-1916) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილის მეუღლე. 19, 158.

ბარიატინსკი ალექსანდრე ანატოლის ძე (1846-1914) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი, დალესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. 178.

ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1879) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1863 წლებში. ცოლად ჰყავდა ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ასული ორბელიანი. 31, 89, 95, 130, 187.
წერილის ადრესატი.

**ბარიატინსკი ოლიმპიადა ალექსანდრეს ასული – ალექსანდრე
ანატოლის ძე ბარიატინსკისა და ოლღა დიმიტრის
ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას ქალიშვილი. 198.**

**ბებუთაშვილი ვასილი ოსების ძე (1791-1858) – ინფანტერიის გე-
ნერალი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი,
რუსეთის 1812 წლის, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829
წლების, კავკასიისა და ყირიმის ომების აქტიური მონაწი-
ლე, 1847-1853 წლებში ამიერკავკასიის მხარის მთავარი
სამმართველოს უფროსი და თავმჯდომარე. თავი ისახე-
ლა ყირიმის ომის დროს, როდესაც 18.000-ანი რაზმით
შეძლო ოსმალების 60.000-იანი ჯარის დამარცხება, რის-
თვისაც დაჯილდოვდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი
ჯილდოთი, ანდრია პირველნოდებულის ორდენით. 15.**

**ბებუთაშვილი პეტრე აბესალომის ძე (1816-1899) – თბილისის
მაზრის უფროსი. წერილის მიხედვით ირკვევა, რომ
1878 წელს მის ვაჟს ცოლად შეურთავს ვინმე თაირო-
ვის ქალიშვილი. 21.**

**ბეკლემიშვევი – 1879 წლის 9 / 11 ნოემბრის წერილში დაცული
ინფორმაციის თანახმად, გრიგოლ ორბელიანის პედა-
გოგი, რომელიც სწავლების პროცესში მოსწავლეთა
დასჯის მკაცრ ზომებს იყენებდა. 207.**

**ბელოვი – თბილისის მოქალაქე. 1878 წლის 28 დეკემბრის წე-
რილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მას და ვინ-
მე ედიგაროვს ჰყვარებიათ ვინმე შალიკოვის ქალი,
დუელიც ჰქონიათ, მაგრამ ორივე გადარჩენილა. 105.**

**ბელოვი – 1879 წლის 11 / 13 ივნისის წერილში დაცული ინ-
ფორმაციის თანახმად, მის სახლში გადასულან ლუარ-
საბ (ლუკა) ესტატეს ძე თარხნიშვილის ქალები სამ-**

ხედრო კლუბიდან. 160.

ბელსკი ვასილი თეოდორის ძე (-1884 წლის შემდეგ) – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი 1873 წლიდან, თბილისისა და ელიზავეტოპოლის ვიცე-გუბერნატორი. 64. წერილის ადრესატი.

ბერენსი ანდრეი ევგენის ძე – ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი. 104, 157.

ბიკოვი თეოდორ ალექსანდრეს ძე (-1915) – სამართალმცოდნე, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, თბილისის გუბერნატორი 1897-1899 წლებში. 94.

ბორისი – თბილისის მოქალაქე. 1879 წლის 14 თებერვლის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, გრიგოლ ორბელიანის ახლობელი. 120.

ბოლუშევიჩი – თბილისის მოქალაქე. წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, გრიგოლ ორბელიანის მას ეთამაშებოდა ვისტის. 107, 115.

ბრუსილოვი ალექსეი ნიკოლოზის ძე (1789-1859) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე, მსახურობდა კავკასიაში, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. 187, 189-190.

ბუტურლინი დიმიტრი სერგეის ძე (1850-1920) – გენერალ-მაიორი (1895), რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების აქტიური მონაწილე. 154.

ბუჭყიაშვილისა სოფიო (-1878) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორ ვახტანგ ბორისის (ბეჟანის) ძე ბუჭყიევის (ბუჭ-

ყიაშვილის) მეუღლე. 105.

გაბისონია – მზარეული, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის, ერასტი ანდრეევსკის, ქალიშვილ ნინოს მკვლელობისათვის მიესაჯა 20 წლით კატორლა. 94.

გაგარინი ალექსანდრე ივანეს ძე (1801-1857) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. მოკლა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა, როდესაც მან ამ უკანასკნელს აცნობა გადაწყვეტილება სვანეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. 56.

გაგარინი კონსტანტინე დიმიტრის ძე (1843-1916) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, სენატორი, სხვადასხვა დროს იყო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და თბილისის გუბერნატორი, საიდუმლო მრჩეველი - „ტაინი სოვეტიკი“. 17, 158.

გალუმაშვილი – 1879 წლის 31 თებერვლის⁶ წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, გალუმაშვილს და ვინმეოლქიაშვილს კუმისის სასამართლოში დავა ჰქონიათ სახლის მამულზე. სასამართლოს მისი გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანია. ამით უკმაყოფილო, ოლქიაშვილს არ აძლევდა მამულის მოხმარების უფლებას და ფიზიკურად ემუქრებოდა. 128, 129.

გარსევანიშვილი-ორბელიანისა ალექსანდრა (საშა) – გენერალმაიორ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის („ვანკა პაუარნი“) მეუღლე. 221.

⁶ ეს თარიღი უნდერია ავტორს. ქ.გ.

გასპარიანცი – პიროვნება დაუდგენელია. წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ის საზღვარგარეთ გაჰყვა ირაკლი ალექსანდრე ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის. 41.

გეუა – ყაფლან ორბელიანის მოურავი. 22.

გლებოვა – თბილისელი ახალგაზრდა. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. 199.

გოლიცინა-შერემეტიევისა ევდოკია ბორისის ასული (1848-1910) – გენერალ-ადიუტანტის, უბრნწყინვალესი თავადის, ბორის გოლიცინის, შვილი. ქმრის დამსახურების გამო დაჯილდოებული იყო წმ. ეკატერინეს ჯვრით. 95.

გოლიცინი ალექსანდრე ბორისის ძე (1855-1920) – რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი, 1901-1909 წლებში ვლადიმირის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამდლოლი. 1878 წლის 11 სექტემბერს მოსკოვში იქორწინა სოფიო ალექსანდრეს ასულ ვიაზემსკაიაზე. 87, 95, 99.

გოლიცინი დიმიტრი ბორისის ძე (1851-1920) – კავალერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი, შუა აზიის ლაშქრობების მონაწილე. 86, 126, 178, 195.

წერილის ადრესატი.

გორჩაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1798-1883) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი, იმპერიის უკანასკნელი კანცლერი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი. 25.

გრაბე ნიკოლოზ პავლეს ძე (1832-1896) – გრაფი, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომების მონაწილე. დაჯილდო-ებული იყო ოქროს ხმლით, წარწერით: „სამგზის კავ-კასიის ქედის გადალახვისთვის.“ ამის შემდეგ იმპერა-ტორის ამალის წევრად მიიღეს. 1864 წელს დაინიშნა ლაიბ-გვარდიის საკავალერიო პოლკის მეთაურად, რომელსაც 1869 წლამდე ხელმძღვანელობდა. 202, 204, 206.

გურამიშვილი-ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასული (1842 / 1843-1927) – ილია ჭავჭავაძის მეულე. ენეოდა აქტი-ურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-ბის“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, ქართველ ქალთა საქველმოქმე-დო საზოგადოების თავმჯდომარე (1895-1906). 170.

გურიელი დიმიტრი ქაიხოსროს ძე (1822-1882) – გენერალ-მაიო-რი, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, მეთაურობდა ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკს, იყო იმპერატორის ამალის განსაკუთრებული დავალებების შემსრულებელი. მის მიერ 1873 წელს აშე-ნებული სასახლე ოზურგეთში დღეს წარმოადგენს შე-მოქმედის ეპისკოპოსის რეზიდენციას. 21.

გურიელი-წერეთლისა პელაგია ქაიხოსროს ასული – ფრეილი-ნა, გიორგი V გურიელის შვილიშვილი, წესტორ დი-მიტრის ძე წერეთლის მეულე, მწიგნობრული ინტე-რესების მქონე მანდილოსანი, გრიგოლ ორბელიანის ლექსების ადრესატი. გარდაიცვალა 1883 წელს. 44.

გურგო იოსებ ვლადიმერის ძე (1828-1901 – გენერალ-ფელ-დმარშალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის

გურჩინი ალექსანდრე ბიკენტის ძე (1833-1902) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი. 107, 115, 207.

დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და დაძმასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. იყო ცნობილი მოჭადრაკე. 112, 163.

დადიანი გრიგოლ ლევანის ძე (1814-1902) – პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, სამეგრელოს მთავრის, ლევან V-ის, შვილი. 163.

დადიანი-მიურატისა სალომე დავითის ასული (1848-1913) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და ძმებთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1868 წელს ცოლად გაჰყვა შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატს (1847-1895), ნაპოლეონის ძმისშვილს. მათი ქორწინება პარიზში წლის მოვლენად აღიარეს. 1873 წელს წყვილი სამეგრელოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1913 წელს დაქვრივებული სალომე საფრანგეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, სადაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. 114, 163, 186, 188.

დადიანი ნიკო დავითის ძე (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის

1877-1878 წლების ომის მონაწილე. მისი კანდიდატურა განიხილებოდა ბულგარეთის მთავრად. გარდაცვალების შემდეგ თავისი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ 112, 154, 159, 161, 162, 163, 188.

დენი მარიამ (მარუსია) ვოლდემარის ასული – ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-დენისა და გენერალ ვოლდემარ დენის ასული. 210.

დერვიშ ფაშა – თურქი სამხედრო მოღვაწე, ბათუმის კორპუსის მთავარსარდალი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დროს. მან დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის სიმბოლურად გადასცა ბათუმის გასაღები. 72, 82.

დიმიტრი – პიროვნება დაუდგენელია. 210.

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1820-1893) – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართებელი (1882-1890), ნიუნი-ნოვგოროდის პოლკის უფროსი 1858 წლამდე, 1882 წლიდან 1890 წლამდე – კავკასიის ჯარების სარდალი. 199.

დუმბუზაშვილი სულხანოვი – პიროვნება დაუდგენელია. წერილიდან ვიგებთ, რომ 1878 წელს მას ცოლად შეურთავს ტატო ყიფიანის (დაუდგენელია) ქალიშვილი, რომელიც მაიკოს (დაუდგენელია) დისწულიც ყოფილა. 20.

ედიგაროვი – თბილისის მოქალაქე. 1878 წლის 28 დეკემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მას დავინმე ბელოგვარებიათ ვინმე შალიკოვის ქალი, დუელიც ჰქონიათ, მაგრამ ორივე გადარჩენილა. 105.

ედიგაროვი ისრაფილ ბეგი (1815-1884) – ბორჩალოელი აზნაური, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. 158, 172, 204.

ეკატერინე II დიდი (1729-1796) – რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წლებში. ქალიშვილობაში სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ ცერბსტი. მისმა რეფორმებმა რუსეთი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო დაპყრობებმა გაზარდა იმპერიის საზღვრები. 119, 130.

ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე (1812-1883) – პოლკოვნიკი, გორის თავადაზნაურობის წინამდლოლი. 1878 წელს პარიზში გარდაეცვალა ერთადერთი ვაჟიშვილი. 87.

ერისთავი ანა ელიზბარის ასული (1846-1898) – გიორგი (კიაზო) ერისთავის მესამე ცოლი. იქორნინეს 1879 წელს. 144.

ერისთავი გიორგი (კიაზო) გიორგის ძე (1821-1909) – გენერალ-ლეიტენანტი, თერგის კაზაკთა ჯარის მოზდოვის პოლკის მეთაური, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე. 144.

ერისთავი გიორგი იესეს ძე (1769-1863) – ინფანტერიის გენერალი, სენატორი, კრინიცის ბრძოლის, რუსეთ-ირანის 1804-1813, 1826-1828, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების მონაწილე, აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლას, იყო თავადაზნაურობის წოდების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე. 194.

ერისთავი ელიზბარ დიმიტრის ძე (1838-1890) – პოლკოვნიკი, გიორგი („რუსეთუმე“) ერისთავის ძმა, აკაკი წერეთლის ქვისლი. 158.

ერისთავი-თარხნიშვილისა ელენე იაკობის ასული (1852-1922) – თავად გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავის ცოლი. გარდაიცვალა ყირიმში. 113, 157.

ერისთავი მიხეილ იაკობის ძე (1842-1902) – პოლკოვნიკი. ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი. 131.

ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული (1808-1870) – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, საელჩის მრჩევლის, დავით ორბელიანის, მეუღლე, მე-19 საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. მის ლიტერატურულ სალონში გადაწყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალური საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები. 15, 186.

ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული (1832-1887) – ქსნის ერისთავების წარმომადგენელი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე. 53, 113, 131, 134, 145, 154, 158, 174. წერილების ადრესატი.

ერისთავი რევაზ შალვას ძე (1828-1899) – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“, წერდა

ლექსებს და თარგმნიდა რუსულიდან. 52.
წერილის ადრესატი.

ერისთავი შალვა რევაზის ძე (1798-1849) – გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანის, მეუღლე, ანასტასია ერეკლე II-ის ასულ ბაგრატიონის ვაჟი. 15.

ერიციანი (ერიცოვი) **ალექსანდრე დავითის ძე** (1841-1902) – სომეხი მწერალი, ისტორიკოსი, არმენოლოგი. 206, 207.

ვასტენი ალექსანდრე ივანეს ძე – კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის საოლქო საბჭოში სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი. 157, 162, 172, 178.

ვაჩნაძე-ბარათაშვილისა დარია იოსების (ბებურო) **ასული** (1810-1888) – ტიტულარული მრჩევლის, თავად ვახტანგ რევაზის ძე ბარათაშვილის, მეუღლე. 44.

ვაჩნაძე რევაზ იოსების ძე (-1886) – სილნალის თავადაზნაურობის წინამდლოლი, ციხეების სამზრუნველოს სილნალის განყოფილების წინამდლოლი, საგლეხო რეფორმის განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის II ხარისხის ორდენით. 42.

ვეზირიშვილი დიმიტრი გიორგის ძე (1825-1898) – გენერალ-ლეიტენანტი, მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე, ნიკოლოზ ბარათაშვილის დის, ბარბარეს, მეუღლე. 44.

ვეის-ფონ-ვეისენგოფი მარია ნიკოლოზის ასული – წმინდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი XIX ს-ის 70-80-იან წლებში. 120.

ვინსპიერი დავით ფრანცის ძე (1830-1905) – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი. 106.

ვიტგენშტეინი ევგენი ალექსანდრეს ძე – თავადი, დიპლომატი, ელიზავეტა ეილერის (1816-1896) მეუღლე. 136.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – რუსი თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. მანამდე ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი იყო. 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩიდ მუშაობდა. უდიდესი წელილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩენეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინცის წოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დალესტნის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრიბილი ჰქონდა. სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში მის დროს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული უნივერსიტეტი, ინსტიტუტები და რუსული თეატრები და სხვ. 84, 95.

ზავადოვსკი – პიროვნება დაუდგენელია. 166.

ზოტოვი პავლე დიმიტრის ძე (1824-1879) – ინფანტერიის გენერალი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე. 59.

ზულყადარი – 1879 წლის 13 სექტემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, განჯის ხანის შვილი. 193, 204.

თაიროვი – პიროვნება დაუდგენელია. ერთი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ 1878 წელს თაიროვის ქალიშვილი ცოლად შეურთავს თბილისის მაზრის უფროსის, პეტ-რე აბესალომის ძე ბებუთოვის (ბებუთაშვილის) ვაჟს. სხვა წერილში ამ გვარის ადამიანს ავტორი საყვედლურობს ფიტარეთში ორბელიანების მამა-პაპის სასაფლაოს ცხვრების ფარეხად გახდომის გამო. გვიჭირს თქმა, ამ ორ წერილში მოხსენიებული თაიროვი ერთი პიროვნებაა თუ სხვადასხვა. 21, 67.

თალალა – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მსახური. 44.

თამარ მეფე (1160-1213/07/10) – საქართველოს ლეგენდარული მეფე 1184 წლიდან გარდაცვალებამდე. 72, 83.

თარხან-მოურავი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ნინო იოსების ასული (1860-1934) – გენერალ იოსებ დავითის ძე თარხან მოურავის შვილი. 141.

თარხნიშვილი ლუარსაბ (ლუკა) ესტატეს ძე (XIX ს-ის 20-იანი წლები –) – ქართველი თავადი. 160.

თუმანიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე (1821-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, ყირიმისა და კავკასიის ომების მონაწილე. 187, 189.

თუმანიშვილი ისაკ შიოს (სოლომონის) ძე (1803-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საველე

აუდიტორატის წარმომადგენელი, ნავანგინის ქვეითი პოლკის მეთაური. 21, 41, 76, 102, 158, 163, 172, 173, 181, 193.

ნერილის ადრესატი.

ივანოვა ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ძე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისა, და გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალა-პოს ძე ივანოვის შვილი. 120.

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809-1875) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ისტორიკოსი. მან დიდი ღვაწლი დასდო ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებას. 75.

ისარლიშვილი ლუკა სტეფანეს ძე (1814-1893) – პოეტი, პუბლიცისტი, ცენზორი. სახელმწიფო მოხელე, ცარიზმის ოფიციალური პოლიტიკის ერთგული გამტარებელი. ფსევდონიმი „სამცხელი.“ სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, რომელზეც საინტერესო მოგონება დატოვა. 49, 173.

კაპლერი ალექსანდრე ქრისტიანის ძე (1812-1876) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1856-1860 წლებში. საგლეხო რეფორმის აქტიური მხარდამჭერი. 125.

კარცოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1817-1875) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტიერის გენერალი, კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, მეფისნაცვლის თანაშემწე, სამხედრო საბჭოს წევრი. დაკავებული იყო აკადემიური საქმიანობითაც, მის კალამს ეკუთვნის სამხედრო ხასიათის არაერთი ნაშრომი. 24, 26.

კარცოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1849-1878) – პორუჩიკი, გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის ვაჟი. 24, 26.

კეკე – სავარაუდოდ, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოს მსახური გოგო. 160.

კერესელიძე ივანე ივანეს ძე (1829-1892) – პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი. 144.

კოლიუბაკინი – 1879 წლის 4 ივნისის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მისი სიძე ყოფილა ვინმე ნაკაშიძე. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. 154.

კომაროვი ალექსანდრე ბესარიონის ძე (1830-1904) – ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ომებისა და თურქესტანის ლაშქრობების მონაწილე. 125.

კომაროვი კონსტანტინე ბესარიონის ძე (1832-1912) – ინფანტერიის გენერალი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების მონაწილე. 32, 207.

კრავჩენკო პავლე პავლეს ძე (1829-1889) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, თურქეთის დესანტისაგან სოხუმის დაცვის ხელმძღვანელი. 27, 28.

კრიუკოვსკაია-კოლიუბაკინისა მარია ვასილის ასული (1820-1901) – ბაქოს სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის, ცოლი. აქტიურად ეხმარებოდა მეუღლეს ბაქოს საზოგადოებრივ საქმიანობაში. დიდი წვლილი შეიტანა ქალთა გა-

ნათლების საქმეში, იყო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი. 129.
წერილის ადრესატი.

კრუპენსკი ვასილი (-1879) – თბილისის გუბერნატორის საგანგებო დავალებათა უმცროსი შემსრულებელი, ლეიიბგუსარი. გარდაიცვალა ტეკინის რაზმში მსახურების დღროს. 195.

ლაზარევი ალექსანდრე ივანეს ძე (1858-1913) – გენერალ-მაიორი, ცხოვრობდა თბილისში, მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციაში, გატაცებული იყო ცხენოსნობით, გენერალ-ლეიტენანტ ივანე დავითის ძე ლაზარევის ვაჟი. 40.

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1820-1879) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. 14, 27, 37, 39, 87, 95, 102, 165, 174, 178, 183, 187, 189, 195, 207.
წერილების ადრესატი.

ლიზა – პიროვნება დაუდგენელია. 210.

ლიმანოვსკი ვლადიმერ ანტონის ძე (1826-) – გენერალ-ლეიტენანტი. 107, 115.

ლომაკინი ნიკოლოზ პავლეს ძე (1830-1902) – ინფანტერიის გენერალი, თურქესტანის დაპყრობების მონაწილე. 207.

ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888) – გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და უანდარმერიის შეფი, რუსეთის

პირველი კონსტიტუციის პროექტის ავტორი. ალექსან-დრე II-ის მკვლელობის შემდეგ, რომლის უსაზღვრო ნდობითაც სარგებლობდა, თანამდებობიდან გადადგა და დარჩენილი წლები, ძირითადად, უცხოეთში გაატარა. სომხური წარმოშობის მიუხედავად, თავს ქართვე-ლად თვლიდა და მონანილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1888 წელს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში. 1889 წელს ჩამოასვენეს და დაკრძალეს თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში. 24, 26, 28, 187.

მაკო – პიროვნება დაუდგენელია. წერილიდან ვიგებთ, რომ მისი დისწული, რომელიც ტატო ყიფიანის (დაუდგენელია) ქალიშვილი ყოფილა, 1878 წელს ცოლად შეურთავს დუმბუზაშვილ სულხანოვს. 20.

მამაცაშვილი – პოლკოვნიკი. 1879 წლის 19 აპრილის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მან იქორწინა სამოქალაქო მრჩევლის, ერასტი ზაალის ძე ჩოლოყაევის (ჩოლოყაშვილი), ქალიშვილზე. 136.

მამაცოვი – 1878 წლის 15 სექტემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჯარის უფროსს ნუხში სასწრაფო დაბრუნება უბრძანა, რის შემდეგაც მტერი შევიდა გუინუქში. 85.

მალალაშვილი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე (1843-1907) – საიმპერატორო კარის კამერჰერი. 157.

მალალოვი – 1879 წლის 22 მაისის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ის იმ პერიოდში ქორწინდებოდა ვინმე კეკე ბარათოვაზე (ბარათაშვილზე). 144.

მაყაშვილი დიმიტრი (ჭიტიკო) – პიროვნება დაუდგენელია.

1878 წლის 12 დეკემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ლამაზი და ქართული სამოსის ერთგული ცოლი ჰყავდა. 102.

მაჩაბელი დიმიტრი (ჭიტიკო) იესეს ძე (1849-) – 1878 წლის 28 ივნისით დათარილებული წერილის მიხედვით, რამდენიმე წლით ადრე საბედისწერო ჩხუბში მოუკლავს ორი ძმა ციციანოვი, რის გამოც სასამართლომ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა. განჩინების აღსრულებამდე ორი წელი თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა ჭლექით მძიმედ დაავადებული. 47.

მაჩაბელი ვასილი (ვასო) გოორგის ძე (1845-1918) – თავადი, ვექილი, საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის ძმა. 131, 154, 219, 221, 223.

მაჩაბელი ზალ (ზალიკო) იესეს ძე – 1878 წლის 28 ივნისით დათარილებული წერილის მიხედვით, მის ძმას, დიმიტრის (ჭიტიკოს), რამდენიმე წლით ადრე საბედისწერო ჩხუბში მოუკლავს ორი ძმა ციციანოვი, რის გამოც სასამართლომ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა და ზალმა თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, რომ ნება დაერთო, ჭლექით მძიმედ დაავადებული ძმა წაეყვანა სამხედრო ჰოსპიტლიდან საკუთარი თავდებობის ქვეშ. 47.

მაჩაბელი იესე სიმონის ძე (1824-1885) – ქართველი თავადი.

1878 წლის 28 ივნისით დათარილებული წერილის მიხედვით, რამდენიმე წლით ადრე საბედისწერო ჩხუბში მის შვილს, დიმიტრის (ჭიტიკოს) მოუკლავს ორი ძმა ციციანოვი, რის გამოც სასამართლომ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა და მამამისმა, როგორც ჩანს, თხოვ-

ნით მიმართა გრიგოლ ორბელიანს, ეშუამდგომლა ხე-ლისუფლების წინაშე, რომ მისთვის ნება დაერთოთ, ჭლექით მძიმედ დაავადებული შვილი საკუთარი თავ-დებობის ქვეშ წაეყვანა სამხედრო ჰოსპიტლიდან. 64.

მაჟმად ალა – 1878 წლის 15 სექტემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის სამსახურში მყოფი მთიელი. ერთ-ერთი არეულობის დროს მოკლული ბე-გისა და საციმბიროდ განწესებული მთიელის ძმა. 85.

მეზენცოვი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (1827-1878) – რუსეთის სამხედრო სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, იმპერიის უანდარმერის უფროსი. 60.

მელიქიშვილი ივანე (ვანო) ლევანის ძე (1843-18???) – პოლკოვ-ნიკი, მაიკო ქაიხოსროს ასულ ორბელიანისა და გენე-რალ-ლეიტენანტ ლევან მელიქიშვილის უფროსი ვაჟი, შეენირა აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. 16, 24, 26.

მელიქიშვილი ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დაწინაურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქ-ნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლობასაც მიაღწია. იყო მე-ფისნაცვლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევ-რი. 4 თვის განმავლობაში ნახჭევანში ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. ცოლად ჰყავდა მამუ-კა ორბელიანის ქალიშვილი ალექსანდრა. დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში. 13, 24, 26, 53, 82, 113, 222.

წერილების ადრესატი.

მელიქიშვილი მარიამ (მაკალო) ყორხმაზის ასული (1847-) – ლუარსაბ მაღალაშვილის მეორე ცოლი. 157, 158.

მელიქიშვილი ნინო ივანეს ასული – გენერალ-ლეიტენანტ ლევან მელიქიშვილის და. 24, 26, 84.

მინკევიჩი ივანე ივანეს ძე (1826-1897) – პოლონერი წარმოშობის რუსი ექიმი, 1853-1856 წლების ყირიმის ომის მონაწილე, 1856 წლიდან კავკასიის არმიის მთავარი ქირურგი. კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთერთი დამფუძნებელი. 107.

მურადოვი – 1879 წლის 20 თებერვლის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, პეტერბურგის მიწათმოქმედების ინსტიტუტის კურსდამთავრებული. 123, 138.

მურავიოვ-ყარსელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794-1866) – კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი 1854-1856 წლებში, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 15.

ნაკაშიძე ალექსანდრე დავითის ძე (1837-1905) – კავალერიის გენერალი, ელიზავეტოპოლის (განჯის) გუბერნატორი. იყო გენერალ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინის ადიუტანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების გმირი. 82, 154, 222.

ნაპოლეონ I (1769-1821) – მსოფლიო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, საფრანგეთის რევოლუციის გენერალი, პრემიერ-კონსული, საფრანგეთის პირველი იმპერატორი 1804-1815 წლებში. ევროპის სახელმწიფოების კოალიციასთან საბოლოოდ დამარცხებული. ევროპაში გაბატონების მსურველი ნაპოლეონი გადაა-

სახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც ექვსი წლის
შემდეგ გარდაიცვალა. 99, 178.

ნეპოკოჩიცი არტურ ადამის ძე (1813-1881) – ინფანტერიის
გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სამხედრო და სა-
ხელმწიფო საბჭოების წევრი, კავკასიის, ყირიმისა და
რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების აქტიური
მონაწილე. 59.

ნერსესოვი (ნერსესიანცი) მირზა იუსუფი (ოვსეფი) – სომეხი
ისტორიკოსი და მწერალი. ცნობილია ასევე, როგორც
მირზა იუსუფ ყარაბაღელი. მოღვაწეობდა მე-19 საუ-
კუნეში. მისი მთავარი ნაშრომი „თარიხე საფი“ წარმო-
ადგენს მნიშვნელოვან წყაროს კავკასიის რეგიონის
შესასწავლად. მასში აღწერილია კავკასიის ხალხების
ისტორია, კულტურა და სოციალური მდგომარეობა.
38.

ნერსესოვი ნერსეს იუსუფის ძე (1848-1894) – იურისტი, მოს-
კოვის უნივერსიტეტის პროფესორი. 38.

ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე (1821-1899) – ბარონი, სა-
ხელმწიფო საბჭოს წევრი. 1863 წელს დაინიშნა სენა-
ტორად და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმარ-
თველოს უფროსად, ასევე ამავე სამმართველოში –
ამიერკავკასიაში გლეხთა მდგომარეობის კეთილმოწ-
ყობის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ,
1864 წლიდან მუშაობდა სახალხო სასწავლებლების
სანიმუშო წესდებისა და საგლეხო და სასამართლო
რეფორმების შემმუშავებელ კომისიებში. 1881-1882
წლებში იყო რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების
მინისტრი. ცოლად ჰყავდა სოფიო ალექსანდრეს ასუ-
ლი ჭავჭავაძე. 54, 83, 183, 188, 194, 195, 199.

წერილების ადრესატი.

ნიკოლაი-შერვაშიძისა მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული
(1859-1919) – ფრეილინა, ბარონ ალექსანდრე პავლეს
ძე ნიკოლაისა და სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭა-
ვაძის შვილი, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძის მეუღ-
ლე. 54, 55, 83, 105, 120, 157, 189, 194, 195, 199, 210.

ნინო (ნინოჩა) – წერილების მიხედვით, გენერალ ნიკო ზურა-
ბის ძე ჭავჭავაძის შვილი. გენეალოგიური ნუსხის მი-
ხედვით, ნიკოს შვილები არ ჰყოლია, მაგრამ გრიგოლ
ორბელიანის წერილებში ნახსენებია მისი ქალიშვილის
ქორწილი. 37.

ნოე – ბიბლიური პერსონაჟი. კიდობნის ამგები. 84.

ნოვოსელსკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1818-1898) – რუსი
მეწარმე, ოდესის ქალაქის თავი, საიდუმლო მრჩევე-
ლი. 1858 წელს დააარსა სარკინიგზო სააქციონერო
საზოგადოება. 21.

ოგოლინი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1821-1911) – რუსეთის
იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, სენატორი, ნამდვილი
სამოქალაქო მრჩეველი, თბილისის სასამართლო პა-
ლატის თავმჯდომარე, ქუთაისისა და ვიტებსკის გუ-
ბერნატორი. 94.

ოზეროვა-შახოვსკისა ოლლა ალექსანდრეს ასული (1848-1924)
– გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ივანეს ძე შახოვ-
სკის მეორე მეუღლე. 1903 წელს აღიკვეცა მონაზ-
ვნად. 20.

ოკლობჟიო ელენე (ელიჩა) ივანეს ასული – კავკასიის ომების აქტიური მონაწილის, გენერალ-ლეიტენანტ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს, და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის შვილი. 44, 49, 158, 159, 172, 173, 174.

ოკლობჟიო ივანე დიმიტრის ძე (1821-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების აქტიური მონაწილე. ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის მეუღლე. 19, 20, 21, 24, 29, 32, 44, 48, 49, 51, 69, 72, 94, 95, 100, 103, 104, 106, 109, 140, 159, 173, 193, 196.
წერილების ადრესატი.

ოკლობჟიო ნინა (ნინოჩა) ივანეს ასული (-1917 წლის შემდეგ) – კავკასიის ომების აქტიური მონაწილის, გენერალ-ლეიტენანტ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს, და ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანის შვილი. 1911 წელს ცოლად გაჰყვა ლევანდოვსკის. 44, 49, 94, 159, 174.

ოკლინიჩი ნიკოლოზ ანდრიას ძე (1827-1871) – რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვანე, გენერალური შტაბის მაიორი, ციმბირის ყირგიზების ოლქის გუბერნატორი და ჯარების სარდალი, ციმბირის კაზაკების მეთაური. 125, 187.

ოლქიაშვილი – 1879 წლის 31 თებერვლის⁷ წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ოლქიაშვილსა და ვინმე გალუმაშვილს კუმისის სასამართლოში დავა ჰქონიათ სახლის მამულზე. სასამართლოს მისი გამამართლებე-

⁷ ეს თარიღი უწერია ავტორს. ქ. გ.

ლი განაჩენი გამოუტანია. ამით უკმაყოფილო გალუ-
მაშვილი მას არ აძლევდა მამულის მოხმარების უფ-
ლებას და ფიზიკურად ემუქრებოდა. 128, 129.

ონიკაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (-1885) – გრიგოლ
ორბელიანის მეგობარი. 154, 158, 163, 173.

ონიკოვი – 1878 წლის 7 / 8 თებერვლის წერილში დაცული
ინფორმაციის თანახმად, მას შეუსყიდია გრიგოლ ორ-
ბელიანის ნათესავის, ალექსანდრე დავითის ძე ორბე-
ლიანის, სახლი ათას თუმნად. 15.

ოპოჩინინა-სტატკოვსკისა ნინა ალექსეის ასული – გენერალ
ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბე-
ლიანის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბე-
ლიანის, ქალიშვილი. 16.

ოპოჩინინი ალექსეი პეტრეს ძე (1807-1885) – ინფანტერიის გე-
ნერალი, გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის
ასულ ორბელიანის, მეუღლე. თბილისის კომენდანტი
1868-1885 წლებში. 16, 60, 154, 159, 180, 210.
წერილის ადრესატი.

ოპოჩინინი ვლადიმერ (ვალოდია) პეტრეს ძე (1878-1944) – რუ-
სი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, უურნალისტი.
გარდაიცვალა ნიცაში (საფრანგეთი). 84, 210.

ოპოჩინინი პეტრე ალექსეის ძე (1853-1907) – გენერალ ალექ-
სეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბელიანის
ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის,
შვილი. 81, 84, 154, 159, 210.

ოპორტინიტისა მარია – პეტრე ალექსეის ძე ოპორტინიტის მეუღლე. 210.

ორბელიანი ალექსანდრე – წინა წლების წერილებში იხსენიება, როგორც „ბიძია ალექსანდრე.“ ჰყავდა უკანონო შვილები, მაგრამ თავის მემკვიდრედ დაასახელა ილია ორბელიანის ვაჟი გიორგი. 133, 216.

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (1828-1869) – ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი. 1858-1864 წლებში იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღვილი, მარშალი, დავით ორბელიანისა და მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანის ვაჟი. 15, 187, 190.

ორბელიანი ალექსანდრე (სანდო, საშა) ესტატეს ძე (1835-1897) – შტაბს-კაპიტანი, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღვილი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ესტატე იოსების ძე ორბელიანისა, და მაკრინე ივანეს ასულ სულხანიშვილ-ორბელიანის ვაჟი. 17, 24, 26, 41, 131.

ორბელიანი ალექსანდრე ივანეს ძე (1847-1919) – გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 157.

ორბელიანი ასლან ნიკოლოზის ძე (1767-1826) – სამხედრო პირი, გიორგი XII-ის ეშიკალაბაში,⁸ გრიგოლ ორბელიანის ბიძა. ფლობდა სპარსულ ენას. 148.

⁸ სამეფო დარბაზობის დროს ეშიკალაბაში დარბაზის მსვლელობას აწესრიგებდა.

ორბელიანი-ბარიატინსკისა ელისაბედ დიმიტრის ასული (1833-1899) – თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის, მეორე მეუღლე. 91, 159.

ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია (ტასო) დავითის ასული (1825-1907) – გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, მეორე ცოლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინისა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშელიანმა 1857 წელს. მეუღლის მკვლელობის შემდეგ დასახლდა მის მამულში, ყირიმში, სადაც ააგო ციხე-სიმაგრე, გამოირჩეოდა მოსახლეობისადმი მზრუნველობით. 15, 45, 56, 60, 68, 113, 145, 152, 153.

ორბელიანი გიორგი ილიას ძე (1853-1924) – გენერალ-ლეიტენანტი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას, შვილი (ტყუპისცალი), რუსეთ-იაპონიის, რუსეთ-თურქეთის ომებისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. 1886 წელს იქორწინა მარიამ ალექსანდრეს ასულ ორბელიანზე. გარდაიცვალა საფრანგეთში. დაკრძალულია იქვე. 17, 20, 24, 26, 37, 58, 59, 60, 87, 94, 95, 114, 116, 118, 119, 120, 124, 125, 126, 131, 132, 136, 140, 141, 145, 146, 153, 154, 159, 164, 165, 166, 169, 178, 183, 194, 196, 202, 216, 217, 219, 221, 223.
წერილების ადრესატი.

ორბელიანი გრიგოლ ზურაბის (დიმიტრი) ძე (1804-1883) – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი. ეკავა სხვადასხვა სამხედრო თუ პოლიტიკური თანამდებობა. სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ (1859) აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ასრუ-

ლებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობასაც. 104.

ორბელიანი გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე (1836-1887) – შტაბს-კაპიტანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი. 13, 17, 20, 24, 81, 105, 108, 172.

ორბელიანი დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე (1806-1882) – გვარდიის „პოდპორუჩიკი“ (1832), საზოგადო მოღვაწე, თეკლე ბატონიშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის სიმამრი. 89.

ორბელიანი-ერისთავისა ეკატერინე ასლანის ასული (1802-1877) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, შალვა რევაზის ძე ქსნის ერისთავის მეუღლე. 16, 221, 223.

ორბელიანი-თარხან-მოურავისა ბარბარე (ბაბო) მამუკას ასული (1842-1913) – იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავის მეუღლე. 141, 157, 163, 173.

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1824-1893) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი. მოიხსენიებდნენ „მანანიჩად.“ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 68, 71, 131, 134, 136, 145, 154, 157, 158, 159, 162, 172, 174, 177.

ორბელიანი ივანე (ვანო) კონსტანტინეს ძე („ვანკა პაულინი“) (1830/3-1892) – ფლიგელ-ადიუტანტი, გენერალ-მაიორი 1887 წლიდან. გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, შვილი. მსახუ-

რობდა კავკასიის სამხედრო ოლქში, მეთაურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილს. სიცოცხლის ბოლო წლები რუსეთში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კი-დეც. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. 69, 104, 106, 113, 131, 159.

წერილების ადრესატი.

ორბელიანი ივანე მამუკას (მაკარის) ძე (1844-1919) – გენე-რალ-მაიორი, კავკასიის კაზაკთა დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაური, მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორ-ბელიანისა და ქეთევან გიორგის ასულ ერისთავის ვა-ჟი, მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას მეუღლე. 217.

ორბელიანი იოსებ (სოსიკო) კონსტანტინეს ძე (1824-1879) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების მონაწილე, წმინდა გიორგის ორდენის კავალე-რი, ალაზნის ხაზის ჯარების სარდალი. გრიგოლ ორ-ბელიანის ბიძაშვილიშვილი. 13, 16, 18, 20, 25, 42, 43, 44, 49, 69, 72, 81, 82, 104, 105, 107, 108, 111, 114, 115, 187, 190, 221, 223.

ორბელიანი კონსტანტინე (კოტე) მამუკას ძე (1846-1912) – რუ-სეთის არმიის მაიორი, გრიგოლ ორბელიანის ნათესა-ვი. 15, 95.

ორბელიანი მამუკა თამაზის (თომას) ძე (1800-1871) – თამაზ ორბელიანისა და ქეთევან ქობულაშვილის მეორე ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ჩრდილოეთ კავკა-სიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლების, რუსეთ-ირა-ნის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829), ყი-რიმის (1853-1856) ომების, ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის, აწყურის ბრძოლების მონაწილე. 15.

ორბელიანი მარიამ (მაკა) ალექსანდრეს ასული (1868-1915) – ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანისა და მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილის ქალიშვილი. 1886 წელს ცოლად გაჰყვა გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილს – გიორგი ილიას ძე ორბელიანს. 160.

ორბელიანი მარიამ ვახტანგის ასული (1852-1941) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ქველმოქმედი, სამეცნ ოჯახის წევრი, თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. 120, 136.

ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა (საშა; ანა) მამუკას ასული (1835-1914) – გენერალ-ლეიტენანტ ლევან მელიქიშვილის მეუღლე. მან იშვილა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის დაობლებული შვილი. თვითონ სამი ვაჟი შეეძინა ლევანთან. 24, 26, 84.

ორბელიანი-ოკლობუჟიოსი ანასტასია (ტასო) კონსტანტინეს ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი, გენერალ-ლეიტენანტ ივანე დიმიტრის ძე ოკლობუჟიოს მეუღლე. 13, 17, 18, 24, 32, 49, 60, 71, 80, 94, 100, 107, 108, 114, 115, 156, 159, 166, 221. წერილების ადრესატი.

ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე (ბაბალე) იაკობის ასული (1820-) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ-მაიორ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის მეუღლე. 20, 53, 60, 154, 159, 199, 210.

წერილის ადრესატი.

ორბელიანისა ალექსანდრა (საშა) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის („ვანკა პაჟარნი“), მეულლე. 17, 34, 106, 109.

ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული (1829-1879) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეულლე. 53, 60, 108, 136, 165, 166, 182, 193, 195, 206, 221, 222, 223.

წერილის ადრესატი.

ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე (1813-1878) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 16, 20, 22, 26, 42, 49, 51, 52, 53, 66, 67, 80, 94, 111, 120, 160, 176, 221, 222.

წერილების ადრესატი.

ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა სოფიო (სოფო; ხორეშან) კონსტანტინეს ასული (1827-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი, ზურაბ დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილის მეულლე. 13, 18, 19, 20, 24, 44, 49, 72, 104, 105, 156, 172, 173.

ორბელიანი-წულუკიძისა ნინო (ნინუცა) ყაფლანის ასული (1839-) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, ქალიშვილი. 1864 წელს იქორნინა თავად დიმიტრი პაატას ძე წულუკიძეზე. 51, 160, 171.

ორლოვსკი – 1878 წლის 10 ივნისის წერილში დაცული ინ-
ფორმაციის თანახმად, უანდარმი. 43.

**ოსტენ-საკენი ფონ დერ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე (1833-
1884)** – ბარონი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე,
კავკასიის ომის მონაწილე, საიდუმლო მრჩეველი,
სტავროპოლისა (1873-1876) და თბილისის (1876-
1877) გუბერნატორი, სალომე დავითის ასულ ჭავჭა-
ძის მეუღლე. 17, 60, 123, 154, 159, 166.
წერილის ადრესატი.

პავლოვი – 1879 წლის 11 / 13 ივნისის წერილში დაცული ინ-
ფორმაციის თანახმად, მას იმ პერიოდში ცოლად შე-
ურთავს შენინგის (პიროვნება დაუდგენელია) ქალი.
160.

პალიბინი ვლადიმერ ივანეს ძე (1822-) – გენერალ-მაიორი,
მსახურობდა კავკასიაში. 1876 წელს მიიღო გენერალ-
მაიორის წოდება. როგორც ჩანს, 1877 წლამდე ის აქ-
ტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის ცხოვრებაში,
რადგან, ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ამ წელს
ის თბილისის კლუბიდან გარიცხეს სომეხთა სავაჭრო
კეთილსინდისიერებაში დაეჭვების გამო. 18.

პასკევიჩი ივანე თევდორეს ძე (1782-1856) – გენერალ-ფელ-
დმარშალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის იმპერიის
სამხედრო მოღვაწე, რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუ-
სეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების დროს იყო
კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, ხელმძღვანე-
ლობდა პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების ჩახ-
შობას, მიენიჭა ვარშავის პრინცის, ხოლო მანამდე,
1828 წელს, ერევნის გრაფის წოდებები. 1831 წელს
დაინიშნა პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლად. უნ-
გრეთის 1848-1849 წლების რევოლუციის დროს სარ-

დლობდა რუსეთის არმიას. აქტიური მონაწილეობა მი-
იღო ყირიმის ომში. 15.

პაცევიჩი ნატალია ვასილის ასული – ჩინოვნიკის ქვრივი, მუ-
შაობდა მოწყალების დად ქუთაისის ჰოსპიტალში. მძი-
მე ავადმყოფობის, ტიფისა და წითელი ქარის, გადა-
ტანის შემდეგ დაკარგა მხედველობა. ჰყავდა 6 შვილი.
45.

პეშჩუროვი პეტრე ალექსეის ძე (1829-1898) – რუსეთის იმპე-
რიის საიდუმლო მრჩეველი და კავკასიის მეფისნაც-
ვლის სამოქალაქო საქმეთა მთავარი სამმართველოს
დირექტორი. 187, 193.

პოდკატილინი იგორი – 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის
ომის მონაწილის, სტეფან იგორის ძე პოდკატილინის,
მამა. 1878 წლის 20 სექტემბრის წერილში დაცული ინ-
ფორმაციის თანახმად, ფლიგელადიუტანტ დიმიტრი
ბორისის ძე გოლიცინისადმი რწმუნებული ვოლგის მე-
2 პოლკის ნაფიცი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანმა
პოლკში შესვლის წინ რეკომენდაცია გაუწია ნახსენებ
გოლიცინთან „ურიადნიკად“ დასაწინაურებლად. 86.

პოტიომკინი გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1739-1791) – რუსეთის
სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელ-
დმარშალი, 1762 წლის სასახლის გადატრიალების ორ-
განიზატორი, ეკატერინე II-ის უახლოესი თანამებრძო-
ლი და ფავორიტი, ხელი შეუწყო ჩრდილოეთ შავიზ-
ლვისპირეთის ათვისებას, ხელმძღვანელობდა შავი
ზღვის ფლოტის მშენებლობას, რუსეთის ჯარების
მთავარსარდალი რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლებ-
ში. 130.

ჟირარდენი ემილ დე (1802/1806-1881/1884) – ფრანგი ჟურნალისტი, გამომცემელი და პოლიტიკოსი. ცნობილია მასობრივი პრესის განვითარებაში შეტანილი წვლილით და გაზეთ *La Presse*-ის (1836) დაარსებით, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც რეკლამების მეშვეობით გამოიმუშავა შემოსავალი, რითაც გაზეთების ფასი მნიშვნელოვნად შეამცირა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. აქტიურად მონანილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო რესპუბლიკური იდეების მხარდამჭერი, თუმცა დროთა განმავლობაში სხვადასხვა რეჟიმთან თანამშრომლობდა. 29.

რადეცკი თეოდორ თეოდორის ძე (1820-1890) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე, რუსეთისა და ბულგარეთის ეროვნული გმირი. 59, 95, 125, 187, 189.

რეიტერი ივანე ნიკოლოზის ძე (1837-1911) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, 1894-1904 წლებში იყო თბილისის კომენდანტი. 180, 181.

რერბერგი ნატალია ნიკოლოზის ასული (1837-1901) – თბილის საქველმოქმედო საზოგადოების წევრი; პეტრე რერბერგის მეუღლე, რუსი სამხედრო მოღვაწის, გენერალ-მაიორ პეტრე რერბერგის, დედა. 95.

რომანოვა ანასტასია მიხეილის ასული (1860-1922) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ქალიშვილი, პეტროგ ფრიდრიხ ფრანც III-ის მეუღლე. გამოიჩინეოდა განსაკუთრებული სილამაზითა და კეთილშობილებით. გარდაიცვალა საფრანგეთში. 28, 91, 99, 109.

რომანოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1866-1933) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ვაჟი, დიდი მთავარი, რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რუსული სამხედრო ავიაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. 99.

რომანოვი გიორგი მიხეილის ძე (1863-1919) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ვაჟი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი. 1915-1916 წლებში განსაკუთრებული მისით იმყოფებოდა იაპონიაში. 1900 წელს იქორწინა მარია გიორგის ასულზე, საბერძნეთის პრინცესაზე. მოკლეს ბოლშევიკებმა პეტ-რე-პავლეს ციხე-სიმაგრეში. 31, 35, 99.

რომანოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1827-1892) – დიდი მთავარი, გენერალ-ადმირალი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1865-1881 წლებში, პოლონეთის მეფის-ნაცვალი 1862-1863 წლებში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის უმცროსი ძმა. 146, 221.

რომანოვი მიხეილ მიხეილის ძე (1861-1929) – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ვაჟი. ბავშვობა გაატარა თბილისში. 1881 წლიდან მსახურობდა ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში, სადაც მალე მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. 1891 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ისა და მშობლების ნებართვის გარეშე იქორწინა ალექსანდრე პუშკინის შვილიშვილზე, გრაფინია სოფია ნიკოლოზის ასულ მერენბერგზე (დეტორბიზე), რის გამოც განთავისუფლდა სახელმწიფო სამსახურიდან და ჩამოერთვა ყველა უფლება, აეკრძალა რუსეთში შესვლაც. ამის გამო ის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა საფრანგეთსა და ინგლისში. გარდაიცვალა ლონდონში. 31, 35, 99.

რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე შვილი, იმპერატორ ალექსან-დრე II-ის ძმა, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ფელდცეისტერი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდო-მარე, რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე. 1862 წლიდან 20 წლის განმავლობაში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი. 28, 110.

რომანოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე (1859-1919) – რუსეთის იმ-პერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომა-ნოვის უფროსი ვაჟი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტე-რიის გენერალი, ისტორიკოსი, რუსული მუზეუმის დი-რექტორი პეტერბურგში. მასონი, საიდუმლო ფრანგუ-ლი საზოგადოება „ბიქსიოს“ წევრი. მოკლეს ბოლშევი-კებმა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში. 99, 206.

როსლავლიოვი მიხეილ ივანეს ძე (1822-1887) – გენერალ-ლეი-ტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1853-1856 და 1877-1878 წლების ომების მონაწილე, ერევნის სამხედრო გუბერ-ნატორი. 210.

რუმიანცევი პეტრე ალექსანდრეს ძე (1725-1796) – რუსი მხე-დართმთავარი, გრაფი, გენერალ-ფელდმარშალი, სამ-ხედრო თეორეტიკოსი. 130.

საბინინი მიხეილ (გობრონი) პავლეს ძე (1845-1900) – ბერი გობ-რონი, საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსი, თბილი-სის გიმნაზიისა და პეტერბურგის სასულიერო აკადე-მიის კურსდამთავრებული. 205.

საგინაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1887) – რუსე-თის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. განათლება მიიღო

თბილისის თავადაზნაურთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1826 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829, 1877-1878) და კავკასიის ომებში. 1869 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის ასულ ბარათაშვილის, შვილი და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგლონის ასულ ორბელიანის, მეუღლე. ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა ასაკით ბევრად უმცროს ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე (ილიას დაზე). ალექსანდრეს არცერთი ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია. 41, 72, 81, 105, 158.

წერილების ადრესატი.

საიათნოვა (1712-1795) – საქართველოში მოღვაწე სომეხი პოეტი, აშული, მომღერალი ერეკლე II-ის კარზე. 83, 186.

სანდრო – სავარაუდოდ, გრიგოლ ორბელიანის მსახური. 44.

საროკინი ივანე მაქსიმეს ძე (1833-1917) – რუსი მეცნიერი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. აქტიურად იკვლევდა ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედებას ორგანიზმზე. ასწავლიდა სასამართლო მედიცინასა და ტოქსიკოლოგიას იმპერატორის სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. 94.

სვიატოპოლკ-მირსკაია-ბარიატინსკისა ოლდა დიმიტრის ასული (1855-1898) – დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი. გათხოვებამდე იყო იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლის ფრეილინა, ალექსანდრე ანატოლის ძე ბარი-

ატინსკის მეუღლე. 99, 120, 165, 178, 198, 217.

სვიატოპოლკ-მირსკაია-დენისა ნინა დიმიტრის ასული (1852-1926) – დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი, სტავრო-პოლისა და ვიბორგის გუბერნატორის, გენერალ ვოლ-დემარ დენის (1838-1900) მეუღლე. 210.

სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისა მარიამ (მაიკო) დიმიტ-რის ასული (1853-1889) – დიმიტრი ივანე ძე სვიატო-პოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელია-ნის შვილი, გენერალ-მაიორ ივანე მამუკას ძე ორბე-ლიანის მეუღლე. 99, 136, 159, 165, 178, 198, 217.

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე (1824-1899) – გენე-რალი, კავკასიის, ყირიმის ომისა და რუსეთ-თურქე-თის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე, 1863-1867 წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, გრიგოლ ორბელიანის ბი-ძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქმარი. 24, 31, 35, 69, 72, 82, 113, 117, 120, 121, 161, 165, 176, 177, 180, 181, 182, 186, 192, 193, 195, 198, 206, 219, 221, 222, 223.
წერილების ადრესატი.

სვიატოპოლკ-მირსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1833-1898) – კავა-ლერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ვერა ილიას ასულ ბატონიშვილის მეუღლე, რუსეთ-თურქე-თის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, დონის კაზაკ-თა ჯარების მეთაური, გენერალ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ძმა. 182, 199, 210.

სვიატოპოლკ-მირსკი პეტრე დიმიტრის ძე (1857-1914) – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემნე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი. 219.

სიპახსალარი მირზა ჰუსეინ ხანი (1828-1881) – ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, რეფორმატორი პოლიტიკოსი და დიდი ვეზირი. 35.

სკობელევი მიხეილ დიმიტრის ძე (1843-1882) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბულგარეთის ეროვნული გმირი. 1879 წლის ბოლოს მან ჩაიბარა კასპიის რეგიონის ჯარების უფროსის თანამდებობა, რომელზეც ავადმყოფობის გამო უარი თქვა არზას არტემის ძე ტერლუკასოვმა. 59, 222.

სმირნოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1847-1889) – რუსი ბოჭანიკოსი და ეთნოგრაფი. ნიკოლოზ მიხეილის ძე სმირნოვისა და ფრეილინა ალექსანდრა იოსების ასულ როსეს ვაჟი. 1867 წელს დაამთავრა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. აქტიურად იკვლევდა კავკასიის ფლორასა და ფაუნას, მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში და ითვლებოდა კავკასიის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ. იყო არაერთი პროფესიული საზოგადოების წევრი. 89.

სოლომონი // სოლომონკა – გრიგოლ ორბელიანის მსახური ბიჭი. 42, 75.

**სპასოვიჩი ვლადიმერ დანიელის ძე (1829-1906) – პოლონელი
სამართალმცოდნე, ცნობილი ადვოკატი, პუბლიცისტი,
ისტორიკოსი, კრიტიკოსი. 94.**

**სტარიცკი იგორ პავლეს ძე (1825-1899) – რუსი სამართალ-
მცოდნე და მოსამართლე, სახელმწიფო საბჭოს წევრი,
ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. 146. წერილის ად-
რესატი.**

**სტაროსელსკი ლიმიტრი სიმონის ძე (1832-1884) – გენერალ-
ლეიტენანტი, ბაქოს გუბერნატორი, სენატორი, ამიერ-
კავკასიაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს
უფროსი, კავკასიის სამთო სამმართველოს თავმჯდო-
მარე, ოლღა გურამიშვილის დის, ეკატერინეს, მეუღ-
ლე. 45, 47, 56, 85, 106, 113, 139, 154, 158, 163, 173,
192, 193, 196, 198, 201, 221.**

წერილების ადრესატი.

**სულხანიშვილი-ორბელიანისა მაკრინე ივანეს ასული (1815-
1885) – აზნაურ ივანე სულხანიშვილის შვილი, გრი-
გოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ესტატე იოსების ძე
ორბელიანის, ქვრივი. 24, 26.**

**სუმბათაშვილი გიორგი (გიგო) ლუარსაბის ძე – მეფისნაცვლის
თანაშემწე საგანგებო დავალებათა შესასრულებლად.
107, 108, 115.**

**სუმბათაშვილი დავით ალექსანდრეს ძე (1831-1920) – გენე-
რალ-ლეიტენანტი, ყირიმისა და 1877-1878 წლების
ომის მონაწილე, 1879-1884 წლებში თბილისის გუბერ-
ნის თავადაზნაურთა წინამდლოლი, „ქართველთა შო-
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“
დამფუძნებელი წევრი. 19, 31, 34, 131, 180.**

სუმბათაშვილი ივანე მიხეილის ძე (1859-?) – სამხედრო პირი, ქე-
თევან გრიგოლის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ვა-
ჟი. მსახურობდა ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკში. 87.

სუმბათაშვილისა სონია (სონიჩვა) – სამხედრო პირის, ივანე მი-
ხეილის ძე სუმბათაშვილის, მეუღლე. 87.

ტასიკო – 1878 წლის 7 აპრილის წერილში დაცული ინფორმაციის
მიხედვით, გრიგოლ ორბელიანის ნათესავი. გარდაიცვალა
ყვავილით მცირე ასაკში, 1878 წელს. 26.

ტერ-ასატუროვი დიმიტრი ბოგდანის ძე (1836-1897) – თბილი-
სელი სომეხი. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი,
კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მო-
ნაწილე. 104.

ტერ-ოსეპიანცი ივანე სტეფანეს ძე – თბილისის კლასიკური
გიმნაზიის პედაგოგი. 117.

ტერლუკასოვი არზას არტემის ძე (1819-1881) – გენერალ-ლეი-
ტენანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878
წლების ომების მონაწილე, აფშერონის ქვეითი პოლკის
ბატალიონის მეთაური. 1879 წელს მას მიანდეს კასპი-
ის რევიონის ჯარების უფროსობა, მაგრამ ავადმყო-
ფობის გამო უარი თქვა ამ თანამდებობაზე და მის
ნაცვლად ჩაიბარა კავკასიის მე-2 არმიის კორპუსი. 14,
154, 158, 163, 173, 187, 189, 195, 199, 222.

ტიზენჰაუზენი ვლადიმერ თეოდორის ძე (1836-1901) – სიღნა-
ლის მაზრის უფროსი XIX ს-ის 70-იან წლებში. 43.

ტოლე – ჯერ ქალის ქუდების, ხოლო შემდეგ მრავალფეროვა-
ნი მაღაზიის მფლობელი თბილისში XIX ს-ის მეორე
ნახევარში. 19.

ტომიჩი პეტრე ივანეს ძე (1838-1911) – რუსეთის სახელმწიფო
მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, ყარსის ოლქის გუ-
ბერნატორი. 125.

ტორენტანი-ხიტროვოსი სოფიო – რუსი სახელმწიფო და სა-
ზოგადო მოღვაწის, ვასილი ნიკოლოზის ძე ხიტროვოს,
ცოლი. წარმოშობით იტალიელი. 157.

ტრუბცკოვი სერგეი ნიკიტას ძე (1829-1899) – ოპერ-ჰოდმარ-
შალი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფრო-
სი, საიმპერატორო ერმიტაჟის დირექტორი, სოფიო
ირაკლის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 103,
106, 157, 206.

უვაროვი ალექსეი სერგეის ძე (1825-1885) – გრაფი, რუსი არ-
ქეოლოგი, რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების
ერთ-ერთი ფუძემდებელი, არქეოლოგიური ყრილობე-
ბის ინიციატორი. 202, 206, 207.

უსუფოვი მუსა ალა – „პორუჩიკი“, ილია ორბელიანის თანა-
მებრძოლი. 101.

ფავლენიშვილი ელისაბედ სოლომონის ასული – სოფიო ბუჭ-
ყიაშვილის დედა. დამატებითი ცნობები არ მოგვეპო-
ვება. 105.

ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ელისაბედ (ლიზა)
ნიკოლოზის ასული (1840-1916) – კონსტანტინე (კოტე)
ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. 120, 157,
177.

**ფალავანდიშვილი-ორბელიანისა მარიამ (მაკრინე, მაშა) ნიკო-
ლოზის ასული** (1852-) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშ-

ვილიშვილის, შტაბს-კაპიტან ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლე. 20, 24, 26, 41, 42, 104, 105, 108, 160.

ფირადოვი ბალდასარ ბეჟანის ძე – თბილისის უანდარმთა სამ-მართველოს თარჯიმანი. 105.

ფირანიშვილი ნიკო – 1878 წლის 5 სექტემბრის წერილში და-ცული ინფორმაციის თანახმად, იგი ვინმე ნაკაშიძეს შვებულების დროს გაუთავისუფლებია სამსახურიდან. 82.

ფისუნი ალექსანდრე ალექსეის ძე – კავკასიაში მოღვაწე მოხე-ლე. დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება. 98, 120, 121.

ფოქრო (ფოხრო) ნიკოლაევიჩი – თბილისის მოქალაქე. 1879 წლის 26 მარტის წერილში დაცული ინფორმაციის თა-ნახმად, ივანე დავითის ძე ორბელიანისა და სერგეი ალექსეის ძე შერემეტიევის ახალგაზრდობის მეგობა-რი. 1879 წლის ივლისის წერილიდან კი ირკვევა, რომ ცხოვრობდა კინლრუსტში, დღევანდელი ზოოპარკის ტერიტორიაზე. 134, 172.

ფრანკინი ვიქტორ ანტონის ძე (1820-1892) – გენერალ-ლეიტე-ნანტი, სამხედრო მწერალი, ყარსის პირველი გუბერ-ნატორი. 207.

ფრიდრიხ ფრანც III (1851-1897) – მექლენბურგ-შვერინის დიდი ჰერცოგი 1883-1897 წლებში, ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვას მეუღლე. 28, 33, 87, 91, 99, 106, 110, 120.

ქეთევანი – გენერალ ნიკო ჭავჭავაძის დეიდაშვილი, სავარაუ-დოდ, დედით რუსიშვილი. დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება. 37.

ქიშმიშევი სტეფანე იოსების ძე (1833-1897) – გენერალ-ლეი-ტენანტი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების აქტიური მონაწილე. 125.

ქსენოფონტე (ძვ.წ. 430-ძვ.წ. 356) – ძველი ბერძენი მწერალი, ისტორიკოსი, მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. მისი მთავარი ნაწარმოებია „ანაბასისი“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ბერძნულ და რო-მაულ პროზაზე. 206, 207.

ლოპაჟ თეოდორ ივანეს ძე – რუსი სამხედრო პირი, მთავარ-სარდლის შტაბის მაიორი. მონაწილეობდა კავკასიის ომებში. მსახურობდა სტავროპოლის გუბერნატორის თანამდებობაზე (1863-1867). 187.

ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე (1839/40-1921) – რუსეთის არ-მის ინფანტერიის გენერალი, სამხედრო მწერალი, გე-ოგრაფი, ივანგოროვიდის, ვარშავისა და ვლადივოსტო-კის ციხე-სიმაგრეების კომენდანტი, ხაპაროვსკის გე-ნერალ-გუბერნატორი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომების აქტიური მონაწილე, 1908-1918 წლებში იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ხოლო 1918 წლიდან გარდაცვალებამდე – საპატიო თავმჯდომარე. 20, 125.

ყაზიევი აბდულსალამ ბეგი – დაბალი ჩინის სამოქალაქო ჩი-ნოვნიკი, გუბერნიის მდივანი, მსახურობდა კავკასიაში. 25.

ყასუმოვი ახუნდი მირი – პიროვნება დაუდგენელია. 203.

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) – ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი. 31, 34.

ყიფიანი ტატო – 1878 წლის 27 თებერვლის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, მისი ქალიშვილი, რომელიც ვინმე მაიკოს დისტულიც ყოფილა, 1878 წელს ცოლად შეურთავს დუმბუზაშვილ სულხანოვს. 20.

ყორლანაშვილი // ყორლანიანცი ანტონ სოლომონის ძე // (1838-1902) – კაპიტანი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, რომლის დამთავრების შემდეგ გადავიდა სამოქალაქო სამსახურში. 1879 წელს არჩეულ იქნა თბილისის თავად, მაგრამ მალევე გადადგა. ხელმძღვანელობდა თბილისის საკრედიტო საზოგადოებას. 108.

ყორლანაშვილი გაბრიელ ივანეს ძე (1806-1879) – გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე და მეცენატი, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და ყირიმის (1853-1856) ომების მონაწილე. უკანასკნელი ომის დროს ხელმძღვანელობდა ყარსის ციხის განიარაღებას. მსახურობდა ქუთაისის გუბერნიის სახაზო ბატალიონების ინსპექტორად. 43, 174.

შალიკაშვილი ივანე იოსების ძე (1813-1866) – გენერალ-მაიორი, ყირიმისა და კავკასიის ომების მონაწილე, ქართველ გრენადერთა პოლკის I ბატალიონის მეთაური. თავი გამოიჩინა ბაშკადიკლარის ბრძოლაში (1853).

შალიკაშვილი მიხეილ იაკობის ძე (1831-1909) – ინფანტერიის გენერალი, ყირიმის ომის მონაწილე, სხვადასხვა დროს იყო ერევნისა და ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუ-ბერნატორი. 210.

შალიკაშვილი სიმონ იოსების ძე (1808-1863) – გენერალ-მაიორი. მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში (1830-1850), ზაქათალის ოლქში, ქართველ გრენადერთა პოლკის ხაზინადრად (1850-1854). 60-იან წლებში იყო ზემო დალესტნის ჯარების უფროსი. 125.

შალიკოვი – 1878 წლის 28 დეკემბრის წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, ვინმე ბელოვსა და ედიგაროვს ჰყვარებიათ მისი ქალი, დუელიც ჰქონიათ, მაგრამ ორივე გადარჩენილა. 105.

შამილი (1798-1871) – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკუ-რი, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859), წარმოშობით დალესტნელი. მის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ – მიურიდიზმა – დალესტანი და ჩეჩენეთი, სადაც ის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებ-ლობდა, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისთვის გააერთიანა. 1859 წლის 28 აგვისტოს დაატყვევეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მედინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი), სადაც მოსალოცად იყო წასული. 84, 187, 189.

შარიბეგი – უთარილო წერილში (რომელიც 1879 წლის 17 დეკემბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი) დაცული ინფორმაციის თანახმად, აჭარელი ბეგი, რომელსაც რუ-სეთ-ოსმალეთის ომში იმპერატორისადმი გამოჩენილი

დიდი ერთგულებისა და სამსახურის გამო პირდაპირ უწყალობეს გენერლობა. 220.

შახოვსკი ალექსანდრე ივანე ძე (1822-1901) – რუსეთის არმიის გენერალი. მონაწილეობდა კავკასიის ბრძოლებში მთი-ელთა წინააღმდეგ. 132, 210, 216.

შახპარონიანცი – თბილისელი ექიმი. 107.

შელკოვნიკოვი (მეტაკსიანი) ბეგბუტ (ბორის) მარტიროსოვის (მარტინის) ძე (1837-1878) – რუსეთის არმიის გენერა-ლი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი. დაკრძალულია ვანქის ტაძარში. 20.

შენინგი – 1879 წლის 11 / 13 ივნისის წერილში დაცული ინ-ფორმაციის თანახმად, იმ პერიოდში მისი ქალი ცო-ლად შეურთავს ვინმე პავლოვს. 160.

შერემეტიევი სერგეი ალექსეის ძე (1836-1896) – გენერალ-ადიუ-ტანტი, კავალერიის გენერალი, ყუპანის ოლქის უფრო-სი, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 134, 157, 158, 162, 172, 218.

შერვაშიძე გიორგი დიმიტრის ძე (1847-1918) – თბილისის გუბერ-ნატორი 1889-1897 წლებში, აფხაზეთის მთავარ სეიათ-ბეის შვილი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-რცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 54, 55, 83, 189.

შირინსკაია-შიხმატოვა-სომოვისა მარია პავლეს ასული (1815-მდე-1883) – მიხეილ სომოვის მეუღლე, მარიამ ალექ-სანდრეს ასულ ორშელიანის გამზრდელი ბებია. 15.

ჩერქეზიშვილი-ხერხეულიძისა ანასტასია (ჭაბო) – გრიგოლ ორბე-ლიანის რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანის, დისშვილი. 19, 20, 59, 68, 72, 105, 160, 172, 178.

ჩოლოყაშვილი პიძინა ოთარის ძე (1831-1902) – გენერალ-მაიორი, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-ლებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 17, 21, 42, 136.

ჩოლოყაშვილი ერასტი ზაალის ძე – სამოქალაქო მრჩეველი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმის სამმართველოს წევრი. 1867 წელს დაინიშნა სასამართლოს მრჩევლის თანამდებობაზე. 105, 136.

ჩოლოყაშვილი-მამაცაშვილისა ელისაბედ ერასტის ასული – სახელმწიფო მრჩევლის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრის, ერასტი ზაალის ძე ჩოლოყაშვილის, შვილი. 105.

ჩხოტუა დავითი – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის, ერასტი ანდრეევსკის, ქალიშვილ ნინოს მკვლელობისთვის მიესაჯა კატორლა 20 წლით. 94.

ჩხოტუა ნიკოლოზი – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის, ერასტი ანდრეევსკის, ქალიშვილ ნინოს მკვლელობისთვის მიესაჯა კატორლა 20 წლით. 94.

ციციანოვები – 1878 წლის 28 ივნისის წერილში დაცული ინფორმაციის მიხედვით, რამდენიმე წლით ადრე საბედის-წერო ჩეუბში ორი ძმა ციციანოვი მოუკლავს დიმიტრი (ტიტიკო) იქსეს ძე მაჩაბელს, რის გამოც ამ უკანასკნელს სასამართლომ ციმბირში გადასახლება მიუსავა. 47.

წერეთელი ნესტორ დიმიტრის ძე (-1883) – გენერალ-მაიორი, იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი 1861-1867 და 1877-1883 წლებში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. 44.

წერეთელი სიმონ დავითის ძე (1853-) – საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. 105.

წერეთელი-ჩოლოყაშვილსა ნინო დავითის ასული (1847-1922) – გენერალ-მაიორ ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილის მეულლე. 17, 120.

ჭავჭავაძე-ასტაფიევისა ელენე დავითის ასული (1850-1929) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, გენერალ ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევის მეულლე. 41, 95, 99, 113.

ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისა თამარ დავითის ასული (1852-1933) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, ფრეილინა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგ-

რატიონ-გრუზინსკის მეუღლე. ორი წლის ასაკში შა-
მილის ტყვეობაში იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან
ერთად. დაკრძალულია სვეტიცხოველში. 41, 60, 82,
95, 99, 113, 145, 157, 194.

ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული (1816-1882) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგ-
რელოს მთავარ დავით დადიანის მეუღლე, სამეგრე-
ლოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი. მემკვიდ-
რის სრულწლოვანებამდე, მეუღლის გარდაცვალების
შემდეგ, 1853 წელს, რუსეთის იმპერატორმა რეგენ-
ტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს ეკატერინე პი-
რადად მონაწილეობდა ოსმალთა სარდალ ომარ ფაშას
წინააღმდეგ კამპანიაში. სამეგრელოს სამთავროს გა-
უქმების შემდეგ დასახლდა ჯერ სანკტ-პეტერბურგში
(სადაც „სტატს დამის“ წოდება მიანიჭეს და წმინდა
გიორგის მედლით დააჯილდოვეს), შემდეგ კი გერმა-
ნიაში გაემგზავრა. 60-იანი წლების ბოლოს, საფრანგე-
თის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ოჯახის მიწვევით,
შვილებთან ერთად საცხოვრებლად პარიზში გადავი-
და, შემდეგ კი დაბრუნდა საქართველოში. გარდაიცვა-
ლა გულის ავადმყოფობით. დაკრძალულია მარტვილის
მონასტერში, მეუღლის გვერდით.
წერილების ადრესატი.

ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1817-1884) – პოეტ ალექ-
სანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-
ლეიტენანტი, შტაბსკაპიტანი, მიხეილ ვორონცოვის
ადიუტანტი. მსახურობდა ლეიბგვარდიის გრენადერთა
პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856) ხელმძღვა-
ნელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან.
1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის
პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და მეფის ფლიგელ-

ადიუტანტი გახდა. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა და მეფის ამალაში ჩაირიცხა. ამავდროულად, კავკასიის არმიაშიც მსახურობდა. ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის ასული ანა (ანეტა). 15, 95, 192.

წერილის ადრესატი.

ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე (1825-1905) – გამოჩენილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი. 17 წლის ასაკში ნიუნი-ნოვგოროდის დრა-გუნთა პოლკში ჩაირიცხა მოხალისედ. 1885-1893 წლებში კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობდა. ოფიცირობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, „პრილიანტის ნიშანი“ და ალექსანდრე ნეველის | კლა-სის ორდენი გადაეცა. დაქრძალულია წინანდალში, საგვარეულო სასაფლაოზე. 28, 60, 94, 102, 158.

ჭავჭავაძე იასე ნოშრევანის ძე (1824-1898) – ნამდვილი სამო-ქალაქო მრჩეველი, საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი. 1850 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერ-სიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი კანდიდა-ტის ხარისხით. 43.

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907) – ქართველი საზო-გადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, მწერალი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი 1906-1907 წლებში. გადამწყვეტი წვლილი შეიტანა სა-ქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ლიბერალური ფასეულობების გავრცელებაში. ხშირად მას „საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ მოიხსენიე-ბენ. წერილების ადრესატი.

ჭავჭავაძე მარიამ (კაკო) დავითის ასული (1949-1921) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძის მეუღლე. გამოირჩეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. იყო შესანიშნავი ცხენოსანი. 87, 95, 99, 113, 120.

ჭავჭავაძე მელქისედევ (მიხეილ) ზურაბის ძე (1939-1877) – გენერალ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძის ძმა, მეტსახელად „ცუცა.“ 16.

ჭავჭავაძე ნიკო (ნიკოლოზ) ზურაბის ძე (1830-1897) – „დიდი ნიკო“, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის „პორუჩიკი“, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე, დასავლეთ დალესტნის სამხედრო გუბერნატორი 1866-1876 წლებში, განჯის გენერალ-გუბერნატორი 1876-1879 წლებში, დალესტნის ოლქის უფროსი და ჯარების სარდალი 1880-1883 წლებში. გარდაიცვალა დალესტნანში. 13, 19, 20, 32, 34, 44, 52, 84, 106, 114, 131, 136, 145, 154, 157, 158, 162, 172, 187-188, 193, 196, 198, 222.
წერილების ადრესატი.

ჭავჭავაძე ნიკოლოზ (ბუჟიიჩი) დიმიტრის ძე (1830-1903) – იურისტი, საზოგადო მოღვაწე, 1865-1867 წლებში თბილისის ვიცე-გუბერნატორი, სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 221.

ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისა სალომე დავითის ასული (1848-1919) – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის შვილი, ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოს-

ტენ-საკენის მეუღლე. გარდაიცვალა პეტროგრადში, ინვალიდების სახლში. 41, 95, 99, 113, 120, 154, 159, 166, 194.

ჭავჭავაძე-საგინაშვილისა ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული (1840-1925) – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ილია ჭავჭავაძის და, გენერალ ალექსანდრე საგინაშვილის მეორე ცოლი. 20, 26, 72, 81, 105, 158.

ხიტროვო ვასილი ნიკოლოზის ძე (1834-1903) – რუსი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, პალესტინის მართლმადიდებელი საიმპერატორო საზოგადოების დამაარსებელი, მდივანი და საპატიო თავმჯდომარე, პეტერბურგის კომერციული ბანკის კონტროლიორი. 157, 163.

ჯალალიანცი სარგისი (1819-1879) – ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ფილოლოგი, არქეოლოგი. მთავარეპისკოპოსის რანგში თბილისში 1861 წელს დაასრულა საქართველოში სომეხთა ეპარქიული რეზიდენციის მშენებლობა. 201.

ჯამალი – უთარილო წერილში (რომელიც 1879 წლის 17 დეკემბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი) დაცული ინფორმაციის თანახმად, აჭარელი შარიბეგის შვილი (იხ. შარიბეგის ანოტაცია), რომელიც იმ პერიოდში კანვოიში გაამწესეს. 220.

ჯომარდიძე მიხეილ გრიგოლის ძე (1822-1889) – დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის უფროსი 1852-1854 წლებში. მსახურობდა აფშერონის პოლკშიც. ქუთიშის ბრძოლის

შემდეგ მიიღო კაპიტნის ხარისხი. 1853-1868 წლებში
იყო დერბენდის ქალაქის თავი. 32, 36.

ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1822-1883) – საოლქო კანცე-
ლარიის გამგე დალესტანში, ქალაქ თემირხანშურაში
(დღევანდელი ბუინაქსკი). მოგვიანებით გახდა მეფის-
ნაცვლის საბჭოს წევრი და „ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი
დამფუძნებელი. რუსი ჩინოვნიკის, სემიონ შჩუკინის,
დახასიათებით, იყო კეთილშობილი პიროვნება, რო-
მელსაც დახმარებისათვის მიმართავდა ნაცნობი თუ
უცნობი და მისგან იღებდა ადამიანურ სითბოსა და
ყოველგვარ შემწეობას. 158, 178, 187, 189, 192, 193.
წერილების ადრესატი.

ჯორჯაძე ზაქარია (შაქრო) ალექსანდრეს ძე (1847-1895) – თა-
ვადი, ქართველი მენარმე და საზოგადო მოღვაწე, კავ-
კასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საპატიო
თავმჯდომარე. საქართველოში პირველმა დანერგა
მოსახლეობისაგან ყურძნის შესყიდვისა და ღვინის ევ-
რობული ტექნოლოგიით დამზადების პრაქტიკა. ცო-
ლად ჰყავდა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშ-
ვილი თამარი. 144, 154, 157, 163, 173, 193.

პაჭი ხანჯანი – გუინუქის ბეგი. 1878 წლის 15 სექტემბრის
წერილში დაცული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის
ხელისუფლების ერთგული მთიელი. შამილს ტყვედ ჩა-
უგდია და ათასი თუმნის სანაცვლოდ გაუთავისუფლე-
ბია. 84.

გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი⁹

ავლაპარი – თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი. 73.

ავსტრია – სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, დედაქალაქი – ვენა, სახელმწიფო ენა – გერმანული. 83.

აზია – 94, 175, 207.

ალაუინის სიმაღლე – მდებარეობს დაღესტანში, რუსეთის ფე-
დერაციაში, კავკასიონის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ
ნაწილში. 183, 189.

ალექსანდროვის ბალი – რუსთაველის გამზირის ნაწილი, ამჟა-
მინდელი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია. გაშენ-
და 1859 წელს ალექსანდრე ბარიატინსკის ინიციატივით
საასპარეზო ყაბახის ძველ ტერიტორიაზე. სახელი ეწო-
და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის პატივსაცე-
მად. 87, 89-90, 95, 131.

ალიხანაგავი – ანოტაცია იხ. საჰელტუთანი. 33, 147, 223.

ამიერკავკასია – კავკასიონის მთების სამხრეთით მდებარე
რეგიონი, რომელიც მოიცავს საქართველოს, აზერბაი-
ჯანსა და სომხეთს. 39.

⁹სამეცნიერო აპარატის დასაწყისში, კერძოდ, წერილში „ტექსტისა-
თვის“ აღვნიშნეთ და აქაც შევახსენებთ მკითხველს, რომ საქართვე-
ლოს ქალაქები და კუთხეები, ასევე კონტინენტები საძიებელში მო-
ცემულია ანოტაციების გარეშე.

ანანური – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში. 157, 162.

ანაპა – ტურისტული ქალაქი რუსეთის სამხრეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, კრასნოდარის მხარეში. 33, 36.

ანგლია (ინგლისი) – გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციული ერთეული, მოიცავს დიდი ბრიტანეთის კუნძულის ორ მესამედს. დედაქალაქი – ლონდონი. 26, 28, 29, 33, 35, 36, 39, 83.

არაგვის ხეობა – ხეობა ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. 35.

არარატი – მთათა მასივი. მდებარეობს თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში, სომხეთის საზღვართან ახლოს. 202.

არდაანი – ქალაქი და პროვინცია ისტორიულ ჯავახეთში, კავკასიონის სამხრეთით, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოს საზღვართან ახლოს. 32.

არზრუმი (იგივე ერზურუმი) – ქალაქი თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთში, ერზურუმის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მაღალ ფერდობზე. 14, 24, 26, 36.

აფხაზეთი – ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 49, 83, 208.

ალბულახი (ალბულალი) – ანოტაციისთვის იხ. თეთრიწყარო.
72.

აყუშა // აჰყოშა – სოფელი დაღესტანში, რაიონული ცენტრი.
ძირითადად, დარღოელებითაა დასახლებული. 183,
187, 189.

აჭარა – 35, 36, 69, 72, 83, 208.

ახალქალაქი – 193, 198.

ახტა – სოფელი დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, ყოფილი სამუ-
რის ოლქში, ახტისა და სამურის მდინარეების შენა-
კადთან. ადრე კავკასიის ალბანეთის შემადგენლობა-
ში შედიოდა „ტლურის“ სახელწოდებით, შემდეგ –
ლაკისის ადრეფეოდალურ სახელმწიფოში, უფრო
მოგვიანებით კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში
შევიდა. 84.

ბათა – თურქმენული სოფელი. 207.

ბათუმი – 15, 21, 24, 33, 35, 36, 49, 69, 72, 82, 83, 131.

ბაიაზეთი – ქალაქი თურქეთში (თურქ: დოღუბაიაზით 1934
წლამდე). 21.

ბაკურციხე – 42.

ბაქო – აზერბაიჯანის დედაქალაქი. „ბაქო“ აზერბაიჯანულად
ნიშნავს ქარიან ადგილს. მდებარეობს კასპიის ზღვის
დასავლეთ სანაპიროზე, აფშერონის ნახევარკუნძულის
სამხრეთ ნაწილში. 187, 189, 204.

ბეთანია – 54, 83, 183, 188, 194.

ბელიკლური // ბელი კლური – ანოტაციისთვის იხ. თეთრიწყარო. 72, 159, 165, 172, 178.

ბერლინი – გერმანიის დედაქალაქი. 173.

ბორბალო – სოფელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თელეთ-საყარაულოს ქედის სამხრეთ მთისძირზე. 59, 174.

ბორჩალო – ისტორიული მხარე ქვემო ქართლში. ძირითადად, მოიცავს ახლანდელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. 172, 204.

ბორჯომი – 39, 41, 60, 81, 87, 102, 113, 177, 181, 193, 194, 196, 198, 201.

განჯა – ანოტაციისთვის იხ. ელისავეტოპოლი. 162, 173, 193.

გელენჯიკი – კურორტი შავიზღვისპირეთში, რუსეთის კრასნოდარის მხარეში. 36.

გეორგიესვკი – ისტორიული ქალაქი რუსეთში, სტავროპოლის მხარეში. 95.

გერმანია – ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა. აქვს გასასვლელი ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე, დედაქალაქი – ბერლინი. 147.

გოლოვინის პროსპექტი – დღევანდელი რუსთაველის გამზირი.

გომბორი – ქედი ახმეტის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, თიანეთისა და საგარეჯოს მუნი-ციპალიტეტებში. 41, 60.

გორდა – დაბა იმერეთში. აქ მდებარეობდა დადიანების სა-ზაფხულო რეზიდენცია. 162.

გორი – 52, 145, 154, 157, 159, 162.

გუინუქი – სოფელი აზერბაიჯანში. 84, 85.

დარღანელი – ეგეოსის ზღვისა და მარმარილოს ზღვის დამა-კავშირებელი ვიწრო სრუტე ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში. 33.

დალისტანი // დალესტანი (დალესტანი) (სიტყვა თურქულია, „დაგ“ მთებს ნიშნავს, „სტანი“ – მიწას) – დალესტნის რესპუბლიკა, შედის რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში, დედაქალაქი – მაჰაჩიკალა. 1813 წელს დალესტანი რუსეთ-სპარსეთის გოულისტა-ნის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიას მიუერთეს. 1860 წელს კი დაარსდა რუსეთის იმპერიის დალესტნის ოლქი. 1920 წელს გამოცხადდა დალესტნის ავტონო-მია, 1921 წელს შეიქმნა დალესტნის ასარ. 1991 წელს დადგინდა მისი სტატუსი: დალესტნის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. 84, 113, 120, 131, 134, 136, 145, 158, 162, 172, 183, 187, 189, 206, 222.

დედოფლისწყარო // დედუფლისწყარო // დედუფლის წყარო – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრა-ციული ცენტრი. საბჭოთა ხელისუფლების დროს წი-თელნყარო ეწოდა, მანამდე კი, XIX საუკუნის დასაწ-

ყისში, რუსებმა „ცარსკიე კოლოდცი“ დაარქვეს. პირვანდელი სახელწოდება დედოფლისწყარო ქალაქმა 1991 წელს აღიდგინა. 13, 20, 25, 60, 69, 82, 174.

დერბენდი – ძვ. დარუბანდი (სპარს. დარ – კარი, ბანდ – ზღუდე), ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე. 1722 შეუერთდა რუსეთს, მაგრამ 1735 წლის განჯის ხელშეკრულებით ისევ ირანს დაუბრუნდა. 1747 დაარსდა დერბენდის სახანო. 1813 წლის გულისტანის საზაფო ხელშეკრულებით, საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. 187.

დილიჯანი (დილიჯანი) – საკურორტო ქალაქი სომხეთში. 42.

დუშეთი – 64, 75.

ევროპა – 49, 72, 74, 135, 147, 175, 201.

ელისავეტოპოლი (ელიზავეტოპოლი, განჯა) – ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი. რუსეთის იმპერიის პერიოდში ელიზავეტოპოლი ერქვა, 1920-1935 წლებში ენოდებოდა განჯა, 1935-1991 წლებში – კიროვაბადი. 1991 წლიდან ისევ განჯა დაერქვა. 32, 34, 44, 52, 106, 114, 136, 188, 222.

ერევანი – სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქი, მდებარეობს მდინარე რაზდანზე. სხვადასხვა დროს ერქვა ერებუნი, ეրივანი. 14, 210.

ეჩმიაძინი – იგივე ვალარშაპატი. ერთ დროს იყო სომხეთის დედაქალაქი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ეჩმიაძი-

ნი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი და კათოლიკოსის რეზიდენციაა. 31.

ვანი – 14, 189, 208.

ვანქი – ადგილი საკოლმეურნეო ბაზართან, მუხრანბატონის უბნის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, სადაც წინათ სომხური ეკლესია იყო.

ვენა – ავსტრიის დედაქალაქი, მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. მდებარეობს მდინარე დუნაის ორივე სანაპიროზე, ცენტრალური ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 42, 72, 140, 163, 173.

ვერა – თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ძველი სახელწოდება – სკვირეთი (სკორეთი). 162, 172, 222.

ვერის ბალი – დასასვენებელი ბალი ვერაზე, მერაბ კოსტავასა და ნიკო ნიკოლაძის ქუჩების გადაკვეთაზე. 134.

ვლადიკავკაზი – ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქი, მდებარეობს რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით (გარკვეულ პერიოდებში ენოდებოდა ძაუჯიყაუ და ორჯონიკიძე). 64.

ვოლგა – რუსეთის ყველაზე გრძელი და ისტორიულად მნიშვნელოვანი მდინარე, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთში გადის. ის ხშირად ასოცირდება ვოლგისპირეთის რეგიონთან, რომელიც იყო და არის მრავალი სამხედრო ნაწილის ბაზირების ადგილი. 86.

ზაქათალა – ზაქათალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთით. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემავალი ზაქათალის ავტონომიური ოლქის ცენტრი იყო. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მითითებით, კავკასიელმა კომუნისტებმა ქალაქი ზაქათალა, თავის ოლქთან, ბელაქანთან და კახთან ერთად, საქართველოს უკანონოდ ჩამოაფრეს და აზერბაიჯანს გადასცეს. 84.

ზუგდიდი – 154, 159, 162.

თბილისი – 13, 21, 22, 24, 26, 27, 28, 29, 31, 34, 37, 43, 44, 45, 47, 51, 60, 64, 69, 73, 74, 75, 76, 80, 86, 87, 88, 89, 90, 93, 94, 95, 98, 99, 103, 104, 106, 109, 112, 114, 124, 133, 135, 141, 144, 153, 156, 158, 159, 162, 163, 166, 169, 173, 176, 181, 190, 193, 195, 196, 199, 201, 204, 207, 210, 216.

თბილისის გუბერნია – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1846-1917). შეიქმნა თბილისის ნამესტნიკობის ბაზაზე და მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიებს. ადმინისტრაციული ცენტრი იყო თბილისი. 32.

თეთრიწყარო – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, მდებარეობს ქვემო ქართლში. 1940 წლამდე ერქვა აღბულალი. მოიხსენიებდნენ აგრეთვე „ბელიკლუჩის“ სახელით. 198.

თელავი – 41.

თერგი – ერთ-ერთი მთავარი და ისტორიულად მნიშვნელოვანი მდინარე კავკასიაში. იწყება კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე, საქართველოსა და რუსეთის საზღვრის მახლობლად, და ჩაედინება კასპიის ზღვაში. 75.

თურანი – ცენტრალური აზიის სტეპები და უდაბნოები, რომლებიც თურქულ და სხვა მომთაბარე ხალხებს ეკავათ (სკვითები, ხუნები, თურქ-მონლოლური ტომები). ისტორიულად, თურანის ცნება მოიცავდა ჩრდილოეთირანს, ცენტრალურ აზიას (უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი) და ზოგჯერ ჩრდილოეთ ავღანეთსაც. 203.

თურქეთი – ევრაზიის სახელმწიფო მცირე აზიის ნახევარკუნძულზე. ესაზღვრება ოთხი ზღვა: შავი, ხმელთაშუა, მარმარილოსა და ეგეოსის. 87, 95, 183, 208.

თუშეთი – 59.

იალტა – საკურორტო ქალაქი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, შავი ზღვის პირას. 56, 60, 68, 145.

იაპონია – კუნძულოვანი სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში. 106.

იერუსალიმი – ისრაელის დედაქალაქი, ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი მსოფლიოში. მდებარეობს პალესტინის რეგიონში. 95.

ინდოეთი – ქვეყანა სამხრეთ აზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. 35, 74, 75, 163, 178.

იორი – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. სათავეს იღებს კავკასიონის კალთებზე. 75.

ირანი – ანოტაცია იხ. სპარსეთი. 203.

ირკუტსკი – ქალაქი რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ირკუტ-სკის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს ბაიკალის ტბის დასავლეთ სანაპიროსთან ახლოს. 64.

